

თავისუფალი უნივერსიტეტის
აზიისა და აფრიკის ინსტიტუტის
სამეცნიერო ჟურნალი

*The Journal of Free University
Institute of Asia and Africa*

№1
2023

დუნია Dunya

აზიისა და აფრიკის
ინსტიტუტი
INSTITUTE OF
ASIA AND AFRICA



თავისუფალი უნივერსიტეტის
აზიისა და აფრიკის ინსტიტუტის სამეცნიერო ჟურნალი
*The Journal of Free University
Institute of Asia and Africa*

№1
2023

დუნია Dunya



აზიისა და აფრიკის
ინსტიტუტი
INSTITUTE OF
ASIA AND AFRICA



თავისუფალი უნივერსიტეტის აზიისა და აფრიკის ინსტიტუტის ბაზაზე 2023 წელს შეიქმნა სამეცნიერო ჟურნალი „დუნია“.

ჟურნალში დასაბეჭდი სტატიების ავტორებს შეუძლიათ თავად აირჩიონ ახლო (არაბული ქვეყნები, ირანი, თურქეთი), შორეული აღმოსავლეთის (იაპონია, ჩინეთი, კორეა) და ევროატლანტიკური მიმართულების (აშშ, დიდი ბრიტანეთი, გერმანია, საფრანგეთი) ქვეყნებიდან თემის მიმართულება და განავრცონ მოცემული თემატიკა შემდეგ სფეროებში:

ისტორია და რელიგია
ხელოვნება და კულტურა
ეკონომიკა და ბიზნესი
სამართალი
პოლიტიკა და უსაფრთხოება (ტერორიზმი)
და სხვა

ჟურნალში პუბლიკაციების გამოქვეყნება შეუძლიათ საქართველოს აკრედიტებული უმაღლესი სასწავლებლების ბაკალავრიატის სტუდენტებს, მაგისტრანტებსა და დოქტორანტებს.

სამეცნიერო პუბლიკაციები ქვეყნდება ქართულ და ინგლისურ ენებზე. მისი მიზანია ახალგაზრდა მკვლევარების ცოდნის გაზიარება.

ჟურნალი ქვეყნდება წელიწადში ერთხელ, ყოველი წლის დეკემბერში.

სარედაქციო ჯგუფი:

ვატო ლეჟავა / Vato Lejava

თავისუფალი უნივერსიტეტის რექტორი

თინათინ ქაროსანიძე

თავისუფალი უნივერსიტეტის საერთაშორისო ურთიერთობების სკოლის დეკანი

გიორგი კაციტაძე

თავისუფალი უნივერსიტეტის აზიისა და აფრიკის ინსტიტუტის დირექტორი

ანჟაი პუკშტო

პროფესორი, ვიტაუტას მაგნუსის უნივერსიტეტი, კაუნასი, ლიეტუვა

სლავომირ ჰორაკი

პროფესორი, კარლის უნივერსიტეტი, პრაღა, ჩეხეთი

აღმასრულებელი მდივანი:

საბა ტაველიშვილი

თავისუფალი უნივერსიტეტის დოქტორანტი

გამოცემის კოორდინატორი / Publishing Coordinator:

ანა მილაშვილი / Ana Milashvili

დამკაბადონებელი / Design:

ნატალია გლონტი / Natalia Glonti

ISSN 2960-9402

© თბილისის თავისუფალი უნივერსიტეტი, Free University of Tbilisi, 2023

თინათინ ქაროსანიძე, თავისუფალი უნივერსიტეტი სიმბოლიკა კადაღობრივ ექსტრემისტულ ორგანიზაციებში	7
Tinatini Karosanidze, Free University of Tbilisi SYMBOLS IN VIOLENT EXTREMIST ORGANIZATIONS	14
ალექსანდრე ლაცაბიძე, თავისუფალი უნივერსიტეტი კასპიის ზღვის რეგიონში მიმდინარე პროცესები, უძველესი დროიდან დღემდე	15
Alexander Latsabidze, Free University of Tbilisi ONGOING PROCESSES IN THE CASPIAN SEA REGION, FROM ANCIENT TIMES TO THE PRESENT DAYS	19
ზურაბ ბატიაშვილი, საქართველოს უნივერსიტეტი „რბილი ძალის“ თავისებურებანი თურქული სერიალების მაგალითზე	20
Zurab Batishvili, University of Georgia PECULIARITIES OF “SOFT POWER” IN THE EXAMPLE OF TURKISH SOAP OPERAS	27
დავით თავაძე, საქართველოს თავდაცვის სამინისტრო თურქეთის რესპუბლიკის საგარეო პოლიტიკის პრიორიტეტები „თურქეთის საუკუნეში“	28
David Tavadze, Ministry of Defense of Georgia PRIORITIES OF THE REPUBLIC OF TURKEY IN THE “CENTURY OF TÜRKİYE”	34
ზვიად ტყაბლაძე, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი ისრაელსა და საუდის არაბეთს შორის ურთიერთობების ნორმალიზაციის დინამიკა ჯო ბაიდენის ადმინისტრაციის შუამავლობის კონტექსტში	35
Zviad Tkabladze, Georgian Technical University DYNAMICS OF NORMALIZATION OF RELATIONS BETWEEN ISRAEL AND SAUDI ARABIA IN THE CONTEXT OF THE MEDIATION OF THE JOE BIDEN ADMINISTRATION	43
გიორგი ჯაში, მიგრაციის საკითხთა სამთავრობო კომისია მიგრაციის მართვის სისტემების მოკლე მიმოხილვა – საერთაშორისო დონაზე	44
George Jashi, State Commission on Migration Issues A BRIEF REVIEW OF MIGRATION MANAGEMENT SYSTEMS – FROM INTERNATIONAL TO NATIONAL LEVEL	49
შალვა დათიაშვილი, საქართველოს საელჩო მალაიზიაში, საქართველოს საქმეთა დროებითი რწმუნებული ინფორმაცია ყოვლისმომცვედი რეგიონული ეკონომიკური პარტნიორობის შეთანხმების შესახებ	50
Shalva Datiashvili, Embassy of Georgia in Malaysia, Charge d’Affairs of Georgia THE REGIONAL COMPREHENSIVE ECONOMIC PARTNERSHIP (RCEP)	55
არჩილ კალანდია, საქართველოს სრულუფლებიანი ელჩი ჩინეთის სახალხო რესპუბლიკაში ჩინეთის ტრანსფორმაცია	56
Archil Kalandia, Ambassador Extraordinary and Plenipotentiary of Georgia to The Republic of China TRANSFORMATION OF CHINA	62

გიორგი ნარიმანიშვილი, თავისუფალი უნივერსიტეტი აშოტ I კურაპალატის მკვლელობის ზოგიერთი დატანი ქართული და არაბული წყაროების მიხედვით	63
George Narimanishvili, Free University of Tbilisi SOME DETAILS OF THE ASSASSINATION OF ASHOT I KOUROPALATES ACCORDING TO GEORGIAN AND ARABIC SOURCES	68
რუსუდან შარუმაშვილი, თავისუფალი უნივერსიტეტი ამიერკავკასიის ქვეყნების ადმინისტრაციული დაყოფა ოსმალთა ბატონობის დროს (1578-1603)	69
Rusudan Sharumashvili, Free University of Tbilisi ADMINISTRATIVE DIVISION OF THE SOUTHERN CAUCASUS STATES DURING THE OTTOMAN DOMINION (1578-1603)	76
კახაბერ დემეტრაშვილი, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის გ. წერეთლის აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტი საფიანთა ირანსა და მოსკოვის სახელმწიფოს შორის რეგულარული დიპლომატიური ურთიერთობის დაწყების მიზეზები (XVI საუკუნის 80-იანი წლები)	77
Kakhaber Demetrashvili, Ilia State University G. Tsereteli Institute of Oriental Studies REASONS OF COMMENCEMENT OF REGULAR DIPLOMATIC RELATIONS BETWEEN SAFAVID IRAN AND MOSCOVITE STATE (80s of the 16th Century)	83
კონსტანტინე ფერაძე, ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი ბიოგრაფიული ცნობები თუნისადი გენერალის აბუ მუჰამად რაშიდის შესახებ	84
Constantine Peradze, Ph.D. in History BIOGRAPHICAL INSIGHTS ABOUT TUNISIAN GENERAL ABU MUHAMMAD RASHID	89
კახაბერ ჩინჩალაძე, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი ენა და პარემია	90
Kakhaber Chinchaladze, Tbilisi Technical University LANGUAGE AND PAREMIA	95
ნინო ფეიქრიშვილი, საქართველოს უნივერსიტეტი მალტური ენა	96
Nino Peiqrishvili, University of Georgia MALTESE LANGUAGE	100
მარინე ჯიბლაძე, თბილისის თავისუფალი უნივერსიტეტი ჩინური ენის ფონეტიკური თავისებურებები და წარმოთქმის ძირითადი პრობლემები (მოკლე მიმოხილვა)	101
Marine Jibladze, Free University of Tbilisi PHONETIC CHARACTERISTICS AND PRONUNCIATION CHALLENGES IN THE CHINESE LANGUAGE (AN EXPOSITORY ANALYSIS)	107

სიმბოლიკა ძალადობრივ ექსტრემისტულ ორგანიზაციებში

რეზიუმე

გასული ათწლეულების განმავლობაში ძალადობრივ ექსტრემისტულ დაჯგუფებებს სხვადასხვა სფეროში აქტიურად იკვლევდნენ. მკვლევართა ნაწილი სწავლობდა ამ ორგანიზაციების სტრუქტურას, საქმიანობის და ბრძოლის ტაქტიკას, იდეოლოგიას, წევრთა ქცევებს. თუმცა კვლევის ძალიან მცირე რაოდენობა ეხებოდა იმ სიმბოლოების ანალიზს, რომელსაც ეს დაჯგუფებები იყენებენ საკუთარ ლოგოებსა თუ დროშებზე.

ძალადობრივი ექსტრემისტული დაჯგუფებები სხვადასხვა სიმბოლიკას მიმართავენ საკუთარი იდეოლოგიის, ნარატივების, გზავნილების თუ ტაქტიკის გასავრცელებლად. ისინი სიმბოლოებად იყენებენ ფიგურებს, ფერებს, ფორმებს, გრაფიკულ ნიშნებს, ტატუებს, გამოსახულებებს, რათა საზოგადოებას საკუთარი მიზნები გააცნონ. მაგ., ლოგოზე დატანილი იარაღის გამოსახულება ბრძოლის მანიშნებელია (ფარკი, ალ-კაიდა), რელიგიური ნიშნების გამოსახვა აჩვენებს, რომ დაჯგუფება ამა თუ იმ რელიგიურ იდეოლოგიას იზიარებს, მარქსისტული თუ კომუნისტური დაჯგუფებები ძირითადად ლოგოზე ვარსკვლავს გამოსახავენ.

კულტურა რომ ტერორიზმის შესაბამის ფორმას აყალიბებს, ეს სიმბოლიკის გამოყენებაშიც კარგად ჩანს. სიმბოლოების გამოყენება, რომელიც ადგილობრივი მოსახლეობის კულტურულ ელემენტებს მოიცავს, მეტ ადამიანს ახალისებს, დაჯგუფებაში გაერთიანდეს. გერმანიაში კაპიტალიზმის მოწინააღმდეგე სტუდენტები გერმანული წითელი არმიის ფრაქციას ანუ ბაადერ-მაინჰოფის დაჯგუფებას აქტიურად უერთდებოდნენ. აღსანიშნავია, რომ მათთვის თვალშისაცემი იყო დაჯგუფების სიმბოლო: წითელი ვარსკვლავი და იარაღი, რაც მათ სოციალიზმისკენ კუთვნილებას და ბრძოლას გამოხატავდა.

აღსანიშნავია, რომ ექსტრემისტული დაჯგუფებების სიმბოლიკა ყოველთვის არ არის მათი დიზაინის თუ შემოქმედების ნაყოფი. ზოგ შემთხვევაში დაჯგუფებები უკვე არსებულ სიმბოლოებს იყენებენ საკუთარ ლოგოებსა თუ დროშებზე.

საკვანძო სიტყვები: ძალადობრივი ექსტრემისტული ორგანიზაცია, ლოგო, სიმბოლო, დროშა, ტერორიზმი

ტერორიზმში სიმბოლიკა რომ მნიშვნელოვან როლს თამაშობს, ამაზე მეტყველებს ტერორისტების მიერ თავდასხმების დროს შერჩეული სამიზნეებიც. 2001 წლის 11 სექტემბრის ცნობილი ტერაქტების დროს თვითმფრინავების გამტაცებლები თავს დაესხნენ ამერიკის ყველაზე მნიშვნელოვან სიმბოლოებს: ეკონომიკური ძალაუფლების სიმბოლოდ აღიარებულ მსოფლიო სავაჭრო ცენტრს, თეთრ სახლს¹ – პოლიტიკური ძალაუფლების სიმბოლოს, პენტაგონს – სამხედრო ძლიერების სიმბოლოს.

1996 წელს ამერიკელმა ყოფილმა სამხედრომ თიმოთი მაქვეიმ ოკლაჰომაში ფედერალური ბიუროს შენობა ააფეთქა იმ მოტივით, რომ ხაზი გაესვა ფედერალური მთავრობის როლისთვის; ასევე, 2008

¹ თეთრ სახლზე თავდასხმა ვერ გამოდგა წარმატებული, რადგან მგზავრების წინააღმდეგობის გამო, თვითმფრინავი ადრე ჩამოვარდა.

წელს მუმბაის სასტუმრო პაკისტანის ტალიბანის წევრი ტერორისტების სამიზნე მხოლოდ იმიტომ გახდა, რომ ის მთავარ ტურისტულ ადგილს წარმოადგენდა უცხოელებისთვის ინდოეთში; 1997 წელს ეგვიპტეში მოქმედი ალ-გამაა ალ-ისლამიას წევრები ტურისტებს თავს დაესხნენ ლუქსორში ხატშეპსუტის სასახლესთან, რომელიც ერთ-ერთი ყველაზე პოპულარული ტურისტული ადგილია ზემო ეგვიპტეში.

ექსტრემისტული დაჯგუფებები სხვადასხვა ტიპის სიმბოლოებს იყენებენ მათი იდეოლოგიების შესაბამისად. ის დაჯგუფებები, რომელიც ოკუპაციის წინააღმდეგ იბრძვის, პატრიოტული შინაარსის ლოგოებს იყენებს. ამ ლოგოებზე ძირითადად გამოსახულია მათი სამშობლოს რუკა და იარაღი. ასეთი სიმბოლოებს ძირითადად ვხვდებით პალესტინური დაჯგუფებების ლოგოებზე (Foreign Terrorist Organizations, <https://www.dni.gov/nctc/ftos.html>).

სტატიაში გაანალიზებულია ის სიმბოლოები, ლოგოები და დროშები, რომლებსაც ექსტრემისტული ძალადობრივი დაჯგუფებები იყენებს. სტატიაში სიმბოლოები დაჯგუფებულია რამდენიმე ჯგუფად და ერთიანდება მათი აღმოცენების მიზეზების მიხედვით, ასევე იმის მიხედვით თუ რა კავშირი აქვს ამა თუ იმ სიმბოლოს დაჯგუფების იდეოლოგიასთან თუ აქვს საერთოდ ასეთი კავშირი. კვლევაში დაახლოებით 100 დაჯგუფების ლოგო, დროშა და სიმბოლოა გამოკვლეული, რომელიც XX-XXI საუკუნეებში აქტიურობდა და გაეროს მიერ ტერორისტული დაჯგუფებების სიაში იყო შეტანილი სხვადასხვა დროს.

რელიგიური სიმბოლოები

მთვარე

ყველაზე გავრცელებული სიმბოლოა ნახევარმთვარის გამოსახულება და მას ისლამისტური დაჯგუფებები იყენებენ. ისლამის სიმბოლოს საკუთარ ლოგოზე გამოსახვით დაჯგუფებები აჩვენებენ მათ ისლამისადმი კუთვნილებას.

მეჩეთი

ლიბანში მოქმედი ისლამური რადიკალური დაჯგუფების ასბათ ალ-ანსარ დროშაზე გამოსახულია მეჩეთის გრაფიკული გამოსახულება ორ კიბლასთან² ერთად წარწერით: "ავვალ ალ-კიბლათაინ" (ქართ. პირველი ორი კიბლით). ისლამის ისტორიის მიხედვით, ორკიბლიანი მეჩეთი ანუ "მასჯიდ ალ-კიბლათაინ" მედინაში მდებარეობდა და ის იმ ადგილას აშენდა, სადაც მოციქულმა მუჰამადმა ღმერთისგან მიიღო ბრძანება, ლოცვის მიმართულება იერუსალიმიდან მექისკენ შეეცვალა (Arab News, 3/06/2018). ასბათ ალ-ანსარის მიერ ამ სიმბოლოს გამოყენება უკავშირდება დაჯგუფების მიზანს, შექმნას ისლამური სახელმწიფო, რომელიც ისლამის ზუსტ ინტერპრეტაციებს დაეფუძნება.

ალ-აკსას წამებულთა ბრიგადები და ჰამასის დაჯგუფება ასევე იყენებს მეჩეთის გრაფიკულ გამოსახულებებს. ალ-აკსას დაჯგუფების შემთხვევაში ყვითელი ფერის დროშაზე გამოსახულია შავი ფერის AK-47 და კლდის გუმბათი. დაჯგუფების სახელიც მეჩეთს უკავშირდება, რომელიც იმ სამ განსაკუთრებულ მეჩეთში შედის, სადაც მხოლოდ მუსლიმს შეუძლია შესვლა. ისლამის წესების მიხედვით, სამი მეჩეთი ითვლება წმინდა ადგილად, სადაც არამუსლიმს არ შეუძლია შესვლა: ქააბას ტაძარი მექაში, მოციქულის მეჩეთი მედინაში და ალ-აკსას მეჩეთი იერუსალიმში. მუსლიმური გადმოცემით, ალ-აკსას მეჩეთი იმ ადგილას მდებარეობს, საიდანაც მოციქული მუჰამადი სამოთხეში ავიდა. ეს მეჩეთი ხშირად არის საომარი შეტაკებების ცენტრი ისრაელის ჯარისკაცებსა და მუსლიმებს შორის. მუსლიმებს სჯერათ, რომ ისრაელელი სამხედროები ცდილობენ, დაანგრიონ ალ-აკსას მეჩეთი. სწორედ ამიტომ, ამ მეჩეთის დაცვის მიზნით შექმნილ დაჯგუფებას ალ-აკსას ბრიგადები ანუ მცველები დაარქვეს.

² კიბლა – ქართულად ნიშნავს მიმართულებას ქააბას ტაძრისკენ მექაში, საუდის არაბეთში. კიბლას მუსლიმები ლოცვისას იყენებენ მიმართულების განსაზღვრისთვის. თითოეულ მეჩეთს აქვს სპეციალური ნიშა კიბლასთვის, რომელსაც მიჰრავი ეწოდება. კიბლას ასევე იყენებენ მუსლიმების დაკრძალვისას მიმართულების განსაზღვრად (ბერაძე, 1999, 112).

შაჰადა

მუსლიმის ხუთი ვალდებულებიდან შაჰადა ის პირველი ვალდებულებაა, რომელიც მუსლიმმა უნდა შეასრულოს. ის ორი ფორმულისგან შედგება: 1. ერთი ღმერთის აღიარება. 2. მუჰამადის მოციქულობა.³ იმის მიუხედავად, რომ ამ ფრაზას არანაირი კავშირი არ აქვს რადიკალიზმსა თუ ძალადობასთან, თითქმის ყველა ისლამისტური დაჯგუფება საკუთარ დროშასა თუ ლოგოზე მას გამოსახავს. მაგ., სომალიში მოქმედი ალ-შაბაბი, ერაყის ალ-კაიდა, ალ-კაიდა ისლამურ მადრიბში (Terrorism Imagery Recognition, <https://info.publicintelligence.net/SDLECC-TerroristImagery.pdf>).

შავი დროშა

შავი დროშა პოპულარული გახდა ერაყსა და სირიაში ე.წ. ისლამური სახელმწიფოს გამოჩენასთან ერთად. ე.წ. ისლამური სახელმწიფო არ არის ერთადერთი ექსტრემისტული დაჯგუფება, რომელიც შავ დროშას იყენებს, არამედ შავ დროშას ატარებს ისეთი დაჯგუფებები, როგორიცაა ტალიბანი ავღანეთში, ნესრას ფრონტი სირიაში, ჩეჩნური ჯიჰადისტური დაჯგუფებები, ჰიზბ ალ-თაჰრირი. ვექსილოლოგი თედ ქაინი ამტკიცებს, რომ დაჯგუფებები იშვიათად იყენებენ შავ დროშებს. თუმცა ე.წ. ისლამურმა სახელმწიფომ მაინც გადაწყვიტა შავი ფერის დროშის გამოყენება, რათა შორიდანვე ადვილად გამოსაცნობი გამხდარიყო. შავი დროშაზე დატანილია შაჰადა და მოციქულ მუჰამადის ბეჭედი (npr, 2014, <https://www.npr.org/2014/11/22/365993105/what-does-its-chosen-banner-says-about-isis>).

აღსანიშნავია, რომ ე.წ. ისლამური სახელმწიფოს შავ დროშაზე მცირე განსხვავებაა იმით, რომ მოციქულის ბეჭედზე იკითხება შემდეგი წარწერა: ალაჰი, მოციქული მუჰამადი. როგორც ჩანს, წარწერა, რომელიც ვერტიკალურად იკითხება, ასახავს შაჰადას ფორმულის მეორე ნაწილს, რომ მუჰამადი ალაჰის მოციქულია. ისლამური წარმართვის მიხედვით, მოციქულმა მუჰამადმა წერილები დაუგზავნა იმ დროინდელ ძლევამოსილ მმართველებს ეგვიპტეში, სპარსეთში, ეთიოპიაში და მათ სთხოვა ისლამზე მოქცევა. სწორედ ამ წერილებზეა გამოყენებული ის ბეჭედი, რომელიც შემდგომ შავ დროშაზე გადაიტანეს და რომელიც ახლა ე.წ. ისლამური სახელმწიფოს შავ დროშას ამშვენებს.

ე.წ. ისლამური სახელმწიფო ყოველთვის ცდილობდა, რომ დაჯგუფების ისლამთან და ისლამის ისტორიასთან კავშირი ეჩვენებინა. ამიტომაც დაჯგუფება "ისლამურ სიმბოლოებს" იყენებდა და შავი დროშაც მათ შორისაა. შავი დროშა ისლამური თეოლოგიის მიხედვით, რამდენიმე ჰადისშია აღნიშნული.⁴ ყურანში არ არის ნახსენები შავი დროშა, მაგრამ ერთადერთი წყარო, რომელიც შავ ფერსა და დროშას ახსენებს, ჰადისია. "როდესაც შავ დროშას დაინახავთ ხორასნიდან⁵, მათთან მიდით, მათ შორის იქნება ალაჰის ხალიფა, მაჰდი" (Al-Bastawi, 158). არსებობს სხვა ჰადისიც, იბნ მაჯასა და ალ-ჰაქიმის მიერ ჩაწერილი: "თუ ხორასნიდან მომავალ შავ დროშას დაინახავთ, მათთან დაუყოვნებლივ მიდით, თუნდაც თოვლზე იაროთ, რადგან მათ შორისაა ხალიფა ალ-მაჰდი... და ვერავინ შეაჩერებს არმიას, სანამ ისინი იერუსალიმამდე არ მოვლენ" (Sunan Ibn Majah, 4048).

ეს ჰადისები არ არის შეტანილი ჰადისების წიგნში, თუმცა რამდენიმე მუსლიმი მეცნიერი ახსენებს საკუთარ ნაშრომებში განსხვავებით აჰმად იბნ ჰანბალისა⁶, რომელიც საერთოდ არ აღიარებს ამ ჰადისების ავთენტურობას.

შავი დროშის ისტორია მოციქულ მუჰამადს და მის მიმდევრებს უკავშირდება. მოციქული შავი ფერის დროშას იყენებდა ბრძოლებში, თუმცა არა როგორც სიმბოლოს, არამედ საშუალებას იმისთვის,

3 შაჰადა – "არ არის ღმერთი, გარდა ღმერთისა და მუჰამადი არის ღმერთის მოციქული" ("ლა ილაჰა ილაჰა ალ-ლაჰა მუჰამადი რასულ ალ-ლაჰ").

4 ჰადისი – მოციქულ მუჰამადის გამონათქვამი ან ქცევა, ჰადისი ითვლება მეორე მნიშვნელოვან წყაროდ ყურანის შემდეგ ისლამში. ჰადისების ავტორები ძირითადად არიან მუჰამადის თანამედროვეები ან მისი მემკვიდრეები. ჰადისების სამი ტიპი გამოიყოფა: სწორი ანუ ჭეშმარიტი (საჰიჰ), კარგი (ჰასან) და სუსტი (და'იფ) ან დაუდასტურებელი (საჰიბ) (Robson, 1986, 23-28).

5 ხურასანი, ხორასანი – ისტორიული მხარე აღმოსავლეთ რეგიონში, რომელიც მოიცავდა ირანის, ავღანეთის, ცენტრალური აზიის და პაკისტანის ნაწილს. სახელი ხორასანი სპარსულად "მზის მიწას" ნიშნავს.

6 აჰმად იბნ ჰანბალი (780-855) – ყველაზე მნიშვნელოვანი და გავლენიანი მუსლიმი მეცნიერი, ჰანბალიტური მადჰაბის დამფუძნებელი, რომელიც ისლამური სამართლის სკოლის ყველაზე ტრადიციული და მკაცრი მიდგომებით ხასიათდება (Schacht, 1986, 153-164).

რომ მისი არმია გამოერჩია მტრის ჯარისგან. ასევე ცნობილია, რომ მოციქული მუჰამადი სხვადასხვა ფერის დროშებს იყენებდა ბრძოლებში. მოგვიანებით, VIII საუკუნეში აბასელთა დინასტია იყენებდა შავი ფერის დროშას ომაელთა ხალიფების წინააღმდეგ ამბოხებების დროს. შავი ფერის დროშები ასევე გამოიყენებოდა რელიგიური აჯანყებების თუ ჯიჰადის დროს. ამრიგად, შავი დროშა აბასელთა მოძრაობას დაუკავშირდა. თანამედროვე ისლამური ექსტრემისტული დაჯგუფებები ასევე იყენებენ მწვანე ფერის დროშებს (მაგ., *ჰარაქათ ალ-ჯიჰად ალ-ისლამი*) (Bahari, 2014, 17).

ყურანი

შაჰადას მსგავსად, ყურანიც ხშირადაა გამოსახული ისლამური რადიკალური ორგანიზაციების ლოგოებსა და დროშებზე. არაბულ სამყაროში ყველაზე ძველი "მუსლიმი ძმების" დაჯგუფების ლოგოზე, რომელიც 1928 წელს ეგვიპტეში დაარსდა, ყურანი და ორი ხმალია გამოსახული, რაც ორგანიზაციის მიზანს ასახავს, რომელიც დამფუძნებელმა ჰასან ალ-ბანამ გამოაცხადა: "ალაჰი ჩვენი მიზანია, მოციქული ჩვენი ლიდერია, ყურანი ჩვენი კონსტიტუციაა, ჯიჰადი ჩვენი გზაა" (Husain, 2003, 160).

ჯვარი

ჯვარი ხშირად გამოიყენება ქრისტიანული იდენტობის მოძრაობის მიერ, რომელიც თეოტოკანიათა უზენაესობის და სხვა რასების წინააღმდეგ ძალადობის მოწოდებით გამოდის.⁷ ასეთი დაჯგუფებები ცდილობენ რელიგიური იდეოლოგიით გაამართლონ საკუთარი ძალადობრივი ქმედებები. იმ დაჯგუფებებს შორის, რომელიც სიმბოლოდ ჯვარს იყენებს, გამოირჩევა ამერიკაში მოქმედი ყველაზე მნიშვნელოვანი ექსტრემისტული ორგანიზაცია *კუ კლუქს კლანი* (KKK). რასისტული ორგანიზაცია, რომელსაც საქმიანობის ხანგრძლივი ისტორია აქვს, ამერიკის კონსტიტუციის მე-13 შესწორების შედეგად შეიქმნა, რომელიც მონობას კრძალავდა (Nacos, 2016, 74). *კუ კლუქს კლანის* სამიზნეებს შავკანიანი ადამიანები წარმოადგენდნენ, რომელთა წინააღმდეგ ღამის რეიდებს აწყობდნენ. კლანს საქმიანობის სამი პერიოდი ქონდა: პირველად ის 1865 წელს აღმოცენდა, მეორე პერიოდში კლანის აღმოცენების მიზეზი გრიფითის ფილმის "ერის დაბადება" გახდა, რომელიც კლანს და რასობრივ დისკრიმინაციას მხარს უჭერდა, მესამე პერიოდი კი XX საუკუნის 50-იან წლებს და კათოლიკეების და ებრაელების წინააღმდეგ საქმიანობას უკავშირდება.

აღსანიშნავია, რომ *კუ კლუქს კლანის* დაჯგუფება საკუთარი ქმედებების გასამართლებად ქრისტიანულ იდეოლოგიას მიმართავდა. შესაბამისად, ორგანიზაცია სამ სიმბოლოს იყენებდა: თეთრი ჯვარი წითელ წრეში, სამი ასო "ქ" სამკუთხედში და ცეცხლმოკიდებული ჯვარი. პირველი სიმბოლო XX საუკუნის დასაწყისში გამოჩნდა დაჯგუფების ლოგოზე, ცეცხლმოკიდებული ჯვარი კი კლანის საქმიანობის მეორე ეტაპის ძირითადი სიმბოლო გახდა. კლანის წევრები ღამის რეიდებისას ლათინურ ცეცხლმოკიდებულ ჯვარს ატარებდნენ. ჯვრის გამოყენება კლანის საქმიანობის მეორე პერიოდს უკავშირდება, როდესაც შეკრებებისას ჯვრებს ანთებდნენ და ანთებდნენ შეკრების ადგილს. კლანის საქმიანობის პირველ პერიოდში ჯვარი არ გვხვდება (Hate on Display, <https://www.adl.org/resources/hate-symbols/search?page=3> hate symbols).

თეოტოკანიათა უზენაესობის მოძრაობის წევრები ასევე იყენებდნენ თასის ფორმის ვარცხნილობას საკუთარ სიმბოლოდ თუ ლოგოდ, რომელიც ამერიკელ ტერორისტს დაილან რუფს უკავშირდებოდა. 2015 წელს დაილან რუფი ჩარლსტონში (სამხრეთ კაროლინა) შევიდა აფრიკულ მეთოდისტურ ტაძარში წირვის დროს და წირვის დასრულების შემდეგ ცეცხლი გაუხსნა მლოცველებს. თავდასხმას რამდენიმე მლოცველი შეეწირა. ამ ტერაქტის შემდეგ რუფს მიმდევრები გამოუჩნდა, რომლებმაც სიმბოლოდ რუფის ვარცხნილობა აიღეს.

⁷ ისრებიანი ჯვრის გამოსახულებას საკუთარ სიმბოლოდ იყენებდა უნგრეთში 1935-45 წლებში მოქმედი ფაშისტური პარტია, რომელსაც ასევე ისრის ჯვრის პარტიას უწოდებდნენ. ამ პარტიის შემდეგ ჯვრის სიმბოლოდ გამოყენება დაიწყო თეოტოკანიათა უზენაესობის და ნაციისტების დაჯგუფებებმა. მაგ., აშშ-ში მისისიპიში დაფუძნებული თეოტოკანიათა უზენაესობის დაჯგუფება ისრთან ჯვარს იყენებდა საკუთარ ლოგოდ (Hate on Display, <https://www.adl.org/resources/hate-symbols/search?page=3> hate symbols).

იარაღი

ხმალი ბრძოლის ისტორიული იარაღია. მას ბევრი ექსტრემისტული ძალადობრივი დაჯგუფება იყენებს საკუთარ სიმბოლოდ როგორც ლოგოზე, ასევე დროშებზე. პალესტინის *ისლამური ჯიჰადი*, *ალ-აკსას წამებულთა ბრიგადები*, *კავკასიის საამირო*, *ჰეზბოლა*, *ჰამასი* როგორც წესი ხმალს გამოსახავს საკუთარ სიმბოლოდ, რაც მათ ბრძოლას ასახავს. საინტერესოა რომ ხმალი ასევე გამოსახულია არაისლამური ექსტრემისტული დაჯგუფებების ლოგოებსა და დროშებზე. ასეთი დაჯგუფებებია: *ფარკი* კოლუმბიაში, ALF აშშ-ში, *პალესტინის გათავისუფლების სახალხო ფრონტი* (Terrorism Imagery Recognition, <https://info.publicintelligence.net/SDLECC-TerroristImagery.pdf>).

დედამიწა

ექსტრემისტული ძალადობრივი დაჯგუფებები საკუთარი ლოკალური საკითხების და კონფლიქტების გლობალიზაციისთვის ლოგოდ დედამიწას იყენებს. ასევე ჯიჰადისტური დაჯგუფებები, როგორიცაა *ალ-კაიდა*, საკუთარი გლობალური ჯიჰადის აღსანიშნავად დედამიწას სიმბოლოდ იყენებს (Combating Terrorism Center, 2023, <https://ctc.westpoint.edu/ctc-sentinel/>). ფილიპინებში მოქმედი *აბუ საიფის* დაჯგუფების ლოგოზე გამოსახული იყო დედამიწა, ყურანი და ხმალი, თუმცა მას შემდეგ, რაც დაჯგუფება გაერთიანდა ე.წ. ისლამურ სახელმწიფოში, დაჯგუფების ლოგო შეიცვალა.

ცხოველები

ცხოველების გამოსახულება აქტიურად გამოიყენება სხვადასხვა ექსტრემისტულ დაჯგუფებებში. მათ შორის გამორჩეულია ამერიკაში მოქმედი *შავი ავაზების*⁸ რევოლუციური დაჯგუფება, რომელიც შავკანიანთა დაჯგუფებებს შორის დიდი გავლენით გამოირჩეოდა XX საუკუნის 60-იან წლებში. ორგანიზაციის წევრები ატარებდნენ შავი ტყავის პიჯაკებსა და ბერეტებს, რითიც საკუთარ გზავნილს ავრცელებდნენ ხალხში (Nacos, 2016, 91). დაჯგუფების ლოგოს "შავი ავაზა" რაც შეეხება, ეს ლოგო სამმა ქალმა შექმნა, თუმცა ისინი ერთმანეთს არ იცნობდნენ და დამოუკიდებლად შექმნეს დაჯგუფებისთვის ლოგო.

შავი ავაზების ორგანიზაციის ლოგო მის იდეოლოგიას შეესაბამებოდა. დაჯგუფების წევრები საკუთარ თავს ტერორისტებად არ თვლიდნენ, არამედ შავკანიანი ხალხის დამცველებად მიიჩნევდნენ. ავაზაც ამიტომ გამოიყენეს ლოგოზე, რომ მათი მოსაზრებით, ეს ცხოველი პირველი არ ესხმის თავს განსაკუთრებული საჭიროების გარეშე. *შავი ავაზების* დაჯგუფების ლიდერი ხსნიდა, რომ მისი წევრები *კუ კლუეს კლანის* ქმედებების საპასუხოდ რეაგირებდნენ და მათ კი არ დაიწყეს პირველებმა თავდასხმები, არამედ იძულებული გახდნენ, ამერიკაში შავკანიანთა დასაცავად ემოქმედათ.

კიდევ ერთი დაჯგუფება, რომელიც აშშ-ში ჩამოყალიბდა და ლოგოდ ცხოველის გამოსახულებას იყენებდა, არის მემარცხენე რადიკალური დაჯგუფება *სიმბიონისტური გათავისუფლების არმია*. ეს ორგანიზაცია XX საუკუნის 70-იან წლებში დაარსდა და მიზნად ისახავდა კაპიტალიზმის წინააღმდეგ ბრძოლას. დაჯგუფებამ სიმბოლოდ შვიდთავიანი კობრას გამოსახულება აირჩია. ქინგი წერს, რომ ორგანიზაციას აქვს 170 000 წლის ისტორიის მქონე სიმბოლო, რომელიც ერთ-ერთი პირველია იმ სიმბოლოებს შორის, რასაც ხალხი ირჩევდა ღმერთის და სიცოცხლის აღსანიშნავად (King, 9). ქინგი ასე ხსნიდა დაჯგუფების სიმბოლოს: "*კობრას ორი-ორი თავი ორივე მხარეს გამოხატავს სიცოცხლის ოთხ პრინციპს: მზე, მთვარე, მინა და წყალი. სამი ცენტრალური თავი აღნიშნავს ღმერთს და სამყაროს და მათ ღმერთის თავები ეწოდებათ*" (King, 9).

ციფრი "შვიდი" ანტიკური დროიდან მოყოლებული საკრალურ ციფრად ითვლება ბუდჰიზმში, ინდუიზმში, ჩრდ. აფრიკის რელიგიებში, სამხრეთ ამერიკელ ინდიელებს შორის. კობრას შვიდი თავიდან თითოეული, რომელიც *სიმბიონისტური გათავისუფლების არმიის* სიმბოლოა, სხვადასხვა მნიშვნელობის მატარებელია და ორგანიზაციის შვიდ პრინციპს აღიარებს: "უმოჭა" კავშირი, გაერთიანება, "ქუჩაგლია"

8 სრული სახელია "შავი ავაზების თავდაცვის პარტია".

– თვითგამორკვევა, "იჰმა" – კოლექტიური შრომა და პასუხისმგებლობა, "ნია" – მიზანი, "კუმბა" – მემოქმედებითობა, "უჟამაა" – თანამშრომლობა, "იმანი" – რწმენა (ANON, 1974, <https://www.ojp.gov/ncjrs/virtual-library/abstracts/seven-principles-symbionese-liberation-army-terrorism-hearings>).

გველის გამოსახულება ასევე გამოიყენება ესპანეთში მოქმედი ბასკების სეპარატისტული მოძრაობა – ეტას – მიერ. ორგანიზაციის ლოზუნგის "შეინარჩუნე ორივე" (Bietan Jarrai) დიზაინი ორი ფიგურისგან შედგება: ნაჯახზე დახვეული გველი. გველი წარმოადგენს პოლიტიკას, ნაჯახი კი – ბრძოლას.

ციფრები

საინტერესო კვლევის საკითხია ციფრების სიმბოლოებად გამოყენება. ასეთ ციფრებში/რიცხვებში მედის რვა (H8), რაც სიძულვილის აღმნიშვნელია (H – eight=HATE), 14 ანუ თოთხმეტი სიტყვა⁹, 14/88 ანუ თოთხმეტი სიტყვა და ანბანის მე-8 ასო, 88¹⁰ (თეთრი უზენაესობის დაჯგუფებები).

ფსიქოლოგიის მიხედვით, სიმბოლოები ადამიანის გონებაზე გავლენას ახდენს, რაც იძლევა იმის გაგების საშუალებას თუ როგორ შეიძლება რადიკალიზმის და ექსტრემიზმის რიტორიკა სიმბოლოების მეშვეობით უკეთ ვრცელდებოდეს. სიმბოლოების გამოყენება თავდასხმისას საშუალებას აძლევს თავდამსხმელებს ფართო აუდიტორიაზე ეფექტი მოახდინოს. ვიზუალური პროპაგანდის ეფექტი რომ წარმატებული იარაღი გახდა, ეს დაადასტურა ტერორიზმის ისტორიაში სხვადასხვა დაჯგუფებების მიერ ვიზუალიზაციის გამოყენებამ. ამასთანავე, ადამიანს შეიძლება ბოლომდე არ სჯეროდეს ამა თუ იმ დაჯგუფების იდეოლოგიის, მაგრამ მიკუთვნებულობის გაცდა ერთ-ერთი მთავარი მოტივატორია ექსტრემისტულ დაჯგუფებებში განევრიანებისთვის. ამაზე მიუთითებს სტატიაში მოტანილი ის სიმბოლოები, რომლებსაც რადიკალური დაჯგუფებები იყენებენ წევრების მოსაზიდად.

გამოყენებული ლიტერატურა

ბერაძე, გ. (1999). ისლამი, ენციკლოპედიური ცნობარი, თბილისი: "ნეკერი".

Husain, M., (2003). *Global Islamic Politics*, New York: Longman

ANON, (1974). *Seven Principles of the Symbionese Liberation Army* (From Terrorism hearings before the house committee on Internal security, Part 3, 93rd Congress, 2nd Session, June, July and August, 1974-SEN CJ-17654, US Congress United States, US Department of Justice, Office Of Justice Programs, at <https://www.ojp.gov/ncjrs/virtual-library/abstracts/seven-principles-symbionese-liberation-army-terrorism-hearings>

Bahari, M. and Muhammad Haniff Hassan, (2014). "The Black Flag Myth: An Analysis from Hadith Studies", *Counter Terrorist Trends and Analyses*, Vol., 6, No. 8, September, 15-20

Bastawi, Al-, Dr. 'Abd al-'Alim 'Abd al-'Azim, al-Mahdi al-Muntazar fi Dhaw-i al-Ahadith wa al-Athar al-Sahihah wa Aqwal al-'Ulama wa Ara al-Firaq al-Mukhtalifah, Beirut: Dar Ibn Hazm; 1st edition, 1420 H, # 2

Foreign Terrorist Organizations, *Counterterrorism Guide*, Office of the Director of National Intelligence at <https://www.dni.gov/nctc/ftos.html>

Hate on Display, Hate Symbols Database, at <https://www.adl.org/resources/hate-symbols/search?page=3> hate symbols

"'Masjid Qiblatain': The mosque where Muslims prayer direction changed from Jerusalem to Makkah",

(2018) Arab News, 3 June, at www.arabnews.com/node/1314911/saudi-arabia, last accessed on 23 April, 2023

9 "ჩვენ უნდა დავიცვათ ჩვენი ხალხის არსებობა და თეთრკანიანი ბავშვების მომავალი" (ინგ. We must secure the existence of our people and the future of white children"), რაც ინგლისურ ენაზე 14 სიტყვისგან შედგება.

10 88 არის ჰიტლერის ანუ Heil Hitler კოდური რიცხვი.

Robson, J., "Hadith", The Encyclopedia of Islam edited by B.Lewis, Ch. Pellat, J. Schacht, Brill, Leiden, Coluze@co, London, 1986, pp.23-28

Schacht J., Hanabila, The Ecncyclopaedia of Islam edited by B.Lewis, Ch. Pellat, J. Schacht, Brill, Leiden, Coluze@co, London, 1986, 153-164

Terrorism Imagery Recognition, San Diego Law Enforcement Coordination Centre, at <https://info.publicintelligence.net/SDLECC-TerroristImagery.pdf>

What Does Its Chosen Banner Say about ISIS?", npr, November 22, 2014,

<https://www.npr.org/2014/11/22/365993105/what-does-its-chosen-banner-says-about-isis>

Combating Terrorism Center, 2023, <https://ctc.westpoint.edu/militant-imagery-project/0269/>

King, Brian John, *Death To The Fascist Insect: Symbionese Liberation Army*", Spurl Editions Nacos, Brigitte L., (2016). Terrorism and Counterterrorism, Fifth Edition, Routledge.

Sunan Ibn Majah, Hadith, 4048

SYMBOLS IN VIOLENT EXTREMIST ORGANIZATIONS

In modern times violent extremist organizations use different symbols for spreading their ideology, messages and goals. Extremist groups use graphics of animals, graphic marks or signs, numerals, tattoos as their symbols. Some groups have their own flags and logos (ISIS, Hezbollah, Kach, Symbionese Army), while others have special tattoos, anthems or even songs (Hamas, Taliban).

The type of symbols is connected to organization ideology and tactics to fight. So violent extremist groups often borrow religious signs from different religions to show their belonging to the concrete religious community (Al-Qaeda, ISIS, Hezbollah). The terrorist organizations such as Palestinian groups fighting against the occupation often use patriotic logos painted the territory of their country and weapons on, which symbolize their struggle for liberation and freedom.

Not all signs are designed or created by these radical violent organizations, but some are borrowed from history.

The research tries to find out the diversity of symbols used by the different violent extremist organizations and analyze the reasons what are the roots of usage the symbols by these groups.

Key words: violent extremist organization, logo, symbol, flag, terrorism

კასპიის ზღვის რეგიონში მიმდინარე პროცესები, უძველესი დროიდან დღემდე

რეზიუმე

კასპიის ზღვის რეგიონზე, უძველესი დროიდან, აღმოსავლეთსა და დასავლეთს შორის არსებული სავაჭრო გზები გადის. კასპიის ზღვის ჩრდილო-დასავლეთით მდებარეობს რუსეთი, სამხრეთ-დასავლეთით აზერბაიჯანი, სამხრეთით ირანი, სამხრეთ-აღმოსავლეთით თურქმენეთი, ჩრდილო-აღმოსავლეთით ყაზახეთი. სტრატეგიული მნიშვნელობიდან გამომდინარე, რეგიონი წარმოადგენს რეგიონალური და გლობალური მოთამაშეების ინტერესის სფეროს. მათი ინტერესები, როგორც წესი, თანხვედრაში არ არის, შესაბამისად რეგიონი წარმოადგენს დაპირისპირების ადგილს. ერთ-ერთ ყველაზე მნიშვნელოვან საკითხს წარმოადგენს იმის დადგენა თუ რას მიეკუთვნება კასპიის ზღვა, ზღვას თუ ტბას. ჯერ კიდევ ანტიკურ ეპოქაში მიდიოდა საუბარი კასპიის ზღვის შესაძლო კავშირზე ოკეანესთან. შესაბამისად, კასპიის ზღვის სტატუსის დადგენა და მისი საკუთარი გავლენის სფეროში მოქცევის მცდელობა მიმდინარეობს უძველესი დროიდან. განსაკუთრებით მნიშვნელოვანი გახდა კასპიის ზღვის საკითხი საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ. საბჭოთა კავშირის არსებობის პერიოდში ზღვა მოქცეული იყო ორ სახელმწიფოს შორის, საბჭოთა კავშირსა და ირანს შორის, სადაც დომინირებდა საბჭოთა გავლენა. საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ შეიქმნა ახალი რეალობა გაჩნდნენ ახალი მოთამაშეები, როგორც რეგიონალური ისე გლობალური.

საკვანძო სიტყვები: კასპიის ზღვა, სავაჭრო გზები, რეგიონი, კასპიის ზღვის სტატუსი.

კასპიის ზღვა არის მსოფლიოში უდიდესი წყალსაცავი, რომელიც არ უკავშირდება ზღვას და მდებარეობს ევრაზიის კონტინენტის ორი დიდი ნაწილის საზღვარზე. იგი გადაჭიმულია კავკასიონის მთების აღმოსავლეთით და შუა აზიის ვრცელი სტეპის დასავლეთით. ზღვის ფართობია 392,600 კმ² და მდებარეობს 27 მ-ზე დაბლა ოკეანის დონიდან (სიმაღლის ბალტიის სისტემა) (UN environment programme, 2020). ხანგრძლივი დაკვირვებით დადგინდა, რომ კასპიის ზღვის დონე მუდმივად იცვლება. აგრეთვე მნიშვნელოვნად ცვალებადია სანაპირო ზოლის სიგრძე, რომელიც დაკვირვების სხვადასხვა პერიოდისათვის 500-600 კმ-ით იცვლება (Подда 1987, 439-444). კასპიის ზღვა გადაჭიმულია მერიდიანის გასწვრივ 1200 კმ-ის ტერიტორიაზე. მისი საშუალო სიგანე დაახლოებით 300 კილომეტრია. სანაპირო ზოლი შეადგენს დაახლოებით 6000 კმ-ს. მთავარი შენაკადი არის მდინარე ვოლგა, რომელიც უზრუნველყოფს წყლის შემოდინების დაახლოებით 80%-ს, შემდეგ მოდიან მდინარეები მტკვარ-არაქსი (6,3%), ურალი (3%) და თერგი (2,5%). მორფოლოგიური სტრუქტურის, ფიზიკური და გეოგრაფიული პირობების მიხედვით, კასპიის ზღვა პირობითად იყოფა სამ ნაწილად: ჩრდილოეთი (ტერიტორიის 25%), შუა (ტერიტორიის 36%) და სამხრეთი (ტერიტორიის 39%) (Caspian Environmental Information Centre Portaal, 2022). კასპიის ზღვა მსოფლიოში ყველაზე დიდი მარილიანი ტბაა, მაგრამ ეს ყოველთვის ასე არ ყოფილა. სამეცნიერო კვლევებმა აჩვენა, რომ დაახლოებით 11 მილიონი წლის წინ ის აზოვისა და ხმელთაშუა ზღვების გავლით მსოფლიო ოკეანეს უკავშირდებოდა (Owen 2019).

კასპიის ზღვის მიდამოები უძველესი დროიდან დასახლებული იყო ადამიანთა ტომებით. არქეოლოგიური გათხრები ასაბუთებს, რომ კასპიის ზღვის პირას, თურქმენეთის ტერიტორიაზე ცხოვრობდნენ ტომები, რომლებიც მიეკუთვნებიან ადამიანთა უძველესი წინაპრების სინანტროპების ტიპს. კასპიის ზღვის სამხრეთით ნაპოვნია მეზოლითის პერიოდის მონადირეების სადგომები. მეცნიერთა აზრით, ამ სადგომის მკვიდრნი აქ უნდა გამოჩენილიყვნენ 11 ათასი წლის წინ (Лысье & Полтавский 1956, 32). ანტიკურ წყაროებში კასპიის ზღვა პირველად ნახსენებია ბერძენი ისტორიკოსისა და გეოგრაფის, ჰეკატეოს მილეტელის მიერ. ის კასპიის ზღვას, როგორც კასპიის, ისე ჰირკანის სახელწოდებით იხსენიებს (Латышев 2013, 2). ირანულენოვანი ტომები (არიელები) ირანსა და შუა აზიაში მკვიდრდებიან ძვ. წ. II ათასწლეულის ბოლოს. ეს ტომები ადვილად ირეოდნენ ადგილობრივ მოსახლეობასთან და მათ თავიანთ ენას გადასცემდნენ. ძვ. წ. V–IV საუკუნეებში კასპიის ზღვის სამხრეთი სანაპირო სპარსულენოვანი მიდიელების სამეფოში შედიოდა, ხოლო 550 წლიდან აქემენიდების სამეფოში გაერთიანდა. ძვ. წ. 330 წ. ალექსანდრე მაკედონელი დაეუფლა სპარსეთის ჩრდილო-აღმოსავლეთს და შევიდა ჰირკანიაში, რომელიც კასპიის ზღვის სამხრეთ-აღმოსავლეთ სანაპიროზე მდებარეობდა. ალექსანდრე დიდის სიკვდილის შემდეგ სპარსელმა სატრაპმა ატროპატმა ძალაუფლების შენარჩუნება მოახერხა და კასპიის ზღვის სამხრეთ-დასავლეთით (სამხრეთ აზერბაიჯანის ტერიტორია) ატროპატენას მიდიის სამეფო დააარსა (Утченко 1956, 416).

ანტიკურ ეპოქაში გაბატონებული იყო აზრი, რომ კასპიის ზღვა ჩრდილოეთის ოკეანის ნაწილია. ამ აზრის გავრცელებას, როგორც ჩანს ხელი შეუწყო ვინმე ჰერაკლიდმა, რომელსაც ალექსანდრე მაკედონელმა დაავალა ჰირკანის ზღვის გამოკვლევა (Априан 1912, 1). მიუხედავად იმისა, რომ არისტოტელე ასწავლიდა ალექსანდრეს, რომ კასპიის ზღვა არ უკავშირდებოდა ზღვას, იგი გატაცებული იყო შავ ზღვასთან კასპიის ზღვის მიწისქვეშა კავშირის შესაძლებლობის იდეით. ალექსანდრე მაკედონელმა კასპიის ზღვაზე ფლოტის გაშვება ბრძანა, რათა გაერკვიათ, უკავშირდება თუ არა ის შავ ზღვას ან რომელიმე აღმოსავლეთის ზღვას ინდოეთის გზაზე (Planhol 2012, 48–50). თავდაპირველად გამოკვლეული იყო კასპიის ზღვის მხოლოდ სამხრეთი სანაპირო და მას თვლიდნენ ოკეანის ნაწილად. როდესაც დაიწყო ზღვის ჩრდილოეთის ნაწილის გამოკვლევა, გადაწყვიტეს, რომ აქ ოკეანე შეჭრილია ხმელეთში (Baker & Leonard 1931, 26). ექსპედიციები აღწევდა აღმოსავლეთით ამუდარიამდე, ხოლო დასავლეთის მიმართულებით ალბანეთამდე. ძნელად წარმოსადგენია, რატომ თვლიდნენ ანტიკურ ეპოქაში კასპიის ზღვას ოკეანის ნაწილად. ალექსანდრე მაკედონელის, სირიელი მეფეების, პართელებისა და რომაელების ექსპედიციებმა ეს აზრი ვერ შეცვალეს. მცდარმა აზრმა ჰირკანის ზღვის შესახებ და სელევკიდების ექსპედიციების არასწორმა დასკვნებმა, ჰეროდოტესეული წარმოდგენა კასპიის ზღვაზე შეცვალეს, თუმცა ახ. წ. II საუკუნეში პტოლემეს გეოგრაფიაში უარყოფილია აზრი, რომ კასპიის ზღვა ოკეანის ნაწილია და ის აღწერილია, როგორც ტბა. ძვ. წ. III–II საუკუნეებში კასპიის ზღვის სამხრეთი სანაპირო შედის მაკედონელის იმპერიის დაშლის შემდეგ წარმოქმნილ სელევკიდების ელინურ სამეფოში. შემდეგი საუკუნეების განმავლობაში კასპიის ზღვა შედიოდა აღორძინებული სპარსეთის შემადგენლობაში. ახ. წ. VII საუკუნიდან, არაბების დამპყრობლური ომების შედეგად, კასპიის რეგიონი სახალიფოს შემადგენლობაში გადავიდა. XI საუკუნიდან კასპიის რეგიონში მცხოვრები ხალხები ჯერ თურქ-სელჯუკებმა, შემდეგ ჩინგიზ ყანმა, თემურ ლენგმა და საბოლოოდ თურქმანებმა დაიპყრეს. 1501 წლიდან კასპიის ზღვა მოექცა სეფიანთა დინასტიის მმართველობის სფეროში.

პეტრე I-მა 1721 წ. წარმატებით დაასრულა ომი შვედეთთან და სპარსეთში შექმნილი ვითარება რუსეთის მიერ კასპიისპირეთის რეგიონების ოკუპაციისთვის გამოიყენა. პეტრე I-ს განსაზღვრული ჰქონდა ვოლგა-კასპიის სამდინარო მაგისტრალზე მდებარე ტერიტორიისა და კასპიისპირეთის უმთავრესი მეაბრეშუმეობის რეგიონების ხელში ჩაგდება (კაციტაძე 2009, 479). პეტრე I-ის სპარსული ლაშქრობების (1722–1723) და XIX საუკუნეში (1804–1813 და 1826–1828) წარმოებული რუსეთ-სპარსეთის ომების შედეგად გაფორმებული პეტერბურგის (1723), რაშთის (1729), გოლესთანის (1813) და თურქმენჩაის

(1828) ტრაქტატები/ხელშეკრულებები შეიძლება ჩაითვალოს კასპიის ზღვის პოლიტიკურ-იურიდიული სტატუსის ჩამოყალიბების დასაწყისად (ლაცაბიძე 2023, 28).

წარმატებულად ჩატარებული ომების შედეგად გაფორმებული ტრაქტატების საფუძველზე, რუსეთმა მოიპოვა კასპიის ზღვაზე სამხედრო ფლოტის ფლობის ექსკლუზიური უფლება. სპარსეთს ეძლეოდა მხოლოდ სავაჭრო გემების გამოყენების უფლება. ეს კი ნიშნავდა კასპიის ზღვის რუსეთის იურისდიქციისადმი სრულ დაქვემდებარებას და კასპიის ზღვას აქცევდა ფაქტიურად რუსეთის შიდა წყალსაცავად. აღნიშნული მდგომარეობა გაგრძელდა მთელი XIX საუკუნის განმავლობაში. აღსანიშნავია, რომ სპარსეთი XIX საუკუნიდან ექცევა ორი იმპერიის, რუსეთისა და დიდი ბრიტანეთის გავლენის ქვეშ. სიტუაცია იცვლება პირველი მსოფლიო ომის დასრულების შემდეგ. 1917 წლის რუსეთის ოქტომბრის რევოლუციისა და საბჭოთა კავშირის შექმნის შემდეგ, კასპიის ზღვა ექცევა საბჭოთა კავშირსა და სპარსეთს/ირანს შორის, სადაც დომინირებს საბჭოთა გავლენა. საბჭოთა პერიოდში კასპიის ზღვა წარმოადგენდა საბჭოთა კავშირის შიდა წყალსაცავს, რომელსაც სამხრეთიდან ესაზღვრებოდა ირანი. საბჭოთა კავშირისა და ირანის მიერ დადგენილი სტატუსი თვლიდა კასპიის ზღვას შიდა კონტინენტურ წყალსაცავად (ლაცაბიძე 2020, 1-2).

საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ, სიტუაცია რადიკალურად იცვლება და დღეს კასპიის ზღვა წარმოადგენს რეგიონს, რომელიც მდებარეობს ხუთ სახელმწიფოს შორის. იწყება ახალი ეტაპი ზღვაზე და რეგიონში გავლენების დამკვიდრების. კასპიის ზღვის აუზი, რეგიონალური და გლობალური მოთამაშეების განსაკუთრებული ყურადღების ქვეშ ექცევა. იქმნება ახალი ქვეყნები, აქტუალური ხდება ზღვის გაყოფის საკითხი. აღნიშნული მიმართულებით კონსენსუსის მისაღწევად აუცილებელია ზღვის სამართლებრივი სტატუსის დადგენა, რაც თავის მხრივ ყველაზე რთულად მისაღწევ საკითხს წარმოადგენს, რომელიც ათწლეულების მანძილზე გრძელდება. (ლაცაბიძე 2023, 29). სამართლებრივად განსაკუთრებულ სირთულეს წარმოადგენდა განსაზღვრა, თუ რას მიეკუთვნება კასპიის ზღვა – ზღვას თუ ტბას, რაც საერთაშორისო სამართლის მიხედვით, წარმოადგენს სხვადასხვა რეგულაციის საგანს (ლაცაბიძე 2020, 2).

გამოყენებული ლიტერატურა

- კაციტაძე, დ. ირანის ისტორია III-XVIII საუკუნეები. თბილისი: კავკასიისა და აღმოსავლეთის კვლევის ცენტრი, გამომცემლობა ჰოროსი XXI, 2009;
- ლაცაბიძე, ა. „კასპიის ზღვის რეგიონის ახალი გეოპოლიტიკური რეალობები.“ თავისუფალი უნივერსიტეტის აზიური კვლევების ჟურნალი # 2, (2020): 1-6;
- ლაცაბიძე, ა. 2023. კასპიის ზღვის სამართლებრივი სტატუსი და მისი გავლენა ძალთა ბალანსზე რეგიონში. სადოქტორო დისერტაცია, თბილისის თავისუფალი უნივერსიტეტი.
- Caspian Environmental Information Centre Portaal. <https://tehranconvention.org/en/tc> (accessed: 05/09/2022);
- Owen, L. „Caspian Sea.“ Encyclopaedia Britannica <https://www.britannica.com/place/Caspian-Sea> (accessed:06/12/2019);
- Planhol, X., D. CASPIAN SEA i. GEOGRAPHY. Encyclopædia Iranica, V/1, pp. 48-50; available online at <http://www.iranicaonline.org/articles/caspian-sea-i> (accessed: 14/03/2018);
- UN environment programme. The Tehran Convention, <https://www.unenvironment.org/explore-topics/oceans-seas/what-we-do/working-regional-seas/regional-seas-programmes/caspian-sea> (accessed: 11/08/2020)

- Baker, J., N., Leonard. A history of geographical discovery and exploration. Londin: Harrap, 1931.
- Априан. Анабасис (поход) Александра, VII. 16, 1912;
- Латышев, В. Известия древних писателей греческих и латинских о Скифии и Кавказе. Рипол
Классик, 2013;
- Утченко С. Всемирная история, т. II. М. 1956;
- Лурье И., М. Полтавский. Всемирная история, т. I, М. 1956;
- Родда, Д. К. Грани гидрологии. Ленинград: Гидрометеиздат, 1987.

ONGOING PROCESSES IN THE CASPIAN SEA REGION, FROM ANCIENT TIMES TO THE PRESENT DAYS

The trade routes between East and West have passed through the Caspian Sea region since ancient times. Russia is located northwest of the Caspian Sea, Azerbaijan in the southwest, Iran in the south, Turkmenistan in the southeast, and Kazakhstan in the northeast. Due to its strategic importance, the region is an area of interest for regional and global players. Their interests do not coincide therefore the region is a place of rivalry. One of the most important issues is determining whether the Caspian Sea is a sea or a lake. Even in ancient times, there was talk about the possible connection of the Caspian Sea with the ocean. Accordingly, the attempt to determine the Caspian Sea's status and bring it under its sphere of influence has been going on since ancient times. The issue of the Caspian Sea became increasingly important after the collapse of the Soviet Union. During the existence of the Soviet Union, the sea was divided between two states, the Soviet Union and Iran, where Soviet influence dominated. After the collapse of the Soviet Union, a new reality was created, new players emerged, both regional and global.

Keywords: Caspian Sea, trade routes, region, Caspian Sea status.

„რბილი ძალის“ თავისებურებანი თურქული სერიალების მაგალითზე

რეზიუმე

თურქული „რბილი ძალა“ სერიალების სახით საქართველოში 2010 წლიდან გაჩნდა. პოპულარული ქართული არხები ერთმანეთს ეჯიბრებიან როგორც ამ სერიალების შეძენის, ისე ტრანსლირების, ასევე მათში მონაწილე თურქი მსახიობების ინტერვიუების გაშვების კუთხით. ზოგიერთ შემთხვევებში თურქულ სერიალებს პირდაპირი გავლენა გააჩნია საქართველოს საზოგადოებაზე. მაგალითად, 2018 წელს საქართველოში დაბადებულ 159 ბავშვს დაარქვეს თურქული სერიალების გმირთა სახელები: მათგან 32-ს — ონური, 65-ს — დამლა, 35-ს — ზეჰრა და 27-ს — ელიფი.

თუ 2009-2010 წლებში საქართველოს მოსახლეობის მხოლოდ 19% ამართლებდა ქართველი ქალების ქორწინებას თურქებზე, 2010 წლის (ანუ თურქული სერიალების ქართულ ტელევიზორებში გამოჩენის) შემდეგ ამ მონაცემმა ნელ-ნელა ზრდა დაიწყო და 2017 წელს ამას უკვე მოსახლეობის 31% ამართლებდა.

მსგავსი ტენდენცია შეიმჩნევა სხვა მაჩვენებლებშიც. მაგალითად კითხვაზე, „რომელი ქვეყანა მიგაჩნიათ საქართველოს მთავარ მეგობრად?“, 2013 წელს გამოკითხულთა მხოლოდ 3%-მა დაასახელა ასეთად თურქეთი. მაგრამ 2017 წელს ეს მაჩვენებელი გაორმაგდა და უკვე 6% შეადგინა.

დასკვნები:

- თურქულმა „რბილმა ძალამ“ (მათ შორის სერიალებმა) უკეთესობისკენ შეცვალა თურქეთის სახელმწიფოსა და თურქული კულტურის იმიჯი მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში და, მათ შორის, საქართველოშიც;
- თურქული სერიალების გავლენა მაღალია თურქეთის სამეზობლოში, მათ შორის, საქართველოშიც და ეს გავლენა უახლოეს მომავალშიც შენარჩუნდება;
- მაღალი მოთხოვნიდან გამომდინარე, თურქულ სერიალებს ქართულ ტელევიზორებში მომავალშიც ექნება საკუთარი ადგილი;
- თურქული „რბილი ძალის“ (მათ შორის სერიალების) გავლენა განსაკუთრებით მაღალია აზერბაიჯანული წარმოშობის საქართველოს მოქალაქეებზე, რაც, სავარაუდოდ, დიდხანს შენარჩუნდება.

საკვანძო სიტყვები: „რბილი ძალა“, თურქული, საქართველო

ბოლო პერიოდში საერთაშორისო არენაზე მნიშვნელოვანი გახდა „რბილი ძალის“ (Soft Power) ფენომენი, რამდენადაც მისი გამოყენება შესაძლებელია საშინაო და საგარეო პოლიტიკური მიზნების მისაღწევად. ამ ეტაპზე „რბილი ძალას“ უკვე აკადემიურად უდგებიან და იკვლევენ. საინტერესოა, რომ უკანასკნელი 10 წლის განმავლობაში ყოველწლიურად ხდება ქვეყნების „რბილი ძალის“ ინდექსის დაანგარიშება.¹

¹ Jonathan McClory, The New Persuaders: An International Ranking of Soft Power, www.web.archive.org/web/20110724053803/www.instituteforgovernment.org.uk/publications_download.php?id=20

ამ თვალსაზრისით, საინტერესოა თურქული სერიალები, რაც თურქული „რბილი ძალის“ შემადგენელი ნაწილია და რასაც მნიშვნელოვანი წვლილი შეაქვს სხვადასხვა ქვეყანაში (მათ შორის, საქართველოშიც) თურქეთის იმიჯის გაუმჯობესების საქმეში.

თურქული „რბილი ძალა“ მრავალფეროვანია და მისი შესწავლა სამეცნიერო წრეებში აქტიურად მიმდინარეობს. როგორც სხვა ქვეყნებში, თურქეთშიც „რბილი ძალა“ ყოველდღიური ცხოვრების სხვადასხვა სფეროს მოიცავს. თუმცა, სხვა ქვეყნებისგან განსხვავებით, თავისი სპეციფიკაც აქვს. მაგალითად, თურქული „რბილი ძალის“ ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ნაწილია თურქული სერიალები, რაც სხვა ქვეყნების „რბილი ძალის“ ინდექსის დაანგარიშებისას ნაკლებად აქტუალურია.

თურქული სერიალები პოპულარულია თურქეთსა და მის საზღვრებს გარეთ, განსაკუთრებით, არაბულ სამყაროსა და ბალკანეთში (ანუ ძირითადად ოსმალეთის იმპერიის ყოფილ ტერიტორიებზე). ბოლო პერიოდში სერიალების საშუალებით ამ ქვეყნებში საგრძნობლად გაუმჯობესდა თურქეთის იმიჯი. ამასთან, აღსანიშნავია, რომ ბევრი თურქული სერიალი და მსახიობი უცხოეთში უფრო პოპულარულია, ვიდრე საკუთარ სამშობლოში.

თურქული სერიალების საშუალებით ხდება როგორც თურქეთის იმიჯის „გამოსწორება“, ისე თურქეთში ტურისტთა რაოდენობის გაზრდა. მაყურებლებს სურვილი აქვთ საკუთარი თვალთა ნახონ სერიალებში მოხვედრილი ადგილები. ამ სექტორში მომუშავე კომპანია Global Agency-ს დამფუძნებელმა იზეთ პინტომ განაცხადა, რომ 2009 წლიდან 2014 წლამდე პერიოდში თურქეთში 4 350%-ით გაიზარდა ახლო აღმოსავლეთიდან ტურისტების რაოდენობა და მისი შეფასებით, ამ საქმეში ყველაზე დიდი წვლილი სწორედ თურქულ სერიალებს მიუძღვის.² ამასთან, სწორედ თურქული სერიალების წყალობით დამატებითი თანხები შედის თურქეთის ეკონომიკაში და, განსაკუთრებით კი, მის სატელევიზიო ინდუსტრიაში. თუ 2007 წელს თურქული სერიალების ექსპორტისაგან შემოსავალი მხოლოდ 1 მლნ აშშ დოლარი იყო, 2018 წელს ეს მაჩვენებელი 500 მლნ აშშ დოლარამდე გაიზარდა.³ იმავე 2018 წელს თურქულ სერიალებს უყურა 700 მილიონმა ადამიანმა მსოფლიოს 146 ქვეყანაში.⁴ თუ გავითვალისწინებთ იმ ფაქტს, რომ მსოფლიოში 1,67 მლრდ სახლშია ტელევიზორი,⁵ 700 მლნ სერიოზული რიცხვია.

თურქულმა Think-Tank-მა Turkish Economic and Social Studies Foundation (TESEV) 2012 წელს ახლო აღმოსავლეთის 16 ქვეყანაში ჩაატარა საზოგადოებრივი აზრის კვლევა. შედეგებმა აჩვენა, რომ მოსახლეობის ¾-ს ნანახი ჰქონდა თურქული სერიალები. საგულისხმო ფაქტია, რომ იმავე კვლევის მიხედვით, ამ ქვეყნებში ისევ ¾-ის (ქვეყნების მიხედვით მერყეობს 70-78 %-ს შორის) ფარგლებში იყო თურქეთის მიმართ დადებითი განწყობის მაჩვენებელი.⁶ ანუ აშკარად იკვეთება კავშირი თურქული სერიალების ყურებასა და თურქეთის მიმართ დადებითი განწყობის შექმნას შორის. თურქულ სერიალებს ინტენსიურად უყურებენ როგორც თურქულენოვან სამყაროში (აზერბაიჯანი, ყაზახეთი, უზბეკეთი, ყირგიზეთი და ა.შ.), ისე ბალკანეთის ქვეყნებში.

საინტერესო ფაქტია, რომ თურქული სერიალები პოპულარულია ბალკანეთის როგორც მუსლიმურ, ისე ქრისტიანულ ქვეყნებში. საბერძნეთში სასულიერო პირებიც კი გამოვიდნენ თურქული სერიალების ტელევიზიით ჩვენების წინააღმდეგ.⁷ ამ მხრივ ყველაზე საინტერესო ვითარება შეიქმნა მაკედონიაში, სადაც სატელევიზიო სივრცე თითქმის მთლიანად თურქულმა სერიალებმა დაიკავა. მაკედონიის ხელისუფლება იძულებული გახდა სპეციალური კანონიც კი მიეღო, რითაც აიკრძალა დღისით და

2 Nehir Ağırseven, Armağan Örkü, Evaluating Turkish TV Series as Soft Power Instruments, www.researchgate.net/publication/322130468_Evaluating_Turkish_TV_Series_as_Soft_Power_Instruments

3 Türk Dizilerinin Yurt Dışı Reytingi Hizmet ve Mal İhracatını Artırdı, www.hurriyet.com.tr/ekonomi/turk-dizilerinin-yurt-disi-reytingi-hizmet-ve-malihracatini-artirdi-41370181

4 Türk Dizilerinin Yurt Dışı Reytingi Hizmet ve Mal İhracatını Artırdı, www.hurriyet.com.tr/ekonomi/turk-dizilerinin-yurt-disi-reytingi-hizmet-ve-malihracatini-artirdi-41370181

5 Number of TV Households Worldwide from 2010 to 2018 (in billions), www.statista.com/statistics/268695/number-of-tv-households-worldwide

6 Mensur Akgün, Sabiha Senyücel Gündoğar, Ortadoğu'da Türkiye Algısı 2013, www.tesev.org.tr/wp-content/uploads/rapor_Ortadoguda_Turkiye_Algisi_2013.pdf

7 Hürrem Sultan Makedonya'da yasaklandı!, www.carmencafe.blogcu.com/hurrem-sultan-makedonya-da-yasaklandi/13190347

„Prime Time“-ში თურქული სერიალების ჩვენება, რათა შევზღუდათ თურქული „რბილი ძალის“ გავლენა მაკედონიურ საზოგადოებაზე. როგორც მაკედონიის ინფორმაციისა და საზოგადოებრივ საკითხთა მინისტრმა ივა ივანოვსკიმ განაცხადა, „ისინი (სერიალები, ზ.ბ.) მომხიბვლელია, მაგრამ ხუთას წლიანი მონობაც საკმარისია“.⁸ აქ მან მონობაში მაკედონიაში ხანგრძლივი ოსმალური მმართველობა იგულისხმა.

ბოლო პერიოდში, თურქეთთან გაუარესებული პოლიტიკური ურთიერთობების ფონზე, ახლო აღმოსავლეთის ქვეყნებშიც ცდილობენ თურქული სერიალების შეზღუდვას. მაგალითად, 2020 წლის 10 თებერვალს ეგვიპტის ოფიციალურმა რელიგიურმა საბჭომ გამოსცა ფეტვა, რომელშიც ადგილობრივ მორწმუნეებს მოუწოდებენ, არ უყურონ თურქულ სერიალებს, რადგან მათი შეფასებით, აღნიშნული პროდუქციის ტირაჟირება „ემსახურება ოსმალეთის იმპერიის აღდგენის საქმეს... ამისთვის მთელი ძალით იყენებენ პოლიტიკას, სარწმუნოებას, ასევე კულტურასა და ხელოვნებასაც კი“.⁹

სერბი სოციოლოგების შეფასებით, ბალკანეთის ქვეყნებში თურქული სერიალების პოპულარობის მიზეზი იმაში მდგომარეობს, რომ ის ეფუძნება ტრადიციულ, პატრიარქალურ ფასეულობებს და არსებობს მსგავსება თურქულ და ბალკანურ კულტურებს შორის. ისევ მათი შეფასებით, ბალკანეთის ქვეყნებში მოხდა დრამატული ცვლილებები ოჯახთა ცხოვრების სტილში, ხოლო თურქულ სერიალებში ხდება დაკარგული და მივიწყებას მიცემული ფასეულობების გაცოცხლება. მსგავსი სიტუაციაა საბერძნეთშიც.

როდესაც ბერძნებს ეკითხებიან თურქული სერიალების პოპულარობის მიზეზს, ისინი პასუხობენ, რომ თურქებსა და ბერძნებს აქვთ მსგავსი ოჯახური სტრუქტურა, კულტურა, ურთიერთობები ადამიანებს შორის და ემოციური დამოკიდებულება.¹⁰

რამდენად ძლიერია თურქული „რბილი ძალა“? მსოფლიო მასშტაბით უკვე 10 წელია ზომავენ სხვადასხვა ქვეყნის „რბილ ძალას“. როდესაც 2010 წელს პირველად დაითვალეს ამის მიხედვით ქვეყნების ინდექსი, თურქეთი 25-ე ადგილზე გავიდა (ერთი პუნქტით გადაასწრო რუსეთს).¹¹ მართალია, ბოლო მონაცემებით, თურქეთს მსოფლიო „რბილ ძალათა“ ცხრილში 29-ე ადგილი უკავია, მაგრამ ამ კუთხით მისი გავლენა მთელ რიგ ქვეყნებში, რომელთაზეც მას გეოგრაფიული სიახლოვე, ენობრივი, კულტურული, რელიგიური და ისტორიული კავშირები აქვს, გაცილებით მაღალია. ამასთან, თურქეთი ზოგიერთ ქვეყანაში საგრძნობ გავლენას ახდენს კონკრეტულ თემებზე. მართალია, საქართველოში თურქულ სერიალებთან დაკავშირებით დიდი სოციოლოგიური კვლევა არ ჩატარებულა, მაგრამ ფაქტია, რომ ისინი ქვეყანაში ძალიან პოპულარულია. ამას ადასტურებს თუნდაც ის ფაქტი, რომ მეტნაკლებად პოპულარული ქართული არხები ერთმანეთს ეჯიბრებიან როგორც ამ სერიალების შეძენა-ტრანსლაციაში, ისე მათში მოთამაშე თურქი მსახიობებისთვის ინტერვიუების ჩამორთმევაში.

ტელეკომპანია „იმედმა“ 2013 წლის 25 აგვისტოს გადმოსცა ინფორმაცია, რომ 2 ათასზე მეტი რესპონდენტის მონაწილეობით ჩატარა საზოგადოებრივი აზრის კვლევა. კითხვაზე, თუ რომელი ქვეყნის სერიალებია უფრო მიმზიდველი საზოგადოებისთვის, გამოკითხულთა უმრავლესობამ თურქული და ქართული სერიალები დაასახელა.¹²

მსგავს შედეგებს ვხედავთ 2013 წლის ივნისში საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიისთვის მომზადებულ ანგარიშში, სადაც ვკითხულობთ: „რესპონდენტები ინტერესით უყურებენ

8 Makedonya'dan Türk dizilerine tepki: 500 yıl esaret altında kaldığımız yeter!, www.t24.com.tr/haber/makedonyadan-turk-dizilerine-tepki-500-yil-esaret-altindakaldigimiz-yeter,217313

9 Mısır'dan 'Türk dizilerini izlemeyin' fetvası, www.ahvalnews-com.cdn.ampproject.org/c/s/ahvalnews.com/tr/misir/misirdan-turk-dizilerini-izlemeyin-fetvasi-erdoganinhayallerine-hizmet-ediyor?amp

10 Stelyo Berberakis, Yunan televizyonunda ilk kez yayınlanan Türk dizisi olan "Yabancı Damat" reyting rekoru kırıyor, www.sabah.com.tr/yazarlar/pazar/berberakis/2005/07/17/turk_dizileri

11 Terry Flew, Entertainment media, cultural power, and post-globalization: The case of China's international media expansion and the discourse of soft power, www.journals.sagepub.com/doi/pdf/10.1177/2059436416662037

12 GNCC-ის დაკვეთით ჩატარებული კვლევის შედეგები: მაყურებელი პრიორიტეტს საინფორმაციო გადაცემებს ანიჭებს, www.media.ge/ge/portal/news/301239/

ქართულ და თურქულ სერიალებს. ისინი ამბობენ, რომ ქართული და თურქული სერიალების შინაარსი უფრო „რეალური“ და ნაცნობია, ვიდრე სამხრეთამერიკული სერიალებისა.¹³

საკითხისადმი ქართველი მაყურებლების მიდგომა ზოგადად წააგავს ბალკანელების დამოკიდებულებას. ორივე შემთხვევაში აქცენტი კეთდება საერთო ფასეულობებსა და კულტურაზე. მაგალითად, ქართველმა რესპოდენტებმა კვლევისას განაცხადეს: „სავაში (ერთ-ერთი სერიალის პერსონაჟი) ძალიან მიყვარს. იდეალური მამაკაცია, მინდა, რომ ასეთები იყვნენ ჩემი ოჯახის წევრები და საერთოდ მამაკაცი“; „ოჯახური ტრადიციები, რამდენიმე თაობა ერთად რომ ცხოვრობს... ქალები ოთახში და მამაკაცი გარეთ. აკვანიც დავინახე. კიდევ ქალიშვილობის ინსტიტუტი, თუმცა ეს ტრადიცია ჩვენშიც იკლებს და, როგორც ჩანს, თურქეთშიც. კაცების ჰეგემონია ქალებთან შედარებით. თურქულ სერიალებშიც ერიდებიან გადამეტებულ სექსუალურ სცენებს და ჰომოსექსუალიზმის პროპაგანდას. მნიშვნელოვანია ნათესაური კავშირები.“¹⁴

ქართველები თურქული სერიალების თაობაზე მსჯელობენ სოციალურ ქსელებშიც: „ბევრი საინტერესო რამ გავიგეთ მათ ტრადიციებზე. მაგალითად, ოჯახური ტრადიციები, როცა რამდენიმე თაობა ერთად ცხოვრობს. გლოვაც მსგავსი გვაქვს — წივილ-კივილით და თავში ხელის ცემით. ქალიშვილობის ინსტიტუტი... იქაც აქვთ ტერმინი — რას იტყვის ხალხი?“¹⁵

უნდა აღინიშნოს, რომ თურქული სერიალების საქართველოში შემოსვლა მოხდა „რბილი ძალისთვის“ დამახასიათებელი კლასიკური მეთოდით — პროცესში ნებაყოფლობითი მონაწილეობით. 2013 წელს, როდესაც ქართულ ტელევიზორებში თურქული სერიალების შემოსვლა იწყებოდა, ჟურნალ „სარკისთვის“ მიცემულ ინტერვიუში „მაესტროს“ ერთ-ერთმა დამფუძნებელმა და გენერალურმა დირექტორმა ბაჩო კიკაბიძემ განაცხადა, რომ თურქული სერიალები მთელ მსოფლიოში ყველაზე რეიტინგულია და თუ ქართულ არხებზე აქამდე არ გადიოდა, ეს ტელეკომპანიების მფლობელთა უვიცობის ბრალი იყო. მისი სიტყვებით: „თურქები ნამდვილად არ მოსულან და არ შემოუთავაზებიათ ჩვენთვის. ჩვენ მივედით მათთან. არც იაფად მოუციათ. ნამდვილად ბევრი ფული გადავიხადეთ. ასე რომ, თურქები არაფერ შუაში არიან, ეს ყველაფერი ჩვენი მარკეტინგული გათვლაა“.¹⁶

ზოგიერთ შემთხვევაში, თურქული სერიალები პირდაპირ და მკაფიო გავლენას ახდენენ საქართველოს საზოგადოებაზე. ამასთან, აუცილებლად უნდა აღინიშნოს, რომ ეს გავლენები სხვადასხვა კუთხესა და თემში სხვადასხვა დოზითაა წარმოდგენილი.

მაგალითად, 2018 წელს საქართველოში დაბადებულ 159 ბავშვს დაარქვეს თურქული სერიალების გმირთა სახელები: მათგან 32-ს — ონური, 65-ს — დამლა, 35-ს — ზეჰრა და 27-ს — ელიფი.¹⁷ მართალია, ამ 159 ბავშვიდან 112 ქვემო ქართლზე მოდის,¹⁸ სადაც აზერბაიჯანული წარმოშობის საქართველოს მოქალაქეებში ძალზე პოპულარულია თურქული არხები, მაგრამ აუცილებლად უნდა აღინიშნოს თავად ფაქტი, რომ თურქულ სერიალებს ამხელა გავლენა აქვს.

ასევე საინტერესო ფაქტია, რომ, ჩვენი დაკვირვებით, იმავე მოსახლეობაში, თურქული არხებისა და სერიალების გავლენით, ნელ-ნელა მკვიდრდება თურქული სიტყვები და ფრაზები, რომლებიც ანაცვლებს აზერბაიჯანულ ანალოგებს. საინტერესოა, როგორი იყო თურქეთისა და თურქების მიმართ საქართველოს საზოგადოების დამოკიდებულება და როგორ იცვლებოდა იგი წლების მიხედვით. ამის

13 GNCC-ის დაკვეთით ჩატარებული კვლევის შედეგები: მაყურებელი პრიორიტეტს საინფორმაციო გადაცემებს ანიჭებს, www.media.ge/ge/portal/news/301239/

14 ტელერადიომანუცებლობების პრიორიტეტების კვლევა, თვისობრივი კვლევის ანგარიში, ივნისი, 2013, www.gncc.ge/files/7070_114627_375115_TV-Radio%20communication_FGD%20Report_June_612-22,%2007.10.2013_Ge.pdf

15 „ახალი ტიპის სერიალები – თურქული ექსპანსია საქართველოში“, www.tia.ge/80901-axali-tipis-serialebi-turquli-eqspansia-saqartveloshi.html

16 „ახალი ტიპის სერიალები – თურქული ექსპანსია საქართველოში“, www.tia.ge/80901-axali-tipis-serialebi-turquli-eqspansia-saqartveloshi.html

17 „რომელი თურქული სერიალების გმირების სახელებს არქმევენ ქართველი მშობლები შვილებს“, www.sabavshvo.info/http-sabavshvo-info-wp-admin-post-newphp-426/

18 „მანიპულაცია, თითქმის საქართველოში სერიალების გავლენით ბავშვებს თურქულ სახელებს არქმევენ“, www.mythdetector.ge/ka/myth/manipulatsiatikos-sakartveloshi-serialebis-gavlenit-bavshvebs-turkul-sakhelebs-arkmeven

სარკვევებლად ჩვენ გამოვიყენებთ კავკასიის კვლევითი რესურსების ცენტრის (CRRC) მიერ ჩატარებულ ე.წ. „კავკასიის ბარომეტრის“ მონაცემებს.

თუ 2009-2010 წლებში საქართველოს მოსახლეობის მხოლოდ 19% ამართლებდა ქართველი ქალების ქორწინებას თურქებზე, 2010 წლის (ანუ თურქული სერიალების ქართულ ტელესივრცეში გამოჩენის) შემდეგ ამ მონაცემმა ნელ-ნელა ზრდა დაიწყო და 2017 წელს ამას უკვე მოსახლეობის 31% ამართლებდა.¹⁹ მსგავსი ტენდენცია შეიმჩნევა სხვა მაჩვენებლებშიც. მაგალითად კითხვაზე, „რომელი ქვეყანა მიგაჩნიათ საქართველოს მთავარ მეგობრად?“, 2013 წელს გამოკითხულთა მხოლოდ 3%-მა დაასახელა ასეთად თურქეთი. მაგრამ 2017 წელს ეს მაჩვენებელი გაორმაგდა და უკვე 6% შეადგინა.²⁰

ამავე პერიოდში საქართველოში გაიზარდა თურქული ენის მცოდნეთა რაოდენობა. მაგალითად, თუ 2017 წელს (უფრო ადრე ენის ცოდნის შესახებ გამოკითხვა არ ჩატარებულა) გამოკითხულთა 15% აცხადებდა, რომ ამა თუ იმ დონეზე ფლობდა თურქულ ენას,²¹ 2019 წელს ეს მაჩვენებელი 17%-მდე გაიზარდა.²²

ჩვენ არ ვამტკიცებთ, რომ ზემოხსენებული ტენდენციები მთლიანად ქართულ ტელესივრცეში თურქული სერიალების შემოსვლამ გამოიწვია და არც იმის შესაძლებლობა გვაქვს, რომ ამ საქმეში სერიალების წვლილის პროცენტულობა დაგვედგინა, მაგრამ ერთი რამ ცხადია — ეს ტენდენციები საქართველოში 2010 წლის (ანუ თურქული სერიალების შემოსვლის) შემდეგ შეინიშნება. ამასთან, მნიშვნელოვანია საერთაშორისო გამოცდილებაც, სადაც ბევრი ქვეყნის მაგალითებიც გვიჩვენებს კორელაციას იმ ადამიანთა რაოდენობას შორის, რომლებიც უყურებენ თურქულ სერიალებს და რომლებიც დადებითად არიან განწყობილი თურქეთის მიმართ.

დასკვნები:

- თურქული სერიალები თურქული „რბილი ძალის“ მნიშვნელოვანი შემადგენელი ნაწილია;
- ნებისმიერი ქვეყნის „რბილი ძალის“ პირდაპირი მართვა ძნელია როგორც იმ ქვეყნისთვის, რომელსაც ის წარმოადგენს, ისე გარე ძალებისთვის;
- თურქულმა „რბილმა ძალამ“ (მათ შორის სერიალებმა) უკეთესობისკენ შეცვალა თურქეთის სახელმწიფოსა და თურქული კულტურის იმიჯი მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში და, მათ შორის, საქართველოშიც;
- თურქული სერიალების გავლენა მაღალია თურქეთის სამეზობლოში, მათ შორის, საქართველოშიც და ეს გავლენა უახლოეს მომავალშიც შენარჩუნდება;
- მაღალი მოთხოვნიდან გამომდინარე, თურქულ სერიალებს ქართულ ტელესივრცეში მომავალშიც ექნება საკუთარი ადგილი;
- თურქული „რბილი ძალის“ (მათ შორის სერიალების) გავლენა განსაკუთრებით მაღალია აზერბაიჯანული წარმოშობის საქართველოს მოქალაქეებზე, რაც, სავარაუდოდ, დიდხანს შენარჩუნდება;
- მნიშვნელოვანია, რომ თურქული „რბილი ძალის“ საკითხი კონკრეტულმა ჯგუფებმა არ განიხილონ პოლიტიკურად მოტივირებული ანტიდასავლური (და ანთითურქული) კამპანიის ან კამპანიების ფარგლებში.

19 Approval of women marrying Turks, www.caucasusbarometer.org/ge/cb-ge/MARWTUR/?fbclid=IwAR3ut-VbbZZCji5JOmJ--jh-ug1wC7I9O7mPTnj0TFMdDoJ2I7DUvLARY

20 Main friend of the country, www.caucasusbarometer.org/ge/cb-ge/MAINFRN/?fbclid=IwAR36d0I-QM7mmBV2G4AQZM6hoL9048aLhD4SZ5FWIErzlz3QPXaZwx4CuxE

21 “თურქული ენის ცოდნა”, www.caucasusbarometer.org/ge/na2017ge/KNOWTUR/

22 “თურქული ენის ცოდნა”, www.caucasusbarometer.org/ge/na2019ge/KNOWTUR/?fbclid=IwAR19jbNkyhcM-zCF0TUNdKnqgaHaC-f_6kpjXhFoRgvinaiFr1_m94IHHeo

გამოყენებული ლიტერატურა

- „ახალი ტიპის სერიალები – თურქული ექსპანსია საქართველოში“,
www.tia.ge/80901-axali-tipis-serialebi-turquli-eqspansia-saqartveloshi.html
- „თურქული ენის ცოდნა“,
www.caucasusbarometer.org/ge/na2017ge/KNOWTUR/
- „თურქული ენის ცოდნა“,
www.caucasusbarometer.org/ge/na2019ge/KNOWTUR/?fbclid=IwAR19jbNkyhcM-zCF0TUNdknqgaHaC-f_6kpjXhFoRgivnaiFr1_m94IHHeo
- „მანიპულაცია, თითქოს საქართველოში სერიალების გავლენით ბავშვებს თურქულ სახელებს არქმევენ“,
www.mythdetector.ge/ka/myth/manipulatsiatitikos-sakartveloshi-serialebis-gavlenit-bavshvebs-turkul-sakhelebs-arkmeven
- „რომელი თურქული სერიალების გმირების სახელებს არქმევენ ქართველი მშობლები შვილებს“,
www.sabavshvo.info/http-sabavshvo-info-wp-admin-post-newphp-426/
- ტელერადიო მაუწყებლობების პრიორიტეტების კვლევა, თვისობრივი კვლევის ანგარიში, ივნისი, 2013,
www.gncc.ge/files/7070_114627_375115_TV-Radio%20communication_FGD%20Report_June_612-22,%2007.10.2013_Ge.pdf
- GNCC-ის დაკვეთით ჩატარებული კვლევის შედეგები: მაყურებელი პრიორიტეტს საინფორმაციო გადაცემებს ანიჭებს,
www.media.ge/ge/portal/news/301239/
- Nehir Ağırseven, Armağan Örki, Evaluating Turkish TV Series as Soft Power Instruments,
www.researchgate.net/publication/322130468_Evaluating_Turkish_TV_Series_as_Soft_Power_Instruments
- Mensur Akgün, Sabiha Senyücel Gündoğar, Ortadoğu’da Türkiye Algısı 2013,
www.tesev.org.tr/wp-content/uploads/rapor_Ortadoguda_Turkiye_Algisi_2013.pdf
- Hürrem Sultan Makedonya’da yasaklandı!,
www.carmencafe.blogcu.com/hurrem-sultan-makedonya-da-yasaklandi/13190347
- Makedonya’dan Türk dizilerine tepki: 500 yıl esaret altında kaldığımız yeter!.,
www.t24.com.tr/haber/makedonyadan-turk-dizilerine-tepki-500-yil-esaret-altindakaldigimiz-yeter,217313
- Mısır’dan ‘Türk dizilerini izlemeyin’ fetvası,
www.ahvalnews-com.cdn.ampproject.org/c/s/ahvalnews.com/tr/misir/misirdan-turk-dizilerini-izlemeyin-fetvasi-erdoganinhayallerine-hizmet-ediyor?amp
- Türk Dizilerinin Yurt Dışı Reytingi Hizmet ve Mal İhracatını Artırdı,
www.hurriyet.com.tr/ekonomi/turk-dizilerinin-yurt-disi-reytingi-hizmet-ve-malihracatini-artirdi-41370181
- Stelyo Berberakis, Yunan televizyonunda ilk kez yayınlanan Türk dizisi olan “Yabancı Damat” reyting rekoru kırıyor,
www.sabah.com.tr/yazarlar/pazar/berberakis/2005/07/17/turk_dizileri
- Approval of women marrying Turks,
www.caucasusbarometer.org/ge/cb-ge/MARWTUR/?fbclid=IwAR3ut-VbbZZcji5lJOmJ--jh-ug1wC7I9O7mPTnj0TFMdDoJ2I7DUvLARY
- Terry Flew, Entertainment media, cultural power, and post-globalization: The case of China’s international media expansion and the discourse of soft power,
www.journals.sagepub.com/doi/pdf/10.1177/2059436416662037

Main friend of the country,

www.caucasusbarometer.org/ge/cb-ge/MAINFRN/?fbclid=IwAR36d0I-QM7mmBV2G4AQZM6hoL9048aLhD4SZ5FWIErzl3QPXaZwx4CuxE

Jonathan McClory, The New Persuaders: An International Ranking of Soft Power,

www.web.archive.org/web/20110724053803/www.instituteforgovernment.org.uk/publications_download.php?id=20

Number of TV Households Worldwide from 2010 to 2018 (in billions),

www.statista.com/statistics/268695/number-of-tv-households-worldwide

PECULIARITIES OF “SOFT POWER” IN THE EXAMPLE OF TURKISH SOAP OPERAS

Turkish “soft power” in terms of TV serials has emerged in Georgia since 2010. Popular Georgian channels are competing with each other, both in terms of the acquisition and the broadcasting of these soap operas, and interviewing Turkish actors starring in them.

In some cases, Turkish soap operas have a direct and clear impact on Georgian society. For example, 159 children born in Georgia in 2018 were named after the heroes of Turkish soap operas – 32 of them – Onur, 65 of them – Damla, 35 of them – Zahra and 27 of them – Elif.

If only 19% of the Georgian population approved of the marriage of Georgian women to Turks in 2009-2010, after 2010 (that is, after the appearance of Turkish soap operas on Georgian television), this figure began to grow slowly and reached 31% in 2017.

We can observe a similar tendency in terms of other indicators. For example, when asked: “Which country do you consider to be Georgia’s main friend?” only 3% of respondents in 2013 named Turkey. This figure doubled and reached 6% in 2017.

Conclusions:

- Turkish “soft power” (including TV serials) in many countries around the world, including Georgia, has changed the image of the Turkish state and Turkish culture for the better.
- The influence of Turkish soap operas is significant in Turkish neighborhoods, including Georgia, and this influence will be maintained in the near future.
- Due to the high demand for the aforementioned TV serials, Turkish soap operas will maintain their place in Georgian television in the future.
- The influence of Turkish “soft power” (including soap operas) is particularly high on Georgian citizens of Azerbaijani descent and this will be maintained for the long term.

Key words: “Soft Power”, Turkish, Georgia

თურქეთის რესპუბლიკის საგარეო პოლიტიკის პრიორიტეტები „თურქეთის საუკუნეში“

რეზიუმე

თურქეთის რესპუბლიკის დაფუძნებიდან 100 წლის თავზე პრეზიდენტმა რ. თ. ერდოღანმა წარმოადგინა ახალი კონცეფცია – „თურქეთის საუკუნე“, რომელიც უნდა გახდეს მომავალ ათწლეულებში თურქეთის განვითარების გზამკვლევი. იგი, სხვა მიმართულებების პარალელურად, შეიცავს ინფორმაციას ქვეყნის საგარეო პოლიტიკური მიზნებისა და მისწრაფებების შესახებ. დოკუმენტში ყურადღება გამახვილებულია თურქეთის საგარეო პოლიტიკური მიზნების მიღწევის მიზნით როგორც „რბილი“, ასევე „ხისტი“ ძალის გამოყენების შესაძლებლობაზე და ამ „ძალების“ ეფექტურობის გაზრდის მიზნით გადასადგმელ ნაბიჯებზე. პარალელურად, კონცეფცია შეიცავს გზავნილებს, კონკრეტული ქვეყნების, რეგიონების და საგარეო პოლიტიკური პროცესების მიმართ ოფიციალური ანკარის შესაძლო პოლიტიკის შესახებ.

წინამდებარე სტატიაში განხილულია „თურქეთის საუკუნის“ კონცეფცია და ყურადღება გამახვილებულია არსებულ ეტაპზე თურქეთის საგარეო პოლიტიკისთვის აქტუალურ საკითხებზე.

საკვანძო სიტყვები: „თურქეთის საუკუნე“, საგარეო პოლიტიკა, „თურქეთის ღერძი“.

თურქეთის რესპუბლიკის ხელისუფლებაში „სამართლიანობის და განვითარების პარტიის“ მოსვლის შემდეგ, ქვეყანაში დაიწყო ტრანსფორმაციული პროცესები, რომლებმაც საბოლოოდ გავლენა მოახდინეს თურქეთის რესპუბლიკის წყობაზე, შიდა პოლიტიკაზე, ასევე მის საგარეო პოლიტიკურ მიზნებსა და ამბიციებზე. თურქეთის ინტერესების გეოგრაფია გაფართოვდა და ტრადიციული რეგიონების გარდა მიაღწია სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიას, აფრიკას, ლათინურ ამერიკას.¹ ზემოაღნიშნულის პარალელურად, ქვეყანაში განვითარებულმა მოვლენებმა და განხორციელებულმა ცვლილებებმა გამოიწვია საზოგადოების პოლარიზაცია, რაც კიდევ უფრო გამწვავდა უკანასკნელ წლებში შექმნილი ეკონომიკური პრობლემების ფონზე.

2023 წლის საპრეზიდენტო და საპარლამენტო არჩევნების წინ თურქეთის პრეზიდენტმა საზოგადოებას წარუდგინა ახალი პროგრამა – „თურქეთის საუკუნე“,² რომელიც უნდა გახდეს მომავალ ათწლეულებში თურქეთის განვითარების გზამკვლევი. პრეზენტაციაზე წარმოდგენილი იქნა 16 პრიორიტეტული მიზანი, რომელთა მისაღწევად იგეგმება მასშტაბური პროექტების განხორციელება.³ „თურქეთის საუკუნე“ ჩამოყალიბდა „სამართლიანობის და განვითარების პარტიის“ სამოქმედო პროგრამად, რომელიც მოიცავს სხვადასხვა მიმართულებებს. მათ შორის, საგარეო პოლიტიკურ მიზნებს და მისწრაფებებს, რომელთა გაანალიზებაც საინტერესოა „სამართლიანობის და განვითარების პარტიის“ მმართველობის პირობებში თურქეთის რესპუბლიკის საგარეო პოლიტიკის კვლევის კონტექსტში.

1 Oğuz Çelikkol; „Afrika ve çok yönlü Türk dış politikası“; Hürriyet, last modified March 08, 2018
<https://www.hurriyet.com.tr/yazarlar/oguz-celikkol/afrika-ve-cok-yonlu-turk-dis-politikasi-40764744>

2 Cumhurbaşkanı Recep Tayyip Erdoğan'ın "Türkiye Yüzyili" Tanıtım Toplantısı Konuşması; last modified October 28, 2022
https://www.tccb.gov.tr/assets/dosya/2022-10-28-turkiye_yuzyil.pdf

3 Türkiye Yüzyili, accessed September 29, 2023
<https://turkiyeyuzyili.com/anasayfa>

პროგრამის „თურქეთის საუკუნე“ საგარეო პოლიტიკური პრიორიტეტები, მიზნები და ამოცანები ჩამოყალიბებული იქნა „სამართლიანობის და განვითარების პარტიის“ 2023 წლის საარჩევნო პროგრამაში.⁴ ასევე, დეტალურად იქნა განხილული 2023 წლის 5-9 აგვისტოს გამართულ ელჩების მე-14 კონფერენციაზე,⁵ თურქეთის საგარეო საქმეთა მინისტრის ჰ. ფიდანის⁶ და პრეზიდენტის რ. თ. ერდოღანის⁷ გამოსვლებში. მათში ხაზგასმული იქნა, რომ თურქეთის რესპუბლიკა ატარებს ქვეყნის ინტერესებზე ორიენტირებულ პროაქტიურ საგარეო პოლიტიკას. თურქეთი, მთელი მსოფლიოს მასშტაბით, აფართოებს დიპლომატიურ ქსელს, რომელმაც ტრადიციული მიმართულებების გარდა მოიცვა აფრიკის, ლათინური ამერიკის და შორეული აღმოსავლეთის ქვეყნები. ითხოვს გაეროს უშიშროების საბჭოს სისტემის რეფორმას და აცხადებს, რომ „მსოფლიო ხუთზე დიდია“.⁸ ქვეყნის ხელისუფლების პოზიციით, საგარეო პოლიტიკის მნიშვნელოვანი შემადგენელია „რბილი ძალა“. ამასთან, ეროვნული ინტერესების დაცვის მიზნით არ ერიდება ხისტი ძალის გამოყენებას. ტერორიზმთან ბრძოლა უნდა წარმოებდეს როგორც თურქეთის ტერიტორიაზე, ასევე მის საზღვრებს გარეთ.⁹

პროგრამაში, თურქეთის საგარეო პოლიტიკის პრიორიტეტად დასახელებულია „ქვეყნის დამოუკიდებლობაზე ორიენტირებული საგარეო და უსაფრთხოების პოლიტიკის წარმართვა, რომელიც უზრუნველყოფს უსაფრთხოების უმაღლეს დონეზე აყვანას, სამხედრო ძალის და ეკონომიკური კეთილდღეობის გაზრდას, ასევე დემოკრატიის გამყარებას“.¹⁰ „ქვეყნის დიპლომატია უნდა იყოს ყველა სახის გარე გავლენებისგან დამოუკიდებელი... თურქეთი უნდა წარმოადგენდეს რეგიონალური გრავიტაციის ცენტრს“.¹¹

„თურქეთის საუკუნეში“ საგარეო პოლიტიკის მიზნები იქნება ქვეყნის ინტერესების დაცვა, უსაფრთხოების უზრუნველყოფა და სასაზღვრო საფრთხეების გაუვნებელოება, რეგიონალური სტაბილურობის შენარჩუნება და სამართლიანი გლობალური წყობის ფორმირება.¹² აგრეთვე, ქვეყნის, როგორც რეგიონალური ძალის და გლობალური აქტორის სტატუსის გამყარება.¹³ პარალელურად, საერთაშორისო სისტემაში ეფექტური, დამოუკიდებელი, დინამიური და მდგრადი „თურქეთის ღერძის“ ფორმირება. ზემოაღნიშნული მიზნების მიღწევის ინსტრუმენტებად განიხილება ძლიერი და მდგრადი ინსტიტუციური შესაძლებლობები, ერთიანი და ეფექტური დიპლომატია, მაღალი შეკავების უნარის მქონე სამხედრო ძალა.

4 2023 წლის საარჩევნო პროგრამის საგარეო პოლიტიკის ნაწილს ეწოდება „თურქეთის ღერძი“, რაც მიანიშნებს თურქეთის სამომავლო აზიციზაზე.

Türkiye Yüzyılı için Doğru Adımlar, Seçim Beyannamesi 2023, accessed September 29, 2023
<https://www.akparti.org.tr/parti/dosya-arsivi/>

5 „ამბასადორიალის“ თემის წარმომადგენელმა „თურქეთის საუკუნეში ჩვენი საგარეო პოლიტიკა“
Dışişleri Bakanlığı açıklaması No: 195, 4 Ağustos 2023, XIV. Büyükelçiler Konferansı Hk, accessed September 29, 2023
https://www.mfa.gov.tr/no_-195_-xiv-buyukelciler-konferansi-hk.tr.mfa

6 Dışişleri Bakanı Sayın Hakan Fidan'ın 14. Büyükelçiler Konferansı Açılışında Yaptığı Konuşma, Last modified August 7, 2023;
<https://www.mfa.gov.tr/disisleri-bakani-sayin-hakan-fidan-in-14-buyukelciler-konferansi-acilisinda-yaptigi-konusma--7-agustos-2023.tr.mfa>

7 Cumhurbaşkanı Recep Tayyip Erdoğan'ın Cumhurbaşkanı Recep Tayyip Erdoğan'ın 14. Büyükelçiler Konferansı'nda Yaptıkları Konuşma, last modified August 08, 2023
<https://www.tccb.gov.tr/konusmalar/353/149032/14-buyukelciler-konferansi-nda-yaptiklari-konusma;>

8 იგულისხმება გაეროს უშიშროების საბჭოს 5 მუდმივმოქმედი წევრი და მათ მიერ ვეტოს გამოყენების უფლება. თურქეთის ხელისუფლების აზრით, აღნიშნული სისტემა ვეღარ პასუხობს თანამედროვე მოთხოვნებს და ვერ უზრუნველყოფს მსოფლიოში მშვიდობის და სტაბილურობის შენარჩუნებას.

“Erdoğan: Dünya 5'ten büyüktür”, accessed September 29, 2023
<https://www.aljazeera.com.tr/haber/erdogan-dunya-5ten-buyuktur>

9 ეს ტენდენცია არ არის ახალი. თურქეთის შეიარაღებული ძალები 2016 წლის ნახევრიდან იყენებს საფრთხის საზღვრებს გარეთ განადგურების სტრატეგიას. შედეგად ანტიტერორისტულ ოპერაციებს აწარმოებენ სირიის და ერაყის ტერიტორიებზე.
Enes DEMİR, “Türkiye'nin Suriye Politikası Bağlamında Tsk'nin Suriye'deki Sinir Ötesi Harekâtlarının Nedenleri Ve Sonuçları”, Bölgesel Araştırmalar Dergisi, December 2021 • 5 (2) • 541-588, accessed September 29, 2023
<https://dergipark.org.tr/tr/download/article-file/1973279>

10 “Türkiye Yüzyılı için Doğru Adımlar, Seçim Beyannamesi 2023”;

11 Dışişleri Bakanı Sayın Hakan Fidan'ın 14. Büyükelçiler Konferansı Açılışında Yaptığı Konuşma

12 „თურქეთი, სხვა სახელმწიფოებთან ერთად იმუშავებს ახალი, სამართლიანი საერთაშორისო სისტემის ფორმირებაზე.

Dışişleri Bakanı Sayın Hakan Fidan'ın 14. Büyükelçiler Konferansı Açılışında Yaptığı Konuşma

13 „თურქეთი უნდა გახდეს „თამაშის შემქმნელი“ აქტორი“

Dışişleri Bakanı Sayın Hakan Fidan'ın 14. Büyükelçiler Konferansı Açılışında Yaptığı Konuşma

„სამართლიანობის და განვითარების პარტიის“ ლიდერების აზრით, ზემოაღნიშნული ინსტრუმენტების გაძლიერების მიზნით, საჭიროა „ეროვნული ძალის“ მაფორმირებელი ინსტრუმენტების, მათ შორის თავდაცვის და ენერგეტიკის სფეროების გარე ფაქტორებზე დამოკიდებულების მინიმალზაცია და მათი თვითკმარობის მაჩვენებლის ზრდა. ასევე, საგარეო პოლიტიკის წარმმართველი ძირითადი ინსტიტუტების – საგარეო საქმეთა სამინისტროს, ეროვნული თავდაცვის სამინისტროს¹⁴ და ეროვნული დაზვერვის ორგანიზაციის გაძლიერება. „ძლიერი უნდა ვიყოთ როგორც ბრძოლის ველზე, ასევე მოლაპარაკებათა მაგიდასთანაც“. ¹⁵ ქვეყნის ხელმძღვანელობა ამ მიზნით ასევე აუცილებლად მიიჩნევს საგარეო საქმეთა სამინისტროს დიპლომატიური ქსელის გაფართოებას, „რბილი ძალის“ შემადგენელი სხვადასხვა ინსტიტუტების¹⁶ შესაძლებლობების გაძლიერებას და საზღვარგარეთ მცხოვრები თურქების ქვეყნის სამსახურში ჩაყენების მიზნით პროექტების და შესაძლებლობების შემუშავებას და განხორციელებას. ასევე, ენერგეტიკის სფეროში ადგილობრივი წარმოების გაზრდას, ენერგომატარებლების მიწოდების წყაროების დივერსიფიკაციას, სატრანსპორტო სფეროში ინვესტიციების მიზიდვას და შედეგად, ენერგო და სატრანსპორტო დიპლომატიის საგარეო პოლიტიკის ერთიანი სტრატეგიის ნაწილებად ფორმირებას.

პროგრამა „თურქეთის საუკუნე“ ითვალისწინებს ქვეყნის საგარეო პოლიტიკის, უსაფრთხოების და თავდაცვის სფეროს გეოგრაფიული თვალსაზრისით სამ სარტყლად დაყოფას:¹⁷

1. **პირველი სარტყელი** – შავი ზღვის, ბალკანეთის, ევროპის, ჩრდილოეთ აფრიკის, ახლო აღმოსავლეთის, სპარსეთის ყურის და ცენტრალური აზიის რეგიონები;
2. **მეორე სარტყელი** – აფრიკა, ლათინური ამერიკა და აზია;
3. **მესამე სარტყელი** – გლობალური სისტემა, რომელიც შედგება გლობალური აქტორებისგან და ორგანიზაციებისგან.

პროგრამის მიხედვით, „თურქეთის ღერძის“ ფორმირება უნდა განხორციელდეს აღნიშნულ სამ სარტყელში მრავალგანზომილებიანი დიპლომატიის წარმართვის მეშვეობით. ამ მიზნით საგარეო პოლიტიკის უმნიშვნელოვანეს პრიორიტეტად არის მიჩნეული ქვეყნის გარშემო მშვიდობის, სტაბილურობის და კეთილდღეობის პირველი სარტყელის ფორმირება. თურქეთი გეგმავს ერთი მხრივ აქტიურად გააგრძელოს სასაზღვრო უსაფრთხოების უზრუნველყოფა, ტერორიზმთან ბრძოლა და მისი სუვერენული უფლებების დაცვა. ხოლო მეორე მხრივ, გააღრმავოს მეზობლებთან ურთიერთობები. პროგრამის თანახმად, იგი ყველა ღონეს იხმარს გარშემო რეგიონებში კონფლიქტების და კრიზისების დასრულებისთვის. ამასთან, განაგრძობს სხვადასხვა ქვეყნებთან ორმხრივი ურთიერთობების ნორმალიზაციის პროცესს. რეგიონში შექმნის „საერთო თავისუფალი ვაჭრობის ზონებს“, რაც ხელს შეუწყობს თურქეთის ლოგისტიკურ და სავაჭრო ბაზად ქცევას.

საყურადღებოა „თურქეთის საუკუნეში“ კონკრეტულ ქვეყნებთან და რეგიონებთან მიმართებით საგარეო პოლიტიკის პრიორიტეტები. საარჩევნო პროგრამის და ლიდერების გამოსვლების თანახმად, **სირიასთან** მიმართებით იგეგმება ყველა შესაძლებლობის მობილიზაცია კონფლიქტის, ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობის და პოლიტიკური ერთობის საფუძველზე გადაჭრისთვის. ასევე მიღებული იქნება დიპლომატიური და სხვა სახის ზომები სირიის ტერორისტული ორგანიზაციებისგან, „პროქსი“ ომებისგან, სეპარატისტული დღის წესრიგისგან და გარე ძალებისგან განთავისუფლებისთვის. გაგრძელდება სირიაში არსებულ „უსაფრთხო ზონებში“ სტაბილურობის უზრუნველყოფის, ასევე მიგრაციის ახალი ტალღის აღკვეთის და ლტოლვილების სამშობლოში დაბრუნებისკენ მიმართული

14 ეროვნული თავდაცვის სამინისტროს და შეიარაღებული ძალების ტრანსფორმაციის გაგრძელება, რათა ჩამოყალიბდეს საფრთხეებზე სწრაფი რეაგირების, დიდი შესაძლებლობების და შეკავების უნარის მქონე ძალად; კიბერ და კოსმოსური შესაძლებლობების გაზრდა.

15 Cumhurbaşkanı Recep Tayyip Erdoğan'ın Cumhurbaşkanı Recep Tayyip Erdoğan'ın 14. Büyükelçiler Konferansı'nda Yaptıkları Konuşma

16 „თურქეთის გავლენა იზრდება „საზღვარგარეთ მცხოვრები თურქების და მონათესავე ხალხების ორგანიზაციის“, „მარიფის ფონდის“, „იუნესკო-ინსტიტუტის“, „თურქეთის თანამშრომლობის და განვითარების სააგენტოს“ მეშვეობით“.

Cumhurbaşkanı Recep Tayyip Erdoğan'ın Cumhurbaşkanı Recep Tayyip Erdoğan'ın 14. Büyükelçiler Konferansı'nda Yaptıkları Konuşma

17 "Türkiye Yüzyılı için Doğru Adımlar, Seçim Beyannamesi 2023";

ლონისძიებები. იგი აგრეთვე შეინარჩუნებს აქტიურ როლს სხვადასხვა ფორმატებში მიმდინარე სამშვიდობო პროცესებში.

თურქეთი **ერაყს** განიხილავს ახლო აღმოსავლეთში სტაბილურობის კუთხით ყველაზე მნიშვნელოვან სახელმწიფოდ. იგეგმება ტერიტორიული მთლიანობის და პოლიტიკური ერთობის პრინციპის საფუძველზე ერაყის მთელ პოლიტიკურ სპექტრთან კონტაქტების გაგრძელება. ყურადღება გამახვილდება ორ ქვეყანას შორის სატრანსპორტო და ინფრასტრუქტურულ პროექტებზე.¹⁸ თურქეთი განაგრძობს მოქმედებებს ერაყში ტერორიზმთან ბრძოლის, ასევე ერაყში მცხოვრები თურქმენების მიერ „სამართლიანი“ პოზიციის მოპოვების მიზნით.

პროგრამის მიხედვით, თურქეთი გეგმავს **ირანთან** გააგრძელოს ეკონომიკის და სხვა სფეროებში არსებული თანამშრომლობა.

საგარეო პოლიტიკის უმნიშვნელოვანეს მიმართულებად დარჩება **აღმოსავლეთ ხმელთაშუა ზღვა** და **ეგეოსის ზღვა**. თურქეთი განაგრძობს საკუთარ და ე.წ. „ჩრდილოეთ კვიპროსის თურქული რესპუბლიკის“ ინტერესების დაცვას რეგიონში. „გაგრძელდება კვიპროსელი თურქების მხარდაჭერა და მუშაობა ე.წ. „ჩრდილოეთ კვიპროსის თურქული რესპუბლიკის“ აღიარებისთვის“.¹⁹ ქვეყანა ეცდება **საბერძნეთთან** არსებული პრობლემები მოაგვაროს დიპლომატიური მოლაპარაკებების გზით. მხარს დაუჭერს აღმოსავლეთ ხმელთაშუა ზღვაში სტაბილურობას, სიმდიდრის სამართლიან განაწილებას და მრავალმხრივ პარტნიორობაზე დამყარებულ ყველა სახის ინიციატივას.

უკრაინაში მიმდინარე ომი აღიქმება რეგიონალური და გლობალური სტაბილურობის ყველაზე დიდ რისკად. იგეგმება შუამავლის როლის კიდევ უფრო გაძლიერება, რომლის შედეგადაც შესაძლებელი გახდება მარცვლეულის და ტყვეთა გაცვლის შეთანხმებების გაფორმება. ერდოღანის აზრით, „შავი ზღვის მარცვლეულის შეთანხმების შემდეგ წარმოქმნილი დადებითი ატმოსფერო არ იქნა გამოყენებული დიპლომატიური მოლაპარაკებების დასაწყებად“.²⁰ თურქეთი გადადგას ქმედით ნაბიჯებს, შავ ზღვაზე სტაბილურობის უზრუნველყოფის და უკრაინის ომის დასრულების შემდეგ ევროპის უსაფრთხოების და მშვიდობის არქიტექტურაში უფრო ეფექტური როლის შესრულების მიზნით.

კავკასიაში თურქეთს სურს, რეგიონის ყველა ქვეყანასთან შექმნას „საერთო ინტერესების სფეროები“ და გაზარდოს თანამშრომლობა. ასევე, გადადგას ნაბიჯი რეგიონის ნორმალიზაციის მიზნით. იგეგმება ძალისხმევით განევა რეგიონის სავაჭრო ხაზების ამოქმედების და ენერგო მატარებლების ტრანსპორტირების სისტემების გაძლიერების მიზნით. აზერბაიჯანის ტერიტორიების განთავისუფლების შემდეგ განაგრძობს ყოვლისმომცველი სამშვიდობო ხელშეკრულების გაფორმების პროცესის მხარდაჭერას. ზემოაღნიშნულის პარალელურად, გეგმავს დააჩქაროს სომხეთთან ურთიერთობების ნორმალიზაციის პროცესი.

ევროკავშირთან ურთიერთობების დადებითი დღის წესრიგით წარმართვის და განვითარების მოლაპარაკებების დასრულების მიზნით იგეგმება შესაბამისი ნაბიჯების გადადგმა. განსაკუთრებული აქცენტი გაკეთდება საბაჟო კავშირის შეთანხმების განახლების და ვიზალიბერალიზაციის საკითხებზე.

თურქეთი განაგრძობს ვალდებულებების შესრულებას **ნატოს** ფარგლებში. რ. თ. ერდოღანი და მისი გუნდი თვლის, რომ თურქეთის გარეშე ევროპაში უსაფრთხოების და სტაბილურობის უზრუნველყოფა შეუძლებელია.²¹ „გაძლიერდება ნატოში თურქეთის პოზიცია და გაიზრდება ალიანსში მისი წვლილი“.

აშშ-თან თანამშრომლობის განვითარდება იგეგმება ურთიერთპატივისცემის და თანასწორი პარტნიორობის საფუძველზე. თურქეთის ხელისუფლებას სურს ორ ქვეყანას შორის არსებული სტრატეგიული მექანიზმის გაძლიერება. ასევე, თურქეთის უსაფრთხოებისთვის პრიორიტეტულ

18 პირველ რიგში, გასათვალისწინებელია ბასრას პორტის და მერსინის პორტის დამაკავშირებელი „განვითარების გზის“ პროექტი, რომლის რეალიზაციაშიც ჩართულები არიან თურქეთი, ერაყი და სპარსეთის ყურის სახელმწიფოები „Ankara'nın gözü, Basra ile Mersin'i bağlayan Kalkınma Yolu Projesi'nde“, Last modified September 13, 2023 <https://www.dunya.com/ekonomi/ankaranin-gozu-basra-ile-mersini-baglayan-kalkinma-yolu-projesinde-haberi-704630>

19 Dışişleri Bakanı Sayın Hakan Fidan'ın 14. Büyükelçiler Konferansı Açılışında Yaptığı Konuşma

20 Cumhurbaşkanı Recep Tayyip Erdoğan'ın Cumhurbaşkanı Recep Tayyip Erdoğan'ın 14. Büyükelçiler Konferansı'nda Yaptıkları Konuşma

21 “Türkiye Yüzyılı için Doğru Adımlar, Seçim Beyannamesi 2023”;

საკითხებზე, მათ შორის „ფ. გიულენის ტერორისტული ორგანიზაციის“, „ქურთისტანის მუშათა პარტიის“ და სანქციების თემებზე მკაფიო ნაბიჯების გადადგმა. ყურადღება გამახვილდება აშშ-თან ჩამოყალიბებული ეკონომიკური მექანიზმების ეფექტურად გამოყენებაზე, რომელთა მიზანია არის სავაჭრო ბრუნვის უახლოეს 5 წელიწადში 100 მლრდ. აშშ დოლარამდე გაზრდა.

„თურქეთის საუკუნეში“ **რუსეთთან** გაგრძელდება პოლიტიკური და ეკონომიკური ურთიერთობები, თანამშრომლობა ენერგეტიკის სფეროში. იგი მხარს დაუჭერს უკრაინის, სირიის და სხვა რეგიონალური პრობლემების საერთაშორისო სამართლის პრინციპების შესაბამისად მშვიდობიანი გზებით გადაჭრას.

თურქეთი განაგრძობს **ბალკანეთში** სტაბილურობის უზრუნველყოფის და პოტენციური კონფლიქტების აღკვეთის მიზნით ჩამოყალიბებული მრავალმხრივი მექანიზმების ეფექტურად გამოყენებას და რეგიონში სტაბილურობის მხარდაჭერას. განავითარებს სავაჭრო-ეკონომიკურ, სამხედრო და კულტურულ თანამშრომლობას ბალკანეთის ქვეყნებთან. წვლილს შეიტანს რეგიონში მცხოვრები მონათესავე ხალხების და თანამოქალაქეების სოციალური და პოლიტიკური პოზიციების გაძლიერების საკითხში.

ისრაელთან ურთიერთობების ნორმალიზაციის ფონზე, რ. თ. ერდოღანის მთავრობისთვის **პალესტინის** საკითხი რჩება ერთ-ერთ პრიორიტეტულ მიმართულებად. იგი მხარს უჭერს ისრაელ-პალესტინის კონფლიქტის გადაჭრის ორი სახელმწიფოს მოდელს და ისრაელის მიერ ოკუპირებული ტერიტორიებიდან ძალების გაყვანას.

თურქეთი აქტიურად დაუჭერს მხარს **ლიბიაში** პოლიტიკურ დიალოგს. გასწევს ძალისხმევას ქვეყნის ერთობის და ერთიანობის აღდგენის მიზნით. თურქეთისთვის სასიცოცხლო მნიშვნელობას ატარებს ლიბიასთან გაფორმებული შეთანხმებების²² იმპლემენტაცია და გეგმავს მათ საფუძველზე ყველა კუთხით გააღრმავოს ლიბიასთან სტრატეგიული ურთიერთობები.

იგეგმება **სპარსეთის ყურის** ქვეყნებთან ეკონომიკური, პოლიტიკური, სამხედრო და თავდაცვის სფეროში არსებული ურთიერთობების ეტაპობრივად გაღრმავება სტრატეგიული თანამშრომლობის დონემდე.

თურქეთისთვის უმნიშვნელოვანეს პრიორიტეტად რჩება **ცენტრალური აზიის** ქვეყნებთან თანამშრომლობის გაღრმავება. იგეგმება რეგიონის ქვეყნებთან ურთიერთობების განმტკიცება „თურქულ სახელმწიფოთა ორგანიზაციის“ მეშვეობით. ოფიციალური ანკარის აზრით, ეკონომიკურ, პოლიტიკურ და სამხედრო-ტექნოლოგიურ სფეროებში ერთობლივი პროექტების განხორციელება ხელს შეუწყობს თურქული სამყაროს სტაბილურობას და კეთილდღეობას. იგეგმება აკადემიების შექმნა, რომელთა მიზანია იქნება „თურქულ სახელმწიფოთა ორგანიზაციის“ ინსტიტუციური გაძლიერების და შესაძლებლობების გაზრდის მიზნით ახალგაზრდა დიპლომატების, საჯარო მოხელეების, სამოქალაქო და სამხედრო ბიუროკრატების მომზადება. ასევე იგეგმება „თურქული სამყაროს ინფრასტრუქტურის და ინვესტიციების ბანკის“ შექმნა.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე შეიძლება ვივარაუდოთ, რომ უახლოეს მომავალში ოფიციალური ანკარა შეეცდება აწარმოოს პროაქტიური საგარეო პოლიტიკა და გაზარდოს საკუთარი როლი საერთაშორისო არენაზე, რისთვისაც გამოიყენებს რ. ფ. – უკრაინის ომის შემდეგ განვითარებულ მოვლენებს და წარმოქმნილ შესაძლებლობებს. თურქეთისთვის აღმოსავლეთ ხმელთაშუა ზღვა, კავკასია, შავი ზღვა, ბალკანეთი, ახლო აღმოსავლეთი და ცენტრალური აზია რჩება ინტერესის ძირითად სფეროდ. თურქეთის ხელისუფლების აზრით, სწორედ ამ რეგიონებისთვის უნდა იქცეს გრავიტაციის ცენტრად „თურქული ღერძი“. ამასთან, თურქეთის საგარეო პოლიტიკა ორიენტირებული იქნება მრავალვექტორულ საგარეო პოლიტიკაზე და შეეცდება ტრადიციული მიმართულებების (ნატო, ევროკავშირი) გარდა, საკუთარი შესაძლებლობები გაზარდოს სხვადასხვა საგარეო პოლიტიკურ ფორმატებში. მათ შორის, BRICS-ის, „შანხაის თანამშრომლობის ორგანიზაციის“ და სხვა მიმართულებებით.

22 „ურთიერთგაგების მემორანდუმი ხმელთაშუა ზღვის არეალში საზღვაო იურისდიქციის ზონების დელიმიტაციის შესახებ“, „შეთანხმება სამხედრო და უსაფრთხოების სფეროებში თანამშრომლობის შესახებ“, „შეთანხმება ნახშირწყალბადის სფეროში თანამშრომლობის შესახებ“.

უნდა აღინიშნოს, რომ შავ ზღვაზე და სამხრეთ კავკასიაში თურქეთისთვის პრიორიტეტული იქნება ე. წ. „რეგიონალური პატრონაჟის“ პოლიტიკის გატარება, რის ერთ-ერთ მნიშვნელოვან მექანიზმადაც რჩება „მონტროს კონვენცია“. თურქეთს არ სურს რეგიონში გარე ძალების აქტიურობა და მაქსიმალურად შეეცდება წინა პლანზე წამოწიოს ინიციატივები, რომლებშიც ჩართულები იქნებიან მხოლოდ რეგიონის ქვეყნები. სავარაუდოდ ამ საკითხში თურქეთის და რ. ფ. – ს ინტერესები თანხვედრაში მოდიან.

ასევე, თურქეთისთვის ეგზისტენციალურ საფრთხედ რჩება სირიაში „ქურთული სახელმწიფო წარმონაქმნის“ შესაძლო ფორმირება. ასევე, ჩრდილოეთ ერაყის ტერიტორიაზე „ქურთისტანის მუშათა პარტიის“ არსებობა. შესაბამისად, მოსალოდნელია, რომ თურქეთი, „საფრთხეების გარეთ გატანის სტრატეგიის“ ფარგლებში განაგრძობს ტერორიზმთან ბრძოლას „საკუთარ საზღვრებს გარეთ“. აღნიშნული ტენდენცია, ორმხრივი და მრავალმხრივი ურთიერთობების სხვა პრობლემატურ თემებთან ერთად მნიშვნელოვან გამოწვევად დარჩება თურქეთ-აშშ-ს ურთიერთობებისთვის.

გამოყენებული ლიტერატურა

- Oğuz Çelikkol; „Afrika ve çok yönlü Türk dış politikası“; Hürriyet, last modified March 08, 2018 <https://www.hurriyet.com.tr/yazarlar/oguz-celikkol/afrika-ve-cok-yonlu-turk-dis-politikasi-40764744>
- Cumhurbaşkanı Recep Tayyip Erdoğan’ın “Türkiye Yüzyili” Tanitim Toplantisi Konuşması; last modified October 28, 2022 https://www.tccb.gov.tr/assets/dosya/2022-10-28-turkiye_yuzyil.pdf
- Türkiye Yüzyili, accessed September 29, 2023 <https://turkiyeyuzyili.com/anasayfa>
- Dışişleri Bakanı Sayın Hakan Fidan’ın 14. Büyükelçiler Konferansı Açılışında Yaptığı Konuşma, Last modified August 7, 2023; <https://www.mfa.gov.tr/disisleri-bakani-sayin-hakan-fidan-in-14-buyukelciler-konferansi-acilisinda-yaptigi-konusma--7-agustos-2023.tr.mfa>;
- Cumhurbaşkanı Recep Tayyip Erdoğan’ın Cumhurbaşkanlığı Konuşması, last modified August 08, 2023 <https://www.tccb.gov.tr/konusmalar/353/149032/14-buyukelciler-konferansi-nda-yaptiklari-konusma>;
- Dışişleri Bakanlığı açıklaması No: 195, 4 Ağustos 2023, XIV. Büyükelçiler Konferansı Hk, accessed September 29, 2023 https://www.mfa.gov.tr/no_195_-xiv-buyukelciler-konferansi-hk.tr.mfa;
- “Türkiye Yüzyili için Doğru Adımlar, Seçim Beyannamesi 2023”, accessed September 29, 2023 <https://www.akparti.org.tr/parti/dosya-arsivi/>
- “Erdoğan: Dünya 5’ten büyüktür”, accessed September 29, 2023 <https://www.aljazeera.com.tr/haber/erdogan-dunya-5ten-buyuktur>
- Enes DEMİR, “Türkiye’nin Suriye Politikası Bağlamında Tsk’nin Suriye’deki Sinir Ötesi Harekâtlerinin Nedenleri Ve Sonuçları”, Bölgesel Araştırmalar Dergisi, December 2021 • 5 (2) • 541-588, accessed September 29, 2023 <https://dergipark.org.tr/tr/download/article-file/1973279>
- “Ankara’nın gözü, Basra ile Mersin’i bağlayan Kalkınma Yolu Projesi’nde”, Last modified September 13, 2023 <https://www.dunya.com/ekonomi/ankaranin-gozu-basra-ile-mersini-baglayan-kalkinma-yolu-projesinde-haberi-704630>

PRIORITIES OF THE REPUBLIC OF TURKEY IN THE “CENTURY OF TÜRKİYE”

On the 100th anniversary of the Republic of Turkey’s establishment, President Erdogan has introduced a new guiding principle, termed as „The Turkish Century,“ envisioned to serve as Turkey’s developmental roadmap in the decades to come. This comprehensive directive includes, among other facets, insights into the nation’s foreign policy objectives and aspirations. Emphasizing the potential utilization of both „soft“ and „hard“ powers to attain Turkey’s foreign policy goals, the document outlines strategic steps to enhance the efficacy of these powers. Concurrently, the concept communicates specific messages to various countries, regions, and foreign political processes, encapsulating Ankara’s official policies.

This article critically examines „The Turkish Century“ concept, delving into its nuances and shedding light on the prevailing issues within Turkey’s foreign policy landscape.

Keywords: „The Turkish Century “, Foreign Policy, „Turkish Axis“.

ისრაელსა და საუდის არაბეთს შორის ურთიერთობების ნორმალიზაციის ღონისძიება ჯო ბაიდენის ადმინისტრაციის შუამავლობის კონტაქტში

რეზიუმე

ისრაელი და საუდის არაბეთი, ბოლო დრომდე დაპირისპირებული სახელმწიფოები, დღითიდღე უახლოვდებიან ერთმანეთს. საუდის არაბეთის მიერ „აბრაამის შეთანხმებებთან“ მიერთება და ისრაელთან ურთიერთობების ნორმალიზება იქნება ძალიან მნიშვნელოვანი ნაბიჯი, რომელმაც შეიძლება ხელი შეუწყოს სხვა არაბულ და მუსლიმურ ქვეყნებს იგივე ნაბიჯი გადადგან ისრაელთან მიმართებაში.

ორ ქვეყანას ჰყავს საერთო რეგიონული მოწინააღმდეგე – ირანი, რომლის ექსპანსიის შეკავებაში ისინი სასიცოცხლოდ დაინტერესებულნი არიან. მათ ჰყავთ საერთო მოკავშირე – ამერიკის შეერთებული შტატები. მხოლოდ ამ ორი პარამეტრის მიხედვით, არ-რიადის და ებრაული სახელმწიფოს დაახლოება ობიექტურად გარდაუვალია. ჯო ბაიდენის ადმინისტრაცია საუდის არაბეთთან განიხილავს ისრაელთან ურთიერთობის ნორმალიზებას და „აბრაამის შეთანხმებებთან“ მიერთების შესაძლებლობას. რომ არა პალესტინის საკითხი, ისრაელთან შეთანხმება ხვალაც კი იქნებოდა მიღწეული.

საკვანძო სიტყვები: ახლო აღმოსავლეთის კონფლიქტი, ისრაელი, საუდის არაბეთი, აშშ

ეროვნებათაშორისი და კონფესიათაშორისი – არაბეთ-ისრაელის კონფლიქტის ისტორიაში, არაბები პირობითად შეიძლება დავყოთ ისრაელთან უშუალო კონფლიქტის მონაწილე მხარეებზე (პალესტინელები, ეგვიპტე, იორდანია, სირია, ლიბანი) და იმ ქვეყნებზე, რომლებსაც არ ჰქონდათ პირდაპირი კონფლიქტი ისრაელთან, მაგრამ მხარს უჭერდნენ თავიანთ მოძმე არაბებს არაბული/ ისლამური სოლიდარობის კონტექსტში.

სწორედ ასეთ ტიპს განეკუთვნებიან სპარსეთის/არაბეთის ყურის (არაბულ სამყაროში გამოიყენება ტერმინი „არაბული ყურე“) არაბული მონარქიები, რომელთაგან ერთ-ერთია საუდის არაბეთის სამეფო. იგი თავისი სიმძლავრით აცხადებს პოლიტიკურ-იდეოლოგიურ ლიდერობას არაბულ სამყაროში, რაც გასათვალისწინებელია ისრაელის არაბებთან ურთიერთობის დარეგულირების კონტექსტში. 1980-იანი წლებიდან ისრაელმა, აშშ-ს შუამავლობით, დაიწყო არაოფიციალური კონტაქტები ყურის ქვეყნებთან, განპირობებული საერთაშორისო არენაზე ახალი აქტორის, ირანის ისლამური რესპუბლიკის გამოჩენით.

2017 წელს, დონალდ ტრამპის (Donald John Trump) პრეზიდენტად არჩევა აღმოჩნდა საკვანძო ფაქტორი, რამაც შეცვალა გეოპოლიტიკური ვითარება ახლო აღმოსავლეთში და ხელი შეუწყო ისრაელსა და ყურის არაბულ ქვეყნებს შორის ურთიერთობების ნორმალიზაციის დაჩქარებას. ასეთმა სტრატეგიამ პირველი ნაყოფი მოიტანა, როცა 2020 წლის 13 აგვისტოს ისრაელის პრემიერ-მინისტრის ბენიამინ ნეთანიაჰუს (Bibi/Benjamin Netanyahu) და აბუ დაბის მმართველსა და არაბთა გაერთიანებული საამიროების პრეზიდენტს, მუჰამად ბინ ზაიდ ალ-ნაჰიანს (Mohammed bin Zayed Al Nahyan, MBZ) შორის მიღწეულ იქნა ისტორიული შეთანხმება, რომ ისრაელი და საამიროები დაამყარებენ დიპლომატიურ ურთიერთობებს.

საერთო შეშფოთებამ ირანის გავლენის გაზრდასთან დაკავშირებით რეგიონში, უბიძგა არაბულ ქვეყნებს და ისრაელს გარკვეულ არაოფიციალურ კონტაქტებზე გასულიყვენ ერთმანეთთან, რასაც ოფიციალური სახე მისცა ტრამპის ადმინისტრაციის აქტიურმა ჩარევამ. ისრაელმა, საამიროებთან ურთიერთობების ნორმალიზების შემდეგ, ერთ თვეში, ისევ ვაშინგტონის შუამავლობით, ბაჰრეინთან დაამყარა ურთიერთობები.

ხელი მოეწერა სამ დოკუმენტს, ასევე საერთო „**აბრაამის შეთანხმებას**“ (**Abraham Accord, AA**) – სამი რელიგიის: ქრისტიანობის, იუდაიზმის და ისლამის საერთო პატრიარქი აბრაამის პატივსაცემად. ეს დასახელება ამიერიდან გამოყენებულ იქნება ისრაელის არაბებთან შეთანხმებების კოლექტიური მოხსენიებისათვის. საამიროებსა და ბაჰრეინის შემდეგ, კიდევ ორმა არაბულმა ქვეყანამ (ყურეში არშემავალმა), მოახდინა ისრაელთან ურთიერთობების ნორმალიზება: სუდანმა და მაროკომ. ამით ტრამპმა დატოვა საკვანძო ფუნდამენტი ახლო აღმოსავლეთის კონფლიქტის დარეგულირების გასაგრძელებლად.

ბოლო მოვლენებიდან ჩანს, რომ ისრაელი მზადაა სამეფოსთან ურთიერთობების ნორმალიზებისთვის მრავალი სარგებლის გამო, რომელსაც ეს ნორმალიზება მას მოუტანს. რომ არა პალესტინის საკითხი და სამეფო დინასტიის უხუცესთა ორთოდოქსალურობა, ისრაელთან შეთანხმება დღესაც გაფორმდებოდა. სამეფოს მემკვიდრე უფლისწული და პრემიერი მუჰამად ბინ სალმან ალ საუდი (Mohammed bin Salman Al Saud, MBS; დ. 1985) ჯერ კიდევ არ არის მეფე, რომ ასეთი გადაწყვეტილებები დამოუკიდებლად მიიღოს.

ბოლო მსოფლიო ეკონომიკურ ფორუმზე დავოსში (World Economic Forum in Davos – შვეიცარია, 2023 წლის 16-20 იანვარი), საუდის არაბეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა ფაისალ ალ საუდმა (Faisal bin Farhan Al Saud), გასული წლის განცხადებების მსგავსად, გამოაცხადა ისრაელთან ურთიერთობების ნორმალიზება პალესტინის საკითხის გადაწყვეტის გარეშე.

როგორც აღნიშნავენ ახლო აღმოსავლეთის ცნობილი ექსპერტები, კოლ ბანზელი (Cole Bunzel) და ბერნარდ ჰაიკალი (Bernard Haykel), „ნეთანიაჰუსთვის პალესტინის საკითხის გადაწყვეტა არის ის, რაც უნდა მოჰყვეს ნორმალიზებას, ხოლო პრინცი ფაისალისთვის (და სამეფო კარისთვის, ზ.ტ.) პალესტინის საკითხის გადაწყვეტა ნორმალიზაციის წინაპირობაა“. ნორმალიზაცია არც ისე შორსაა, თუნდაც ჩანდეს, რომ ძალიან შორსაა.

ისრაელსა და საუდის არაბეთს შორის ურთიერთობების ნორმალიზებას შესაძლოა ხელი შეუწყოს სამეფოს ისტორიულმა შუამავლის როლმა ისრაელ-პალესტინის კონფლიქტის მოგვარების მცდელობებში, სხვადასხვა სამშვიდობო ინიციატივით.

ასე, მეფე ფაჰდი (1923-2005 წწ.) სათავეში ჩაუდგა „ფაჰდის გეგმას“ (Fahd Plan) 1981 წელს, დაფუძნებულს 8 პუნქტიან ყოვლისმომცველ სამშვიდობო გეგმაზე. ამას მოჰყვა მისი მემკვიდრე, მეფე აბდ ალ-ლაჰის (მეფე 2005-2015 წლებში), „**2002 წლის არაბული სამშვიდობო ინიციატივა**“ (**Arab peace initiative** – მიღებულია „არაბულ სახელმწიფოთა ლიგის“ მიერ 2002 წლის 28 მარტს და მიმართულია ისრაელთან ყოვლისმომცველი მშვიდობის მისაღწევად, მთავარი პირობის შესრულების შემთხვევაში – ისრაელის გასვლა მის მიერ 1967 წელს ოკუპირებული ტერიტორიებიდან და პალესტინის სახელმწიფოს აღიარება მდ. იორდანეს დასავლეთ ნაპირზე და ღაზას სექტორში, დედაქალაქით აღმოსავლეთ იერუსალიმში).

რამ შეიძლება შეუშალოს ხელი სამეფოს ისრაელთან ნორმალიზაციის პროცესში? საუდის არაბეთი იმყოფება დიდი პოლიტიკური, სოციალური და ეკონომიკური რეფორმების განხორციელების პერიოდში. ძალაუფლება ახლა კონსოლიდირებულია MBS-ის ხელში. ქვეყანაში მიმდინარეობს სოციალური ლიბერალიზაცია, ქალები უფრო თავისუფლად იცვამენ, გააქტიურდნენ საჯარო სფეროში, ტარდება სხვადასხვა სახის გასართობი ღონისძიებები, კონცერტები ცნობილი დასავლელი მომღერლების მონაწილეობით, მიმდინარეობს მეგაპროექტების მშენებლობა, ვითარდება ტურიზმი და ა.შ.. ამისათვის MBS-მ შეზღუდა საზოგადოებაში არსებული რელიგიური ელემენტები – რეაქციონერები, რომლებიც ამ

ცვლილებებს ისლამური ნორმების დარღვევად მიიჩნევდნენ. სწრაფად მიმდინარეობს ეკონომიკის დივერსიფიცირება, რათა შემცირდეს დამოკიდებულება ნავთობისა და ნავთობპროდუქტების ექსპორტზე და ეს ცვლილებები ხორციელდება „საუდის არაბეთის ხედვა 2030“-ის (Saudi Vision 2030) გეგმით, რაც ნიშნავს, რომ ხელისუფლება დაკავებულია საშინაო საზრუნავებით. იმ კონტექსტში, თუ რა არის სოციალურ-ეკონომიკური რევოლუცია, ისრაელთან ურთიერთობის ნორმალიზება შეიძლება არ იყოს მთავარი პრიორიტეტი.

კიდევ ერთი პრობლემა უკავშირდება სამეფოს, როგორც „ორი წმინდა ადგილის მიწის“ (Land of the Two Holy Places) სტატუსს – ისლამის რელიგიის აკვანს. მართალია ეს მას დიდ რეპუტაციულ სარგებელს აძლევს, ის ასევე ზრდის ნორმალიზაციის რისკებს იმის გათვალისწინებით, რომ მსოფლიოს მუსლიმთა უმეტესობა კვლავ ნეგატიურად განწყობილია ისრაელის მიმართ. შემდეგ მოდის რეგიონული გამოწვევა ირანის მხრიდან. ირანის პოლიტიკა – იქნება ეს რაკეტების, დრონების პროგრამა, თუ პროქსი-ძალების მხარდაჭერა, როგორცაა ჰუსიტები იემენში – ეგზისტენციალური საფრთხეა სამეფოსთვის.

თუმცა, ნორმალიზება არაა აუცილებელი ირანის შეკავების მისაღწევად. არ-რიადი და თელ-ავივი ისედაც ინარჩუნებდნენ აქტიურ ურთიერთობას უსაფრთხოება-დაზვერვის სფეროში, რაც ქმნის გარკვეული შეკავების ხარისხს. ბოლო წლებში ფარული კავშირები და შეხვედრები გამოვლინდა ისრაელისა და სამეფოს მაღალი დონის ლიდერებს შორის.

ამასთანავე საუდის არაბეთის ირანთან ურთიერთობების ნორმალიზების დაწყებამ, თანაც ჩინეთის შუამავლობით, ბევრი პოლიტიკოსი თუ სპეციალისტი გაოგნებული დატოვა. შვიდწლიანი დაძაბულობის შემდეგ, საუდის არაბეთმა და ირანმა აღადგინეს დიპლომატიურ ურთიერთობები. ირკვევა, რომ არ-რიადმა გადანაცვლა კონტაქტების განახლება თეირანთან 2021 წლის დასაწყისში აშშ-ში ხელისუფლების შეცვლის შემდეგ. პრეზიდენტ ჯო ბაიდენის (Joseph/Joe Robinette Biden, Jr) მოსვლისთანავე, MBS-სა და თეთრ სახლს შორის კომუნიკაციის პირდაპირი არხი, რომელიც ტრამპის დროს არსებობდა, დაიბლოკა.

როგორც თვლის ანალიტიკოსი კრისტიან ულრიხსენი (Kristian Coates Ulrichsen), ბაიდენის ადმინისტრაცია ხელისუფლებაში მოსვლის დღიდან ყურადღებას ამახვილებდა ირანთან ბირთვული შეთანხმების – „ერთობლივი ყოვლისმომცველი სამოქმედო გეგმის“ (JCPOA) შესრულებასა და ომზე იემენში. თეთრ სახლსა და სამეფოს მმართველს შორის ურთიერთობები დაჩრდილა საპრეზიდენტო კამპანიის დროს ბაიდენის განცხადებებმა, რომ ის საუდის არაბეთს „განდევნილად“ აქცევდა, ადამიანის უფლებების დარღვევის და Washington Post-ის ჟურნალისტის, ერთ დროს სამეფო კართან დაახლოებული, ჯამალ ჰაშუჯის (Jamal Ahmad Khashoggi) მკვლელობის გამო 2018 წლის 2 ოქტომბერს, სტამბოლში, სამეფოს გენერალურ საკონსულოში. ჰაშუჯი ცნობილი იყო არ-რიადის კრიტიკით.

აშშ-ს CIA მივიდა იმ დასკვნამდე, რომ ჟურნალისტის მკვლელობა მოხდა MBS-ის ბრძანებით. სამეფოს ხელისუფლებამ აღიარა, რომ იგი მოკვდა „საკონსულოს მოხელეებთან ჩხუბის შედეგად“. საუდის არაბეთმა სიკვდილით დასაჯა ხუთი პირი, რომლებიც მონაწილეობდნენ ჟურნალისტის სასტიკ მკვლელობაში. პატიმრობა კიდევ სამ ბრალდებულს მიუსაჯეს, ისინი სულ 24 წელს გაატარებენ ციხეში. CIA-ს თანახმად, MBS თვლიდა, რომ ჟურნალისტი იყო საშიში ისლამისტი, რომელიც სიმპათიას უცხადებდა ბევრ ქვეყანაში ტერორისტულად აღიარებულ პან-ისლამისტურ „ძმებ მუსლიმებს“.

გასულმა წელმა კი შეცვალა ბაიდენის ეს თავდაპირველი გათვლები, რადგან უკრაინაში რუსეთის აგრესიის შედეგებმა, კიდევ ერთხელ ხაზი გაუსვა ყურის ქვეყნების ცენტრალურ როლს გლობალურ ენერგეტიკულ ლანდშაფტში, ირანთან კი JCPOA-ს აღდგენა კვლავ გადაიდო. მიმომხილველი გაი ალსტერის (Guy Alster) აზრით, ბაიდენი ცდილობდა MBS-ის იზოლირებას, მაგრამ უკრაინაში რუსეთის შეჭრის შემდეგ ნავთობის ფასის ზრდის გამო, მას მოუწია MBS-თან კონტაქტის დამყარება. არც ბაიდენის პირველ ვიზიტს არ-რიადში, თანამდებობის დაკავებიდან, ურთიერთობების გაუმჯობესება არ მოჰყოლია.

რამდენიმე საათით ადრე, სანამ გავრცელდებოდა შეტყობინება საუდის არაბეთსა და ირანს შორის დიპლომატიური კავშირების აღდგენის შესახებ, გავლენიანმა Wall Street Journal-მა გაავრცელა ის მოთხოვნები, რაც წამოაყენა არ-რიადმა ისრაელთან ნორმალიზების პირობად – აშშ-მ მხარი უნდა დაუჭიროს სამეფოს სამოქალაქო ბირთვულ პროგრამას და დადოს მასთან NATO-ს ტიპის თავდაცვის პაქტი – „NATO-ს ფარგლებს გარეთ“ (MNNA/Non-NATO Ally) სტატუსის მსგავსი, რომელსაც იყენებს ქუვეითი, ბაჰრეინი, ეგვიპტე, იორდანია და სულ ახლა ხანს მიიღო კატარმა. შემდეგ მოდის იარაღის შესყიდვის გარანტიები.

MBS-ს, რომელიც ფაქტობრივად მართავს სამეფოს მრავალი წელი, ესმოდა, რომ ამჟამინდელი ამერიკის ადმინისტრაცია ვერ შეასრულებდა ამ პირობებს. ბაიდენის პარტიის ბევრ კონგრესმენს სურს შეწყვიტოს თავდაცვის თანამშრომლობა საუდის არაბეთთან – იემენში მიმდინარე ომისა და უფლისწულის მიერ კონკურენტების დარბევის ფონზე.

ამერიკული ქოლგის არარსებობის პირობებში, რომელიც ვაშინგტონმა არ მიაწოდა არ-რიადს, ბინ სალმანმა გადაწყვიტა დიპლომატიური კონტაქტები დაემყარებინა თეირანთან.

ორ სახელმწიფოს შორის ურთიერთობა შეწყდა 2016 წელს მას შემდეგ, რაც განრისხებული ბრბო თავს დაესხა სამეფოს საელჩოს თეირანში, სამეფოში ცნობილი შიიტი სასულიერო პირის ნიმრ ბაკირ ან-ნიმრის (Nimr Baqir al-Nimr; 1959-2016 წწ.) სიკვდილით დასჯის გამო. მას შემდეგ MBS ხშირად ადარებდა ირანის სასულიერო ლიდერს ჰიტლერს.

ვნახოთ, რამდენად „გაქაჩავს“ კონკურენტი ქვეყნების დაზავება, ვინაიდან პეკინში ხელმოწერილი შეთანხმება არის მხოლოდ მოკლე პაუზა არ-რიადსა და თეირანს შორის მძიმე დაპირისპირებაში. როგორც ისრაელი აღიქვამს ირანს მტრად და საფრთხედ, ასევე აღიქვამს მას საუდის არაბეთი და უფრო ფართოდ ყურე, ხოლო ხელმოწერილმა დოკუმენტმა ეს წარმოდგენა ოდნავადაც არ შეცვალა. გარიგება შესაძლოა გადაიქცეს ფარატინა ქალაქად, რომელსაც არანაირი ღირებულება არ გააჩნია.

ამავდროულად, ირანთან შერიგება შეიძლება დაეხმაროს საუდის არაბეთს იემენის ომის დასრულებაში. MBS ცდილობდა შეექმნა არაბთაშორისი კოალიცია თეირანის მიერ მხარდაჭერილი ჰუსიტის მეთაურობის წინააღმდეგ, მაგრამ თითქმის მარტო დარჩა. და ამ ომის დამთავრება მას საერთაშორისო ასპარეზზე პოზიციების განმტკიცებაში დაეხმარებოდა.

ისრაელში კი ზემოაღნიშნული შეთანხმება მაშინვე გახდა კამათის და ორმხრივი ბრალდებების საგანი მთავრობასა და ოპოზიციას შორის. ოპოზიციამ პრემიერი ნეთანიაჰუ გააკრიტიკა და განაცხადა, რომ ირან-საუდის არაბეთის დაახლოება მთავრობის „გარე პოლიტიკის მარცხის“ შედეგია. ნეთანიაჰუმ კი ქვეყნის წინა მთავრობა და აშშ-ს პრეზიდენტი ბაიდენი დაადანაშაულა სამეფოსა და ირანს შორის დაახლოებაში. ირან-საუდის არაბეთის დაახლოება არის დარტყმა ნეთანიაჰუს მთავარ პოლიტიკასა და ხედვაზე – ჩართოს არ-რიადი „აბრაამის შეთანხმებებში“. კრიტიკოსების აზრით, აშშ-მაც არაადეკვატურად უპასუხა სამეფოს შეშფოთების სიგნალებს. ამის მიუხედავად, ნეთანიაჰუ არ კარგავს სამეფოსთან დიპლომატიური ურთიერთობების დამყარების იმედს. Foreign Policy-ის მიმომხილველის, ჯეიმს ტრაუბის (James Traub) აზრით, ერთადერთი, რაც ბიბის აინტერესებს, გარდა იმისა, რომ დარჩეს ხელისუფლებაში, არ მოხვდეს ციხეში კორუფციის ბრალდებით, არის ისრაელის იზოლაციის დასრულება ახლო აღმოსავლეთში საუდელთა AA-ს გარიგებაში შეყვანით.

MBS-ს კი სურს ვაშინგტონმა სამეფო განიხილოს, როგორც მთავარი რეგიონული ძალა. ამავდროულად აშშ-სთვის წარმოუდგენელი იქნებოდა, სამეფოსთან ზემოხსენებული NATO-ს მსგავსი ურთიერთობების მიღება. რა მოხდება, თუ MBS უპასუხებს ჰუსიტების მორიგ თავდასხმას ირანზე დარტყმით, შემდეგ კი მოთხოვს ამერიკელებს უსაფრთხოების ვალდებულების უზრუნველყოფას, როგორც კი თეირანი საპასუხო დარტყმას მიაყენებს? – მაგრამ აშშ-ს ასევე არ შეუძლია „დაიბანოს ხელები“ სამეფოსგან,

როგორც ბაიდენი იმედოვნებდა. მისდა გასაოცრად, აღმოჩნდა, რომ სამეფოს, მსოფლიოში „ნავთობის უდიდეს მწარმოებელს“, უზარმაზარ ძალაუფლება ენიჭება ბაზრებზე და ვაშინგტონს ნამდვილად სჭირდება საუდელები, ისევე როგორც ისრაელელები, ირანის გავლენის შესაჩერებლად.

ირანში კი სამეფოსთან ურთიერთობების აღდგენა, მორიგ გამარჯვებად აღიქვეს და ჩათვალეს, რომ ხელი შეუშალეს ისრაელის გეგმების განხორციელებას.

ამერიკელი პუბლიცისტი თომას ლაიფსონი (Thomas Lifson) American Thinker-თან საუბრობს აშშ-ს „გამაოგნებელ დამარცხებაზე“, არ-რიადსა და თეირანს შორის ურთიერთობების განახლების გამო, რომ ჩინეთმა მოახერხა „ორი მოსისხლე მტრის“ დარწმუნება ურთიერთობების ნორმალიზებაზე.

მაგრამ არ შეიძლება ითქვას, რომ სამეფოს შეთანხმება ირანთან, მისი ისრაელთან ნორმალიზების მცდელობებს აქარწყლებს. ისრაელის ფარული კავშირები სამეფოსთან გრძელდება. შეიძლება დავეთანხმოთ ბანზელს და ჰაიკალს იმის წინასწარმეტყველებაში, რომ საუდელები საბოლოო შედეგად დაამყარებენ მშვიდობას ისრაელთან რამდენიმე მიზეზის გამო. ისრაელი წარმოადგენს ეკონომიკური განვითარებისა და ტექნოლოგიური სრულყოფილების მოდელს, რომლითაც აღფრთოვანებულია MBS და სურს მიბაძოს მას.

სამეფოს გეგმები განპირობებულია პრაგმატიზმით და არა იდეოლოგიით, მითუმეტეს ისეთით, როგორიცაა აჩემებული არაბული ნაციონალიზმი და ისლამიზმი. ისრაელთან მშვიდობა დაფუძნებული იქნება ხარჯებისა და სარგებლიანობის ანალიზზე და გრძელვადიან პერსპექტივაში მშვიდობის სარგებელი ბევრად გადაწონის მის ალტერნატივას.

როგორც თვლის ყურის ქვეყნების ექსპერტი, ჰაიფას უნივერსიტეტიდან, დოქტორი მორან ზაგა (Moran Zaga), ცოტა ქვეყანა თუ სარგებლობს გავლენით ისრაელის ლიდერებზე, საზოგადოებრივ აზრზე ისე, როგორც მისი ახალი მოკავშირეები ყურეში. ასე, ებრაელთა უმეტესობა საუდის არაბეთს უყურებს, როგორც მათ ყველაზე მნიშვნელოვან სტრატეგიულ აქტივს და „მარგალიტს“ ახლო აღმოსავლეთში ისრაელის ინტეგრაციის გვირგვინში.

იმ ქვეყნებს, რომლებმაც გადანყვიტეს ისრაელთან ურთიერთობის ნორმალიზება, უწევთ უფრო დაუინებოთ პალესტინის მხარდაჭერის დემონსტრირება, ვიდრე სხვებს, ვინაიდან მათი კავშირები ისრაელთან ხშირად განიხილება პალესტინელთა ინტერესების ღალატად. ის არაბები, რომლებმაც დაამყარეს ურთიერთობა ისრაელთან, უფრო მეტად ეხმარებიან კიდევ პალესტინელებს, ვიდრე სხვა არაბული სახელმწიფოები.

საუდელები კი სამშვიდობო გარიგებას ხელს არ აწერენ აქამდე იმიტომ, რომ არაბული ქუჩა ჯერ საბოლოოდ არ არის მზად ასეთი შემობრუნებისთვის. ჯერ კიდევ უნდა მიეჩვიოს საზოგადოება იმ აზრს, რომ ამაში არაფერია „საძირკვლების ნგრევის“ მსგავსი. ანუ პრობლემა თავად ისრაელთან გარიგებაში კი არაა, არამედ იმაში, თუ რა ფორმით უნდა წარედგინოს საზოგადოებას, რაც მოგვარებადია. ასე რომ, ებრაელები არ უნდა დარდობდნენ, ირანთან შეთანხმებაც არ წარმოადგენს დაბრკოლებას მათთან გარიგების დამყარების გზაზე.

ბოლო დროს გავრცელდა ინფორმაცია, რომ საუდის არაბეთი პალესტინის ხელისუფლებას ფინანსური მხარდაჭერის განახლებას სთავაზობს, რაც იმის ნიშანია, რომ სამეფო ისრაელთან ურთიერთობების დამყარების გზაზე, დიდ ძალისხმევას მიმართავს. საუდის არაბეთის ოფიციალურმა პირებმა განაცხადეს, რომ ისინი ცდილობენ მოიპოვონ პალესტინის ავტონომიის ლიდერის მაჰმუდ აბასის (Mahmoud Abbas) მხარდაჭერა, ისრაელთან ურთიერთობების დამყარების საქმეში, რაც მეტ ლეგიტიმურობას მიანიჭებდა ნებისმიერ შეთანხმებას და თავიდან აიცილებდა ბრალდებებს იმის შესახებ, რომ არ-რიადი სწირავს „ორი სახელმწიფოს – ორი ხალხის“ იდეას, თავისი მიზნების მისაღწევად.

საუდის არაბეთი, პალესტინელების გულუხვი მხარდამჭერია 1948 წლიდან. არ-რიადმა 5 მილიარდ აშშ დოლარზე მეტი გაუგზავნა პალესტინელებს, თუმცა, 2016 წლიდან დაფინანსება შემცირდა არაკომპეტენტურობისა და კორუფციის ბრალდებების ფონზე.

„პალესტინის ეროვნული ადმინისტრაციის“ (PNA) წარმომადგენლები არ-რიადში თავის კოლეგებს შეხვდნენ. გარდა ამისა, PNA-ს დელეგაციამ არ-რიადში გამართა მოლაპარაკებები აშშ-ს სახელმწიფო მდივნის თანაშემწესთან ახლო აღმოსავლეთის საკითხებში ბარბარა ლიფთან (Barbara A. Leaf). მასთან საუბარში PNA-ს წარმომადგენლებმა განაცხადეს, რომ სამეფოსა და ისრაელს შორის ნორმალიზებაზე დათანხმდებიან მხოლოდ რამდენიმე ძირითადი პირობის დაკმაყოფილების შემთხვევაში – დასავლეთ სანაპიროზე ისრაელის კონტროლირებადი ტერიტორიები (არეალი C) PNA-ს დაქვემდებარებაში უნდა იყოს და ებრაულ ახალ დასახლებებმა დასავლეთ სანაპიროზე უნდა შეწყვიტოს გაფართოება. ასევე, პალესტინელები საუდულებისგან 2019 წელს შეჩერებული ფინანსური მხარდაჭერის აღდგენას ითხოვენ, ყოველწლიურად 200 მლნ. აშშ დოლარის ოდენობით. აშშ-მა კი, თავის მხრივ, უნდა განაახლოს საკონსულო იერუსალიმში, პალესტინელებისთვის, რომელიც დახურა ყოფილმა პრეზიდენტმა ტრამპმა და ასევე ხელი შეუწყოს ისრაელსა და პალესტინის შორის მოლაპარაკებების განახლებას იმავე ეტაპიდან, სადაც ისინი შეჩერდა 2014 წელს.

4 სექტემბერს ისრაელის პრემიერმა ბენიამინ ნეთანიაჰუმ გამოთქვა რწმენა, რომ მის სახელმწიფოსა და საუდის არაბეთს შორის ურთიერთობების ნორმალიზება შესაძლებელია ახლო მომავალში და ეს დაამყარებს ძლიერ კავშირს ქვეყნებს შორის ევროპიდან აზიამდე.

ამას მოჰყვა 10 სექტემბერს ისრაელის საგარეო საქმეთა სამინისტროსა და სიძველეთა სამმართველოს დელეგაციის ჩასვლა საუდის არაბეთში UNESCO-ს კომიტეტის სხდომაში მონაწილეობის მისაღებად. ეს იყო პირველი შემთხვევა, როცა ისრაელის სამთავრობო დელეგაცია ოფიციალურად ეწვია საუდის არაბეთს, რაც კიდევ ერთი მნიშვნელოვანი სიგნალია არ-რიადის მხრიდან, ისრაელთან ურთიერთობების შესაძლო დათბობაზე.

„აბრაამის შეთანხმების“ მიზანი, შექმნილიყო არაბეთ-ისრაელის ალიანსი, ირანის შესაკავებლად, ბაიდეის ადმინისტრაციამ ფაქტობრივად განაგრძო, თუმცა თავდაპირველად ირანთან ახალი ბირთვული შეთანხმების დადებას აპირებდა.

კიდევ ერთი მნიშვნელოვანი მოვლენა – მიმდინარე წლის 18 სექტემბერს, საუდის არაბეთმა უმასპინძლა გაეროს გენერალური ასამბლეის (UNGA) ღონისძიებას, რომელიც მიზნად ისახავს პალესტინა-ისრაელის სამშვიდობო პროცესის განახლებას.

ინიციატივა „მშვიდობის დღე მშვიდობისთვის ახლო აღმოსავლეთში“ (Peace Day Effort for Middle East Peace) ორგანიზებულ იქნა, ნიუ-იორკში UNGA-ს შეხვედრის ფარგლებში, საუდის არაბეთის, „არაბულ სახელმწიფოთა ლიგის“ და ევროკავშირის მიერ, იორდანის და ეგვიპტის მონაწილეობით.

ღონისძიება ხორციელდება საუდის არაბეთსა და ისრაელს შორის ურთიერთობების ნორმალიზებაზე მიმდინარე მოლაპარაკებების ფონზე. არ-რიადმა კიდევ ერთხელ დაადასტურა, რომ პალესტინის სახელმწიფოებრიობა მათი მოლაპარაკებების სტრატეგიის საფუძველში დევს. პალესტინელი და ისრაელის ოფიციალური პირები არ ესწრებოდნენ ფორუმს, მაგრამ გაეროს ერთ-ერთმა დიპლომატმა განუცხადა The Times of Israel-ს, რომ ეს ინიციატივა „ააღორძინებს“ მიძინებულ „ახლო აღმოსავლეთის სამშვიდობო პროცესს“.

შეხვედრის ორგანიზატორებმა შექმნეს სამუშაო ჯგუფები, რომლებსაც დაევალებათ ყოვლისმომცველი „მშვიდობის მხარდაჭერის პაკეტის“ (Peace Supporting Package) კომპონენტების შემუშავება. პროგრესი შეფასდება ყოველ სამ თვეში ერთხელ და პირველი შეფასება 2023 წლის დეკემბერში გაიმართება.

საუდის არაბეთის მემკვიდრე უფლისწულმა Fox News-თან ვრცელ ინტერვიუში კითხვაზე, უახლოვდება თუ არა საუდის არაბეთი ისრაელთან სამშვიდობო შეთანხმებას, განაცხადა, რომ „ყოველდღე უფრო ახლოს ვართ ისრაელთან შეთანხმებასთან“. მიუხედავად ბოლოდროინდელი სპეკულაციებისა, მან უარყო ინფორმაცია იმის შესახებ, რომ საუდის არაბეთმა შეაჩერა მოლაპარაკებები ისრაელთან, რასაც დაემატა სამეფოს მიერ რეგიონის რუკების გამოშვების ინციდენტი, სადაც ისრაელის ტერიტორიას ეწოდება „პალესტინა“.

MBS-ის თქმით, პალესტინის საკითხი ძალიან მნიშვნელოვანია ისრაელთან ურთიერთობის ნორმალიზების შესახებ შეთანხმების დასადებად: „ვიმედოვნებთ, რომ შეთანხმება გაუადვილებს ცხოვრებას პალესტინელებს“. მან განმარტა, რომ თუ ისრაელსა და საუდის არაბეთს შორის ურთიერთობაში გარღვევა მოხდება, ის მზად იქნება იმუშაოს ისრაელის ნებისმიერ ლიდერთან: „საუდის არაბეთის პოლიტიკის მიხედვით, ჩვენ არ გვაინტერესებს სხვა ქვეყნის ლიდერის პიროვნება. თუ შევძლებთ შეთანხმების მიღწევას ..., ჩვენ დავამყარებთ ურთიერთობას ისრაელთან, მიუხედავად იმისა, თუ ვინ უხელმძღვანელებს მას“. MBS-ის სიტყვები გაკეთდა აშშ-ს პრეზიდენტის და ისრაელის პრემიერის შეხვედრის შემდეგ, რომელიც წინა დღეებში ნიუ-იორკში შედგა.

ყოველივე ზემოხსენებულის შეჯამებისას, შეიძლება მკაფიო დასკვნის გამოტანა – **საკითხი იმაში კი არ მდგომარეობს, მოახდენს თუ არა საუდის არაბეთი ისრაელთან ურთიერთობების ნორმალიზებას, არამედ იმაში, თუ როდის და როგორ მოახდენს.**

გამოყენებული ლიტერატურა:

- „ამერიკის ხმა“ (VOA), 2020. „ისრაელმა და არაბთა გაერთიანებულმა საამიროებმა ტრამპის დახმარებით ისტორიულ შეთანხმებას მიაღწიეს“, 13 აგვისტო, 2020; [წვდომა 12.09.2023]
<https://www.amerikiskhma.com/a/with-trumps-help-israel-and-the-united-arab-emiratesreach-historic-deal-to-normalize-relations/5542355.html>
- Barak Ravid, 2023. “Scoop: Palestinians gave Saudis list of what they want in Israel-Saudi peace deal”, *AXIOS*, August 30, 2023; [Accessed 22.09.2023]
<https://www.axios.com/2023/08/30/saudi-israel-megadeal-palestinians-biden-list>
- Cole Bunzel, Bernard Haykel, 2023. “Will Saudi Arabia Normalize Relations with Israel? The Caravan”, *Hoover Institution*. March 7, 2023; [Accessed 22.09.2023]
<https://www.hoover.org/research/will-saudi-arabia-normalize-relations-israel>
- EEAS Press Team, 2023. “MEPP: The EU, Saudi Arabia, the Arab League, in cooperation with Egypt and Jordan, launch the Peace Day Effort for Middle East Peace, and invite the world to join”. *European External Action Service (EEAS)*, September 18, 2023 [Accessed 22.09.2023]
https://www.eeas.europa.eu/eeas/mepp-european-union-saudi-arabia-arab-league-cooperation-egypt-and-jordan-launch-peace-day-effort_en#:~:
- Eldar Mamedov, 2023. “Will Israel follow Saudi Arabia and make a deal with Iran?” *Responsible Statecraft*, March 21, 2023; [Accessed 22.09.2023] <https://responsiblestatecraft.org/2023/03/21/can-israel-follow-saudi-arabia-and-make-a-deal-with-iran/>
- James Traub, 2023. “Netanyahu Has Drawn a Saudi-U.S. Road Map”. *Foreign Policy*, February 8, 2023; [Accessed 22.09.2023] <https://foreignpolicy.com/2023/02/08/netanyahu-israel-united-states-saudi-arabia-abraham-accords/>
- Jacob Magid, 2023. “Saudis co-hosting UN event aimed at revamping Israeli-Palestinian peace process”. *The Times of Israel*, September 14, 2023; [Accessed 22.09.2023]
<https://www.timesofisrael.com/saudis-co-hosting-un-event-aimed-at-revamping-israeli-palestinian-peace-process/>
- Kristian Coates Ulrichsen, Et al., 2023. “The Biden Administration and the Middle East in 2023”, *Arab Center Washington DC*, January 4, 2023; [Accessed 22.09.2023]
<https://arabcenterdc.org/resource/the-biden-administration-and-the-middle-east-in-2023/>

- Michael Crowley, Et al., 2023. “Saudi Arabia Offers Its Price to Normalize Relations With Israel”. *New York Times*, March 9, 2023; [Accessed 22.09.2023]
<https://www.nytimes.com/2023/03/09/us/politics/saudi-arabia-israel-united-states.html>
- Moran Zaga, 2023. “A Growing Gulf: Israel Tests the Patience of Its New Abraham Accords Allies”. *Haaretz*, April 2, 2023; [Accessed 22.09.2023]
<https://www.haaretz.com/opinion/2023-04-02/ty-article-opinion/.premium/a-growing-gulf-israel-tests-the-patience-of-its-new-abraham-accords-allies/00000187-41ff-d14d-abb7-61ffb8960000>
- Parisa Hafezi, Nayera Abdallah & Aziz El Yaakoubi, 2023. “Iran and Saudi Arabia agree to resume ties in talks brokered by China”, *REUTERS*, March 10, 2023; [Accessed 22.09.2023]
<https://www.reuters.com/world/middle-east/iran-saudi-arabia-agree-resume-ties-re-open-embassies-iranian-state-media-2023-03-10/>
- Peter Aitken, 2023. “Bret Baier interviews Saudi Prince: Israel peace, 9/11 ties, Iran nuke fears: ,Cannot see another Hiroshima. The crown prince called normalization with Israel the ,biggest historical deal‘ in decades”, *Fox News*, September 20, 2023; [Accessed 22.09.2023]
<https://www.foxnews.com/world/bret-baier-interviews-saudi-prince-israel-peace-ties-iran-nuke-fears-cannot-see-another-hiroshima>
- Shane Harris, Et al., 2018. “CIA concludes Saudi crown prince ordered Jamal Khashoggi’s assassination”, *The Washington Post*, November 16, 2018; [Accessed 22.09.2023]
https://www.washingtonpost.com/world/national-security/cia-concludes-saudi-crown-prince-ordered-jamal-khashoggis-assassination/2018/11/16/98c89fe6-e9b2-11e8-a939-9469f1166f9d_story.html
- The Guardian, 2002. “Arab peace initiative”, March 28, 2002; [Accessed 22.09.2023]
https://www.theguardian.com/world/2002/mar/28/israel7_
- Thomas Lifson, 2023. “Connecting the dots on Nordstream sabotage and China’s sudden emergence as a Middle East peace broker”, *American Thinker*, March 14, 2023; [Accessed 22.09.2023]
https://www.americanthinker.com/blog/2023/03/connecting_the_dots_on_nordstream_sabotage_and_chinas_sudden_emergence_as_a_middle_east_peacebroker.html
- United Nation, 2002. “The Question of Palestine: Arab Peace Initiative – LAS Summit – Letter from Lebanon (excerpts)”, March 28, 2002; [Accessed 22.09.2023]
<https://www.un.org/unispal/document/auto-insert-181223/>
- U.S. Department of State, 2021. “The Abraham Accords“, April 2, 2021; [Accessed 22.09.2023]
<https://www.state.gov/the-abraham-accords/>
- Гай Альстер, 2023. «Бин Салман не рассчитывает на США и выбирает нормализацию с Ираном», *Detaly.co.il*, 12 Марта, 2023; [Accessed 22.09.2023]
<https://detaly.co.il/bin-salman-ne-rasschityvaet-na-ssha-i-vybiraet-normalizatsiyu-s-iranom>
- Икрам Нур, 2022. «Саудовская Аравия и Израиль подошли к миру», *Haqqin.az*, 8 Июня, 2022 [Accessed 22.09.2023] <https://haqqin.az/news/249283>
- Редакция, 2023. «Вот как Саудовская Аравия пытается нормализовать отношения с Израилем», *Detaly.co.il*, 29 Августа, 2023; [Accessed 22.09.2023]
<https://detaly.co.il/vot-kak-saudovskaya-araviya-pytaetsya-normalizovat-otnosheniya-s-izrailem>

DYNAMICS OF NORMALIZATION OF RELATIONS BETWEEN ISRAEL AND SAUDI ARABIA IN THE CONTEXT OF THE MEDIATION OF THE JOE BIDEN ADMINISTRATION

Israel and KSA, the opposing states until recently, are getting closer day by day. Saudi Arabia's accession to "Abraham Accords" and normalization of relations with Israel will be a very important step, which may assist other Arab and Muslim countries to take the same step towards Israel.

The two countries have a common regional opponent – Iran, limitation of whose regional expansion is their vital interest. They have a common ally – the United States. Only by these two parameters, convergence of the KSA and Jewish state are objectively inevitable. Joe Biden's administration discusses with Saudi Arabia normalization of relations with Israel and the ability to join "Abraham Accords". Unless the issue of Palestine, an agreement with Israel would be reached even tomorrow.

Key words: Middle East conflict, Israel, Kingdom of Saudi Arabia, USA

მიგრაციის მართვის სისტემების მოქალ მიმოხილვა – საერთაშორისოდან ეროვნულ დონემდე

*„.... ამ თემის აქტუალობის მიუხედავად (ან, სწორედ ამ მიზეზით),
თითქმის არცერთხელ არ ყოფილა მცდელობა, დადგენილიყო,
თუ სინამდვილეში რას ნიშნავს 'მიგრაციის მართვა'“.“*

Martin Geiger, Antoine Pécoud (2012)

რეზიუმე

უკვე აღიარებულია ფაქტი, რომ თანამედროვე მიგრაციის მართვა ტრადიციული სისტემებით/ მექანიზმებით არაეფექტურია. ამის მიზეზი თავად მიგრაციის სფეროა, რომელიც ისე განვითარდა, რომ ნელ-ნელა სახელმწიფო მოწყობის პრაქტიკულად ყველა სფეროში შეაღწია და საკუთარი წესები და სტანდარტები დაამკვიდრა. სათანადოდ, ასეთმა რეალობამ ახალი იდეები და, მათთან ერთად, გადანაცვრებიც წარმოშვა, რამაც, თავის მხრივ, საფუძველი ჩაუყარა სფეროსადმი ახლებურ მიდგომას სახელწოდებით – „მიგრაცია და განვითარება“. მიდგომის ნოვატორული არსის მიუხედავად, აზრები მაინც გაიყო მასზე, თუ როგორი უნდა ყოფილიყო ასეთ მიდგომაზე დაფუძნებული მიგრაციის მართვის სისტემა, კერძოდ, ერთ- (ე.ი. ტრადიციული) თუ მრავალსუბიექტური (ე.ი. კორპორაციული). საბოლოო ჯამში, პრაქტიკისა და მოცემულობების გათვალისწინებით, უფრო მეტი მხარდამჭერი მოიპოვა მართვის კორპორაციულმა სისტემამ, რაც მოქმედი აქტორების საერთო პლატფორმაზე გაერთიანებას და კოორდინირებულ თანაქმედებას გულისხმობს.

ადამიანთა მიგრაცია თავისი ბუნებით, ხასიათითა და მამოძრავებელი ფაქტორებით ერთ რიგში დგას დედამიწაზე მოსახლე სხვა ცოცხალ ორგანიზმთა მიგრაციულ პროცესებთან და ეფუძნება საერთო თვისებრივ მახასიათებლებს. სწორედ ამიტომ მიგრაციის წარმოშობა შეიძლება მივიჩნიოთ ადამიანის გაჩენის პარალელურ მოვლენად და იმ ელემენტად, რომელიც მუდმივ და მნიშვნელოვან გავლენას ახდენს ჩვენს ცხოვრებაზე. უკეთესი ყოფითი ან ეკონომიკური პირობების ძიება, ბუნებრივი თუ ადამიანური ფაქტორებისგან გამომწვეული კატაკლიზმებისგან თავის დაღწევის მცდელობა, პოლიტიკა, სამხედრო კამპანიები და მოგზაურობები – არის ის უცვლელი და ძირითადი მიზეზები, რომლებიც საუკუნეების განმავლობაში სხვადასხვა მასშტაბით განაპირობებს ხალხთა მიგრაციას. პრეისტორიული ხანიდან დღემდე ადამიანის ამგვარ გადაადგილებას სისტემური ხასიათი ჰქონდა და იმართებოდა საკუთარი დროისათვის დამახასიათებელი მექანიზმებით.

პრიმიტიული და ადრეული სისტემის მართვის თანამედროვე, ე.წ. 'ჭკვიან' სისტემად გარდაქმნამდე ხანგრძლივმა დრომ განვლო. მიუხედავად იმისა, რომ ადამიანის მონაწილეობით მიგრაციის ორგანიზებული პროცესები დაახლოებით 200 000-წლიან პერიოდს მოიცავს, მისი გამომწვევი მიზეზებისგან განსხვავებით, მართვის მექანიზმები დინამიკურად იცვლება და ქვეყნების, რეგიონებისა და კონტინენტების მიხედვით ზოგ შემთხვევაში რადიკალურადაც კი განსხვავდება. თუმცა უფრო მართებული იქნება, ითქვას, რომ იცვლება მასშტაბები და ტექნოლოგიები, ხოლო ისტორიულად

დამკვიდრებული მოდელები მაინც უცვლელია. თუ ყურადღებით გადავავლებთ თვალს მიგრაციის ისტორიას, ადვილად შევამჩნევთ, რომ თანამედროვე პოპულარული ტერმინების (სავიზო რეჟიმი, ცირკულარული მიგრაცია, ტრეფიკინგი, არალეგალური მიგრაცია და სხვ.) უკან დგას შეიძლება უფრო პრიმიტიული, მაგრამ სრულიად ანალოგიური დატვირთვის მქონე უძველესი პრაქტიკა, რომელიც ან დავინწყებული და ხელმეორედ აღმოცენებული, ან უბრალოდ ახალი სახელწოდებით გვევლინება.

XXI საუკუნის მიგრაციული პროცესების ძირითადი მასაზრდოებელი წყარო გასული ასწლეულის განმავლობაში სხვადასხვა ისტორიული მოდელის შერწყმის საფუძველზე ფორმირებული მიგრაციული პოლიტიკა და მისგან მომდინარე მართვის სისტემაა. გარკვეულწილად, სწორედ ამ, დღევანდელი სათვალის მეტად მოძველებულმა მიგრაციის მართვის სისტემამ განაპირობა თანამედროვე მიგრაციული პროცესები და წარმოშვა მათი მართვის ძირეულად, გლობალურ და ეროვნულ დონეებზე ხელახლა გააზრებისა და რეფორმირების აუცილებლობა.

საკვანძო სიტყვები: მიგრაციის მართვა; ეროვნული, რეგიონული და გლობალური მართვის სისტემები.

მიგრაციის მართვის სისტემა

ერთი შეხედვით, თუკი მიგრაციის გამომწვევი მიზეზები, თავისი არსით, ფაქტობრივად, უცვლელად გადადის ერთი ეპოქიდან მეორეში და დღემდე ამგვარი სახით მოაღწია, მაშინ თანამედროვე ტექნოლოგიების შესაძლებლობებით მიგრაციული პროცესების მართვა როგორც ეროვნულ, ასევე საერთაშორისო დონეზე მეტად მარტივ პროცესად შეიძლება მოგვეჩვენოს, განსაკუთრებით, ათასწლეულების განმავლობაში დაგროვილი გამოცდილებისა და ამ ბაზაზე დახვეწილი პრაქტიკის გათვალისწინებით. თუმცა რეალობაში მართვის არათუ საყოველთაო, არამედ ეროვნულ დონეზე იდეალურად გამართული და საერთაშორისოსთან თავსებადი მოდელის მოძიებაც გაჭირდება. ამის ერთ-ერთი მიზეზთაგანია აცდენა მართვის ინდივიდუალურ სისტემებსა და გლობალურ პროცესებს და მექანიზმებს შორის. ან, უკეთეს შემთხვევაში, პარალელური, მაგრამ არაეფექტიანი ქმედება, რაც ისევ და ისევ ურთიერთისგან აცდენილი ინტერესების, შესაძლებლობებისა და რეალობების შედეგია.

ამგვარ ვითარებაში წინა პლანზე გამოდის წარმოშობის და დანიშნულების ქვეყნებში თავად ტერმინის – ‘მიგრაციის მართვა’ – აღქმა, რადგან ის, თუ როგორ განმარტავს და ახორციელებს ერთი ან მეორე მხარე ‘მართვას’, განსაზღვრავს მიგრაციის და თავად მიგრანტთა წარმატებას. პარალელურად გასათვალისწინებელია მესამე, ქვეყნის მიღმა, გლობალური (მათ შორის, რეგიონული) ფაქტორი, რომელიც საერთაშორისო დონეზე ხანგრძლივი დროის განმავლობაში გვთავაზობდა ტერმინის ინდივიდუალურ ინტერპრეტაციას.

არსებულ რეალობაში ტერმინთა განმარტება მართლაც რომ აუცილებელი ელემენტია მართვაში ჩართულ უკლებლივ ყველა მხარეს/დონეს შორის საერთო ენის გამონახვის ან თუნდაც მარტივი კოორდინაციის (ზოგ შემთხვევაში, უბრალოდ კომუნიკაციის) დამყარების მიზნით. კოორდინაცია კი უმნიშვნელოვანესი ელემენტია და მისი არარსებობა მხარეებს/დონეებს შორის შედეგზე ორიენტირებული თანამშრომლობის ერთ-ერთ მთავარ ხელისშემშლელ მიზეზს წარმოადგენს. მოცემულობაში, როდესაც მიგრაციის ეროვნულ დონეზე მართვა გარკვეულ ასპექტებში (შესაძლოა ძირითადად) გახდა საერთაშორისო სისტემის ნაწილი და ამ უკანასკნელის წარმატებული ქმედება პირდაპირ უკავშირდება ეროვნული სისტემის გამართულ მუშაობას და პირიქით, გადამწყვეტ როლს იძენს კომპლექსური ქმედება, რაც აუცილებელია საჭირო და მდგრადი მექანიზმების შესაქმნელად, მათ გასავითარებლად და გამომწვევებზე დროული რეაგირების უზრუნველსაყოფად.

ეროვნული გადმოსახედიდან ზემოხსენებულ ინტერაქციას სამგანზომილებიანი პერსპექტივა – ადგილობრივი, რეგიონული და გლობალური – გააჩნია. სამივე მათგანი ურთიერთზე უკიდურესად დამოკიდებულია. ადგილობრივი (ე.ი. ეროვნული) პლატფორმა, რომელიც გავლენას ახდენს მომდევნო ორზე, მრავალწინაგოვანია და გარკვეულწილად დამოკიდებულია მათზე, ვისზეც თავად ახდენს გავლენას. დღეს კოორდინაცია ამ სამეულს შორის ჰგავს (ან უნდა ჰგავდეს) გვირაბის მშენებლობის პროცესს, სადაც ორი გუნდი საპირისპირო მხრიდან (ზოგჯერ დონიდან) მესამე გუნდის დახმარებით მიიწვევს კვეთის საერთო წერტილისკენ. პროექტი წარმატებულად ითვლება მაშინ, როდესაც დასასრულს გვირაბი ერთდება სწორედ იმ წერტილში, რომელიც სამივე, სხვადასხვა პოზიციიდან მყოფმა გუნდმა ერთობლივად განსაზღვრა.

თანამედროვე მიგრაციის მულტიდისციპლინური ბუნების გათვალისწინებით, მის მართვაში ჩაბმულ აქტორთა რიცხვი როგორც ეროვნულ, ასევე საერთაშორისო დონეებზე წლიდან წლამდე იზრდება, რაც იწვევს მათი კოორდინირებული ქმედების გარდაუვალ აუცილებლობას. ეროვნულ დონეზე მიგრაციის მართვის სფეროში არსებული უახლესი ვითარების საერთო ანალიზით ადვილად მივალთ იმ დასკვნამდე, რომ ამგვარი შეთანხმებული და ამავდროულად ეფექტიანი თანაქმედებისთვის საჭიროა დღევანდელ მოთხოვნებზე სწორად მორგებული, მრავალფუნქციური, მოქნილი მექანიზმი, რომელსაც შესწევს ძალა, აწარმოოს სინქრონული, ურთიერთგადაჭაჭვული, მაღალი ხარისხის კოორდინაცია უკლებლივ ყველა აქტორის მონაწილეობით. ამ გამოწვევაზე პასუხი არის საერთო პლატფორმა¹, რომელშიც თავს მოიყრის მიგრაციის სფეროში მოქმედი ყველა (მათ შორის, სფეროსთვის ახალი) მოთამაშე: დარგობრივი სახელმწიფო სტრუქტურები, საერთაშორისო ორგანიზაციები, სამოქალაქო საზოგადოება, აკადემია, მუნიციპალიტეტები, ადამიანის უფლებათა დამცველნი, კერძო სექტორი და თავად მიგრანტები.

კორპორაციული მოწყობის ამგვარ ჯგუფს შეუძლია შეიმუშაოს, დაგეგმოს, კოორდინაცია გაუწიოს და წარმატებით მართოს მიგრაციის ინტეგრირებული პოლიტიკა, სადაც ყველას როლი პრაგმატულად განაწილდება და იქნება კოორდინაციის ერთიანი სქემის ნაწილი. ეს საქმეში გამორიცხავს გადაფარვას, პარალელურ ქმედებას და დუბლირებას, რაც განაპირობებს ეფექტიან მართვას და უზრუნველყოფს მიღებული გადაწყვეტილებების მდგრადობას. მეორე მხრივ, ასეთ მექანიზმს, თუკი მისი ანალოგი ზედა დონეზეც არსებობს, შეუძლია ეროვნულ და საერთაშორისო დონეებს შორის სუსტი ან დაგვიანებული კომუნიკაციის პრევენცია და ამის საპირწონედ გამართული თანამშრომლობის წარმართვა.

გარკვეული პერიოდის განმავლობაში მიგრაციის მართვის სფეროში ასეთი კორპორაციული ორგანოების შექმნის საბოლოო მიზანი არ გულისხმობდა მართვის მუდმივმოქმედი ინტეგრირებული სისტემის ჩამოყალიბებას. იდეის არსი ის გახლდათ, რომ ასეთ ორგანოს საფუძველი უნდა მოემზადებინა იმ ერთი სტრუქტურისათვის, რომელიც, საბოლოო ჯამში, ჩაიბარებდა სფეროს მართვას. თუმცა ამ დროს თავად სფეროც და მისი მართვაც ტრადიციული გაგების შედარებით უფრო ვიწრო ჩრდილში აღიქმებოდა. მიგრაციული პროცესების გააქტიურებამ კი წარმოაჩინა თემის სხვა, აქამდე უცნობი მხარეები და მათთან ერთად ის შესაძლებლობები, რაც ერთდროულად მიგრაციის რეგულირების და მისი დადებითი შედეგის გამოყენების შესაძლებლობას იძლეოდა. აუცილებელი გახდა დისციპლინის უფრო სიღრმისეული და კომპლექსური გააზრება, რამაც კორპორაციის ფუნქციების ერთ სტრუქტურაში გადატანის პროცესი შეაჩერა და პირიქით, მისი, როგორც მართვის ერთადერთი მართებული ინსტრუმენტის, განვითარება განაპირობა. ხოლო იქ, სადაც მხოლოდ ერთი სტრუქტურა უძღვებოდა მართვას, დაიწყო ფიქრი/მუშაობა მის კორპორაციად გარდაქმნასა და სფეროს მრავალაქტორიანი ძალებით მართვაზე.

მიგრაციის ამ სახით მართვა არის ის მთავარი ელემენტი, რაც უზრუნველყოფს მის კავშირს განვითარებასთან. სათანადოდ, ცნება „მიგრაცია და განვითარება“ არ ატარებს აქსიომურ ხასიათს,

¹ საქართველოს შემთხვევაში ასეთი პლატფორმის ჩამოყალიბება და მისი შემდგომი განვითარება უკავშირდება ევროინტეგრაციის პროცესს და განსაკუთრებით ევროკავშირთან სავიზო რეჟიმის ლიბერალიზაციის სამოქმედო გეგმის იმპლემენტაციას.

არის ფართო გაგების და გულისხმობს ყველა იმ მიმართულების კოორდინირებულ, სწორ და პრაგმატულ ორკესტრირებას, რომელიც ქვეყნის განვითარებას უწყობს ხელს, რაც უზრუნველყოფს იმას, რომ თითოეული შემადგენელი თემატური მიმართულება ჩამოყალიბებულია საერთო ხედვისა და მიზნის შესაბამისად, ხოლო ამ მიზნების მისაღწევად მართვა ხორციელდება კოორდინირებული და თანაბარი ვალდებულებებით თანამშრომლობის გზით.

ამრიგად, რაც უფრო კომპლექსური და განვითარებულია მიგრაციული პროცესები, მით უფრო გუნდური და კოორდინირებული ქმედება მოითხოვება. და ეს ეხება სამივე დონეს ცალ-ცალკე და ყველას ერთად – ეროვნულ-რეგიონულიდან დაწყებული, გლობალურით დამთავრებული და პირუკუ. სათანადოდ, სწორად, მაგრამ განცალკევებულად მართული კოორდინაცია გლობალურ დონეზე სრულებით არ ნიშნავს მის იდეალურ, ან საერთოდ თავსებადობას ეროვნული ან რეგიონული დონის სისტემებთან და პირიქით. ნებისმიერ დონეზე ფრაგმენტულმა და დანაწევრებულმა ქმედებამ შეიძლება დააზიანოს პროცესები ორივე – საკუთარ და სხვა – დონეზე.

* * *

როგორც დასაწყისშივე აღინიშნა, მიგრაციის მართვის სრულიად მოძველებულმა აღქმამ განაპირობა თანამედროვე მიგრაციული პროცესები და წარმოშვა მათი ყველა დონეზე დარეგულირების აუცილებლობა. რასაკვირველია, პროცესებში პირველ რიგში იგულისხმება 2013 წელს დაწყებული და 2015-ში თავის პიკს მიღწეული მიგრაციული კრიზისი და დიდწილად მისი ბიძგიტო კოორდინაციის მიზნით სამივე დონეზე შექმნილი მართვის მრავალსექტორიანი მექანიზმები და მათი განსახორციელებელი ინსტრუმენტები (ეროვნულ დონეზე – ახალი თაობის სტრატეგიული ხედვები და შესაბამისი სტრუქტურები; რეგიონულზე – ევროკავშირის ახალი პაქტი მიგრაციასა და თავშესაფარზე; საერთაშორისოზე კი – გლობალური შეთანხმება მიგრაციაზე და გაეროს მიგრაციის ქსელი). ამიტომაც, შეიძლება ითქვას, რომ დღეს 'მართვის' შეჯერებულ განმარტებაზე საყოველთაო თანხმობა უკვე არსებობს და გულისხმობს უკლებლივ ყველა აქტორის მაქსიმალურ ჩართულობას, ამ სიტყვის ფართო გაგებით. თუმცა დინამიკურად (განსაკუთრებით კლიმატური და ეკოლოგიური მიზეზებით) ცვალებადი თანამედროვე მიგრაციული პროცესები აუცილებლად მოითხოვს ასეთი მექანიზმების მუდმივ დახვეწას, რათა უზრუნველყოფილ იქნეს რეალობასთან სწრაფი ადაპტაცია და, მასთან ერთად, მიზნობრივი და პარალელური ქმედება ყველა დონეზე.

გამოყენებული ლიტერატურა

- ICMPD. (2017). მიგრაციის სახელმძღვანელო – „მიგრაციის ისტორია“. თბილისი, ISBN 978-3-903120-07-5.
- Audebert, C., Kamel Dorai, M. (Eds.). (2010). Migration in a Globalised World – New Research Issues and Prospects. Amsterdam University Press.
- Bulliet, R.W., Kyle Crossley, P., Headrick, D.R., Hirsch, S.W., Johnson, L.L., Northrup, D. (2006). The Earth and its Peoples: a Global History. Advanced Placement Edition, 3rd edn, Houghton Mifflin Company, Boston, NY. Library of Congress Catalog Card Number: 2003113993.
- Cohen, J.H., Sirkeci, I. (2011). Cultures of Migration – The Global Nature of Contemporary Mobility. University of Texas Press.
- EU. (2020). New Pact on Migration and Asylum.
https://home-affairs.ec.europa.eu/policies/migration-and-asylum/new-pact-migration-and-asylum_en
Accessed: 14.09.2023

- Faist, T., Fauser, M., Kivisto, P. (2011). (Eds.). *The Migration – Development Nexus – A Transnational Perspective*. Palgrave Macmillan.
- Geiger, M., Pécoud, A. (2012). *The Politics of International Migration Management*. NY, Palgrave Macmillan.
- IOM. *World Migration Report – 2022*.
<https://publications.iom.int/books/world-migration-report-2022> Accessed: 14.09.2023
- McKay, J.P., Hill, B.D., Buckler, J., Haru Crowston, C., Wiesner-Hanks, M.E. (2004). *A History of World Societies*. Boston, 9th edn.
- UN. *New York Declaration for Refugees and Migrants*. (2016); *Global Compact for Safe, Orderly and Regular Migration* (2018).
- Fisher, M.H. (2014). *Migration: A World History*. NY, Oxford University Press, 1st edn.

A BRIEF REVIEW OF MIGRATION MANAGEMENT SYSTEMS – FROM INTERNATIONAL TO NATIONAL LEVEL

The perception, and along with it, the management of migration had gone through a long way and was strongly affected by number of factors. Today most of its management systems, still mainly based on an old foundation, are being transformed in accordance with the modern challenges the states are facing worldwide, while the realities in the countries, regions and globally are very much differing.

Today it is a widely accepted opinion that governance/management of modern migration through conventional mechanisms/systems is ineffective. The reason for that is migration itself, which has increased to the extent that it has penetrated into practically all spheres of the state set-up and even introduced its own rules and standards, which are to be considered and very much taken into account. In a global search for most effective solutions, the migration management community came to the point where migration must establish a strong nexus with the development and apply its positive effect for country development along with enhancing management capacities.

In a modern world, much of the migration governance and management related problems are in most cases linked to several main characteristic aspects: *a.* understanding the meaning of Migration and Development based governance/management; *b.* scattered, or to be more correct – poor inter-agency communication and coordination; and *c.* miscommunication between levels (national, regional, global).

Thus, the article briefly goes through various levels of migration governance and management, highlighting the essence and necessity of a collaborative system of migration management and its significance in coping with modern challenges. Keeping that in mind, the current and future processes of governance and management systems' related reforms at a global, regional and national levels, are seen in a 3D perspective and respectively reviewed.

Key words: migration governance, management, national, regional and global governance, management systems.

ინფორმაცია ყოვლისმომცვედი რეგიონული ეკონომიკური პარტნიორობის შეთანხმების შესახებ

რეზიუმე

2020 წლის 12-15 ნოემბერს, ქ. ჰანოი პანდემიის გამო ვირტუალურ რეჟიმში მასპინძლობდა (ვიეტნამი 2020 წელს ASEAN-ის თავმჯდომარე ქვეყანა იყო) სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიის ქვეყნების ასოციაციის (ASEAN) რიგით 37-ე სამიტს, სადაც ხელი მოეწერა რეკორდული რაოდენობის, 80 სხვადასხვა სახის საერთაშორისო დოკუმენტს. თუმცა უდავოდ, სამიტის ყველაზე მნიშვნელოვან მიღწევად უნდა ჩაითვალოს 15 ნოემბერს ხელმოწერილი შეთანხმება ყოვლისმომცველი რეგიონული ეკონომიკური პარტნიორობის (Regional Comprehensive Economic Partnership – RCEP) შესახებ. საბოლოო ჯამში აღნიშნული შეთანხმება 2022 წლის 1 იანვარს შევიდა ძალაში.

მოლაპარაკებები შეთანხმების დადებაზე 8 წლის განმავლობაში მიმდინარეობდა და მასში მონაწილეობას იღებდა ASEAN-ის 10 წევრი-სახელმწიფო (ინდონეზია, მალაიზია, ფილიპინები, სინგაპური, ტაილანდი, ბრუნეი დარუსალამი, ვიეტნამი, მიანმარი, ლაოსი და კამბოჯა) და მისი ხუთი პარტნიორი ქვეყანა (ჩინეთი, იაპონია, სამხრეთ კორეა, ახალი ზელანდია და ავსტრალია).

15 სახელმწიფოს მიერ შექმნილი გაერთიანება მსოფლიოს უმსხვილეს თავისუფალი ვაჭრობის ბლოკს წარმოადგენს, რომელიც 2019 წლის მონაცემების თანახმად მოიცავს მსოფლიო მოსახლეობის 29%-ს, მსოფლიო ექსპორტის 26%-ს, მსოფლიო იმპორტის 25%-ს და მსოფლიო მშპ-ს 30%-ს.

ექსპერტების აზრით, RCEP-ის შეთანხმებას საკმაოდ დიდი პოტენციალი გააჩნია და ის მომავალი 10-20 წლის განმავლობაში შეამცირებს მთელ რიგ ტარიფებს იმპორტზე.

შეთანხმების მიზანია ინტეგრირებული ბაზრის შექმნა. RCEP საშუალებას აძლევს კომპანიებსა და მეწარმეებს გამართივებული წესებით და დამატებითი რეგულაციების გარეშე განახორციელონ შეთანხმებაში მონაწილე ქვეყნის ტერიტორიაზე საკუთარი პროდუქციის და მომსახურების მიწოდება. ამასთან, შეთანხმება ფოკუსირებულია ვაჭრობის, ინვესტიციების, ინტელექტუალური RCEP-ის შეთანხმება აერთიანებს ეკონომიკური განვითარების დონით სხვადასხვა საფეხურზე მყოფ ქვეყნებს. ერთ ბლოკში გაერთიანდა ნაკლებად განვითარებული, განვითარებადი და ეკონომიკურად განვითარებული ქვეყნები.

ამასთან შეთანხმებაში არაფერია ნახსენები მთავრობის სუბსიდიების, გარემოს დაცვის, შრომის სტანდარტების დაცვის და სოფლის მეურნეობის საკითხებზე.

მიუხედავად ზემოაღნიშნულისა, 20 თავისაგან შემდგარი RCEP-ის შეთანხმება მნიშვნელოვანი დოკუმენტია თავისი მასშტაბითა და შინაარსით.

ექსპერტების ვარაუდით, აშშ-ისა და ინდოეთის მიერ შეთანხმებაზე არ მიერთება ხელს შეუწყობს ჩინეთის გავლენის გაზრდას სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიის რეგიონში, სადაც პანდემიის მიუხედავად ჩინეთის სავაჭრო ბრუნვა მაინც მატულობს. შექმნილი ვითარებით ასევე მოგებული დაარჩებიან იაპონია და სამხრეთ კორეაც.

საკვანძო სიტყვები: შეთანხმება, ასეანი, სამხრეთ-აღმოსავლეთ აზია;

შეთანხმების მიზანია ინტეგრირებული ბაზრის შექმნა. RCEP საშუალებას აძლევს კომპანიებსა და მენარმეებს გამართივებული წესებით და დამატებითი რეგულაციების გარეშე განახორციელონ შეთანხმებაში მონაწილე ქვეყნის ტერიტორიაზე საკუთარი პროდუქციის და მომსახურების მიწოდება. ამასთან, შეთანხმება ფოკუსირებულია ვაჭრობის, ინვესტიციების, ინტელექტუალური

საკუთრების, ელექტრონული კომერციის, მცირე და საშუალო საწარმოების და ეკონომიკური თანამშრომლობის საკითხებზე.

RCEP-ის შეთანხმება აერთიანებს ეკონომიკური განვითარების დონით სხვადასხვა საფეხურზე მყოფ ქვეყნებს. ერთ ბლოკში გაერთიანდა ნაკლებად განვითარებული, განვითარებადი და ეკონომიკურად განვითარებული ქვეყნები.

წყნარი ოკეანის რეგიონის ქვეყნების თავისუფალი ვაჭრობის ყოვლისმომცველ და პროგრესულ შეთანხმებასთან (The Comprehensive and Progressive Agreement for Trans-Pacific Partnership – CPTPP) შედარებით, RCEP-ის შეთანხმება თავისი მოცულობით ნაკლებად ამბიციურია. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ამ ორ მეგა-რეგიონულ სავაჭრო შეთანხმებას შორის მნიშვნელოვანი განსხვავებებიც არსებობს.

CPTPP-ის შეთანხმება რეგიონულ ვაჭრობაში საქონლის 95%-ზე აუქმებს ტარიფებს, ხოლო RCEP კი მხოლოდ საქონლის 90%-ის ტარიფების გაუქმებას ისახავს მიზნად.

მეორე მხრივ, RCEP-ის შეთანხმების ინტელექტუალური საკუთრების დაცვის დებულებები დიდად არ განსხვავდება იმ დებულებებისაგან, რომლებზეც ქვეყნები შეთანხმდნენ ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაციაში განწვერიანების დროს. ამ მხრივ RCEP ჩამორჩება CPTPP-ის შეთანხმების მოთხოვნებს.

ამასთან, შეთანხმებაში არაფერია ნახსენები მთავრობის სუბსიდიების, გარემოს დაცვის, შრომის სტანდარტების დაცვის და სოფლის მეურნეობის საკითხებზე მაშინ, როდესაც ამ თემებს CPTPP არსებით პრიორიტეტს ანიჭებს.

მიუხედავად ზემოაღნიშნულისა, 20 თავისაგან შემდგარი RCEP-ის შეთანხმება მნიშვნელოვანი დოკუმენტია თავისი მასშტაბითა და შინაარსით.

შეთანხმების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი უპირატესობა მდგომარეობს იმაში, რომ ის რეგიონული მომარაგების ჯაჭვში ჩართულ მენარმეებს საქონლის წარმოშობის დამადასტურებელი სერტიფიკატების კუმულატიურ და ხელსაყრელ რეგულაციებს სთავაზობს.

RCEP უდიდესი ეკონომიკური პოტენციალის მქონე შეთანხმებაა ბაზრისა და სამუშაო ადგილების შექმნისათვის. ამასთან, ის ხელმომწერ ქვეყნებს უზრუნველყოფს ვაჭრობის და ინვესტიციების განხორციელებისათვის საჭირო სპეციფიკურ რეგულაციებზე დაფუძნებული პირობებით, რაც თავის მხრივ ხელს შეუწყობს წარმოების ქსელის და ბაზარზე ღირებულებათა დარიცხვის ჯაჭვის (Value chain) სტაბილურობას.

RCEP ხაზს უსვამს ASEAN-ის საკვანძო როლს რეგიონის ეკონომიკაში, რადგან თავისუფალი ვაჭრობის შეთანხმება უმთავრესად ამ ორგანიზაციის წევრი-ქვეყნების მიერ ინიცირებული დოკუმენტია. სავაჭრო პროტექციონიზმის ზრდის პირობებში RCEP-ის მიზანია ინტეგრაციის გაღრმავება ASEAN-ის ქვეყნებს შორის და რეგიონულ ბაზარზე წვდომის მოპოვება. RCEP ხელს შეუწყობს ურთიერთდამოკიდებულების ზრდას და ჩინეთ-აშშ-ის მიერ დაწესებული სავაჭრო ბარიერებით გამწვავებული ვითარების ნორმალიზებას.

დიდი ალბათობით, RCEP-ს ეკონომიკაში მიწოდების და წარმოების ქსელზე უფრო მეტი ეფექტი ექნება, ვიდრე მოთხოვნაზე.

მოთხოვნის დინამიკა შესაძლოა არ იყოს მნიშვნელოვანი იმის გათვალისწინებით, რომ აზიის რეგიონის ქვეყნები მნიშვნელოვან სარგებელს იღებენ სხვადასხვა თავისუფალი სავაჭრო

შეთანხმებებით გარანტირებული ტარიფების ლიბერალიზაციისაგან. ამ მხრივ აღსანიშნავია ისეთი შეთანხმებები როგორიცაა: ASEAN-ის ქვეყნებს შორის ხელმოწერილი შეთანხმებები, ASEAN-ჩინეთის, ASEAN-ავსტრალიისა და ASEAN-ახალი ზელანდიის სავაჭრო შეთანხმებები.

მრავალმხრივი სავაჭრო შეთანხმებების არსებობა მნიშვნელოვანი მომენთია, მაგრამ ეს სულაც არ ნიშნავს იმას, რომ მათ არსებითი გავლენა ექნებათ მოთხოვნის სფეროზე. ამ არგუმენტს საფუძველს უმყარებს ის გარემოება, რომ რეგიონულ ბაზრებს შორის ხელმოწერილი შეთანხმებების არსებობის შემთხვევაშიც კი, საგარეო მოთხოვნა ყოველთვის გადაწონის შიდა მოთხოვნას.

RCEP-ის შეთანხმებისაგან, კერძოდ კი მიწოდებისა და ASEAN-ის რეგიონული ღირებულებათა დარიცხვის ჯაჭვების (Regional value chain – RVC) უნიფიცირებისაგან სარგებელს მიიღებს როგორც შეთანხმების ხელმოწერი 15 ქვეყანა, ასევე მსოფლიოს დანარჩენი ქვეყნებიც.

ASEAN-ის 2019 წლის სავაჭრო-საინვესტიციო და ტურიზმის წახალისების ცენტრის ანგარიშის თანახმად, ორგანიზაციის მონაწილეობა გლობალურ ღირებულებათა დარიცხვის ჯაჭვში (GVC) საშუალოდ 61%-ს შეადგენს, მაშინ როდესაც მსოფლიოს სხვა რეგიონების მაჩვენებელი 57%-ია. აღსანიშნავია, რომ რეგიონული ღირებულებათა დარიცხვის ჯაჭვი მნიშვნელოვანი ფაქტორი ხდება.

მიუხედავად იმისა, რომ გლობალური ღირებულებათა დარიცხვის ჯაჭვის წილი 2015 წლიდან თითქმის არ შეცვლილა, რეგიონული ღირებულებათა დარიცხვის ჯაჭვის წილი მუდამ იზრდება. ASEAN-ზე მოდის გლობალური ღირებულებათა დარიცხვის წილის 25%.

ASEAN-ის ქვეყნების მიწოდების ჯაჭვში ისეთი ინდუსტრიები არიან ჩაბმულნი, როგორებიცაა ელექტრონული საქონლის, მანქანა-დანადგარების და ავტომობილების წარმოების სექტორები.

RCEP-ის შეთანხმებაში ზემოაღნიშნული ინდუსტრიებისათვის გათვალისწინებული ტარიფების ლიბერალიზაცია ASEAN-ს გრძელვადიან პერიოდში გლობალური მასშტაბით მდგრად მიმწოდებლად აქცევს. აღსანიშნავია ის ფაქტიც, რომ ამ ინდუსტრიებზე არ წყდება მოთხოვნა მეოთხე სამრეწველო რევოლუციის პირობებში.

მოსალოდნელია, რომ ადგილი ექნება მიწოდების ჯაჭვის დივერსიფიკაციას, რადგან ინდუსტრიების თითქმის 70%-80% ASEAN-ის ფარგლებს გარეთ მდებარეობს. აღნიშნული კი ცალკეულ ბაზრებს შორის გაამწვავებს კონკურენციას.

მალაიზიას აქვს ხელსაყრელი შესაძლებლობა სარგებელი მიიღოს RCEP-ის შეთანხმებაზე ხელმოწერის შედეგად, რადგან მას გააჩნია წვდომა უფრო დიდ რეგიონულ ბაზრებზე და პირდაპირ უცხოურ ინვესტიციებზე.

RCEP პირველი სავაჭრო შეთანხმებაა, რომელსაც ხელი მოაწერეს მალაიზიის მთავარმა სავაჭრო პარტნიორმა ქვეყნებმა-ჩინეთმა, იაპონიამ და სამხრეთ კორეამ.

ექსპერტების აზრით, RCEP-ის ქვეყნების ბაზრებზე წვდომის შედეგად გაიზრდება მალაიზიის ექსპორტის მოცულობაც. აქვე ხაზი უნდა გაესვას იმ ფაქტს, რომ მალაიზია ღრმადია ინტეგრირებული ASEAN-ის რეგიონულ და გლობალურ ღირებულებათა დარიცხვის ჯაჭვებში.

უნდა აღინიშნოს, რომ ავტომობილების, აგრობიზნესის, საკვების და სასმელის, სატრანსპორტო საშუალებებისა და მანქანა-დანადგარების მწარმოებელმა სექტორებმა შესაძლოა მოგება მიიღონ ამ სავაჭრო შეთანხმებისგან. აღსანიშნავია, რომ ეს სექტორები მალაიზიის საწარმოო სიმძლავრეების თითქმის ნახევარს შეადგენს.

RCEP-ის შეთანხმებას, როგორც განვითარებული, ასევე ნაკლებად განვითარებული ქვეყნების მცირე და საშუალო ბიზნესისთვის უკეთესი პირობების შეთავაზება შეუძლია.

ამ შემთხვევაში მალაიზია გამონაკლისი არ იქნება, რადგან ეკონომიკის 98%-ს მიკრო, მცირე და საშუალო საწარმოები წარმოადგენენ.

RCEP-ის შეთანხმების ხელმოწერით ჩინეთმა, იაპონიამ და სამხრეთ კორეამ ტარიფების ჰარმონიზაციის ვალდებულება იკისრეს. შეთანხმება მცირე და საშუალო ბიზნესს რეგიონულ ბაზრებზე

თავიანთი მობილურობის, საბაზრო კაპიტალიზაციის გაზრდის, მეტი ინვესტიციების მოზიდვის, საქონლისა და მომსახურების მიწოდების დივერსიფიკაციის მეტ პოტენციურ შესაძლებლობას აძლევს.

მეორე მხრივ, ზოგიერთმა ინდუსტრიამ შეიძლება დაკარგოს პარტნიორი ქვეყნები წარმოების შედარებით მაღალი ხარჯების გამო.

ზოგადად ჩინეთი და ვიეტნამი გამოირჩევიან ტანსაცმლისა და ტექსტილის წარმოების დაბალი ხარჯებით.

რეგიონულ ბაზრებზე დამკვიდრების მიზნით, ტანსაცმლისა და ტექსტილის ინდუსტრიებმა უნდა განსაზღვრონ მომარაგების ჯაჭვში თავიანთი ადგილი და შეიმუშაონ სტრატეგია, რომელიც მათ კონკურენტუნარიანობის ამაღლების საშუალებას მისცემს. წარმოების ხარჯების ფაქტორის გაუთვალისწინებლობა კონკრეტულ სექტორებს დააბარალებს.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, RCEP-ის შეთანხმების ხელმოწერით მალაიზიის ეკონომიკა სარგებელს მიიღებს, თუმცა დადებითი ეფექტი თავს მხოლოდ რამდენიმე წლის შემდეგ იჩენს.

მეორე მხრივ, RCEP-ის შეთანხმების მოქმედების არეალის ფარგლებს გარეთ პოლიტიკურ-ეკონომიკურ გაურკვევლობასთან დაკავშირებულ საკითხებს ნეგატიური გავლენა ექნება ამ შეთანხმებაზე და RCEP-ის შეთანხმებით მოსალოდნელ მალაიზიის ეკონომიკურ ზრდაზე.

2022 წელს ჩინეთსა და RCEP-ის შეთანხმების ხელისმომწერ დანარჩენ ქვეყნებს შორის სავაჭრო ბრუნვა 201 წელთან შედარებით 7.5%-ით, დაახლოებით 1.5 ტრლ აშშ დოლარამდე, ხოლო ჩინეთის ჩადებული ინვესტიციების რაოდენობა კი 23.1%-მდე, დაახლოებით 25 მლრდ აშშ დოლარამდე გაიზარდა.

მიუხედავად RCEP-ის პოზიტიური პერსპექტივებისა, შეთანხმების მოლაპარაკებების პროცესიდან ინდოეთის გასვლასთან ერთად მნიშვნელოვნად შემცირდა RCEP-ის მოქმედების არეალი. ინდოეთის 3 ტრლნ აშშ დოლარის ეკონომიკა მოცულობით თითქმის ASEAN-ის ეკონომიკის ტოლია. ASEAN-ის ლიდერების განცხადებით, მომავალში RCEP-ზე მიერთების სურვილის გამოხატვის შემთხვევაში ინდოეთისთვის კარი ღია რჩება.

ექსპერტების ვარაუდით, აშშ-ისა და ინდოეთის მიერ შეთანხმებაზე არ მიერთება ხელს შეუწყობს ჩინეთის გავლენის გაზრდას სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიის რეგიონში, სადაც პანდემიის მიუხედავად ჩინეთის სავაჭრო ბრუნვა მაინც მატულობს. შექმნილი ვითარებით ასევე მოგებული დარჩებიან იაპონია და სამხრეთ კორეაც.

იაპონია, სამხრეთ კორეა და ჩინეთი რეგიონის ყველაზე მსხვილი ეკონომიკების მქონე ქვეყნები არიან და საერთო ჯამში RCEP-ის მშპ-ს 70%-სა და გლობალური მშპ-ს 25%-ს წარმოადგენენ. ამასთან აღსანიშნავია, რომ ეს ქვეყნები RCEP-ის ხელმოწერამდე არც ერთი რეგიონული თავისუფალი ვაჭრობის შეთანხმების წევრები არ ყოფილან.

სავაჭრო პროცედურების გამარტივებისა და სხვადასხვა სახის კონცესიების და ტარიფების ეტაპობრივი შემცირების გზით ექსპორტი და იმპორტი ამ ქვეყნებს შორის შეიძლება უფრო მეტად გაიზარდოს, ვიდრე ASEAN-ის ქვეყნებს შორის. პოტენციური სარგებლის მიმდებარე შეიძლება მოგვევლინოს ტექსტილის, ქიმიკატების, პლასტმასის, ელექტრონიკის და ელექტრონული საქონლის, ლითონის შენადნობების წარმოება, ასევე ავტომობილებისა და სათადარიგო ნაწილების მწარმოებელი კომპანიები.

ძალაში შევლის შემდეგ, მომავალი 20 წლის განმავლობაში აღნიშნული შეთანხმების ხელმოწერი ქვეყნებს შორის საქონელზე ტარიფების დიდი ნაწილის გაუქმება და საბაჟო რეგულაციების ჰარმონიზაცია იგეგმება.

20 წლის განმავლობაში ტარიფების 90%-ის შემცირების მიუხედავად, მენარმეთათვის ყველაზე მნიშვნელოვან საკითხად რჩება არასათარიფო ბარიერების ლიბერალიზაცია. CPTPP-სგან განსხვავებით, RCEP-ის შეთანხმება ორიენტირებულია ტარიფების შემცირებაზე, რომლებიც

ისედაც დაბალია. თუმცა აუქმებს საქონლისა და მომსახურების ექსპორტსა და იმპორტზე არსებულ არასათარიფო ბარიერებს.

არასათარიფო ბარიერების შემსუბუქება ისეთივე მნიშვნელოვანი საკითხია, როგორც ტარიფების შემცირება. არასათარიფო ბარიერების შემსუბუქება პირველ რიგში იცავს ახლადდაარსებულ ინდუსტრიებს და ხელს უწყობს სამუშაო ადგილების შენარჩუნებას. ზოგადად არასათარიფო ბარიერების არსებობა აბრკოლებს თავისუფალი ბაზრის გამართულ ოპერირებას. მათი გაუქმებით ადგილობრივ ბაზრებზე პარტნიორი ქვეყნების მხრიდან შემოსული ბიზნესები არასამართლიან კონკურენციას აარიდებენ თავს.

ჩვეულებისამებრ, ASEAN-ში დამკვიდრებული პრაქტიკის მსგავსად, დროთა განმავლობაში RCEP-ის დებულებები მკაფიოდ ფორმირებული მექანიზმების შემუშავებისა და არასათარიფო ბარიერების გაუქმების შედეგად შესაძლოა შემდგომში კიდევ უფრო დაიხვეწოს და ყოვლისმომცველი გახდეს.

გამოყენებული ლიტერატურა:

- Wiendieck, Sebastian; Stark, Peter. 12 September 2023. "Asia's Free Trade Agreements in Focus: CPTPP, RCEP and IPEF" – <https://www.roedl.com/insights/asia-free-trade-agreements-cptpp-rcep-ipef>
- ASIAN DEVELOPMENT BANK. May 2022. "A NEW PARADIGM IN ASIAN REGIONAL COOPERATION?" – <https://www.adb.org/sites/default/files/publication/792516/rcep-agreement-new-paradigm-asian-cooperation.pdf>
- Congressional Research Service. 17 October, 2022. "Regional Comprehensive Economic Partnership (RCEP)" – <https://crsreports.congress.gov/product/pdf/IF/IF11891>
- Caldecourt, James; Tickel, Amanda; Morris, Henry. 17 July 2023 "The UK Joins CPTPP" – <https://www2.deloitte.com/uk/en/pages/tax/articles/the-uk-in-cptpp-our-analysis.html>
- <https://www.freemalaysiatoday.com/>. 02 Jun 2023. "RCEP now in effect for all 15 members" –

THE REGIONAL COMPREHENSIVE ECONOMIC PARTNERSHIP (RCEP)

After almost a decade of negotiations, the RCEP was finally signed on 15 November 2020 by 10 ASEAN countries, along with Australia, China, Japan, New Zealand and South Korea (India was originally party to the RCEP negotiations, but it left the deal in 2019 due to concerns over the protection of its national interests and local industries).

The RCEP is the largest regional free trade agreement (FTA) outside the WTO. Its member states account for approximately 30% of the world's gross domestic product (USD 26.3 trillion), 30% of the world's population (2.3 billion), and total export value (5.2 trillion dollars) of signatory parties.

A unique feature of Agreement is that other countries may join after the conclusion and implementation of RCEP by the original 15 participating countries.

By 2021, RCEP gained recognition as a trade arrangement able to help revive international trade.

The RCEP entered into force on 1 January 2022. The agreement had required RCEP to come into practice 60 days after the date at which the minimum number of ratification notification is achieved— i.e., six ASEAN members and three non-ASEAN countries. As of 15 December 2021, six ASEAN members (Brunei Darussalam, Cambodia, the Lao PDR, Singapore,

Thailand, and Viet Nam) and five non-ASEAN countries (Australia, the PRC, Japan, the Republic of Korea, and New Zealand) had ratified the Agreement.

The RCEP is ASEAN led. The RCEP aims to achieve a modern, comprehensive, high-quality and mutually beneficial economic partnership agreement among RCEP members. The RCEP aims to bring together the 15 countries into a huge cohesive economic partnership with emphasis to promoting inclusive and equitable growth. It aims to streamline and integrate the ASEAN+1 FTAs into a single and more coherent trade and investment architecture in the region.

Key words: Southeast Asia, RCEP, CPTPP, ASEAN.

ჩინეთის ტრანსფორმაცია

რეზიუმე

უკანასკნელი ოთხი ათეული წლის განმავლობაში ჩინეთის ტრანსფორმაციის შედეგად, ქვეყანა გლობალური მნიშვნელობის სახელმწიფოდ იქცა. საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ, მსოფლიო ერთპოლარული გახდა, რადგან ამერიკის შეერთებულ შტატებს აღარ ჰყავდა პოლიტიკურ და ეკონომიკურ ასპარეზზე რეალური კონკურენტი. ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის სწრაფი ეკონომიკური განვითარების შედეგად, რასაც ცხადია ყოველთვის მოჰყვება პოლიტიკური ამბიციებიც, დღეს მსოფლიოში ორი მთავარი მოთამაშეა, ვაშინგტონისა და პეკინის სახით.

ამ უძველესი სახელმწიფო-ცივილიზაციის აღმასვლის ძირითად წინაპირობას წარმოადგენს პრაგმატული, რაციონალური, შედეგზე ორიენტირებული და თანმიმდევრული პოლიტიკა, რასაც საფუძველი ჩაუყარა თანამედროვე ჩინეთის არქიტექტორად წოდებულმა, ტენგ სიაოფინგმა.

XXI საუკუნის დასაწყისიდან მოყოლებული, ჩინეთის გახსნილობისა და რეფორმების პოლიტიკამ კონკრეტული შედეგების მოტანა დაიწყო, რამაც მნიშვნელოვანი გავლენა იქონია გლობალურ, როგორც ეკონომიკურ, ასევე პოლიტიკურ რუკაზე.

სტატიაში განხილულია, გასული საუკუნის 70-იანი წლებიდან დაწყებული ჩინეთის ტრანსფორმაციის შესაბამისი ეტაპები, ის ეკონომიკური რეფორმები, რომლის შედეგადაც ჩინეთის სახალხო რესპუბლიკა მთლიანი შიდა პროდუქტის წარმოების კუთხით, მსოფლიოში მეორე უმსხვილესი ეკონომიკის სტატუსით სარგებლობს, ყველაზე სწრაფად მზარდი სამომხმარებლო ბაზრით. ასევე, სტატიაში მოცემულია შესაბამისი ანალიზი, თუ რამ განაპირობა რეფორმების წარმატება და რას ნიშნავს სოციალიზმი ჩინური სპეციფიკით.

საკვანძო სიტყვები: ჩინეთი, სოციალიზმი, ეკონომიკა, რეფორმები.

მეოცე საუკუნის 70-იან წლებში ჩინეთი პოლიტიკური და ეკონომიკური თვალსაზრისით უმძიმეს ვითარებაში იმყოფებოდა. 1966-1976 წლებში ე.წ. „კულტურულმა რევოლუციამ“ კომუნისტურ პარტიასა და ჩინეთის სოციალიზმს დიდი ზიანი მიაყენა. ქვეყანა ეკონომიკური კატასტროფის წინაშე აღმოჩნდა, საგრძნობლად შეილახა ოფიციალური პეკინის ავტორიტეტი საერთაშორისო ასპარეზზე. ნიშანდობლივია, რომ ქვეყანაში მძვინვარებდა უკიდურესი გაჭირვება, მაშინ როდესაც ჩინეთის მოსახლეობის 82 პროცენტი ცხოვრობდა სოფლად. გეგმიური ეკონომიკის პირობებში, ჩინელ გლეხებს აღარ შეეძლოთ საკუთარი თავის და მით უმეტეს, ქვეყნის გამოკვება. ცვლილებები გახდა აუცილებელი.

აღსანიშნავია, რომ ჩინეთის ისტორიის სხვადასხვა პერიოდებში გატარებული რეფორმების უმეტესობას, არ მოჰყოლია საგრძნობი შედეგი – დაწყებული ძვ. წ. 350 წლის შანგ იანგის¹ რეფორმებით და ოპიუმის ომის² შემდეგ, 1840 წელს „განვითარებისთვის საერთაშორისო გამოცდილების გამოყენებით“ დამთავრებული (China Institute of International Studies, Academic Magazine, 2021).

1 <https://www2.deloitte.com/uk/en/pages/tax/articles/the-uk-in-cpttp-our-analysis.html>

2 <https://www.freemalaysiatoday.com/category/business/2023/06/02/rcep-now-in-effect-for-all-15-members/>

ჩინეთის გარდაქმნა დაიწყო კომუნისტური პარტიის პრაგმატიკოსთა ფრთამ, რომელსაც ხელმძღვანელობდა ტენგ სიაოფინგი³. დასავლეთში ჩინეთის მიერ დაწყებული გახსნილობისა და რეფორმების პოლიტიკა, იგივე სოციალიზმი ჩინური სპეციფიკით, გარკვეულწილად აღქმული იყო, როგორც დაბრუნება კაპიტალიზმში. ქვეყნის ხელისუფლება იდეოლოგიური წინააღმდეგობებისა და საკუთარი ლეგიტიმურობის შელახვის თავიდან აცილების მიზნით ამტკიცებდა, რომ ეს იყო სოციალიზმის ერთ-ერთი ფორმა. ამავე დროს, ჩინეთი არ უარყოფს, რომ მის მიერ გამოყენებული ეკონომიკური რეფორმები აპრობირებულია კაპიტალისტურ ქვეყნებშიც. მდგომარეობას ორიგინალური ახსნა მოუძებნა რეფორმების არქიტექტორმა ტენგ სიაოფინგმა: „რა მნიშვნელობა აქვს რა ფერისაა კატა, მთავარია, ის იჭერდეს თაგვებს“.

თანამედროვე ჩინეთისთვის მნიშვნელოვანია სამი ძირითადი პრინციპი: სოციალური სტაბილურობა – უმთავრესი წინაპირობა, განვითარება – საფუძველი და რეფორმები, რომლის წარმატებული განხორციელება გამორიცხულია წინა ორი ფაქტორის გარეშე. აღნიშნული სამი პრინციპის სინთეზით, გამოიხატება უნივერსალური მნიშვნელობა ჩინური გამოცდილებისა და რეფორმების წარმატების საფუძველად. ჩინეთში ეკონომიკური ტრანსფორმაციის ერთ-ერთი მთავარი ინდიკატორია, მთლიანი შიდა პროდუქტის ზრდის მაჩვენებელი. გახსნილობისა და რეფორმების პოლიტიკის დასაწყისში, ქვეყნის მთავრობამ მიზნად დაისახა, ოც წელიწადში ქვეყნის მთლიანი შიდა პროდუქტის გაოთხმაგება, რაც შესრულდა 1995 წელს, დაგეგმილზე ადრე და დაედო საფუძველად ჩინეთის წარმატებას. მთლიანი შიდა პროდუქტის თანმიმდევრულმა ზრდამ, მნიშვნელოვანი როლი ითამაშა ქვეყნის ეკონომიკის გაჯანსაღებაში და პროგრესმა შეუქცევადი ხასიათი მიიღო. გასული საუკუნის 80-იანი წლების პირველი ნახევრიდან, ჩინეთში მიმდინარე მოვლენები, დანარჩენი მსოფლიოს მხრიდან საყოველთაო ყურადღებისა და დაკვირვების საგნად იქცა (Li Jingguo – “A Major Strategy for Economic Development” 2012).

სოციალიზმს ჩინური სპეციფიკით, გააჩნია მხოლოდ მისთვის დამახასიათებელი ატრიბუტები, კერძოდ – ჩინეთის პოლიტიკური სისტემა, ელექტორალური სისტემის ჩათვლით, ხარისხობრივად განსხვავდება დასავლური სისტემისაგან. ჩინეთისათვის ზოგადად მიუღებელია ისეთი მოდელი, როდესაც ხდება ხელისუფლების განშტოება სამ ნაწილად: საკანონმდებლო, აღმასრულებელი და სამართლებრივი. ამის ნაცვლად, ჩინეთი აწარმოებს ჩინეთის კომპარტიის ცენტრალიზებულ და გაერთიანებულ მმართველობას, სადაც ხალხთა ეროვნულ ყრბობას (პარლამენტს) გააჩნია უმაღლესი სახელმწიფო ძალაუფლება, ხოლო დანარჩენი პოლიტიკური პარტიები აქტიურად მონაწილეობენ სახელმწიფო საქმეების განხილვასა და ადმინისტრირებაში. მთავრობა გაცილებით უფრო დიდ როლს თამაშობს ქვეყნის ყველა სექტორსა და სფეროში, სოციალურ-ეკონომიკური განვითარების წახალისების ჩათვლით. ასევე ძალზედ მაღალია, ისტორიული, კულტურული და ტრადიციული ფაქტორების ზეგავლენა. მაგალითად, ურთიერთობები კანონის უზინაესობასა და ღირსების უზენაესობას შორის, წესრიგსა და კანონს შორის, სოციალურ ქსელსა და განვითარებას შორის დღემდე რეგულირდება „კონფუციანიზმის“⁴ ძირითადი იდეებით. შესაბამისად, ხდება სახელმწიფო ინსტიტუტებისა და მორალური ნორმების შერწყმა და ორივე ფაქტორს ენიჭება ფაქტობრივად თანაბარი მნიშვნელობა ჩინეთის საზოგადოებაში.

ქვეყნის ტრანსფორმაციის შედეგად, ჩინეთმა განავითარა უნიკალური უპირატესობები სახელმწიფოსა და ბაზრის როლთა კოორდინირების საქმეში. ეროვნული და რეგიონალური პროექტების განხორციელების დროს სოციალისტურმა სისტემამ და ინსტიტუტებმა დაამტკიცეს განსაკუთრებული ეფექტურობა მუშახელის, მატერიალური სახსრებისა და ფინანსური რესურსების გაერთიანების საქმიანობაში. ამავე დროს, ჩინეთის ისტაბლიშმენტი დარწმუნებულია, რომ მომავალშიც უფრო მეტი გასაკეთებელია, ვიდრე მხოლოდ მთავრობისა და ბაზრის როლების სათანადო კოორდინირება.

3 <https://www.roedl.com/insights/asia-free-trade-agreements-cptpp-rcep-ipef>

4 შანგ იანგი- ძვ. წ. IV საუკუნეში მოღვაწე ჩინელი ფილოსოფოსი და რეფორმატორი, რომელმაც გაატარა კომპლექსური რეფორმები მაშინდელ ცინის სამეფოში.

ქვეყნის ხელისუფლებამ ყველა რეფორმების საფუძვლად გამოაცხადა ეკონომიკური კრიზისის დაძლევის ოთხი პრინციპი, „ოთხი მოდერნიზაცია“. ამ პრინციპის მიხედვით, ეკონომიკა დაიყო 4 სექტორად: თავდაცვითი წარმოება, სოფლის მეურნეობა, მეცნიერება და სამეწარმეო საქმიანობა. პრიორიტეტად არჩეულ იქნა სტრატეგია „სოციალისტური საბაზრო ეკონომიკა“ („China’s Peaceful Development“, Brochure, Information Office of the State Council of the People’s Republic of China 2013). რეფორმების გატარების დროს, იდეოლოგიური პრინციპების გარკვეულწილად უკანა რიგებში გადაწვეს დაამტკიცა მათი ეფექტურობა.

ჩინეთის ხელისუფლების მიერ დაწყებული რეფორმები თანმიმდევრული ხასიათისაა. იმ შემთხვევაში, თუ ერთ-ერთ სფეროში გატარებული რეფორმა მოიტანდა კონკრეტულ შედეგს, იგივე პრინციპი გამოიყენებოდა უკვე დიდი მასშტაბებით. ჩინეთის თანმიმდევრული და წინდახედული პოლიტიკის პრინციპით – „ასჯერ გაბომე და ერთხელ გაჭერი“ წარმოადგენს ქვეყნის რეფორმებისა და გახსნილობის პოლიტიკის წარმატებით რეალიზების მნიშვნელოვან წინაპირობას. ბოლო ათწლეულების განმავლობაში ჩინეთის ეკონომიკამ განიცადა კარდინალური ცვლილებები. მართვის გეგმიური და ცენტრალიზებული სისტემიდან, ქვეყანა საბაზრო პრინციპებზე ორიენტირებულ ეკონომიკის რელსებზე გადავიდა, რამაც უზრუნველყო კერძო სექტორის სწრაფი განვითარება და ქვეყნის ინტენსიური ინტეგრაცია მსოფლიო ეკონომიკაში.

1997 წელს ჩინეთის მთავრობამ სახალხო ადმინისტრაციის არასამთავრობო სექტორის მნიშვნელობა ქვეყნის ეროვნული ეკონომიკის განვითარებაში. ჩინეთი იცავს საკუთარი სახელმწიფო საწარმოების არსებობასა და განვითარებას და ხელს უწყობს კონკურენტული კერძო საწარმოების შექმნასაც.

ჩინეთის რეფორმების წარმატება განპირობებულია იმ ფაქტითაც, რომ სახელმწიფომ ყველა ეტაპზე შეინარჩუნა საბაზრო პროცესებზე კონტროლი ქვეყანაში. დღესაც სახელმწიფოს გააჩნია რეგულაციის პირდაპირი და ირიბი მეთოდები ამ მიმართულებით. ხელისუფლება აკონტროლებს საბაზრო ინფრასტრუქტურის პრაქტიკულად ყველა ელემენტს.

ჩინეთში დაწყებული ფართომასშტაბიანი რეფორმების მიზანი გასაგები იყო მოსახლეობის ყველა ფენის წარმომადგენლისთვის. ქვეყნის ცხოვრებაში დაწყებული ახალი ეტაპი, ჩინელი ხალხის პატრიოტულ გრძნობებსაც შეეხო: ქვეყნის აღმასვლა, ხალხის კეთილდღეობა, ჩინეთის ძლევამოსილების აღორძინება. რეფორმები ხალხში აღქმული იყო ნაციონალურ იდეად და დღესაც ასე გრძელდება. დიდი ჩინეთის აღორძინების პერსპექტივამ, გააერთიანა არა მარტო ქვეყნის მოსახლეობა, არამედ უცხოეთში მცხოვრები მათი თანამემამულეები. ამ იდეოლოგიამ დაიწყო მუშაობა ქვეყნის ეკონომიკის, სოციალური და პოლიტიკური სტაბილურობის სასარგებლოდ.

მნიშვნელოვანი წვლილი ჩინეთის სოციალურ-ეკონომიკურ აღმავლობაში, შეიტანა სპეციალური ეკონომიკური ზონების შექმნამ და ამოქმედებამ ჩინეთის სხვადასხვა პროვინციასა და რეგიონში. ბუნებრივია, რომ აღნიშნულმა პროცესებმა ხელი შეუწყო უცხოური კაპიტალის შემოდიანებას, თანამედროვე ტექნოლოგიებისა და მენეჯმენტის დანერგვას. გასული საუკუნის 90-იანი წლების დასაწყისში, ჩინეთში იწყება სპეციალური ეკონომიკური ზონების შექმნა. მისი უმთავრესი შემადგენელი ნაწილი არის „ტერიტორიული გახსნილობა“, რეგიონების განვითარება უცხოური ინვესტიციებისთვის მიმზიდველი ბიზნესგარემოს შექმნით. 1990 წლის აპრილში შანხაის მახლობლად, დაარსდა პირველი მაღალი ტექნოლოგიების წარმოების სივრცე – „პუდუნის განვითარების ზონა“, ხოლო მომდევნო წელს მთავრობამ დაამტკიცა „მაღალი ტექნოლოგიების წარმოების ზონების“ შექმნის გეგმა. შედეგად, 2021 წლისთვის ჩინეთში ფუნქციონირებს, 200-მდე ასეთი ტიპის ზონები. ქვეყანაში ასევე იქმნება, განსაკუთრებული ეკონომიკური, ტექნიკური, თავისუფალი ვაჭრობისა და საზღვრისპირა ეკონომიკური თანამშრომლობის ზონები.

ჩინეთი განეკუთვნება იმ სახელმწიფოების კატეგორიას, რომელმაც თანმიმდევრული პოლიტიკის შედეგად, თავისუფალი ეკონომიკური ზონების კონცეფცია წარმატებით განახორციელა. აღნიშნული

ობიექტების შექმნის საწყის ეტაპზე, მთავრობამ გათვლა ასევე გააკეთა „ჰუაიციაოების“⁵ კაპიტალზე. მართლაც, ჩინეთში შემოდიანებული ინვესტიციების 80 პროცენტი სინგაპურში, ტაივანში, ვიეტნამში, კამბოჯაში, ტაილანდსა და სამხრეთ აღმოსავლეთი აზიის რეგიონის სხვა სახელმწიფოებში მცხოვრები ჩინელების წილი შეადგენდა. „ჰუაიციაოები“ უპირატესობას ანიჭებდნენ „მშობლიურ“ (ანუ მათი წარმოშობის) პროვინციებში ინვესტირებას. შედეგად, ჩინეთის ზღვისპირა, სამხრეთ-აღმოსავლეთის პროვინციები, განვითარების დონითა და დინამიურობით გაუსწრეს დანარჩენი ჩინეთის რეგიონებს.

პოლიტიკური და სოციალური სტაბილურობა

ჩინეთის საზოგადოება ერთხმად აღნიშნავს, რომ მთავარი ფაქტორი, რამაც უზრუნველყო ჩინეთის გახსნილობისა და რეფორმებისა პოლიტიკის წარმატება, არის პოლიტიკური და სოციალური სტაბილურობის შენარჩუნება ქვეყანაში. როგორ შეძლო ეს ჩინეთმა, რომელსაც ჰყავს უდიდესი მოსახლეობა მსოფლიოში? ქვეყნის მოსახლეობა შედგება 56 ეთნიკური ჯგუფისაგან, სადაც აბსოლუტურ უმრავლესობას ხანელები შეადგენენ. ჩინეთის კომპარტიის ცენტრალიზებული და გაერთიანებული მმართველობა, ქმნის ჩინეთის პოლიტიკური სტაბილურობის ქვაკუთხედს. ჩინეთის კომპარტია არის ერთადერთი მმართველი პარტია ქვეყანაში და მისი ხელმძღვანელობით მონაწილეობენ სხვა პოლიტიკური პარტიები სახელმწიფოს საქმიანობაში. ქვეყნის ყველა დონეზე ადგილობრივი ორგანიზაციების მეშვეობით, ჩინეთის კომპარტია ეფექტურად მართავს საზოგადოებას. მრავალი პოლიტიკოლოგი, მათ შორის დასავლეთში ეთანხმება იმ მოსაზრებას, რომ დაარსებიდან 100 წლის განმავლობაში, ჩინეთის კომპარტიამ დააგროვა მდიდარი გამოცდილება ქვეყნის მართვის თვალსაზრისით. გარკვეული შეცდომების მიუხედავად, მათ შორის ყველაზე დრამატული „კულტურული რევოლუციის“ ჩათვლით, ჩინეთის მმართველი ძალა ხშირად აღიარებდა გადახრებსა და შეცდომებს. ჩინეთის კომპარტია და მთავრობა ყველა დონეზე პრიორიტეტს ანიჭებს სოციალურ სტაბილურობას და ამ კონტექსტში, ხელმძღვანელობს დევიზით: „ყველაფერზე მაღლა დგას სტაბილურობა“. ჩინელ ხალხს ღრმად სწამს, რომ მყარი, სტაბილური საზოგადოების არსებობის გარეშე, შეუძლებელია რაიმე მნიშვნელოვანის მიღწევა.

ჩინეთში მუშათა და გლეხთა კლასისა და ინტელიგენციის ფენის გარდა, რეფორმების განვითარების შედეგად გაჩნდა საშუალო ფენა (კერძო მესაკუთრეთა ახალი სოციალური ფენა). თუ 2000 წელს საშუალო ფენის წარმომადგენელთა საერთო რაოდენობა, ქვეყნის მოსახლეობის მხოლოდ 3 პროცენტს შეადგენდა, 2020 წელს აღნიშნულმა მაჩვენებელმა გადააჭარბა 50 პროცენტს და 700 მილიონ ადამიანზე მეტს ითვლის. ისინი განკარგავენ და მართავენ 11 ტრილიონი იუანის (1.7 ტრილიონი აშშ დოლარი) მოცულობის კაპიტალს; იყენებენ ქვეყნის ტექნიკური პატენტების ნახევარს. ქვეყნის ბიუჯეტში იხდიან გადასახადების მოცულობის ერთ მესამედს. ყოველწლიურად უზრუნველყოფენ მოსახლეობის მნიშვნელოვან ნაწილს სამუშაო ადგილებით. ამასთან, მონაწილეობენ ქვეყნის ეკონომიკისა და საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა სფეროში და მათი დიდი ნაწილი არ არის კომუნისტური პარტიის წევრი.

რეფორმების პოლიტიკის შედეგები

რეფორმების პოლიტიკის შედეგად, XXI საუკუნეში ჩინეთის სახალხო რესპუბლიკა იქცა გლობალური მნიშვნელობის სახელმწიფოდ და მსოფლიო ეკონომიკის ერთ-ერთ მთავარ მამოძრავებელ ძალად.

5 ოპიუმის ომები – XIII საუკუნეში სამხედრო კონფლიქტები ჩინეთის ტერიტორიაზე, ცინის დინასტიასა და დასავლეთის სახელმწიფოებს შორის, ჩინეთში ოპიუმით ვაჭრობასთან დაკავშირებით.

ნიმანდობლივია, რომ 2021 წელს, ჩინეთის ეკონომიკა 8.1 პროცენტით გაიზარდა და 18 ტრილიონი აშშ დოლარი შეადგინა. ექსპორტ-იმპორტმა პირველად გადააჭარბა 6 ტრილიონი აშშ დოლარს. ჩინეთის მშპ-მ ერთ სულ მოსახლეზე – 12 ათას 500 აშშ დოლარი შეადგინა, რაც მსოფლიო ბანკის შეფასებით, აღემატება საშუალო მაჩვენებელს და დაუახლოვდა მაღალი შემოსავლის სახელმწიფოების მონაცემებს, მაგრამ ამ კუთხით, ჩინეთის ჯერ კიდევ მხოლოდ 58-ე პოზიციას იკავებს მსოფლიოში.

2022 წელს, ჩინეთის წილმა გლობალურ ეკონომიკაში შეადგინა – 18.48 პროცენტი (<https://www.statista.com/statistics/270439/chinas-share-of-global-gross-domestic-product-gdp/>), ხოლო იმავე წელს ქვეყნის უცხოურმა სავალუტო რეზერვებმა გადააჭარბა 3 ტრილიონ აშშ დოლარს (<https://tradingeconomics.com/china/foreign-exchange-reserves>), მაშინ როდესაც 1976 წელს აღნიშნული მაჩვენებელი შეადგენდა, 1.6 მილიარდ აშშ დოლარს.

2020 წლისთვის ჩინეთის წარმოების სექტორი გახდა უმსხვილესი მსოფლიოში. ქვეყანა იქცა „გლობალურ ქარხანად“. რეფორმების დაწყების შემდეგ, პირდაპირი უცხოური ინვესტიციები 0-დან 134 მილიარდ აშშ დოლარამდე გაიზარდა, რაც მესამე მაჩვენებელია მსოფლიოში, ხოლო ჩინეთიდან საზღვარგარეთ პირდაპირი ინვესტიციები 0-დან 170 მილიარდ აშშ დოლარამდე გაიზარდა. ეს მეორე მაჩვენებელია, ამერიკის შეერთებული შტატების შემდეგ.

საერთაშორისო სტატისტიკის მიხედვით, 500 ძირითადი ინდუსტრიული პროდუქციიდან, 220-ის უმსხვილესი მწარმოებელია ჩინეთი, მათ შორის: რკინის, ფოლადის, ქვანახშირის, ცემენტის, ელექტროლიტური ალუმინისა და გადამუშავებული სპილენძის. დამატებითი ღირებულების, ექსპორტის ღირებულებისა და ექსპორტის დამატებითი ღირებულების მიხედვით, ჩინეთის მაღალტექნოლოგიურმა ინდუსტრიამ უკვე გადაუსწრო აშშ-ს, რაც ნიშნავს იმას, რომ მაღალტექნოლოგიური წარმოებით ჩინეთი მიუახლოვდა წამყვან პოზიციებს.

2019 წლის GDP-ში ჩინეთის სოფლის მეურნეობის დამატებითი ღირებულების წილმა შეადგენდა მხოლოდ 8.6%-პროცენტი, რაც ნიშნავს იმას, რომ დასრულდა ჩინეთის აგრარული ქვეყნიდან, სამეწარმეო ქვეყნად ტრანსფორმირება. ურბანიზაციის დონემ მიაღწია 58 პროცენტს, ჩინეთის მოსახლეობის უმეტესი ნაწილი სოფლიდან ქალაქებში გადავიდა საცხოვრებლად.

დინამიურად მატულობს ჩინელი ხალხის მსყიდველობითი უნარიანობა. ამაზე მიუთითებს საზღვარგარეთ მოგზაურობის დროს, მათი მასშტაბური დანახარჯები. გლობალური პანდემიის დაწყებამდე, 2019 წელს ჩინელმა ტურისტებმა მოგზაურობების დროს დახარჯეს დაახლოებით 268 მილიარდი აშშ დოლარი, რაც მსოფლიო ტურისტული ინდუსტრიის წრილში, საერთო დანახარჯების 22 პროცენტს შეადგენს.

2010 წლიდან ჩინეთი არის მსოფლიოს რიგით მეორე უმსხვილესი იმპორტიორ ქვეყანა და მისი წილი გლობალურ იმპორტში აჭარბებს 12% პროცენტს. ნიმანდობლივია, რომ 2035 წლისთვის ჩინეთი გეგმავს 24 ტრილიონი აშშ დოლარის ღირებულების პროდუქციის იმპორტირებას.

ჩინეთის დინამიურად ანვითარებს ჩქაროსნული მატარებლების ქსელს მთელი ქვეყნის მასშტაბით. ჩინეთმა ააშენა მსოფლიოში ყველაზე დიდი ჩქაროსნული სარკინიგზო ქსელი, რომლის გავლენა სცილდება სარკინიგზო სექტორს და გამოიხატება ურბანული განვითარების მოდელის შეცვლაში, ტურიზმის გაზრდაში და რეგიონული ეკონომიკური ზრდის ხელშეწყობაში. 2008 წლიდან 2021 წლის ჩათვლით, ქვეყანაში აშენდა 40 ათასი კილომეტრის სიგრძის ჩქაროსნული რკინიგზის ხაზები. ყოველწლიურად აღნიშნული მარშრუტებით, გადაადგილდება 2 მილიარდზე მეტი ადამიანი. აღსანიშნავია, რომ ერთი კილომეტრი ჩქაროსნული სარკინიგზო ხაზის მშენებლობის ღირებულება, რამდენიმე მილიონ აშშ დოლარს შეადგენს.

ჩინეთში განხორციელებული სარკინიგზო ინფრასტრუქტურის მოდერნიზაციის პროექტის მასშტაბი, შედარებულია ჩინეთის დიდი კედლის მშენებლობასთან. ქვეყნის ხელისუფლებამ დაახლოებით 300 მილიარდზე მეტი აშშ დოლარის ინვესტიცია განახორციელა ჩქაროსნული სარკინიგზო ხაზების

შესაქმნელად. შედეგად, დღეს ჩინეთის ჩქაროსნული სარკინიგზო ქსელი უფრო გრძელია, ვიდრე იაპონიასა და ევროპაში არსებული ჩქაროსნული სარკინიგზოს ხაზების საერთო სიგრძე.

1978 წლიდან 2020 წლამდე, 800 მილიონმა ჩინელმა შეძლო უკიდურესი სიღარიბის დაძლევა, რაც საყოველთაოდ აღიარებული კიდევ ერთი უნიკალური მიღწევაა, ქვეყნის ეკონომიკური ტრანსფორმაციის დაწყების შემდეგ. აღნიშნულის ძირითადი ფაქტორები შემდეგია:

- ქალაქებში ყოველწლიურად იქმნება 12 მლნ. სამუშაო ადგილი. ქვეყანაში უმუშევრობის დონე დავიდა 5 პროცენტამდე.
- საგრძნობლად გამართიდა განათლების მიღება, რამაც შეამცირა გაუნათლებლობის დონე 30-დან 3 პროცენტამდე. უმაღლესი განათლების მქონე მუშახელის წილი გაიზარდა – 0.5 პროცენტიდან 25 პროცენტამდე.
- მნიშვნელოვნად გაუმჯობესდა სოციალური დაზღვევის სისტემა. მოსახლეობის 85 პროცენტზე მეტი სარგებლობს საბაზისო საპენსიო სისტემით, ხოლო 95 პროცენტი საბაზისო სამედიცინო დაზღვევით.
- მეთოდურად მცირდება სხვაობა, ქალაქისა და სოფლის მოსახლეობის შემოსავლებს შორის.

აზია იქცა გლობალური გეოპოლიტიკური ცვლილებების მთავარ ასპარეზად, სადაც გადაინაცვლა მსოფლიოს ეკონომიკურმა ცენტრმა. აზიაში მდებარეობს მთლიანი შიდა პროდუქტის მოცულობით მსოფლიოს წამყვანი ხუთი სახელმწიფოდან სამი: ჩინეთი, ინდოეთი და იაპონია. აგრეთვე, ბირთვული იარაღის მქონე ცხრა ქვეყნიდან – ექვსი⁶. საერთაშორისო ექსპერტები უკვე პროგნოზირებენ, რომ 2030 წლისთვის აზიის წილი მსოფლიო ეკონომიკაში გაიზარდება 65 პროცენტამდე. წამყვან ძალად კი გვევლინება ჩინეთის სახალხო რესპუბლიკა.

გამოყენებული ლიტერატურა

2021 – China Institute of International Studies, Academic Magazine

2022 – China Institute of Contemporary International Relations, Academic Magazine,

2019 – China's Peaceful Development, Information Office of the State Council of the People's Republic of China;

2014 – Wang Yizhou – China Institute of Contemporary international Relations; China's diplomacy: Ten Features,

2013 – “China's Peaceful Development“, Brochure, Information Office of the State Council of The People's Republic of China,

2012 – Martin Jacques – “When China Rules World: The End of the Western World and the Birth of a New Global Order“;

2012 – Li Jingguo – China Academy of Social Science, “A Major Strategy for Economic Development“; National Statistic Bureau of China

<https://tradingeconomics.com/china/foreign-exchange-reserves>

<https://www.statista.com/statistics/270439/chinas-share-of-global-gross-domestic-product-gdp/>

<https://www.statista.com/statistics/263661/export-of-goods-from-china/>

6 ბირთვული იარაღი გააჩნიათ შემდეგ სახელმწიფოებს: აშშ-ს, რუსეთს, ჩინეთს, დიდ ბრიტანეთს, საფრანგეთს, ისრაელს, ინდოეთს, პაკისტანს და ჩრდ. კორეას.

TRANSFORMATION OF CHINA

Transformation of China which is based on Socialism with Chinese characteristics has played a pivotal role in shaping modern PRC. Initiated by Deng Xiaoping in late 1978, the reform and opening-up marked a significant shift by incorporating elements of the market economy, laying the foundation for this distinctive model.

A key milestone in China's socio-economic development was the establishment of special economic zones and activities across various provinces and regions. It is crucial to underscore the influence of the ruling Communist Party of the People's Republic of China and the transformative impact of reforms that have given rise to a burgeoning middle class.

China's policy of openness and reform has not only made it an attractive nation but has also propelled its role and influence in global affairs. Presently, both developing and developed countries acknowledge and welcome the resurgence of this ancient civilization.

The path of socialism with Chinese characteristics is grounded in fundamental national conditions, prioritizing economic development, upholding the four cardinal principles, and pursuing a policy of reform and opening. The objective is to unleash and develop social productive forces, fortify, and enhance the socialist system, construct a socialist market economy, foster socialist democracy, promote socialist advanced culture, and strive for a socialist harmonious society. The goal is to achieve prosperity, democracy, civilization, and harmony, establishing a modern socialist country.

Coined by Deng Xiaoping in 1982, the concept of socialism with Chinese characteristics seeks to redefine the relationship between planning and socialism, as well as between the market economy and capitalism. This approach preserves socialist institutions and public ownership while integrating sophisticated management practices and advanced market mechanisms from developed countries.

Key words: China, Socialism, Economy, Reforms.

აშოტ I კურაპალატის მკვლელობის ზოგიერთი დატყვევებული ქართული და არაბული წყაროების მიხედვით

რეზიუმე

არაბთა დაპყრობებმა, მათმა სამხედრო წარმატებებმა და ისლამის გავრცელებამ ახლო აღმოსავლეთში ახალი პოლიტიკური ვითარება შექმნა, რამაც უმნიშვნელოვანესი გავლენა იქონია სამხრეთ კავკასიაზე. VII საუკუნის შუა ხანებში ქართლში არაბთა პირველი მარბიელი ლაშქარი გამოჩნდა. ხოლო, ომაიანთა დინასტიის მეხუთე ხალიფას, აბდ ალაჰ იბნ მარვანის დროს კი არაბებმა საბოლოოდ დაიმორჩილეს ქართლი.

IX საუკუნის დასაწყისიდან იწყება ერთიანი ქართული სახელმწიფოს ჩამოყალიბება. ამ პროცესში დიდი როლი შეასრულა აშოტ I ბაგრატიონმა, რომელმაც ტაო-კლარჯეთის ანუ „ქართველთა სამეფო“ ჩამოაყალიბა.

როგორც ქართული წერილობითი წყაროებიდან ირკვევა, თავდაპირველად, აშოტი არაბთა სამსახურში იდგა და ემორჩილებოდა როგორც თბილისის ამირას, ისე ბარდავში მჯდომ არმინიის გამგებელს. შემდეგ აშოტი არაბებს განუდგა, ბიზანტიის იმპერატორისგან კურაპალატის ტიტული მიიღო და ტაოში დამკვიდრდა. ტაოდან აშოტ კურაპალატმა დამოუკიდებელი პოლიტიკას გატარება და შიდა ქართლისთვის ბრძოლა დაიწყო. ის აქტიურად ჩაერთო რეგიონში მიმდინარე სამხედრო-პოლიტიკურ პროცესებში და ლოკალურ მოთამაშეებთან კავშირების შექმნით, ცდილობდა საკუთარი გავლენის სფერო გაეფართოებინა. თუმცა, მან საბოლოო მიზანს ვერ მიაღწია და არაბთა სახალიფოს ცენტრალურ ხელისუფლებასთან ბრძოლაში დამარცხდა.

როგორც საუბრატ დავითის ძის, ასევე მათიანე ქართლისას ცნობით, აშოტი ეკლესიაში მოკლეს, თუმცა ავტორები განსხვავებულ დეტალებს გადმოგვცემენ. მათიანე ქართლისას ანონიმი ავტორი მოკლედ მოგვითხრობს, რომ აშოტ კურაპალატი გარდაბანში, ეკლესიაში მოკლეს, ხოლო საუბრატ დავითის ძე გვიამბობს, რომ ის ნიგალის ხევში ღალატით იქნა მოკლული. დღეს რთული სათქმელია, თუ სად მოკლეს სინამდვილეში აშოტ კურაპალატი, თუმცა არ არის გამორიცხული, რომ ორივე ცნობა გარკვეულწილად ავსებდეს ერთმანეთს. არსებული მონაცემების შეჯერების შედეგად, შეგვიძლია, ვივარაუდოთ, რომ აშოტ კურაპალატი მცირე რაზმით ჩავიდა გარდაბანში, სადაც მას ლაშქარი უნდა შეეკრიბა, თუმცა მას მოკავშირეებმა უღალატეს და იძულებული გახდა ნიგალში გაქცეულიყო, სადაც ღალატით მოკლეს.

საკვანძო სიტყვები: საქართველოს ისტორია, აშოტ კურაპალატი, არაბთა საქართველოში.

არაბთა დაპყრობებმა, მათმა სამხედრო წარმატებებმა და ისლამის გავრცელებამ ახლო აღმოსავლეთში ახალი პოლიტიკური ვითარება შექმნა, რამაც უმნიშვნელოვანესი გავლენა იქონია სამხრეთ კავკასიაზე. VII საუკუნის შუა ხანებში ქართლში არაბთა პირველი მარბიელი ლაშქარი გამოჩნდა. ხოლო, ომაიანთა დინასტიის მეხუთე ხალიფას, აბდ ალაჰ იბნ მარვანის დროს კი არაბებმა საბოლოოდ დაიმორჩილეს ქართლი.

დასავლეთ საქართველოში, ეგრისში, VII საუკუნის დამლევსათვის კი ბიზანტიელთა ბატონობა იმდენად გაძლიერებდა, რომ „მეფის“ ნაცვლად უკვე „პატრიკოსი“ იხსენიება წყაროებში.

არაბები სამხრეთ კავკასიაში შემოსვლისთანავე კარგად აცნობიერებდნენ ამ რეგიონის პოლიტიკურ და სტრატეგიულ მნიშვნელობას, შესაბამისად, ისინი პერმანენტულად აგზავნიდნენ ჯარებს ამ რეგიონში და პოზიციების გამყარებას ცდილობდნენ. ვითარებას კიდევ უფრო ართულებდა ხაზართა პერიოდული შემოსევები.

არაბი მემკვიდრეების თქმით, რეგიონში თავისი ძალაუფლების განმტკიცებისთვის ყოველი არაბი გამგებელი სხვადასხვა ხერხს მიმართავდა. ზოგმა მათგანმა, რეგიონში არაბული ტომები ჩაასახლა, ზოგმა კი ადგილობრივი მოსახლეობის მიმართ სასტიკი და დაუნდობელი ქმედებები არჩია¹. აღსანიშნავია, რომ ვერც სისასტიკით და ვერც უცხოტომელთა ჩამოსახლებით, არაბებმა საწაღელს ვერ მიაღწიეს.

დამოუკიდებლობის დაკარგვის პირველივე დღიდან იწყება ახალი, გაერთიანებული ქართული სახელმწიფოს ჩამოყალიბებისათვის ბრძოლა. I ათასწლეულის მეორე ნახევარში რამდენიმე საერისმთავრო თუ სამთავრო დამოუკიდებლად იწყებს ერთიანი სახელმწიფოს შექმნისათვის ბრძოლას. ეს პროცესი ცვალებადი წარმატებით მიმდინარეობდა.

ერთიანი ქართული სახელმწიფოს ჩამოყალიბებაში დიდი როლი შეასრულა ტაო-კლარჯეთმა, სადაც IX საუკუნის დასაწყისში აშოტ I ბაგრატიონმა ტაო-კლარჯეთის ანუ „ქართველთა სამეფო“ ჩამოაყალიბა, რომლის ფარგლებში შედიოდა შავშეთი, კლარჯეთი, ნიგალი, აჭარა, ტაო, სპერი, სამცხე, ჭავჭავეთი, არტაანი.

როგორც ქართული წყაროებიდან ირკვევა, თავდაპირველად, აშოტი არაბთა სამსახურში იდგა და ემორჩილებოდა როგორც თბილისის ამირას, ისე ბარდავში მჯდომ არმინიის გამგებებს: „ხოლო აშოტ კურაპალატი მთავრობდა ქუეყანასა მას შინა და სახლად მისა იყო ბარდავი და ტფილისი, და ჰქონდა მას ქუეყანა, რომელ არს გარემოს მისსა“². შემდეგ აშოტი არაბებს განუდგა, ბიზანტიის იმპერატორისგან კურაპალატის ტიტული მიიღო და ტაოში დამკვიდრდა. ტაოდან აშოტ კურაპალატმა დამოუკიდებელი პოლიტიკას გატარება და შიდა ქართლისთვის ბრძოლა დაიწყო. როგორც მათიანე ქართლისას ავტორი გადმოგვცემს, აშოტის მხარეზე გამოვიდა აფხაზთა მეფე, ხოლო მათ დაუპირისპირდნენ კახეთის მთავარი გრიგოლი, თბილისის ამირა, მთიულეები და წანარები. ბრძოლა აშოტ კურაპალატის გამარჯვებით დასრულდა და მან შემოიერთა მიწები კლარჯეთიდან ქსნამდე³.

მას უამსა გამოილაშქრა აშოტ კურაპალატმან, და უშუელა თევდოსი. აფხაზთა მეფემან, ძემან მეორისა ლეონისმან, რომელი-იგი სიძე იყო აშოტ კურაპალატისა. მოვიდა გრიგოლ⁴ კახეთით, და გრიგოლს უშუელეს მთიულთა და წანართა და ამირამან ტფილელმან. და შეიბნეს ქსანსა ზედა აშოტ და გრიგოლ. გააქციეს გრიგოლ, მთავარი კახეთისა, და დაიპყრეს ქუეყანა, რომელი ჰქონდა ქართლისაგან, და დაიპყრა აშოტ კლარჯეთითგან ვიდრე ქსნამდე⁵.

როგორც ამ ცნობიდან ირკვევა, თბილისის ამირა უკვე მოქმედებს არა როგორც ხალიფას წარმომადგენელი, არამედ როგორც ერთ-ერთი დამოუკიდებელი მთავარი, მას ჰყავს როგორც ადგილობრივი მოკავშირეები, ისე მოწინააღმდეგეები და ის ლოკალურ დაპირისპირებებში აქტიურ მონაწილეობას იღებს. ამასთან, ქართული წყარო ადასტურებს იმ მოსაზრებას, რომ თბილისის ამირები, კახეთის მოსახლეობა და წანარები მოკავშირეები იყვნენ და ხშირად გამოდიოდნენ ერთმანეთის დასახმარებლად. ეს ყველაფერი ხდება იმ მოკლე პერიოდში, როდესაც არაბი მემკვიდრის, ალ-იაკუბის ცნობით არმინიაში სუსტი გამგებელია და ქვეყანა არეულობებმა მოიცვა⁶.

1 Al-Ya'qubiyī, *Tārīkh al-Ya'qubiyī*, taḥqīq 'abd al-Amir Muhna, al-mujallad ath-thānyī, bayrūt: sharikat al-a'lāmyī li-l-maṭbū'āt 2010, 375.

2 სუმბატ დავითის-ძე, „ცხოვრება და უწყება ბაგრატონიანთა“, ქართლის ცხოვრება, ტ. I, ტექსტი დადგენილია ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ, თბილისი: სახელგამი 1955, 376.

3 სამწუხაროდ, ზუსტად არაფერია ცნობილი თბილისის საამიროსა თუ კახეთის საქორეპისკოპოსოს კუთვნილი ტერიტორიების შესახებ. შეიძლება, ვივარაუდოთ, რომ აშოტის ამ ლაშქრობის შემდეგ სწორედ მდ. ქსანზე დადგინდა საზღვარი თბილისის საამიროსა, ან კახეთსა და აშოტის სამეფოს შორის.

4 გრიგოლ ქორეპისკოპოსი – კახეთის მმართველი 787-827 წწ.

5 „მატიანე ქართლისა“, *ქართლის ცხოვრება*, ტ. I, ტექსტი დადგენილია ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით. ყაუხჩიშვილის მიერ, თბილისი: სახელგამი 1955, 252-253.

6 Al-Ya'qubiyī, *Tārīkh al-Ya'qubiyī*, 422.

სუმბატ დავითის ძის ცნობით, აშოტმა თავისი მმართველობა გაცილებით უფრო ფართო ტერიტორიებზე განავრცო: „და მერმე კუალად ეუფლა ქუეყანათა ვიდრე კარამდე ბარდავის ქალაქისა. და მრავალგზის მოსცა ღმერთმან აშოტს კურაპალატსა ძლევა და დიდი დიდება ბრძოლათა შინა“⁷.

ალ-იაკუბი მოგვითხრობს, რომ ამ პერიოდში თბილისის ამირა იყო მუჰამედ იბნ ათაბი, რომელიც მალე განუდგა ცენტრალურ ხელისუფლებას. მის წინააღმდეგ გაილაშქრა არმინიის გამგებელმა აბდ ალ-ალაჰ იბნ აჰმად იბნ იაზიდ იბნ უსაიდ ას-სულამიმ, თუმცა, წანართა დახმარებით თბილისის ამირამ ის სასტიკად დაამარცხა. ამის შემდეგ, აბასიანმა ხალიფა ალ-მამუნმა არმინიაში ხალიფ იბნ იაზიდ იბნ მაზიად ამ-შაიბანი დანიშნა. 829 წელს ხალიფმა ხლათი და ნახიჩევანი გამოიარა, რის შემდეგაც ქართლში, ქსნის მიმდებარედ დაბანაკდა. იქიდან ხალიფმა თბილისის ამირა მუჰამედ იბნ ათაბი იხმო. მუჰამედი ეახლა ხალიფს და მორჩილება აღუთქვა. შეხვედრისას ხალიფმა ჰკითხა თბილისის ამირას, ემორჩილებოდნენ თუ არა მას წანარები, რაზეც მუჰამედმა იუარა. ამის შემდეგ ხალიფმა წანარები დალაშქრა, დაამარცხა და მშვიდობის სანაცვლოდ კონტრიბუცია დააკისრა⁸.

როგორც ჩანს, ხალიფ იბნ იაზიდის 829 წლის ლაშქრობა მხოლოდ თბილისის ამირასა და წანართა წინააღმდეგ არ ყოფილა მიმართული. შეგვიძლია, ვივარაუდოთ, რომ არაბი მთავარსარდლის ერთ-ერთ მიზანს აშოტ კურაპალატის შეჩერებაც იყო. ამდენად, ხალიფს ერთდროულად სამი პრობლემა უნდა გადაეჭრა: თბილისის ამირას ურჩობა და მისი სავარაუდო კავშირი წანარებთან, წანარების საკითხი და აშოტ კურაპალატის გაძლიერება. სამივე პრობლემა გადაუდებელ გადაჭრას მოითხოვდა⁹.

როგორც ჩანს, აშოტ კურაპალატმა ხალიფ იბნ იაზიდთან ბრძოლისთვის მზადება დაიწყო. სუმბატ დავითის ძე გვიაშობს, რომ აშოტმა ლაშქრის შეკრება ბრძანა: „და იყო ერთსა შინა ჟამსა, განვიდა აშოტ, რათამცა შეკრიბა ლაშქარი ბრძოლისათჳს სარკინოზთა“¹⁰.

საუმბატ დავითის ძის, ასევე მათიანე ქართლისას ცნობით, აშოტი არაბებთან ბრძოლაში დამარცხდა და ის ეკლესიაში მოკლეს.

აღსანიშნავია, რომ წყაროები განსხვავებულ ინფორმაციას გვაწვდიან აშოტ I-ის გარდაცვალებასთან დაკავშირებით. წინამდებარე სტატიაში, ქართულ და არაბულ წყაროებზე დაყრდნობით, შევეცდები განვიხილო ქართველი მეფის მკვლელობის წინაპირობები და გარემოებები.

წერილობითი წყაროები განსხვავებულ დეტალებს გადმოგვცემენ აშოტის სიკვდილის თაობაზე. მათიანე ქართლისას ანონიმი ავტორი მოკლედ მოგვითხრობს, რომ მას შემდეგ, რაც ხალიფ იბნ იაზიდმა აღმოსავლეთ საქართველო დაიპყრო, აშოტ კურაპალატი გარდაბანში, ეკლესიაში მოკლეს: „შემდგომად ამისა მოვიდა ხალიფ იაზიდის ძე არაბიელი, და დაიპყრა სომხითი, ქართლი და ჰერეთი. და მოკლეს აშოტ კურაპალატი გარდაბანს, ეკლესიასა შინა, და სისხლი მისი, რომელი მაშინ დაითხია, ანცა იხილვების ვითარცა ახალი“¹¹. სუმბატ დავითის ძე უფრო დეტალურად გადმოგვცემს აშოტის მარცხის ამბავს და გვიაშობს, რომ ის ნიგალის ხევში ღალატით მოკლეს:

მოვიდა იგი ადგილსა რომელსამე და განავლინა ლაშქრის მანუევრები. და ვიდრე არღარა შეკრებულ იყო ლაშქარი იგი მის თანა, დაესხნეს მას სარკინოზნი უცნაურად და აოტეს იგი. წარმოემერთა და მოიწნა ჴევსა ნიგალისასა და იწყო ძებნად ერისა, რათამცა ვითა განიმრავლა ლაშქარი თჳსი. და წარმოემართნეს მოსვლად მის წინაშე იგინი, რომელთა მან უბრძანა, ხოლო იგინი მოვიდოდეს კვლად მისსა. მაშინ ვიდრე მოწევნადმდე მათდა კარად მისსა არა უწყოდა აშოტ ზაკუა, მათი, და რაჟამს მოიწივნეს იგინი კარად მისსა, მაშინდა აგრძნა რად-იგი ეგულვებოდა მათ. და არა ჰყვა მას ერი თჳსი თჳნიერ მცირედთასა. ვერ წინააღუდგებოდა იგი მათ. ამისჴსცა შეივლტოდა აშოტ კურაპალატი ეკლესიად, და მოწყლეს იგი მახვლითა საკურთხეველსა ზედა და შეისუარა საკურთხეველი იგი

7 სუმბატდავითის-ძე, *ცხოვრებადაუწყებაბაგრატონიანთა*, 377.

8 Al-Ya'qubyyī, *Tārīkh al-Ya'qubyyī*, 421-422.

9 ასტახიშვილი ე. ახმეტელი ნ. ნარიშკინიშვილი გ., *ქართველები და გარესამყარო IV-X საუკუნეები*. თბილისი: გამომცემლობა შემოქმედი ანგელოზი 2019, 335.

10 სუმბატდავითის-ძე, *ცხოვრებადაუწყებაბაგრატონიანთა*, 377.

11 მათიანე ქართლისა, 253.

სასხლითა მისითა, რამეთუ დაკლეს იგი მუნ, ვითარცა ცხოვარი, აღსავალსა საკურთხევლისასა და სისხლი იგი მისი დათხეული დღესცა საჩინოდ სახილველ არს¹².

ქართულ ისტორიოგრაფიაში დამკვიდრებულია მოსაზრება, რომ აშოტ კურაპალატი მოკლეს 826 წელს, რადგან აშოტ კურაპალატის სიკვდილის სწორედ ეს თარიღი აქვს მოტანილი სუმბატ დავითის ძეს¹³. თუმცა, ასევე აღნიშნულია, რომ აშოტ კურაპალატი ხალიდ იბნ იაზიდის ლაშქრობის დროს მოკლეს¹⁴. იმ ფაქტს, რომ აშოტ კურაპალატის მკვლელობა მოხდა ხალიდის ლაშქრობის შემდეგ, ადასტურებს მათიანე ქართლისა¹⁵. მიგვაჩნია, რომ აშოტ კურაპალატის მკვლელობა მოხდა სწორედ 829 წელს და არა 826-ში¹⁶.

დღეს რთული სათქმელია, თუ სად მოკლეს სინამდვილეში აშოტ კურაპალატი, თუმცა, არ არის გამორიცხული, რომ ორივე ცნობა გარკვეულწილად ავსებდეს ერთმანეთს. მონაცემთა შეჯერების შედეგად, შეგვიძლია, ვივარაუდოთ, რომ აშოტ კურაპალატი მცირე რაზმით ჩავიდა გარდაბანში, სადაც მას ლაშქარი უნდა შეეკრიბა: „მოვიდა იგი ადგილსა რომელსამე და განავლინა ლაშქრის მანუევლნი“. თავის მხრივ, არაბები ინფორმირებულები იყვნენ იმის შესახებ, რომ აშოტი გარდაბანში აპირებდა მათ წინააღმდეგ ლაშქრის შეკრებას და როდესაც მას ჯარი არ ეახლა, თავს დაესხნენ და გააქციეს.

გარდაბანში განვითარებული მოვლენების შესახებ მხოლოდ ვარაუდების გამოთქმა შეგვიძლია. შესაძლოა, სამხრეთ კავკასიაში ხალიდ იბნ იაზიდის გამოჩენამ თბილისის ამირა მუჰამედ იბნ ათაბი იმდენად შეაშინა, რომ თავდაპირველად გადაწყვიტა არაბი მთავარსარდლის წინააღმდეგ, როგორც მოკავშირეები, ასევე მოწინააღმდეგეები, მოემხრო. მან უხმო წანარებს, გარდაბნელებს და აშოტ კურაპალატს, მაგრამ მოგვიანებით პოზიცია შეცვალა, ეახლა ხალიდ იბნ იაზიდს, არაბ სარდალს მორჩილება აღუთქვა და ყველა თავისი მოკავშირე გასცა. ეს ნათლად ჩანს ალ-იაკუბის ცნობიდან, სადაც მუჰამედ იბნ ათაბი ღიად აცხადებს უარს წანარებთან¹⁷ რაიმე სახის კავშირზე. შესაძლოა, სწორედ თბილისის ამირასა და წანარებს ელოდებოდა აშოტი გარდაბანში, თუმცა, დახმარების სანაცვლოდ მოწინააღმდეგის რაზმების გაუთვალისწინებელი თავდასხმა მიიღო და ნიგალში გაიქცა. გასაკვირია, რომ აშოტი გარდაბანში დიდი ლაშქრის გარეშე იყო მისული, მაგრამ ამის მიზეზი უცნობია. შემდეგ განვითარებული მოვლენები კიდევ უფრო მეტ კითხვებს ბადებენ. როგორც სუმბატ დავითის ძის მონათხრობიდან ვიგებთ, ნიგალში მას ეახლნენ ისინი, ვისაც აშოტმა სალაშქროდ შეკრება უბრძანა. ქართველი მემკვიდრეები სიტყვებიდან გამომდინარე, მათ აშოტ კურაპალატის მოკვლა ჰქონდათ ჩაფიქრებული. თუმცა, ღალატის შესახებ აშოტმა მხოლოდ მაშინ შეიტყო, როდესაც მკვლელები ნიგალში მივიდნენ. ვინაიდან აშოტ კურაპალატი ნიგალშიც მცირე რაზმით იყო დაბანაკებული, მკვლელებმა ადვილად შეასრულეს ჩანაფიქრი და ეკლესიაში შეხიზნული ქართველი კურაპალატი მოკლეს. აქ ისმის რიგი კითხვებისა: ვინ იყვნენ ისინი, ვისაც აშოტი ჯერ გარდაბანში ელოდებოდა და შემდეგ ნიგალში ღალატით მოკლეს? რატომ დაბანაკდა აშოტი ნიგალში მცირე რაზმით და არ მოიხმო ერთგული ჯარი ან რა რაოდენობის ლაშქარი ყავდა აშოტ მეფეს იმ მომენტში? რატომ არ ელოდა აშოტი ღალატს მას შემდეგაც კი, რაც ის გარდაბანში მიატოვეს? სამწუხაროდ, ამ კითხვებზე პასუხის გაცემა არსებული მონაცემებიდან ძალიან რთულია და ეს საკითხები ცალკე კვლევას საჭიროებს. ყოველ შემთხვევაში, როგორც უკვე აღვნიშნეთ, თბილისის ამირასთან მოლაპარაკებების შემდეგ ხალიდმა წანარები დალაშქრა და დაამარცხა. ამავ დროს მათიანე ქართლისას ავტორი გადმოგვცემს, რომ

12 სუმბატ დავითის-ძე, *ცხოვრება და უწყება ბაგრატონიანთა*, 377.

13 *ibid.*

14 ჯავახიშვილი ივ., *ქართველი ერის ისტორია*, ტ. II, თხზულებანი თორმეტ ტომად, თბილისი: გამომცემლობა „მეცნიერება“ 1983, 96.

15 *მატიანე ქართლისა*, 253.

16 ასტახიშვილი ე. ახმეტელი ნ. ნარიშკინიშვილი გ., *ქართველები და გარესამყარო IV-X საუკუნეები*, 335.

17 არაბული და სომხური წყაროები წანარებს ზოგჯერ მოიხსენიებენ როგორც ცალკე თემს, ასევე, გარკვეულ შემთხვევებში, გულისხმობენ გარდაბნელებსა და კახეთის მოსახლეობასაც (ცაგარეიშვილი ე., *საქართველოში ბუღა თურქის ლაშქრობის საკითხისთვის*, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემია, მაცნე N 4, 1968, 113; ლორთქიფანიძე მ., „ახალი ფეოდალური სამთავროების შექმნა“, *საქართველოს ისტორიის ნარკვევები* ტ. II, რედ. შ. მესხია, თბილისი: საბჭოთა საქართველო, 1973, 380, 394). არ არის გამორიცხული, რომ ამ შემთხვევაში თბილისის ამირამ ყველა მოკავშირეზე თქვა უარი და მოგვიანებით ხალიდმა არა მხოლოდ წანართა წინააღმდეგ ილაშქრა, არამედ გარდაბანი და კახეთიც მოარბია.

აშოტ კურაპალატის გარდაცვალების შემდეგ, მისმა შვილებმა დაკარგეს მამის მიწების დიდი ნაწილი და არაბებისთვის ხარკის გადახდა დაიწყეს. კერძოდ, მათიანე ქართლისა მოგვითხრობს, რომ: „ხოლო ამაჲნ ბაგრატ (აშოტ კურაპალატის ძე გ.ნ.) და ძმათა მისთა დაიპყრეს არტანუჯით გამოღმათ მათი ნაქონები იგი მამულეი მამისა მათისა, და მორჩილობდეს სარკინობთა¹⁸, ხოლო სუმბატ დავითის ძე გადმოგვცემს: „და შემდგომად აშოტისა სიკვდილისა, მამისა მათისა, რომელ გარეთ ქუეყანა ჰქონდათ ძეთა აშოტისათა -- წარუღეს სარკინობთა. ... და იყვნეს ხარკის მიმცემელ სარკინობთა ყოველნივე ჰევნი შავშეთ-კლარჯეთ-ნიგალისანი¹⁹“. ივ. ჯავახიშვილი აღნიშნავს, რომ „გარეთ ქუეყანაში“ იგულისხმება ქართლი, შესაბამისად არაბებმა აშოტის შვილებს ქართლი სრულიად ჩამოართვეს, ხოლო არტანუჯის აღმოსავლეთით მდებარე მიწებს ხარკი დაადეს²⁰. გარდა ამისა, ხალიდ იბნ იაზიდმა გადააყენა მუჰამედ იბნ ათაბი და თბილისის ამირად დანიშნა ალი შუაბის ძე²¹.

მიუხედავად იმისა, რომ აშოტის ქმედებებმა მოკლევადიანი შედეგები ვერ მოიტანა და ქართველი კურაპალატი აბასიანთა იმპერიის ცენტრალურ ხელისუფლებასთან დამარცხდა, მან საფუძველი ჩაუყარა ერთიანი საქართველოს სამეფოს შექმნას და იყო პირველი წარმომადგენელი იმ სამეფო დინასტიისა, რომელიც მართავდა ჩვენს ქვეყანას დაახლოებით ათასი წლის მანძილზე.

გამოყენებული ლიტერატურა

ასტახიშვილი ე. ახმეტელი ნ. ნარიშკინიშვილი გ., *ქართველები და გარესამყარო IV-X საუკუნეები*.

თბილისი: გამომცემლობა შემოქმედი ანგელოზი 2019.

ლორთქიფანიძე მ., „ახალი ფეოდალური სამთავროების შექმნა“, *საქართველოს ისტორიის*

ნარკვევები ტ. II, რედ. შ. მესხია, თბილისი: საბჭოთა საქართველო, 1973. გვ. 372 – 506.

„მატიანე ქართლისა“, *ქართლის ცხოვრება* ტ. I, ტექსტი დადგენილია ყველა ძირითადი

ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ, თბილისი: სახელგამი 1955. გვ. 249 – 317.

სუმბატ დავითის-ძე, „ცხოვრება და უწყება ბაგრატონიანთა“, *ქართლის ცხოვრება*, ტ. I, ტექსტი და

დგენილია ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით. ყაუხჩიშვილის მიერ, თბილისი: სახელგამი 1955. გვ. 372 – 386.

ცაგარეიშვილი ე., *საქართველოში ბუღა თურქის ლაშქრობის საკითხისთვის*, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემია, მაცნე N 4, 1968. 105-114.

ჯავახიშვილი ივ., *ქართველი ერის ისტორია*, ტ. II, თხზულებანი თორმეტ ტომად, თბილისი:

გამომცემლობა „მეცნიერება“ 1983.

Al-Ya'qubyī, Tārīkh al- Ya'qubyī, taḥqīq 'abd al-Amir Muhna, al-mujallad ath-thānyī, bayrūt: sharikat al-a'lāmyī li-l-maṭbū'āt 2010.

18 *მატიანე ქართლისა*, 255.

19 სუმბატ დავითის-ძე, *ცხოვრება და უწყება ბაგრატონიანთა*, 378.

20 ჯავახიშვილი ივ., *ქართველი ერის ისტორია*, ტ. II, 96.

21 *მატიანე ქართლისა*, 254.

SOME DETAILS OF THE ASSASSINATION OF ASHOT I KOUROPALATES ACCORDING TO GEORGIAN AND ARABIC SOURCES

The Arab conquests, their military successes and the spread of Islam created a new political situation in the Middle East, which had a significant impact on the South Caucasus. In the middle of the 7th century, the first army of Arabs appeared in Kartli. And, during the fifth caliph of the Umayyad dynasty, Abd Allah Ibn Marwan, the Arabs finally conquered Kartli.

From the beginning of the 9th century, the formation of a united Georgian state had started. Ashot I Bagration, who established the Tao-Klarjeti Kingdom or "Kingdom of Georgians" played a crucial role in this process.

As it is clear from the Georgian written sources, initially, Ashot was in the service of the Arabs and obeyed both the Amir of Tbilisi and the governor of Arminia, who was based in Bardavi. Then Ashot left the Arabs, received the title of Kouropalates from the Byzantine emperor and settled in Tao. From Tao, Ashot Kouropalates started to pursue an independent policy and fight for the Shida Kartli. He was actively involved in the ongoing military-political processes in the region and by creating connections with local players, he tried to expand his sphere of influence. However, he did not achieve his final goal and was defeated in the battle with the central government of the Arab Caliphate.

According to two Georgian historians, Saumbat Davits Dze and Matiane Kartlisa, Ashot was killed in the church, although the authors give us different details. In Matiane Kartlisa, the anonymous author briefly tells us that Ashot Kurapalat was killed in the church in Gardabani, and Sumbat Davitis Dze tells us that he was killed by treachery in Nigali ravine. Today, it is difficult to say where Ashot Kurapalat was actually killed, although it is possible that both accounts are somewhat complementary. As a result of comparing the available data, we can assume that Ashot Kurapalat arrived in Gardabani with a small detachment, where he was supposed to gather an army, but he was betrayed by his allies and forced to flee to Nigal, where he was killed by betrayal.

Keywords: History of Georgia, Ashot Kouropalates, Arabs in Georgia.

ამიერკავკასიის ქვეყნების ადმინისტრაციული დაყოფა ოსმალთა ბატონობის დროს (1578-1603)

რეზიუმე

1578-1590 წწ. ოსმალეთ-ირანის ომების შედეგად ოსმალებმა დაიპყრეს ამიერკავკასიის აღმოსავლეთი და ირანის დასავლეთი ნაწილი, და შეუდგნენ თავიანთი წესების დანერგვას დამორჩილებულ ქვეყნებში.

1578 წლის 24 აგვისტოს ოსმალეთის ჯარებმა თბილისი დაიკავეს. ოსმალებმა აქ გააუქმეს სამეფო ხელისუფლება. ქართლის დაპყრობას მოჰყვა თბილისის (ქართლის) საბეგლარბეგოს დაარსება. ოსმალებმა გორში სანჯაყი დააარსეს.

1584 წელს ოსმალებმა დაიპყრეს დმანისი და ლორე. ლორეს ციხე-სიმაგრე საბეგლარბეგოს წარმოადგენდა, 1592 წლის შემდეგ სანჯაყად აქციეს და ჩილდირს დაუქვემდებარეს. ოსმალური წყაროების მიხედვით: “ახალციხის, არტაანისა და ჭოროხის ყელზე მდებარე ტერიტორიების გაერთიანების შედეგად შეიქმნა ერთი ახალი საბეგლარბეგო ჩილდირის ეიალეთის სახელწოდებით“, ხოლო უზუნარშილის ცნობით – ოლთისისა და არტაანის გაერთიანების შედეგად. ძირითადად გააერთიანეს სამცხეში სხვადასხვა დროს დაპყრობილი ტერიტორია და აქ ოსმალური მართვა-გამგეობა დააწესეს.

ოსმალთა ოკუპაციის დროს საბეგლარბეგოები დაარსებულ იქნა შირვანში, დარუბანდში, ვანში, ერევანში და განჯა-ყარაბაღში. XVI-XVII საუკუნეების ოსმალური წყაროების მიხედვით, სომხეთის რეგიონი იყოფოდა შემდეგ ადმინისტრაციულ ერთეულებად (ეიალეთი ან ვილაიეთი): ერზურუმი, ვანი, ყარსი, რუმი (სებასტია) და დიარბაქირი.

ამიერკავკასიის ქვეყნებში ოსმალეთის მმართველობა დაფუძნებული იყო სამხედრო ძალაზე, რამაც გამოიწვია ადგილობრივი მოსახლეობის მზარდი წინააღმდეგობა, რადგან ისინი ცდილობდნენ ოსმალთა ბატონობისაგან განთავისუფლებას.

საკვანძო სიტყვები: ამიერკავკასიის ქვეყნების მდგომარეობა, ოსმალური მართვა-გამგეობა.

1578 წელს ოსმალეთის სულთანმა მურად III-მ (1574-1595 წწ.) ირანის წინააღმდეგ განაახლა ომი და ამ ომში ოსმალეთის ლაშქრის მთავარსარდლად დანიშნა ლალა მუსტაფა ფაშა. 1578 წლის 5 აპრილს ლალა მუსტაფა ფაშამ სტამბოლი დატოვა და მრავალრიცხოვანი ლაშქრით ირანის წინააღმდეგ საომრად გაემართა. მას დავალებული ჰქონდა აღმოსავლეთ ამიერკავკასიის ქვეყნების დაპყრობა და მისი ოსმალეთისათვის დამორჩილება. 1578 წლის 9 აგვისტოს ჩილდირის ველზე ოსმალებსა და ირანელებს შორის მოხდა დიდი ბრძოლა. ჩილდირის ბრძოლა მეტად ცხარე ხასიათს ატარებდა და ოსმალთა გამარჯვებით დამთავრდა (მ. სვანიძე, 1971, 100-108; B. Küçüköğlu, 1993, 30; İ. H. Danişmend, 1948-1956, 22; M. Cezar, M. Sertoğlu, 1957-1959, 1321).

ჩილდირის ბრძოლის მეორე დღეს, ე.ი. 10 აგვისტოს, როდესაც გაირკვა, რომ გამარჯვება ოსმალებს ხვდა წილად, მანუჩარმა გადაწყვიტა ოსმალებისათვის მოჩილება გამოეცხადებინა. მანუჩარისა და ლალა ფაშას მოლაპარაკებიდან ირკვევა, რომ მანუჩარი მოითხოვდა ოსმალებისაგან ეცნოთ იგი სამცხე-საათაბაგოს პოლიტიკურ საზღვრებში მოქცეული ქვეყნის მთავრად. ლალა მუსტაფა ფაშა

ათაბაგის სახლის წევრებს (მანუჩარსა და ყვარყვარეს) სანჯაყებს უწყალობებდა, ხოლო დანარჩენებს (მის ძმას ბექასა და დედამისს დედისიმედს) – მიწებს ხასისა და ზეამეთების საფუძველზე, ე.ი. ათაბაგის სახლის წევრებს ქრისტიანობით და არა მაჰმადიანობით უმტკიცებდა მიწის ნაკვეთებს, რაც მეტად იშვიათი მოვლენა იყო ოსმალეთში (მ. სვანიძე, 1971, 108; İ. H. Danişmend, 1948-1956, 22; M. Cezar, M. Sertoğlu, 1957-1959, 1321).

1578 წლის 24 აგვისტოს ოსმალთა ლაშქარმა თბილისი დაიკავა. ამ დროს ქართლის გამგებლად გამაჰმადიანებული დაუდ ხანი იჯდა. ოსმალებმა აქ სამეფო ხელისუფლება გააუქმეს და თავისი წესების შემოღებას შეუდგნენ. ქართლის დაპყრობას კი თბილისის (ქართლის) საბეგლარბეგოს დაარსება მოჰყვა. მის გამგებლად ლალა მუსტაფა ფაშამ კასტამონიის სანჯაყ-ბეგი სოლაქ ფერჰად ფაშას ძე მეჰმედ ბეგი დანიშნა. ოსმალებმა თბილისის საბეგლარბეგოსთან ერთად გორში სანჯაყი დააარსეს და მის სანჯაყ-ბეგად ჰუსეინ ბეგი დანიშნეს (J. Hammer, 1834-1849, 85; İ. H. Danişmend, 1948-1956, 23; M. Cezar, M. Sertoğlu, 1957-1959, 1323).

ოსმალებმა ქართლში თავიანთი წესების დანერგვა დაიწყეს და ქართლის აღწერას შეუდგნენ. მაგრამ ქართველმა ხალხმა, სიმონ მეფის მეთაურობით, დამპყრობლების წინააღმდეგ სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლა გააჩაღა და მტერს ქვეყნის გაოსმალებაზე ხელი ააღებინა. ჩანს, ამ დროს ოსმალებმა ვერ შეძლეს ქართლის მთლიანი აღწერა და თბილისის დავთრის შედგენა. თურქმა ისტორიკოსმა მ. ფ. ქირზიოღლუმ, რომლის აზრით, ამ პერიოდში ოსმალებმა ქართლი აღწერეს და თბილისის დავთარი შეადგინეს, ვერ მოიძია ეს დავთარი ოსმალეთის არქივებში (M. F. Kirzioğlu, 1976, 295; ც. აბულაძე, 1979, 62). ოსმალები ქართლის აღწერას შეუდგნენ, მაგრამ გვგონია, რომ მთლიანად ვერ აღწერეს. ჩვენს ვარაუდს სარწმუნოდ ხდის ი. ჰ. უზუნჩარშის ნაშრომში – Osmanlı Devletinin Merkez ve Bahriye Teşkilatı, მოტანილი ცნობა: „ახლადდაპყრობილი ქვეყნის აღწერაში აჩქარება დაუშვებელია. დაპყრობილების მისანდობად უნდა შორსმჭვრეტელურად იმოქმედო. აი, სარდალმა ფერჰად ფაშამ როგორც კი დაიპყრო საქართველო და აზერბაიჯანი, მისი აღწერა დააწყებინა, რამაც ხალხის აღშფოთება გამოიწვია, რის გამო იძულებული გახდნენ თავი დაენებებინათ, ვიდრე ხალხის ნდობა არ მოიპოვეს“ (ისტორიკოსი ემყარება 1588 წლის ამბების შემცველ „მუჰიმე დავთარს“) (ც. აბულაძე, სიმონ მეფის არზა სულთან მურად III-ისადმი, 155-156; İ. H. Uzunçarşılı, 1948, 108).

ჩვენს სიძველეთსაცავებში ამ პერიოდის ქართლის შესახებ არა სახის ოსმალური ოფიციალური დოკუმენტი არ იძებნება. ყველაფერი ეს გვაფიქრებინებს, რომ ფისკალური მიზნით ქართლის მთლიანი აღწერა ვერ მოხერხდა, რომ სიმონ მეფის არზის შედგენის დროს „სრულიად ქართლის“ დავთარი, როგორც ოფიციალური დოკუმენტი, არ არსებობდა, და თუ არსებობდა, მას იურიდიული ძალა არ ჰქონდა ქართლის მეფისათვის, წინააღმდეგ შემთხვევაში, სულთნის უზენაეს სამეფო კარზე გაგზავნილ წერილში დასახელებული იქნებოდა ოსმალური სამხედრო-ადმინისტრაციული ერთეულები: ვილაიეთი, სანჯაყი, ლივა, ნაჰიე და არა ფეოდალური საქართველოსათვის ნიშანდობლივი ციხე და მისი შემოგარენი; თითოეულ სოფელთან მითითებულ იქნებოდა შემოსავალი და არ იქნებოდა მხოლოდ სახელების ჩამოთვლა; აღარას ვამბობთ გამოთქმაზე „ჩემი აზნაურები“, რადგან სოციალური ფენების აღმნიშვნელი ქართული ტერმინები „თავადი“ და „აზნაური“ ბევრჯერ გვხვდება თვით სულთნის მიერ გამოცემულ საბუთებში“ (ც. აბულაძე, სიმონ მეფის არზა სულთან მურად III-ისადმი, 155-156).

1588 წელს სიმონ მეფესა და ოსმალეთის სარდალ ფერჰად ფაშას შორის ზავი დაიდო. საზავო ხელშეკრულებიდან ირკვევა, რომ ოსმალეთი ცნობდა სიმონ I-ს ქართლის მეფედ, აღიარებდა მის მემკვიდრეობით უფლებას და კისრულობდა არ ჩარეულიყო მის საქმეებში. ხსენებულ დოკუმენტში ვკითხულობთ: „შენს (სიმონ მეფის) უფლებაში მყოფი შენი ქვეყანა უწინდებურად შენს ხელში იყოს, შთამომავლობიდან შთამომავლობამდე იყავ მისი მფლობელი და სხვა ვინმეს ამაში ხელი არ ჰქონდეს და (ამ საქმეში) არ ჩაერიოს“. საყურადღებოა, აგრეთვე, ის, რომ სულთანი სიმონ I-ს ქრისტიანობით უნარჩუნებდა მმართველობას, მურად III სიმონ I-ს შემდეგნაირად მიმართავდა: „იესოელთა დიდებული

თავადების სიამაყე, მესიელთა ხალხში წარჩინებულთა რჩეულო, ქრისტეს მადიარებელ გვარტომთა საქმეების კეთილად წარმმართველო ქართლის ქვეყნის მფლობელო სიმონ ხან“ (მ. სვანიძე, 1971, 177).

ოსმალეთის მიერ სიმონ I-ის ქრისტიანობით ქართლის მეფედ ცნობა ქართველი ხალხის გამარჯვება იყო, რადგან ქრისტიანობის შენარჩუნება ქართველობასთან (ქართულ სოციალურ-პოლიტიკურ სისტემასთან) იყო დაკავშირებული (მ. სვანიძე, 1971, 177).

ხელშეკრულების ანალიზიდან ირკვევა, რომ ქართლის სამეფოსა და ოსმალეთს შორის დადებული ბავი დაფუძნებული იყო *Uti possidetis* პრინციპზე, ე.ი. ოსმალეთი ინარჩუნებდა იმ ტერიტორიებს, რომელიც მას დაპყრობილი ჰქონდა ომის შედეგად. ვინაიდან ზავის დადების დროისათვის ოსმალებს, ფაქტიურად, ქართლში მხოლოდ მთავარი ციხე-ქალაქები ეკავათ, ამიტომ ქართლის ციხეებში კვლავ ოსმალთა გარნიზონები რჩებოდნენ და სიმონ მეფის ხელისუფლება ქართლის დანარჩენ ტერიტორიაზე ვრცელდებოდა. ფარსადან გორგიჯანიძის სიტყვებით: ‘ბატონ სვიმონ ქართლში მეფობდა, მაგრამ ციხეები ურუმთ ეჭირათ’ (მ. სვანიძე, 1971, 178; ფარსადან გორგიჯანიძის ისტორია, 1925, 13). სულთანმა მურად III-მ დაამტკიცა ზავის პირობები და სიმონ მეფის სახელზე გაიცა უმაღლესი ხელშეკრულება „აჰდ-ნამე-ი ჰუმაიუნ“ („უავგუსტოესის ფიცის წიგნი“ ან „უავგუსტოესის ხელშეკრულება“) (მაჰ აბასი, 1973-1974, 152).

ალექსანდრე კახთა მეფემ ოსმალთა სარდალს მოჩილება გამოუცხადა. ლალა მუსტაფა ფაშა ალექსანდრე მეფისაგან მოითხოვდა მორჩილებასა და „ისლამით გაპატიოსნებას“, ხოლო სამაგიეროდ ჰპირდებოდა, რომ მისი ქვეყანა გადაურჩებოდა „ძარცვასა და იავარყოფას“. ისკანდერ მუნშის და შერეფ ხან ბითლისელის ცნობით, ალექსანდრე კახთა მეფეს ოსმალეთის სასარგებლოდ „ბაჟო ხარაჯა“ უნდა გადაეხადა. კახეთი ამ დროს ერთადერთი „საქართველო“ იყო, სადაც არც „ოსმალთა“ იყო, არც „ციხილბაშობა“ (ვ. გაბაშვილი, 1958, 70).

დასავლეთ საქართველოს სამეფო-სამთავროები (იმერეთი, სამეგრელო, გურია) ოსმალეთის მოხარკე ქვეყნები იყვნენ. ამასთანავე, ისინი ხარკს ყოველწლიურად კი არ იხდიდნენ, არამედ 2-3 წელიწადში ერთხელ, ზოგჯერ კი – სულთანი ათავისუფლებდა მათ ამ გადასახადისაგან. დასავლეთ საქართველოს მეფე-მთავრები ქვეყანაში სრული დამოუკიდებლობით სარგებლობდნენ (მ. სვანიძე, 186).

სამცხე-საათაბაგოს დასავლეთ ნაწილში ოსმალები ჯერ კიდევ XVI ს-ის პირველ ნახევარში შეუდგნენ ოსმალური მიწათმფლობელობისა და მიწათსარგებლობის წესების შემოღებასა და ქვეყნის სანჯაყებად დაყოფას, ხოლო სამცხის აღმოსავლეთ ნაწილში კი ცვლილებები მოხდა ლალა მუსტაფა ფაშას ლაშქრობის დროს. სულთნის თვალსაზრისით, საჭირო იყო სამცხეში შექმნილი სანჯაყების გაერთიანება და ერთი საბეგლარბეგოს (საფაშოს) დაარსება. მანუჩარი გამაჰმადიანდა. მას მუსტაფა ეწოდა და სულთნისაგან ბეგლარბეგობა (ფაშობა) მიიღო. ოსმალეთის სულთანმა გამაჰმადიანებული მანუჩარი (მუსტაფა) ჩილდირის ბეგლარბეგად დანიშნა. ოსმალური წყაროების მიხედვით: “ახალციხის, არტაანისა და ჭოროხის ყელზე მდებარე ტერიტორიების გაერთიანების შედეგად შეიქმნა ერთი ახალი საბეგლარბეგო ჩილდირის ეიალეთის სახელწოდებით“, ხოლო უზუნჩარშილის ცნობით – ოლთისისა და არტაანის გაერთიანების შედეგად (მ. სვანიძე, 131-132; İ. H. Uzunçarşılı, Osmanlı Tarihi, 289). ძირითადად გაერთიანეს სამცხეში სხვადასხვა დროს დაპყრობილი ტერიტორია და აქ ოსმალური მართვა-გამგეობა დააწესეს.

XV-XVI საუკუნეებში ოსმალეთის იმპერიაში რეგულარულად ტარდებოდა ქვეყნის აღწერა და დავთრის შედგენა. ეს ღონისძიება უმთავრესად დაკავშირებული იყო დაპყრობილი ქვეყნების ინკორპორაციასთან, იქ ადგილობრივი წყობილების გაუქმებასთან, ოსმალური სოციალურ-ეკონომიკური სისტემის დამყარებასთან და ამ ქვეყნებიდან, გადასახადების გაწერის გზით, სახელმწიფო შემოსავლის ზრდასთან. ოსმალეთში დავთარი ეწოდებოდა ადმინისტრაციულ და საფინანსო წიგნებს, რომლებიც შეიცავდა ჩანაწერებს, ოქმებს, დაწვრილებით აქტებს. მათ ჰქონდათ აღწერის (რეგისტრაციის) ხასიათი. აღწერის შედეგად დგებოდა ორი სახის დავთარი: პირველი გვიჩვენებდა გადასახადებს

მათი წყაროების დეტალური მითითებით. ეს იყო „დიდი დავთარი“ (mufasssal defteri), მეორეში „მცირე დავთარში“ (icmal defteri) – აღნიშნული იყო წლიური შემოსავლის განაწილება მხედართა შორის. ეს დავთრები არამარტო განსაზღვრავდნენ ცალკეული გლეხისაგან ასაკრეფი გადასახადების რაოდენობას, არამედ მათ იყენებდნენ აგრეთვე როგორც ოფიციალურ საბუთებს, რომელთა მიხედვითაც წესდებოდა მიწისმფლობელობისა და მიწათსარგებლობის იურიდიული ნორმები. დიდ დავთარს, როგორც წესი, წამძღვარებული ჰქონდა კანუნ-ნამე (კანონთა წიგნი), რომელშიც ფიქსირებული იყო ქვეყნის მოსახლეობის უფლება-მოვალეობანი საგადასახადო სისტემის შემოღებასთან დაკავშირებით (ც. აბულაძე, 1979, 12; მ. სვანიძე, 1963, 103-106).

1595 წელს „გურჯისტანის ვილაიეთის დავთარს“ წინ უსწრებდა სხვა „გურჯისტანის დავთრები“, რომლებიც ოსმალებმა უფრო ადრე (XVI საუკუნის 70-იან წლებში) შეადგინეს. 1595 წლის „გურჯისტანის დავთარში“ ხშირად გვხვდება გამოთქმა „ძველი და ახალი დავთარი“ (მ. სვანიძე, 1971, 194).

„გურჯისტანის ვილაიეთის დავთრის“ მიხედვით, სამცხე-საათაბაგო 8 სანჯაყად (ლივა) იყო დაყოფილი: ახალციხე, ხერთვისი, ახალქალაქი, ჩაღდირი, ფოცხოვი, პეტრა, ფანაკი და დიდი არტაანი. ეს სანჯაყები სულ 28 რაიონისაგან (ნაჰიე) შედგებოდა. ნაჰიე, თავის მხრივ, რამდენიმე სოფელსა (კარიე) და დასახლებულ პუნქტს აერთიანებდა. სულ „დავთრის“ მიხედვით, სამცხე საათაბაგოში 1160 სოფელი შედიოდა (მ. სვანიძე, 1971, 195).

როგორც ცნობილია, 1582 წელს ოსმალეთის სულთანმა მურად III-მ ოსმალეთის ლაშქრის მთავარსარდლად დანიშნა რუმელიის ბეგლარბეგი ფერჰად ფაშა.

1584 წელს ოსმალებმა დაიპყრეს დმანისი და ლორე. 1584 წელს ლორეს ციხე-სიმაგრე საბეგლარბეგოს წარმოადგენდა, 1592 წლის შემდეგ სანჯაყად აქციეს და ჩილდირს დაუქვემდებარეს. ლორეს ბეგლარბეგად დანიშნეს მორეას სანჯაყ-ბეგი ბოსნიელი ფითუხ ალი-ბეგი. სტამბოლის პრემიერ-მინისტრის არქივში აღმოჩნდა მხოლოდ ლორეს დავთარი, შედგენილი მურად III-ის დროს, 1595 წელზე უფრო ადრე. მ. ფ. ქირზიოღლუს ცნობით, ლორეს საბეგლარბეგო იყოფოდა შემდეგ სანჯაყებად (M. F. Kirzioğlu, 1976, 295): 1. ლორეს სანჯაყი; 2. ახტალას სანჯაყი; 3. ფენბექის სანჯაყი; 4. თაშირის სანჯაყი; 5. არფალის სანჯაყი.

ოსმალებმა დმანისის ბეგლარბეგად დანიშნეს სემენდ ფაშა. მათ ძველი ციხეებიც შეაკეთეს და ახალიც ააგეს დმანისში, სადაც 12000-ზე მეტი მეციხოვნე ჩააყენეს. ბულგარეთში, კირილესა და მეთოდეს სახელობის სახალხო ბიბლიოთეკაში, დაცულია დმანისის თებქერე – დათარიღებული 1600-1601 წლით (ც. აბულაძე, სიმონ მეფის არზა..., 155).

1579 წელს ოსმალებმა დააარსეს ყარსის ეიალეთი, რომელიც შედგებოდა შემდეგი სანჯაყებისაგან: არტაანი, ჰოჭუვანი, ზარუშადი, გეჩვანი (კეჩივანი), კალიზმანი.

1583 წლის ბაფხულში ოსმალებმა ფერჰად ფაშას სარდლობით აღმოსავლეთ სომხეთი და კერძოდ, ერევნის ციხე დაიპყრეს. ერევნისა და მისი მიდამოების დაპყრობის შემდეგ ფერჰად ფაშამ ერევნის საბეგლარბეგო დააარსა და მის გამგებლად ჯიგალ ზადე სინან ფაშა დანიშნა. ოსმალები შეუდგნენ ერევნის ციხის მშენებლობა-შეკეთებას და აქ თავისი მართვა-გამგებლობის დამყარებას. მ. ფ. ქირზიოღლუს ცნობით, ოსმალებმა 1591 წელს შეადგინეს ერევნის ვილაიეთის „დიდი დავთარი“ (ც. აბულაძე, 1979, 63; M. F. Kirzioğlu, 1976, 391) და 1595 წელს ამავე ვილაიეთის „იქმალ დავთარი“. ერევნის ვილაიეთის დიდი დავთარი შედგებოდა 7 სანჯაყისაგან (M. F. Kirzioğlu, 1976, 348). ესენია:

- 1) შარური;
- 2) ნახიჭევანი;
- 3) ორდუბადი.

დანარჩენი 4 სანჯაყი, ძირითადად ერევნის (ჩუქურსაად) რეგიონის კაზებია.

- 4) ერევნის კაზა. იყოფოდა შემდეგ ნაჰიებად:

1. ერევანი; 2. ქერფი; 3. გარნი; 4. ვადი; 5. აბარანი; 6. შარაბჰანე.

5) არალიქის კაზა. ნაჰიე მოხსენიებული არ არის.

6) თალინის კაზა. იყოფოდა შემდეგ ნაჰიებად:

1. არმაჯი (ყოფილი არმაჯირი);

2. ეშნეჟი (ეშნეჟის სახელწოდების ორი ნაჰიე არის).

7) ახჩაქალას კაზა. ნაჰიე არ აქვს.

არაქელ თავრიზელის ცნობით, აღმოსავლეთ სომხეთი ოსმალთა მოძალადების გამო გამოუვალ მდგომარეობაში აღმოჩნდა, ამიტომ მცხოვრებლები იძულებული გახდნენ ირანში გაქცეულიყვნენ. მე-16 საუკუნის უკანასკნელ მეოთხედში აღმოსავლეთ სომხეთის ხალხების ჩაგვრამ გაუგონარ მასშტაბებს მიაღწია. ქვეყანაში გადასახადები გასამკაცდა. აღმოსავლეთ სომხეთის ხალხები თურქი ფაშების მძიმე უღელქვეშ იტანჯებოდნენ (მუსტაფა ნაიმას ცნობები..., 1979, 25).

მე-16 საუკუნის მეორე ნახევარში ოსმალეთმა, რომლის პოლიტიკურ ბატონობაში იმყოფებოდა დასავლეთ სომხეთი, მიაღწია თავის პოლიტიკურ და სამხედრო ძლიერების ზენიტს. ეს იყო ვრცელი აზიური იმპერია, რომლის საზღვრები ევროპასა და აზიამდე აღწევდა. თურქული წყაროების მიხედვით, XVI-XVII საუკუნეებში სომხეთის რეგიონი იყოფოდა შემდეგ ადმინისტრაციულ ერთეულებად (ეიალეთი ან ვილაიეთი) – ერზურუმი, ვანი, ყარსი, რუმი (სებასტია) და დიარბექირი (M. K. Зырян, 1974, 25).

პირველწყაროებიდან ცნობილია, რომ 1590 წლის ზაფხუაზი აზერბაიჯანი დაყო ოსმალეთისა და სეფიანთა სახელმწიფოებს შორის, რომლის თანახმად, აზერბაიჯანის დიდი ნაწილი გადავიდა ოსმალთა ფეოდალების განკარგულებაში. ოსმალეთის მფლობელობაში შევიდა – შირვანი, ყარაბაღი, თავრიზი, – მთელი თავისი რაიონებით, სერაბი, მერაღა და სხვა დანარჩენი, რომლებიც მათგან დასავლეთით მდებარეობდა. სეფიანთა შემადგენლობაში შევიდა ხალხალი, არდებილი, ყარაჯადაღი და ტალიში (A. A. Рахмани, 1981, 41).

ოსმალთა ოკუპაციის დროს შირვანი და დარუბანდი გამოყოფილ იქნა ცალკეულ საბეგლარბეგოებად თავიანთი დაქვემდებარებული რაიონებით (სანჯაყებით). თურქი ისტორიკოსების ცნობით, შირვანის შემადგენლობაში შედიოდა 14 სანჯაყი. ესენია: ლახიჯი, აგდაში, კაბალა, სალიანე, დერდავი, შექი, ბადკუ, სე'დარი, კარაულუსი, დიგუ, სარიანი, ოსმანი, ხუდადი, მაჰმუდაბადი (ბოლოს, მე-15 სანჯაყი გახდა არეში, რომელიც გამოყოფილ იქნა დამოუკიდებელ სამმართველოდ). დარუბანდის რეგიონი შედგებოდა შემდეგი სანჯაყებისაგან: შავურანი, ახმი, კუბა, მუსკური, კურე, ჩირაგი, როსტა. შირვანის 14 სანჯაყად, ხოლო დარუბანდის 7 სანჯაყად დაყოფას წერს – ბ.ბ. ბარტოლდი. შირვანში გამგებლად ოსმან ფაშა დანიშნეს. შირვანში, დამპყრობელმა დაპირების მიუხედავად არ დაუშვა ადგილობრივი დინასტიის დაბრუნება ხელისუფლების სათავეში (A. A. Рахмани, 1981, 40).

1585 წელს ოსმალეთის ლაშქარმა თავრიზი აიღო. ოსმალებმა თავრიზის ციხე-ქალაქი გაამაგრეს და შიგ მცხოვრებნი ჩააყენეს. 1585 წლიდან მოყოლებული თავრიზი 1603 წლამდე ოსმალთა ხელთ იმყოფებოდა (მ. სვანიძე, 163). ინგლისელი ორიენტალისტის ბ. ლუისის ცნობით, თავრიზის ვილაიეთის იჯმალ დავთარი დათარიღებულია 1597-98 წლით (B. Lewis, 1963, 3). ოსმალეთი, ჯერ კიდევ ირანთან დაზავებამდე, სადაც ეს შესაძლებელი იყო, დაუნიებით ცდილობდა საკუთარი სოციალურ-პოლიტიკური სისტემის შემოღებას. დაპყრობილი ქვეყნებიდან ჩამოყალიბდა ვანისა და თავრიზის ვილაიეთი – ოსმალეთის სახელმწიფოს კიდევ ერთი ადმინისტრაციული ერთეული, რომელიც შედგა აქამდე სეფიანთა სახელმწიფოში შემავალი აზერბაიჯანისა და აღმოსავლეთ სომხეთისაგან.

სულთანი ფერჰად ფაშას მოღვაწეობით არ იყო კმაყოფილი. განსაკუთრებით აწუხებდა სულთანს სამცხეში შექმნილი მდგომარეობა. ამიტომ მან ფერჰად ფაშა გადააყენა და მის ნაცვლად დანიშნა ოზდემირ ოღლუ ოსმან ფაშა. 1586 წელს ოზდემირ ოღლუ ოსმან ფაშას გარდაცვალების შემდეგ, აღმოსავლეთში მთავარსარდალად მეორედ დაინიშნა ფერჰად ფაშა (მ. სვანიძე, 163).

1588 წლის 1 სექტემბერს ოსმალეთის მთავარსარდალმა ფერჰად ფაშამ დაიპყრო განჯა. განჯას ციხე-სიმაგრე, რომელსაც 43 დღის განმავლობაში აშენებდნენ, შემდგომში ყოფილი “ყარაბაღის

ვილაიეთის“ ცენტრი გახდა და განჯა-ყარაბაღის ეიალეთის სახელი დაარქვეს. განჯის ბეგლარბეგად დანიშნეს სოხუმელი ჩერქეზი ჰაიდარ ფაშა. ქირზიოღლუს ცნობით, ოსმალებმა 1593 წელს შეადგინეს განჯა-ყარაბაღის ვილაიეთის „დიდი დავთარი“ და 1595 წელს ამავე ვილაიეთის „იჯმალ დავთარი“ (M. F. Kirzioğlu, 1976, 392).

აზერბაიჯანის დასავლეთი რეგიონების უმრავლესობა გადასცეს ქურთ ფეოდალებს, რომლებმაც ოსმალებს მხარი დაუჭირეს. ოსმალთა ოკუპაციის დროს რეგიონები მაკუ, ორდუბადი და შარური გაცემულ იქნა ქურთული ტომის მაჰმუდის ფეოდალებისათვის თიმარის სახით. ურმის რეგიონს მართავდა ალი ბეგი, რომელიც ბერადუსტის ქურთული ტომიდან იყო. ხოი და მისი მიდამოები გაცემულ იქნა შაჰ-ყული ბელილანის შვილების მმართველობაში. ამირ-ბეგ მურკი მარაგის რეგიონს დიდხანს მართავდა (A. A. Рахмани, 1981, 41).

შაჰ აბასის გამეფების შემდეგ, მისი ერთ-ერთი მთავარი ამოცანა იყო შეენწყვიტა ომი ოსმალეთთან და დაედო ზავი. 1590 წლის 21 მარტს სტამბოლში, ხანგრძლივი მოლაპარაკების შედეგად, ირანსა და ოსმალეთს შორის ხელმოწერილ იქნა საზავო ხელშეკრულება, რომლითაც აღმოსავლეთ საქართველო, აღმოსავლეთ სომხეთი, მთელი ჩრდილოეთ და სამხრეთ აზერბაიჯანი (არდებილისა და ტალიშის გამოკლებით), ქურთისტანი და ლურისტანის ნაწილი ოსმალეთს დარჩა. შაჰ აბასმა სტამბოლში მძევლად გაგზავნა თავისი უფროსი ძმის ჰამზა-მირზას ვაჟიშვილი ჰაიდარ-მირზა (შაჰ აბასი, 153).

ომის დროს ფართომასშტაბიანი თავდასხმის განხორციელებად რეგიონებში, მჭიდროდ დასახლებული მოსახლეობა თავიანთი მიწებიდან გარბოდა და მყუდრო თავშესაფარს ეძებდა. ირკვევა, რომ ძირითადად თავრიზისა და მისი მიდამოებიდან ირანის შიდა ნაწილში – შირვანი, განჯა და ყარაბაღიდან კახეთში – ალექსანდრე ხანის ქვეყანაში სახლდებოდნენ. როგორც კი ომი დამთავრდა, დაპყრობილი რეგიონების მოწესრიგებისა და უსაფრთხოების უზრუნველყოფის შემდეგ მუჰაჯირების დიდი ნაწილი სამშობლოში დაბრუნდა. როგორც ცნობილია, განჯისა და ყარაბაღის დაპყრობის დროს კახეთში გადასახლდა 2000 ოჯახი (B. Kütükoğlu, 1993, 234-235).

თურქეთის ბატონობის ქვეშ მყოფი ამიერკავკასიის მოსახლეობის ნაწილი ირანულ-ყიზილბაშური ორიენტაციის გზას ადგა და ირანელთა შემწეობით ცდილობდა თურქეთის ბატონობისაგან განთავისუფლებას. სომეხი ისტორიკოსის არაქელ თავრიზელის ცნობით, „მრავალი თავადი და მოხელე, აზერბაიჯანელი, მაჰმადიანი და ქრისტიანი სპარსეთის შაჰთან მიდიოდა, რადგან ქვეყანას ოსმალთა რასა სასტიკად ჩაგრადა, მძიმე გადასახადებით ბეგრავდა, ათასგვარად აწამებდა არამართო სომხებს, არამედ ქართველებსა და მუსლიმებს. ეს შევიწროებანი მათ სპარსეთის შაჰის ხელში აგდებდა, რომელიც თითქოს მათ ეხმარებოდა ოსმალეთის მონობიდან გათავისუფლებაში (Аракел Даврижеци, 1973, 405).

გამოყენებული ლიტერატურა

აბულაძე ც., ჩილდირის ეიალეთის ჯაბა დავთარი 1694-1732 წწ., თბილისი, 1979.

აბულაძე ც., სიმონ მეფის არზა სულთან მურად III-ისადმი, მრავალთავი, ხელნაწერთა ინსტიტუტის ნაშრომი, ტ. 7.

გაბაშვილი გ., ქართული ფეოდალური წყობილება XVI-XVII სს., „გურჯისტანის ვილაიეთის დიდი დავთარი“, თბილისი, 1938.

მუსტაფა ნაიმას ცნობები საქართველოსა და კავკასიის შესახებ, თურქულიდან თარგმნა ნ.

შენგელიამ, თბილისი, 1979.

საქართველოს ისტორიის ნარკვევები, თბილისი, 1973, ტ. 4.

სვანიძე მ., საქართველო-ოსმალეთის ურთიერთობის ისტორიიდან XVI-XVII საუკუნეებში, თბილისი, 1971.

სვანიძე მ., ოსმალეთის იმპერიის ადმინისტრაციული წყობა და პროვინციული მართვა-გამგებლობა XVI საუკუნეში, მახლობელი აღმოსავლეთის ისტორიის საკითხები, თბილისი, 1963. ფარსადან გორგიჯანიძის ისტორია, ს. კაკაბაძის გამოცემა, „საისტორიო მოამბე“, ნაკვ. II, 1925.

შაჰ აბასი (ისტორიული დოკუმენტებისა და მიმოწერის კრებული) გამოსცა დოქტორ აბდოლჰოსეინ ნავაიმი, ტ. I, II, თეირანი, 1973-1974 წ.

შენგელია ე., ოსმალური დოკუმენტური წყაროები ამიერკავკასიის ქვეყნების ისტორიისათვის, კავკასიურ-აღმოსავლური კრებული, 1962.

Даврижецы Аракел, Книга Историй, перевод с арянского, предисловие и комментарии Л. А. Ханларяна, Москва, 1973.

Зулалян М. К, Западная Армения в XVI-XVII веках, Ереван, 1974.

Рахмани А. А., Азербайджан в конце XVI и в XVII веках (западные и северные области Азербайджана), Баку, 1981.

Cezar M., Sertoğlu M., Mufasssal Osmanlı Tarihi, İstanbul, c. III, 1957-1959.

Danişmend İ. H., İzahlı Osmanlı Tarihi Kronolojisi, İstanbul, c. III, 1948-1956.

Hammer J., Histoire de l'Empire Ottoman, v.VII, Paris, 1834-1849.

Kırzioğlu M. F., Osmanlılar'ın Kafkas Ellerini Fethi 1451-1590, Ankara, 1976.

Kütükoğlu B., Osmanlı-İran Siyasi Münasebetleri, 1578-1612, İstanbul, 1993.

Lewis B., Registers on Iran and Adharbayjan in the ottoman Defter-i Khagânî. Melanges A. Masse, Teheran, 1963.

Uzunçarşılı İ. H., Osmanlı Devletinin Merkez ve Bahriye Teşkilatı, Ankara, 1948.

Uzunçarşılı İ. H., Osmanlı Tarihi, c. III, k. 2.

ADMINISTRATIVE DIVISION OF THE SOUTHERN CAUCASUS STATES DURING THE OTTOMAN DOMINION (1578-1603)

As a result of the 1578-1590 Ottoman-Iranian war the Ottomans occupied the eastern part of the South Caucasus and the western part of Iran and embarked upon implanting their laws in the subjugated countries.

In 1578, August 24, the Ottoman troops occupied Tbilisi. The Ottomans abolished the royal rule here. The occupation of Kartli was followed by introducing the institution of a Beglarbeg of Tbilisi (Kartli). Simultaneously the Ottomans set up a Sandjak in Gori.

In 1584, Ottoman forces occupied Dmanisi and Lore, with the latter's castle initially governed by a Beglarbeg and later transformed into a Sandjak under Childir's jurisdiction in 1592. Ottoman sources note the establishment of a new Beglarbeg domain, the Eyalet of Childir, uniting the territories of Akhaltsikhe, Artaani, and the areas along the Tshorokhi River. Uzuncharshil additionally asserts the unification of Oltisi and Artaani, forming the Ottoman rule in Samtskhe.

Throughout the Ottoman occupation, Beglarbeg domains were established in Shirvan, Daruband, Van, Yerevan, and Gandja-Karabagh. Turkish records from the 16th and 17th centuries divided the Armenian region into administrative units (Eyalet or Vilayet) including Erzurum, Van, Kars, Rum (Sebastia), and Diyarbakir.

In the process of implementing Ottoman rule, the Ottomans conducted population censuses, which were met with hostility from the local inhabitants. In some instances, the Ottoman Porte was compelled to retreat and seek compromise due to resistance.

The Ottoman rule in the South Caucasus rested on military force, leading to a growing resistance among the local populations as they sought to liberate themselves from Ottoman dominance.

Key words: Ottoman Dominion, South Caucasus

საფიანთა ირანსა და მოსკოვის სახელმწიფოს შორის რეგულარული დიპლომატიური ურთიერთობის დაწყების მიზეზები (XVI საუკუნის 80–იანი წლები)

რეზიუმე

1578-1590 წლებში მიმდინარეობდა ოსმალეთ-ირანის ომი, რომელშიც, თავდაპირველად, ოსმალთა უპირატესობა გამოიკვეთა. გართულებულმა სიტუაციამ აიძულა ირანის სახელმწიფოს მესვეურები, მოკავშირე მოეძებნათ. მათ გაითვალისწინეს ოსმალეთის იმპერიის მიმართ მოსკოვის სახელმწიფოს უარყოფითი დამოკიდებულება, რაც გამომწვეული იყო პოლიტიკური და ეკონომიკური მეტოქეობით და არჩევანი მასზე შეაჩერეს.

1586 წელს ირანიდან მოსკოვის სახელმწიფოში გაიგზავნა ელჩობა, რომლის მეშვეობით ირანის შაჰი რუსთა მეფეს, ოსმალეთის წინააღმდეგ დახმარების სანაცვლოდ, კასპიის ზღვის ორ მნიშვნელოვან სტრატეგიულ საპორტო ქალაქს – ბაქოსა და დარუბანდს – სთავაზობდა. რუსთა სახელმწიფოს სამეფო კარზე ძალზე მიმზიდველი აღმოჩნდა შაჰის ეს შემოთავაზება და მათ საპასუხო ელჩობა გააგზავნეს ირანში. გასათვალისწინებელია, რომ რუსეთის ინტერესებს სეფიანთა სახელმწიფოს პოლიტიკური და ეკონომიკური ინტერესებიც ემთხვეოდა.

ნაშრომში განხილულია სეფიანთა ირანისა და მოსკოვის სახელმწიფოს დაახლოების გამომწვევი სხვა მიზეზებიც, რომლებმაც ხელი შეუწყო მათ შორის რეგულარული დიპლომატიური ურთიერთობის დამყარებასა და შემდგომ განვითარებას.

საკვანძო სიტყვები: სეფიანთა ირანი, მოსკოვის სახელმწიფო, ოსმალეთის იმპერია, მეფე თევდორე, ბორის გოდუნოვი, შაჰ მოჰამედ ხოდაბანდე, შაჰ აბას I, ჰადი ბეგი, ვასილჩიკოვი.

წინამდებარე ნაშრომის ძირითადი მიზანია აღნიშნულ პერიოდში სეფიანთა ირანსა (სპარსეთსა) და მოსკოვის სახელმწიფოს (რუსეთს) შორის რეგულარული დიპლომატიური ურთიერთობის დამყარების წინა პლანზე წარმოჩენა და ამ ორი სახელმწიფოს დაახლოების მიზეზების გაშუქება.

დიდი ხნის განმავლობაში ოსმალეთის იმპერია და სეფიანთა ირანი ცდილობდნენ კავკასიაში გაბატონებას. ამ ტერიტორიის ხელში ჩასაგდებად მათ შორის წარმოებული ბრძოლები გარდამავალი უპირატესობით მიმდინარეობდა. XVI საუკუნიდან მსგავსი ინტერესით გამოვიდა მომძლავრებული მოსკოვის სახელმწიფო (რუსეთი), რომლის მზარდი ცენტრალიზებული მმართველობის საგარეო პოლიტიკის წინაშე განსაკუთრებული სიმწვავეთ დადგა კასპიის ზღვაზე გასვლის საკითხი. ამ პრობლემის გადაწყვეტის საბაბით მოსკოვის სახელმწიფომ 1552 წელს ყაზანი, ხოლო 1556 წელს ასტრახანი დაიპყრო. კასპიის ზღვაზე გასვლას მოსკოვის სახელმწიფოსთვის გარკვეული მნიშვნელობა ჰქონდა – ამით ის აღმოსავლეთის ქვეყნებთან ვაჭრობის გაფართოებას უკეთ შეძლებდა (ტივაძე 1965, 176).

XVI საუკუნის შუა წლებიდან, როცა ვოლგა-ასტრახან-კასპიის სანაოსნო-სავაჭრო მაგისტრალმა დიდი მნიშვნელობა შეიძინა, ამ სამი ძლიერი სახელმწიფოს მეტოქეობა კიდევ უფრო გამწვავდა

კავკასიისა და განსაკუთრებით, მისი აღმოსავლეთი ნაწილის ხელში ჩაგდება მოტივით. სწორედ კასპიის ზღვის დასავლეთ სანაპიროზე გადიოდა ის უმოკლესი გზა, რომელიც შესაძლებლობას აძლევდა ევროპის სახელმწიფოებს, დაკავშირებოდნენ აღმოსავლეთის ქვეყნებს, სახანოებსა თუ რიგ პოლიტიკურ ერთეულებს. მოსკოვის სახელმწიფოს გავლით ევროპაში გაჰქონდათ ირანისა და შირვანის აბრეშუმის, აღმოსავლეთის ქვეყნების სანელებლები და სხვადასხვა პროდუქტი, რაც ამ სახელმწიფოს, როგორც სატრანზიტო ქვეყანას, დიდ მოგებას აძლევდა.

ოსმალეთის ხელისუფლება, რომელიც კარგად გრძნობდა, რომ სულ მალე მოსკოვის სახელმწიფოს სახით ირანზე არანაკლები მეთოქე გამოუჩნდებოდა, რუსთა წინააღმდეგ მოქმედებებს შეუდგა. მისი უპირველესი ამოცანა იყო ასტრახანის, როგორც სავაჭრო-ეკონომიკური მნიშვნელობის ქალაქის, ხელში ჩაგდება. ამ მიზნით გეგმის განხორციელებას შეეცადა 1569 წელს, თუმცა – უშედეგოდ (სვანიძე 2008, 215-216; Смирнов 1946, 100-104).

ოსმალეთის იმპერია ამ მარცხს ვერ ეგუებოდა და ცდილობდა კავკასიაში თავისი უფლებების განმტკიცებას. 1577-1578 წლებში მან ევროპის ქვეყნებთან ურთიერთობა მოაგვარა, ავსტრიასა და რეჩ პოსპოლიტასთან საზავო ხელშეკრულებები დადო – დაარღვია ირანთან დადებული 1555 წლის ამასიის ზავი და 1578 წლის გაზაფხულზე სეფიანთა სახელმწიფოს წინააღმდეგ ომი დაიწყო (ოსმალეთ-ირანის 1578-1590 წლების ომი). მისი ძირითადი მიზანი იყო სამხრეთ კავკასიის დაპყრობა და ვოლგა-ასტრახან-კასპიის სანაოსნო-სავაჭრო მარშრუტის ხელში ჩაგდება (სვანიძე 1971, 100-101; კაციტაძე 2009, 401; გელაშვილი 1995, 147-148). ვფიქრობთ, ამით ოსმალეთის იმპერია არა მარტო სეფიანთა სახელმწიფოს უპირისპირდებოდა, არამედ მოსკოვის სახელმწიფოს სამხრეთისაკენ წინსვლის შეჩერებას ცდილობდა. ასევე, ოსმალეთის არანაკლები მნიშვნელოვანი იყო სამხრეთ კავკასიის ბუნებრივი რესურსებისა და სიმდიდრის ხელში ჩაგდება.

უნდა ითქვას, რომ მოსკოვის სახელმწიფო ირან-ოსმალეთის დაპირისპირებების დროს მანამდე უბრალო მეთვალყურეს წარმოადგენდა, ამ ახალმა ომმა, განსაკუთრებით, მისმა შედეგებმა, მისთვის გარკვეული მნიშვნელობა მიიღო.

ზემოთ ნახსენები ომი თავდაპირველად ოსმალთა უპირატესობით მიმდინარეობდა. მათ სამხრეთ კავკასიაში წარმატებებს მიაღწიეს და საკუთრივ ირანის ტერიტორიასაც შეუტიეს (ფეჩევი 1964, 36-55, 68-72; სვანიძე, შარუმაშვილი 2008, 224-239).

გარდა ოსმალეთისა, ირანს ობზეგებიც აყენებდნენ ზიანს. ამას ემატებოდა ყიზილბაშთა ტომებს შორის შინააშლილობა და მათი დაპირისპირება ცენტრალურ ხელისუფლებასთან (კაციტაძე 2009, 403; Иванов 1952, 63-64).

XVI საუკუნის 80-იანი წლებში ოსმალეთის მიერ მიღწეულმა წარმატებებმა დიდი შეშფოთება გამოიწვია როგორც მოსკოვის სახელმწიფოში, ასევე დასავლეთ ევროპის ქვეყნებში. ანტიოსმალურ განწყობას ყველაზე მეტად ის აძლიერებდა, რომ ოსმალების სამხრეთ კავკასიაში გაბატონებამ და კასპიისპირეთში გასვლამ ძალზე შეაფერხა ვაჭრობა. როგორც ცნობილია, ოსმალებმა ევროპის ქვეყნების ირანთან და აღმოსავლეთის ქვეყნებთან დამაკავშირებელი ვოლგა-ასტრახანის მაგისტრალი გადაკეტეს, სადაც ინდოეთიდან და ჩინეთიდან ცნობილი აბრეშუმის გზა გადიოდა.

თუ გავითვალისწინებთ იმ გარემოებას, რომ მოსკოვის სახელმწიფოსთვის XVI საუკუნეში ქვეყნის ეკონომიკური განვითარებისათვის აღმოსავლეთის ქვეყნებთან ვაჭრობას დასავლეთის ქვეყნებთან შედარებით უდიდესი მნიშვნელობა ენიჭებოდა, უფრო გასაგები გახდება მისთვის ვოლგა-ასტრახანის მაგისტრალის კონტროლის აუცილებლობა, რასაც ასე ადვილად ვერ დათმობდა (Фехнер 1956, 5-8).

თავის მხრივ, ვოლგა-ასტრახანის სანაოსნო მარშრუტის ათვისება-გამოყენების საკითხში რუსეთის ინტერესებს სეფიანთა სახელმწიფოს პოლიტიკური და ეკონომიკური ინტერესებიც ემთხვეოდა. ეს იმით აიხსნება, რომ ხსენებული სანაოსნო მაგისტრალის გამოყენების შედეგად ირანის მთავარ მოწინააღმდეგეს – ოსმალეთის იმპერიას – შეუწყდებოდა ის მნიშვნელოვანი შემოსავალი, რომელსაც

იძლეოდა ბაჟები სპარსულ და შირვანულ აბრეშუმზე, რომელთა უდიდესი ნაწილი სწორედ ოსმალეთის ტერიტორიის ტრანზიტით გადიოდა ჰალებსა (ალეპოსა) და დამასკოში, შემდეგ კი – დასავლეთ ევროპაში (გაბაშვილი 2016, 58; კუცია 1976, 82).

ამგვარად, სეფიანთა სახელმწიფოს, რომელიც XVI საუკუნის 80-იან წლებში გააფთრებით იბრძოდა ოსმალეთის წინააღმდეგ, მოსკოვის სახელმწიფოსთან დაახლოება (როგორც ეკონომიკური, ასევე პოლიტიკური მოსაზრებით) მომგებიანად მიაჩნდა. ასე რომ, ხსენებულ პერიოდში სეფიანთა ირანს მოსკოვის სახელმწიფო თავის მოკავშირედ ესახებოდა.

გართულებულმა სიტუაციამ აიძულა ირანის მთავრობის მესვეურები, მოკავშირე მოეძებნათ. მათ გაითვალისწინეს ოსმალეთის იმპერიის წინააღმდეგ მოსკოვის სახელმწიფოს განწყობა და არჩევანი მასზე შეაჩერეს. მართალია, ირანის პოლიტიკურ წრეებში არ მოსწონდათ რუსთა გამოჩენა კასპიის ზღვის სანაპიროზე და განსაკუთრებით კი აღმოსავლეთ საქართველოში, მაგრამ ისინი ყველაფერზე თვალს ხუჭავდნენ, რადგან იმ პერიოდში შექმნილი ვითარებიდან გამომდინარე, ირანისთვის მოსკოვის სახელმწიფოსთან ურთიერთობა ყოველად მისაღები იყო საერთო მტრის, ოსმალეთის იმპერიის, წინააღმდეგ საბრძოლველად.

1586 წელს ირანიდან მოსკოვის სახელმწიფოში გაიგზავნა ელჩობა. ამ ელჩობას მეთაურობდა ირანის შაჰ მოჰამედ ხოდაბანდესთან (1578-1587) დაახლოებული პირი ჰადი ბეგი. რუსულ საარქივო დოკუმენტებში ის ანდი ბეგად ან ანდი ბეიდ არის მოხსენიებული (Бушев, 1976, 57). არსებობს მოსაზრება, რომ მოჰამედ ხოდაბანდეს ზეობის დროს, კერძოდ 1583 წელს, ირანიდან მოსკოვში გაიგზავნა ელჩობა, თუმცა ამ ელჩობის ისტორია ბურუსითაა მოცული (Андреев, Писчурникова, Костиков 2020, 89).

XVI საუკუნის მეორე ნახევარში მოსკოვის სახელმწიფოს მაშინდელი მდგომარეობა ასეთი იყო: ამ სახელმწიფოს მეფე იყო თევდორე ივანეს ძე (1584-1598), ფაქტობრივად კი ქვეყანას მისი ცოლის, ირინას, ძმა, ბორის გოდუნოვი, მართავდა. მოსკოვის სახელმწიფოს საშინაო მდგომარეობა, რომელიც შერყეული იყო მისთვის წარუმატებელი ლივონიის (1558-1583) ომით, თანდათან უმჯობესდებოდა. შექმნილი ვითარება ქვეყანას საშუალებას აძლევდა, რომ საომარი მოქმედებები დაეწყო სამხრეთის მიმართულებით, სადაც მისი მთავარი მოწინააღმდეგე იყვნენ ოსმალეთის სულთანი და მისი მოკავშირეები: ყირიმის ხანი და დაღესტნის შამხალი. მათ წინააღმდეგ საომრად კი საუკუთესო მოკავშირედ, მაშინდელი პოლიტიკური გადასახედიდან, სეფიანთა ირანი მიიჩნეოდა. სწორედ ამიტომ 1587 წლის მიწურულს მოსკოვის სამეფო კარზე დიდი პატივითა და კეთილგანწყობით მიიღეს ზემოთ ნახსენები ირანის ელჩობა.

აღსანიშნავია, რომ ასტრახან-მოსკოვის გზაზე ჰადი ბეგის ელჩობას ყაჩაღები დაესხნენ თავს, გაძარცვეს და ნივთები წაართვეს, რომელთა შორის ირანის შაჰისგან რუსთა მეფესთან გაგზავნილი ნივთებიც იყო. როცა ეს ამბავი მეფე თევდორემ შეიტყო, ბრძანა ჰადი ბეგისა და მისი ამალის წევრებისათვის მატერიალური დანაკარგი ოცდაათმაგად აენაზღაურებინათ და დამნაშავენი სასტიკად დაესაჯათ (Бушев 1976, 60-61). ვფიქრობთ, ეს ფაქტი ნათლად მეტყველებს იმაზე, რომ ირანთან დიპლომატიური ურთიერთობის დამყარებას მოსკოვის სახელმწიფო საკმაოდ დიდ ყურადღებას აქცევდა.

ოსმალეთთან ომის გამო გამოუვალ სიტუაციაში მყოფი ირანის შაჰი მოსკოვის სახელმწიფოს მეფეს დახმარებას ჰადი ბეგის პირით სთხოვდა. მართალია, მეფე თევდორეს კარზე ჰადი ბეგი პატივით მიიღეს, მაგრამ ოსმალეთის წინააღმდეგ ომში ჩაბმის გარანტია ვერ მისცეს. მათ ჰადი ბეგს მხოლოდ სიტყვიერი თანხმობა განუცხადეს ირანთან სამხედრო კავშირზე და საბოლოო გადაწყვეტილების მიღება მომავლისთვის გადადეს. აღსანიშნავია, რომ ირანის შაჰი მოჰამედ ხოდაბანდეს რუსთა მეფე თევდორეს, ოსმალეთის წინააღმდეგ დახმარების სანაცვლოდ, კასპიის ზღვის ორ მნიშვნელოვან-სტრატეგიულ საპორტო ქალაქს: ბაქოსა და დარუბანდს სთავაზობდა, რომლებიც იმ დროს ოსმალთა ხელში იყო. შაჰი იმ შემთხვევაშიც უთმობდა რუსთა მეფეს ზემონახსენებ ქალაქებს, თუ მათ მართო

ირანის ჯარი გაათავისუფლებდა რუსთა ჯარის დაუხმარებლად (Бышев 1976, 63; გელაშვილი 1995, 185-186).

რუსთა სახელმწიფოს მესვეურთათვის ძალზე მიმზიდველი აღმოჩნდა შაჰის ეს შემოთავაზება. დარუბანდის დაუფლებით ირანის სახელმწიფოს ხომ პირდაპირი გზა ეხსნებოდა საქართველოსკენ. ამას ზედ ერთვოდა ის გარემოება, რომ XVI საუკუნის 80-იანი წლებში კვლავ განახლდა დიპლომატიური ურთიერთობები მოსკოვის სახელმწიფოსა და კახეთის სამეფოს შორის. იმ წლებში მოსკოვის სახელმწიფოს მთავრობამ ჩრდილოეთ კავკასიაში ციხე-სიმაგრეები ააგო და თავისი ჯარით გაამაგრა ისინი (ბერძენიშვილი 1944, 18-27; გაბაშვილი 2016, 31-34; Кысеева 1963, 261, 269).

ვფიქრობთ, სწორედ ამ უდიდესი ეკონომიკური და პოლიტიკური მნიშვნელობის მქონე პუნქტების თავისი გავლენის სფეროში მოქცევის პერსპექტივამ დააჩქარა მოსკოვის სახელმწიფოს პოლიტიკური წრეების წარმომადგენლები, სამხრეთისა და აღმოსავლეთის მიმართ აღებული საგარეო პოლიტიკური კურსი უფრო მეტად გაეაქტიურებინათ. ბოიართა სათათბიროს გადაწყვეტილებით, 1588 წლის გაზაფხულზე მოსკოვიდან ირანში გაიგზავნა საპასუხო ელჩობა ბორის გრიგორის ძე ვასილჩიკოვის მეთაურობით. მოსკოვის ამ ელჩობის მთავარი მიზანი იყო ირანის შაჰის მიერ მოსკოვის სახელმწიფოსთან ერთად ოსმალეთის წინააღმდეგ გალაშქრებისა და ბაქოსა და დარუბანდის დათმობის შესახებ მოცემული წინადადების დაზუსტება. მათ გაჰყვა სამშობლოში ჰადი ბეგი (ტივაძე 1965, 182; Бышев 1976, 71-72).

იმ პერიოდში, კერძოდ, 1587 წელს, ირანში სამხედრო გადატრიალება მოხდა. მოჰამედ ხოდაბანდე სამეფო ტახტიდან ჩამოაგდეს და ირანის შაჰი გახდა მისევე ვაჟი აბას I (1587-1629). (Иванов, 1977, 176). ახალგაზრდა შაჰს მძიმე მემკვიდრეობა ერგო: ირან-ოსმალეთის ომი ოსმალთა უპირატესობით მიმდინარეობდა, ქვეყანაში ანარქია სუფევდა, ირანის აღმოსავლეთ საზღვრებს თავს ესხმოდნენ ოზბეგები, ოსმალთა წინააღმდეგ მებრძოლი ძალები სუსტი იყო. ასეთ ვითარებაში, მის მთავარ ამოცანას იმ დროს ოსმალეთთან დაზავება წარმოადგენდა. 1588 წლის სექტემბერში რუსთა ზემოთ ნახსენები ელჩობა ირანში ჩავიდა. ამ დროს ირანსა და ოსმალეთს შორის მოლაპარაკებები უკვე მიმდინარეობდა. ვასილჩიკოვის ჩანაწერებიდან ირკვევა, რომ ირანის ახალგაზრდა შაჰი დიდ ინტერესს არ იჩენდა მამამისის მიერ რუსეთში გაგზავნილი ელჩის მიმართ. ამას ის ფაქტი მოწმობს, რომ მან მალევე არ მიიღო სამშობლოში დაბრუნებული ჰადი ბეგი გადადო-რა მასთან შეხვედრა ნახევარი წლით. ის მხოლოდ წერილობითი ცნობით დაკმაყოფილდა. ვფიქრობთ, რომ ირანის მბრძანებლის გულგრილი დამოკიდებულება ამ ელჩების მიმართ ზემოთ ნახსენები მიზეზებით იყო გამოწვეული. ჰადი ბეგი ირანის შაჰმა ბოლოს მაინც მიიღო. ეს მოხდა 1589 წლის 8 აპრილს. ამის შემდეგ, სხვადასხვა ქალაქში ყოფნისა და შვიდთვიანი შეფერხების შემდეგ, შაჰ აბასმა თავი კარზე რუსთა ელჩიც მიიღო. აუდიენცია 1589 წლის 9 აპრილს ქ. ყაზვინში შედგა. საუბარში ირანის შაჰმა მოსკოვის სახელმწიფოსთან პოლიტიკური კავშირის გაფორმებისგან თავი შეიკავა, მაგრამ მასთან დიპლომატიური ურთიერთობის გაგრძელება საჭიროდ მიიჩნია. ირანის შაჰის კარზე მიიღეს გადაწყვეტილება, რომ მოსკოვში გაეგზავნათ საპასუხო ელჩობა. 1589 წლის 30 ივნისს სამშობლოში დაბრუნებულ ბ. გ. ვასილჩიკოვს ირანელი ელჩები – ბუთაქ ბეგი და ჰადი ბეგი – გააყოლეს. რაც შეეხება ბაქოსა და დარუბანდის საკითხს, ირანის ახალგაზრდა შაჰმა გადაწყვიტა მოსკოვის სახელმწიფოსთან მიმართებაში ფრთხილი და წინდახედული პოლიტიკა გაეტარებინა. მან მოხერხებულად შეცვალა თავისი მამის მიერ თევდორე მეფისთვის მიცემული წინადადება და ელჩებს მოსკოვში გაატანა სულ სხვა პროექტი, რომლის თანახმადაც, რუსთა ჯარს ბაქოსა და დარუბანდისთვის უნდა შეეთია, ხოლო ირანის ჯარი შირვანს დალაშქრავდა. გამარჯვების შემთხვევაში მოსკოვის სახელმწიფო კასპიის ზღვის ჩრდილოეთ სანაპიროზე გაბატონდებოდა, ირანი კი – სამხრეთ-დასავლეთ სანაპიროზე. გამოდიოდა, რომ რუსებს თავიანთი ძალით უნდა აეღოთ ბაქო და დარუბანდი. ამისთვის კი რუსთა მხარე მზად არ იყო. ის დალესტნის საზღვრებთან ლოკალური ხასიათის საომარი ოპერაციებით შემოიფარგლა მხოლოდ (კაციტაძე, 2009, 404; ტივაძე 1965, 183-185; Бышев 1976, 106-113). რაც შეეხება სეფიანთა და

მოსკოვის სახელმწიფოებს შორის დიპლომატიური ურთიერთობას, ის, გარკვეული მიზეზების გამო, ზოგჯერ შეწყდებოდა და კვლავაც გრძელდებოდა ხოლმე.

სწორედ ზემოთ ნახსენების მიზეზების გამო დაუახლოვდა სეფიანთა ირანი მოსკოვის სახელმწიფოს, რაც მათ შორის რეგულარული დიპლომატიური ურთიერთობის დამყარებით დაგვირგვინდა XVI საუკუნის 80-იან წლების მეორე ნახევარში.

ვფიქრობთ, რუსთა და ირანელთა ზემოთ ნახსენებ ელჩობებს დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ორივე ქვეყნისათვის. უპირველეს ყოვლისა, მყარდებოდა მათ შორის დიპლომატიური ურთიერთობა, რომელსაც შემდეგში რეგულარული სახე უნდა მისცემოდა. მათი ურთიერთობა კი, რაღა თქმა უნდა, ძირითადად, საერთო მტრის – ოსმალეთის იმპერიის წინააღმდეგ საბრძოლველად იყო მიმართული. აუცილებლად უნდა ითქვას ისიც, რომ აღნიშნული ელჩობები მნიშვნელოვანი იყო როგორც ამ ქვეყნებს შორის შემდგომი ურთიერთობების გაღრმავებისთვის, ასევე კავკასიელი ხალხისთვისაც. სწორედ ამ სამი ძლიერი ქვეყნის (მოსკოვის სახელმწიფო, ოსმალეთის იმპერია და სეფიანთა ირანი) ძალთა წონასწორობაზე დიდწილად იყო დამოკიდებული ჩრდილოეთ და სამხრეთ კავკასიაში არსებული ქვეყნებისა და სხვადასხვა პოლიტიკური ერთეულების შემდგომი განვითარება.

გამოყენებული ლიტერატურა

- ბერძენიშვილი, ნიკოლოზ. „რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის ისტორიიდან XVI-XVII საუკუნეთა მიჯნაზე“. მასალები საქართველოსა და კავკასიის ისტორიისათვის. ნაკვეთი I (1944): 1-169.
- გაბაშვილი, ვალერიან. „ქართული დიპლომატიის ისტორიიდან (საქართველო და ანტიოსმალური კოალიცია XVI-XVII სს.)“. ახლო აღმოსავლეთის, კავკასიისა და საქართველოს ისტორიის საკითხები, სტატიების კრებული, ტ. I (2016): 21-67.
- გელაშვილი, ნანა. 1995. ირან-საქართველოს ურთიერთობის ისტორიიდან (XVI ს.). თბილისი: „მეცნიერება“.
- კაციტაძე, დავით. 2009. ირანის ისტორია. III-XVIII საუკუნეები. თბილისი: ჰოროსი XXI.
- კუცია, კარლო. 1976. აღმოსავლეთ ამიერკავკასიის ქალაქები XVI-XVIII სს. თბილისი: „მეცნიერება“.
- სვანიძე, მიხეილ (რედაქტორი). 2008. საერთაშორისო ურთიერთობანი ახლო აღმოსავლეთში ოსმალეთ-ირანის ომების დროს და საქართველო (XVI საუკუნე). თბილისი: „ნეკერი“.
- სვანიძე, მიხეილ. 1971. საქართველოს-ოსმალეთის ურთიერთობის ისტორიიდან XVI-XVII სს. თბილისი: „მეცნიერება“.
- სვანიძე, მიხეილ. შარუმაშვილი, რუსუდან. „ოსმალეთ-ირანის ომის დაწყება და ამიერკავკასიის ქვეყნების დაპყრობა 1578-1579 წლებში“. პერსპექტივა-XXI. №IX (2) (2008): 224-239.
- ტივაძე, თამარ. „ირანთან ურთიერთობის საკითხი რუსეთის საგარეო პოლიტიკაში XVI-XVII საუკუნეთა მიჯნაზე“. თსუ-ს შრომები. ტომი 113. ისტორიულ მეცნიერებათა სერია V (1965): 175-216.
- ფერევი, იბრაჰიმ. *იბრაჰიმ ფერევის საქართველოსა და კავკასიის შესახებ*. 1964. ტექსტი ქართული თარგმანიურთ გამოსცა, შესავალი და შენიშვნები დაურთო სერგი ჯიქიამ. თბილისი: „მეცნიერება“.
- Андреев, Артем Алексеевич. Писчурникова, Екатерина Павловна. Костиков, Сергей Евгеньевич. «Несостоявшийся союз: Российско-Иранские отношения накануне смутного времени в Иранской и Российской историографии», Новое прошлое, The Now Past, №3 (2020): 84-100.
- Бушев, Петр Павлович. 1976. История посольств и дипломатических отношений Русского и Иранского государств в 1586-1612 гг. Москва, Издательство «Наука».

- Иванов, Михаил Сергеевич. 1977. (Ответственный Редактор). История Ирана. Москва: Издательство МГУ.
- Иванов, Михаил Сергеевич. 1952. Очерк истории Ирана. Москва: Издательство «Госполитиздат».
- Кушева, Екатерина Николаевна. 1963. Народы Северного Кавказа и их связи с Россией в XVI-XVII вв. Москва: Издательство Академии Наук СССР.
- Смирнов, Николай Александрович. 1946. Россия и Турция в XVI-XVII вв. т. 1. Ученые записки МГУ, выпуск 94. Москва: Издательство МГУ.
- Фехнер, Мария Васильевна. 1956. Торговля Русского государства со странами Востока в XVI веке. Москва: Издательство «Госкультпросветиздат».

REASONS OF COMMENCEMENT OF REGULAR DIPLOMATIC RELATIONS BETWEEN SAFAVID IRAN AND MOSCOVITE STATE (80s of the 16th Century)

This study delves into the factors that led to the convergence of Safavid Iran (Persia) and the Muscovite state (Russia), ultimately culminating in the establishment of formal diplomatic ties between them. Historically, the Ottoman Empire and Safavid Iran engaged in prolonged struggles for dominance in the Caucasus. Their contests over this region were marked by fluctuating success. However, in the 16th century, the formidable Muscovite state (Russia) emerged as a new player with similar territorial interests.

Crucially, the Safavid State's political and economic interests aligned with Russia's pursuits, particularly concerning the utilization of the Volga-Astrakhan navigable waterway. This shared interest stemmed from the potential economic impact on the Ottoman Empire, Iran's primary adversary. The use of this waterway threatened the Ottoman Empire's customs revenue generated from the export of Iranian and Shirvan silks to Western Europe via Aleppo.

In 1578, facing war initiated by the Ottoman Empire (Ottoman-Iranian War of 1578-1590) during a politically unstable period, the Safavid leaders sought an ally. Considering Muscovy's antagonistic stance towards the Ottoman Empire due to political and economic rivalries, they turned to Russia. In 1586, Iran dispatched an embassy to Moscow, wherein Shah Mohammad Khodabande proposed ceding strategic port cities on the Caspian Sea—Baku and Daruband—in exchange for Russian assistance against the Ottomans. The Muscovite State found this proposition appealing, reciprocating with its embassy to Iran. Subsequently, under Shah Abbas I (1587-1629), Iran adopted a more cautious and strategic approach in its dealings with the Muscovite State.

The Russian and Iranian embassies of this period played a pivotal role in establishing diplomatic relations, eventually formalizing their ties. While their interaction primarily aimed at countering their mutual adversary—the Ottoman Empire—their diplomatic engagements laid the groundwork for enduring connections between the two nations.

ბიოგრაფიული ცნობები თუნისელი გენერლის აბუ მუჰამმად რაშიდის შესახებ

რეზიუმე

სტატია მიმოიხილავს ქართული წარმომავლობის თუნისელი გენერლის, აბუ მუჰამმად რაშიდის ბიოგრაფიას. ის სავარაუდოდ 1802 წელს დაიბადა გურიაში, ქობულეთთან ან ოზურგეთთან ახლოს მდებარე სოფელში. ბავშვობისას, ტყეში თამაშის დროს ყაჩაღებმა გაიტაცეს და მონად გაყიდეს სტამბულში, საიდანაც მოგვიანებით თუნისში მოხვდა. რაშიდი შეიძინა თუნისის საფაშოს მაღალჩინოსანმა, წარმოშობით ქართველმა სულეიმან ქაჰიამ, რომელმაც შეიფარა და აღზარდა, ხოლო გარკვეული დროის შემდეგ გადასცა თუნისის მმართველ ბეის. რაშიდი განსაკუთრებულ ინტერესს იჩენდა სამხედრო საქმისადმი რის გამოც, 1837 წელს ქალაქ სუსას ადმინისტრაციის ხელმძღვანელად დააწინაურეს. მან მალევე მიატოვა ადმინისტრაციული თანამდებობა და მთლიანად გადაერთო თუნისის არმიის რეფორმირების საქმეზე. რაშიდს ახასიათებდნენ როგორც განათლებულ და მოხერხებულ ადამიანს რომელიც უზომოდ ერთგული იყო თუნისის მმართველი ჰუსეინიანების ოჯახის და ძალიან უყვარდა სამხედრო საქმე. ამ თვისებების გამო ის თუნისის მმართველის აჰმად ბეის (1837-1855) ფავორიტიც გახდა რამაც მოგვიანებით განაპირობა მისი შერჩევა თუნისის საექსპედიციო ჯარის ხელმძღვანელის თანამდებობაზე. თუნისის საფაშო ოსმალეთს ყირიმის ომში 12000 ჯარისკაცით დაეხმარა, ისინი ოსმალეთის მიერ დაკავებული შავი ზღვის სანაპიროს დასაცავად გააგზავნეს. თუნისელები თავდაპირველად ბათუმის, ქობულეთის და შეკვეთილის მოგვიანებით კი სოხუმის მიდამოებში ასრულებდნენ გარნიზონის მოვალეობას. ასე დაემთხვა, რომ რაშიდი სამხედრო ბანაკში მოხვდა მის გამტაცებლებთან – თავდგირიძეებთან ერთად. ამავე პერიოდში, აჭარასა და გურიაში მძვინვარებდა სხვადასხვა ეპიდემიური დაავადება რამაც დიდი ზარალი მიაყენა აქ დისლოცირებულ ოსმალურ გარნიზონს. თუნისურ ჯარში არ ჰქონდა საჭირო მედიკამენტები, მათ არც კლიმატის შესაფერისი ტანსაცმელი და აღჭურვილობა გააჩნდათ და ხშირად, კვირების განმავლობაში არ მიეწოდებოდათ საკვები. მიუხედავად რაშიდის მცდელობებისა, რაც შეიძლება მალე და მინიმალური დანაკარგებით დაებრუნებინა თუნისის კონტინგენტი თავიანთ ქვეყანაში, ეპიდემიების და არასათანადო პირობების გამო თუნისელთა შემადგენლობის მესამედზე მეტი გარდაიცვალა. მათ არ მიუღიათ მონაწილეობა არც ერთ მნიშვნელოვან ბრძოლაში რუსულ-ქართული ჯარის წინააღმდეგ. თუმცა, თავად რაშიდის მიერ გაგზავნილ ერთ წერილში ის თუნისის მმართველს ატყობინებდა, რომ შეებრძოლა „თავის ქართველ ნათესავებს“. თუნისური ჯარი 1856 წელს დაბრუნდა სამშობლოში განახევრებული შემადგენლობით, ჯარისკაცები და მათი მეთაურები დიდი პატივით მიიღო მმართველმა ბეიმ. შემდგომი წლები რაშიდი განაგრძობდა თუნისური ჯარის გაძლიერებას და რეფორმირებას. პარალელურად, დაკავებული იყო თუნისში ახალი საგზაო ინფრასტრუქტურის მშენებლობითაც. რაშიდი ასრულებდა დიპლომატიურ საქმიანობას, ის ამავდროულად პირველი იყო ვინც თუნისში თარგმნა სამხედრო თემატიკის წიგნები. რაშიდი საკმაოდ შეძლებულიც იყო, ჰქონდა თავისი ფერმები და ფლობდა სავაჭრო ხომალდებს. 1861 წელს ის საფაშოს საზღვაო მინისტრის თანამდებობაზე დაწინაურდა, თუმცა, 1864 წელს დაწყებულ ანტისამთავრობო გამოსვლებს ჯეროვანი წინააღმდეგობა არ გაუწია. ამ საქციელის გამო რაშიდი თანამდებობიდან დაითხოვეს. 1867 წლის 4 ოქტომბერს, თუნისის მმართველმა სადოკ ბეიმ რაშიდი სიკვდილით დასჯა მის წინააღმდეგ წარუმატებელ შეთქმულებაში მონაწილეობის საბაბით.

საკვანძო სიტყვები: თუნისი, ოსმალეთის იმპერია, გენერალი რაშიდი, მამლუქები, ყირიმის ომი (1853-1856).

საქართველოდან გატაცებულია შესახებ მრავალი ისტორიაა შემონახული და შესწავლილი, თუმცა, ბევრია ისეთიც, ვისი ცხოვრებაც საქართველოს ფარგლებს გარეთ ცნობილია, ჩვენთან კი მათ შესახებ არაფერი ვიცით. ერთ-ერთი მათგანია თუნისში მოღვაწე გენერალი აბუ მუჰამად რაშიდი, რომლის ბიოგრაფიაც პირველად ქვეყნდება.

საქართველოდან ბავშვების თუ ზრდასრულების მოტაცების და უცხოეთში მონად გაყიდვის შესახებ არაერთი კვლევა დაიწერა. ეგვიპტის და ერაყის გარდა, ქართველი მონები იყიდებოდნენ ისეთ შორეულ მხარეებში როგორც იყო თუნისი, ალჟირი, ლიბია და სხვები. მე-18-19 საუკუნეებში ოსმალურ თუნისში ათობით ქართველი მოხვდა. მათ, სხვა კავკასიელებთან, ბერძნებთან, აღმოსავლეთ და სამხრეთ ევროპელ მონებთან ერთად დააკომპლექტეს თუნისის მმართველი წრე. სტამბულში შეძენილ მონებს თუნისში მამლუქებს ეძახდნენ, მათ როგორც წესი, იძენდნენ მმართველი ოჯახის – ჰუსეინიანების წევრები, ან მათთან დაახლოებული მმართველი წრის წარმომადგენლები. ყველაზე ერთგულებს და ნიჭიერებს, ხანდახან კი უნიჭობესაც, ზრდასრულობის მიღწევისას აწინაურებდნენ. ასე ხდებოდა მამლუქები ოსმალური საფაშოს სამხედრო და საზღვაო მეთაურები, ქალაქების ადმინისტრატორები, ფინანსისტები, დიპლომატები და კომერსანტები.

სწორედ თუნისში ჩაიყვანეს საქართველოდან გატაცებული პატარა ქართველი ბიჭი რომელსაც რაშიდი დაარქვეს. 1867 წლის ალჟირში გამოცემული ფრანგულენოვანი გაზეთის ცნობით რაშიდი დაახლოებით 65 წლის უნდა ყოფილიყო იყო (Akhbar 1867, 1), შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ ის 1802 წელს დაიბადა. რაშიდის ნაცნობი ოსმალთა სამხედრო იხსენებდა, რომ ის დაიბადა მათი ბანაკიდან რამდენიმე მილით დაშორებულ სოფელში, უბრალო გლეხის ოჯახში (Осман-бей 1877, 188). ამავე მოგონებიდან ვიგებთ, რომ რაშიდი ტყეში თამაშისას გაიტაცეს ყაჩაღებმა, რომელთა შორისაც სახელდება ვინმე ჰუსეინ ბეი, სავარაუდოდ ჰასან ბეგ თავდგირიძის ძმა. რაშიდი გაყიდეს სტამბულის მონათა ბაზარში, საიდანაც მოგვიანებით მოხვდა თუნისში, ის შეიძინა ცნობილმა და გავლენიანმა ქართველმა მამლუქმა სულეიმან ქაჰიამ (Diyaf 1999, 148). რაშიდი მის სახლში იზრდებოდა, აქვე ისწავლა არაბული წერა და კითხვა. სულეიმან ქაჰიამ რაშიდი, როგორც გამორჩეულად კარგი და ნიჭიერი მოსწავლე, თუნისის მმართველს ჰუსეინ ბეის (1824-1835) გადასცა, ბეიმ კი აღსაზრდელად მიაგვლინა თავისი შვილის, პრინც აბუ მუჰამად ჰამუდა ბეის (1816-1863) სხვა მამლუქებთან. რაშიდის ადრეული ცხოვრების ამ ფრაგმენტების გარდა სრულიად უცნობია მისი ისტორია 1837 წლამდე. ამ წლის სექტემბერში სიკვდილით დასაჯეს გავლენიანი მინისტრი, ჩერქეზი მამლუქი შაკირი, იმავე დღეს ახალმა მმართველმა აჰმად ბეიმ (1837-1855) აბუ მუჰამად რაშიდი დანიშნა თუნისის სუსას რეგიონის ამირ ალაის – პოლკოვნიკის თანამდებობაზე. ამ უმდიდრესი რეგიონის გამგებლად დანიშნულებას დიდი გავლენა ჰქონდა რაშიდის მომდევნო კარიერულ წარმატებაზე. როგორც თუნისელი ისტორიკოსი ჯერფელი ვარაუდობს, რაშიდი მონაწილეობდა ჩერქეზი მინისტრის შაქირის მიერ თუნისში გადატრიალების მცდელობის აღკვეთასთან (Jerfel 2007, 104). დანიშნულების შემდეგ რაშიდი მხოლოდ მცირე ხნით განაგებდა სუსას პროვინციას, ის უფრო მეტად იყო დაინტერესებული სამხედრო საქმით ვიდრე პროვინციის ადმინისტრირებით. როგორც ეტყობა, რაშიდი კარგად გაუძღვა დაკისრებულ საქმეს რის შედეგადაც ის 1845 წლის ნოემბერში დანიშნა თანამდებობაზე – ბრიგადის გენერლის, ხოლო 1851 წლის ივლისში ამირ ალ-უმარას – დივიზიის გენერლის თანამდებობაზე, რაც ბეის შემდეგ უმაღლესი სამხედრო ჩინი იყო თუნისის საფაშოში.

სამხედრო საქმიანობასთან ერთად რაშიდი ასევე მონაწილეობდა თუნისის საფაშოს დიპლომატიურ მისიებში, პირველად მან ალჟირში იმოგზაურა 1847 წელს და შეხვედრები გამართა ფრანგულ ადმინისტრაციასთან. 1853 წლის იანვრიდან მაისამდე კი იმყოფებოდა საფრანგეთში. როგორც

თუნისელი ისტორიკოსი ოუალდი აღწერს (Oualdi 2015, 175), საფრანგეთში რაშიდი დიდი პატივით მიიღეს, დაათვალიერებინეს პარიზის ღირშესანიშნაობები, მათ შორის შანზ-ელისეს თეატრი და ბოოპარკი რომელსაც რაშიდზე განსაკუთრებული შთაბეჭდილება მოუხდენია. რაშიდი შეხვდა იმპერატორ ნაპოლეონ III-საც, მისი ვიზიტი პერიოდულად განიხილებოდა ფრანგულ პრესაში. ასევე ცნობილია, რომ თუნისის დელეგაციის წევრებმა შეიძინეს ევროპული ტანისამოსი და ფრანგული წიგნები.

თუნისის მმართველმა აჰმად ბეიმ, რომელსაც 1854 წლისთვის ჯანმრთელობაც შერყეული ჰქონდა და ხაზინაც დაცარიელებული, გადაწყვიტა ოსმალეთისთვის აქტიურად დაეჭირა მხარი რუსეთთან ომში. მან საკუთარი ხარჯებით, მათ შორის ცოლის სამკაულების დაგირავებით, შეძლო გარკვეული თანხის მობილიზება და საექსპედიციო ჯარის გამზადება. 1854 წლის 10 მაისს ბეიმ მიიღო გადაწყვეტილება, რომ ამ ომში თუნისის ჯარს სწორედ რაშიდი გაუძღვებოდა. გარდა იმისა რომ რაშიდი ბეის ფავორიტი იყო, ის ასევე იყო ერთგული, მომზადებული, წარმატებული, განათლებული და ყველაზე უნარიანი სამხედრო თუნისის საფაშოში (Jerfel 2007, 112). რაშიდის ორგანიზატორული ნიჭის წყალობით მისი ჯარისკაცები საჰელის და კირუანის პროვინციებიდან სხვებზე უკეთ მომზადებულები და აღჭურვილები იყვნენ. რაშიდი ასევე გამოირჩეოდა მაღალი რეპუტაციით ოფიცრებსა და ჯარისკაცებს შორის, როგორც მისი თანამედროვე ისტორიკოსი ალ-დიაფი აღნიშნავდა, სხვებისგან განსხვავებით, რაშიდი არ იყენებდა ჯარისკაცებს და ქვეშევრდომებს თავისი პირადი მიზნებისთვის, ის განსაკუთრებით კარგად ექცეოდა ადგილობრივ სამხედროებს და ზრუნავდა მათზე, რაც კარგად გამოჩნდა ყირიმის ომის პერიოდში (Diyaf 1999, 149).

მთლიანობაში 12000-მდე თუნისელი ჯარისკაცი და მეზღვაური გაიგზავნა სტამბულში სამ ეტაპად. 1854 წლის სექტემბერში თუნისელთა პირველი კონტინგენტი რაშიდის მეთაურობით სტამბულში ჩავიდა, 19 სექტემბერს თუნისური ჯარი და მათი მეთაური სულთანმა მოინახულა. ამ დროისთვის ჯერ არ იყო გადაწყვეტილი თუ სად უნდა განეთავსებინათ თუნისელები, თუმცა, მალევე გადაწყდა მათი ბათუმის სანჯაყში დისლოცირება. თუნისელები ოსმალების მიერ დაკავებულ ზღვისპირა ციხესიმაგრეებში ბათუმში, ქობულეთში, შეკვეთილში და მოგვიანებით სოხუმში საგარნიზონო მოვალეობების შესრულების მიზნით გააგზავნეს.

ბათუმის ფრონტზე ოსმალებმა წარმატებული შეტევა განახორციელეს 1854 წლის 10 ოქტომბერს და უკუაგდეს რუსული ჯარები, თუმცა ამის შემდეგ ამინდის გაფუჭების და უგზოობის გამო, შეტევა შეფერხდა და ოსმალური არმია დაკავებული ადგილების ფორტიფიკაციით დაკავდა. ცალკეული მცირემასშტაბიანი შეტაკებების გარდა ბათუმის ფრონტზე არაფერი მომხდარა, შესაბამისად, თუნისის ჯარში დანაკარგებიც თითქმის არ აღირიცხებოდა. თუმცა, თუნისელთათვის უფრო დიდი მტერი აღმოჩნდა გავრცელებული ეპიდემიები, თანმდევი დაავადებები და მათთვის დაუძლეველი კლიმატი. 1855 წლის აგვისტოსთვის მათ რიგებში 2800-ზე მეტი ჯარისკაცი გარდაიცვალა ქოლერის და ტიფის დაავადებით. განვლილი საკომუნიკაციო ხაზების გამო თუნისის ჯარი ხშირად საკვების გარეშე რჩებოდა კვირების მანძილზე, მათთან თვებით ვერ აღწევდა მედიკამენტები, შესაფერისი სამოსი, სავლელ კარვები და წვიმიანი კლიმატისთვის სჭირო აღჭურვილობა. რაშიდმა ისარგებლა ოსმალური ადმინისტრაციის კორუფციით და ეტაპობრივად დაიწყო დაავადებული და გატანჯული თუნისელი ჯარისკაცების რეპატრიაცია სამშობლოში, როგორც ირკვევა, 10000 ჯარისკაციდან მხოლოდ 4500 იყო ჯანმრთელი რეპატრიაციის მომენტისთვის.

უცნობია, სცადა თუ არა რაშიდმა საკუთარი მშობლების ან ნათესავების მონახვა, ვიცით, რომ ეს თუნისის ჯარში მყოფმა ერთმა ქობულეთელმა მოახერხა და სავარაუდოდ შეხვდა კიდეც თავის მშობლებს (Manran 1961, 11). 1855 წლის 24 ნოემბრით დათარიღებულ წერილში რაშიდი აჰმად ბეის წერდა ერთი უმნიშვნელო ორთაბრძოლის შესახებ თუნისელთა და რუსულ ჯარს შორის, წერილში ის ასევე ახსენებს რომ შეებრძოლა მის ქართველ ნათესავებს “mes cousins géorgiens” (Jerfel 2007, 102). ოსმან-ბეი, რომელიც აჭარაში რაშიდის ბანაკში იმყოფებოდა აღნიშნავდა, რომ მისი სავლელ კარავი

ძვირფასეულობით იყო განწყობილი, მისი ცხენები და იარაღი კი ოქროთი და ძვირფასი ქვებით. ამის აღწერისას ოსმან ბეი ასევე აღნიშნავს – ვის წარმოედგინა, რომ ადამიანი რომელიც აქვე, ადგილობრივ ქართულ სოფელში, ერთი რიგითი გლეხის ქოხში დაიბადა, ამხელა წარმატებას მიაღწევდა. ოსმან ბეის გადმოცემით, ამავე სამხედრო ბანაკში ის ხალხიც იმყოფებოდა, ვინც თავის დროზე რაშიდი მოიტაცა და მონად გაყიდა (Осман-бей 1877, 188).

რაშიდი თავის ჯარისკაცებთან ერთად 1856 წლის 3 აგვისტოს დაბრუნდა თუნისში, ბეი მას პირადად შეეგება, ფეხზე წამოუდგა, თბილად ჩაეხუტა და თავის პირდაპირ დასვა – რაც დიდი პატივი იყო. ყირიმის ომიდან დაბრუნებული რაშიდი უმეტესად დაკავებული იყო გზების, ხიდების, ფორტიფიკაციების, საზოგადოებრივი შენობების კეთილმოწყობით და მშენებლობით. 1857 წელს ის დაინიშნა საბჭოს წევრად რომელიც არმიის სტატუსს და მის რეგულაციებს განსაზღვრავდა. რაშიდმა შეისწავლა შესაბამისი ევროპული და ოსმალური კანონმდებლობა, რის საფუძველზეც შეიმუშავეს თუნისის სამხედრო რეგულაციები.

სამხედრო კარიერის განმავლობაში მან რამდენიმე ჯილდოც მოიპოვა, 1846 წელს ნიშან ალ-იფტიკარის პირველი ხარისხი, 1851 წელს იმავე ჯილდოს უმაღლესი ხარისხი, ხოლო 1856 წელს ყირიმის ომის დასრულების აღსანიშნავად გადაეცა ოსმალეთის სულთნის აბდულმეჯიდის ფირმანი და ნიშან ალ-მაჯიდის მეორე ხარისხი. წარმატებული სამხედრო კარიერის პარალელურად ის საფაშოს ერთ-ერთი უმდიდრესი მოხელეც იყო. სოლიდური ხელფასის და ჯილდოების გარდა, რაშიდს შემოსავალი ჰქონდა საკუთარი სატვირთო ხომალდებიდან “ელ-რაშიდია” და “სიაიეთ ელხირ” რომლებიც რეგულარულად დაცურავდნენ თუნისის, მალტასა და ალექსანდრიას შორის. რაშიდი ასევე ფლობდა ზეთისხილის ბაღებს საჰელის პროვინციაში თავისი გადამამუშავებელი ქარხნებით და ჰქონდა დიდი ფერმა ჰერგლას პროვინციაშიც.

1861 წლის ნოემბერში სადოკ ბეიმ რაშიდს სახმელეთო ჯარების მთავარსადღობა უბოძა, მოიწვია საფაშოს უმაღლესი საბჭოს – ბეის პირადი საბჭოს წევრად, ხოლო ორი წლის შემდეგ საზღვაო სამინისტროც ჩააბარა.

რაშიდი ახალგაზრდობიდანვე ეუფლებოდა თურქულ და არაბულ ენებს. ქალაქ სუსაში მსახურობის განმავლობაში, რაშიდმა შეისწავლა ფრანგული ენაც. ის ასევე დაინტერესებული იყო კარტოგრაფიით და ტოპოგრაფიით და პირველმა წამოიწყო სამხედრო რუკების შექმნა თუნისში. დღემდე არსებობს მისი ავტორობით ბარდოს სამხედრო სასწავლებლის სტუდენტების მიერ 1858 წელს შექმნილი რუკები. რაშიდი ასევე დაინტერესებული იყო თარგმანით, ის პირველი იყო ვინც თარგმნა წიგნები სამხედრო ხელოვნების შესახებ. თუნისის ბიბლიოთეკაში ინახება ორი წიგნი მისი ავტორობით, ერთი 1857 წელს ითარგმნა თურქულიდან არაბულ ენაზე და შეეხება სამხედრო სამსახურს, მეორე 1863 წლით არის დათარიღებული და ასევე არმიის მოწყობას, რეგულაციებს და კანონებს განიხილავს. ასევე ცნობილია, რომ რაშიდი ხელს უწყობდა ფრანგ არქეოლოგებს და მეცნიერებს სუსაში ყოფნისას.

1864 წელს საჰელის პროვინციაში დაიწყო ხელისუფლების საწინააღმდეგო გამოსვლები, რაც გაზრდილ გადასახადებს მოჰყვა, ამ წლის მაისში რაშიდი გამოიწვია თუნისში. მიუხედავად მისი დიდი ავტორიტეტისა ვერ მოახერხა აჯანყებულების დამშვიდება რამაც ძალიან გააღიზიანა მმართველი სადოკ ბეი, ეჭვი ჰქონდათ რომ ის ზედმეტად ლმობიერად ეპყრობოდა აჯანყებულებს. ამავე წლის აგვისტოში ურჩ მოხელეებს, მათ შორის რაშიდს, აუკრძალეს თუნისის მმართველის სასახლეში გამოჩენა. რაშიდმა იგრძნო მოახლოებული საფრთხე, მას საფრანგეთის წარმომადგენელმა შესთავაზა საფრანგეთის მფარველობის ქვეშ შესვლა, თუმცა უცნობია როგორ გაგრძელდა ეს პროცესი. 1867 წლის ზაფხულში თუნისში განსაკუთრებით დაიძაბა მდგომარეობა, გვალვამ და ცუდმა მოსავალმა უმძიმეს მდგომარეობაში ჩააგდო მოსახლეობა, ტახტის პრეტენდენტმა ადელ ბეიმ ისარგებლა გამეფებული ანარქიით, განუდგა მმართველ ბეის და აჯანყება წამოიწყო. თუმცა, ის ოქტომბერში უბრძოლველად დანებდა და თავის მოკავშირეებს შორის რაშიდიც დაასახელა. სადოკ ბეიმ რაშიდის

დაჭერა და მისი სიკვდილით დასჯა მოითხოვა. რაშიდს სახლში შეუვარდნენ ბეის მიერ მიგზავნილი ჯარისკაცები, მან მოახერხა წინააღმდეგობის გაწევა და რამდენიმე თავდამსხმელი დაჭრა კიდეც. ის და კიდეც ერთი მაღალჩინოსანი მამლუქი, ბერძენი გენერალი ისმაილი მმართველს მიჰგვარეს 4 ოქტომბერს, დაპატიმრებულებს შეურაწყოვა მიაყენა სადოკ ბეიმ და ყოველგვარი გასამართლების გარეშე მათი ჩამოხრჩობა ბრძანა, რაც იქვე აღასრულეს. მეორე დღეს რაშიდი ქალაქ თუნისის ბაბ ზირას გარეუბანში დაასაფლავეს. რაშიდის სიკვდილით დასჯა მკაცრად გააპროტესტეს საფრანგეთის და სხვა სახელმწიფოების ელჩებმა, თუმცა ბეიმ თავი გაიმართლა, მას რომ აჯანყებულები არ დაესაჯა ისინი თავად მოკლავდნენ მმართველს.

რაშიდის დარჩა მეუღლე – თუნისის ძველი და ძლიერი ოჯახის ზარრუქის წარმომადგენელი შერიფა და ერთი შვილი, სახელად მუჰამმადი. მასზე მზრუნველობა თუნისის მუნიციპალური საბჭოს თავმჯდომარემ იკისრა რომელიც მუჰამმადს ბიძად ეკუთვნოდა, მოგვიანებით, ისიც მამის კარიერას გაჰყვა და მსახურობდა თუნისის არმიაში.

გამოყენებული ლიტერატურა:

Akhbar Journal De L'Algérie, 13 Octobre 1867

Diyaf Ahmad ibn Abi, *Ithaf Ahl al-zaman bi Akhbar muluk Tunis wa ,Ahd al-Aman*, Tunis, 1999, vol. 8

(არაბულ ენაზე)

Jerfel, K. *Itinéraire et fin tragique d'un mamelouk: le général Rechid, commandant des troupes du Sahel de 1837 à 1867* in Contraintes et libertés dans les sociétés méditerranéennes aux époques modernes et contemporaines. Tunis: UR Histoire économique, Faculté des sciences humaines et sociales de Tunis; Caen: CRHQ, CNRS-Université de Caen, 2007, 97–123.

Mantran Robert, *Inventaire des documents d'Archives Turcs du Dar El-Bey (Tunis)*, Paris, 1961

Oualdi M'hamed, *Esclaves et maitres: les mamelouks des beys de Tunis du XVIIe siècle aux années 1880*, Publications de la Sorbonne, Paris, 2015

Осман-бей, *Воспоминание 1855 года. События в Грузии и на Кавказе*, Кавказский Сборник. Тифлис, 1877. გვ. 143-214

BIOGRAPHICAL INSIGHTS ABOUT TUNISIAN GENERAL ABU MUHAMMAD RASHID

This paper examines a biography of Abu Muhammad Rashid, Tunisian general who is best known for leading the Tunisian army into the Crimean War of 1853-1856. Rashid was born in Georgia, presumably around 1802 in Guria region. He was kidnapped while playing in the forest as a kid and sold in Istanbul. At some point he was transported to Tunis where his new owner, another Georgian mamluk Suleyman Kahiya, sheltered and raised him before handing him over to the ruling bey of Tunis. Rashid showed a great interest in military science and was promoted to the head of administration of Sousse in 1837. Shortly he quit this position and was transferred to the army where he spent the rest of his life. Rashid is described as an able and educated man devoted to the ruling Husaynian family and to his military profession. He also acted as a diplomat in missions to Algeria and France and undertook several educational projects for the military college in Tunis.

Being a favorite of Ahmad Bey (1837-1855), he was chosen to lead the Tunisian army of around 12000 soldiers into the Crimean War and was deployed in Batumi area on the Black Sea shore – a town that was close to his birthplace. Incidentally, he fought alongside the people who years before kidnapped him from village and sold him as a slave. Despite Rashid's efforts to save as many Tunisian soldiers as possible, epidemics and harsh weather conditions, topped with unstable medical and food supply and shortage of suitable shelter caused high death rate among his subordinates. Rashid returned from Crimea with less than half of the troops that were initially deployed. In later years, he continued to serve in Tunisian army and was appointed to the post of minister of navy in 1861 before his downfall in 1864 and eventual execution on October 4, 1867, due to an alleged participation in a failed revolt against the ruler.

Keywords: Tunis, Ottoman empire, general Rashid/ Rechid, mamluks, Crimean war (1853-1856)

ენა და პარამია

რეზიუმე

ანდაზა არის მიკრომოდელი, რომელშიც ვლინდება ერის ცხოვრებისა და აზროვნების სტილი. მისი მთავარი ფუნქციაა სამყაროს უნივერსალური კანონზომიერების აღქმა. ეს არის ერის ინტეგრალური ფსიქიკური სისტემის შესაბამისი აღქმის ტიპი. ბუნებრივია, თითოეული ეთნოსი თავის აღქმას უნიკალური სახით ავლენს. ამრიგად, ანდაზების, როგორც უნიკალური ენობრივი ფენომენების ანალიზი, გულისხმობს ერის მენტალიტეტისა და მისი აზროვნების უნიკალური მახასიათებლების იდენტიფიცირებას.

ანდაზებში დაშიფრული ერის დაგროვილი ცოდნის გაშიფვრა არის ერის „გონებრივი სივრცის“ განსაზღვრის მცდელობა. ეს მცდელობა დაკავშირებულია ანდაზის სტრუქტურის სპეციფიკისა და ანდაზის სემანტიკური მექანიზმის ანალიზთან.

ანდაზის ფორმალური და სემანტიკური სიუჟეტის შექმნის პროცესზე უამრავი ფაქტორი მოქმედებს. ეს ფაქტორებია: ერის განვითარების ისტორიული პროცესი, სოციალური რეალობა, ცნობიერება, ენა და ა.შ. ყველა ჩამოთვლილი ფაქტორი არის სოციალური და სულიერი მოღვაწეობის ასპექტები. ანდაზების შექმნის პროცესი ხსენებული ასპექტების ერთობლიობას მოითხოვს.

ანდაზის სემანტიკური სტრუქტურა ეფუძნება თემატურ-ლოგიკურ კომბინაციას. ანდაზის აგების მექანიზმი შეიძლება განისაზღვროს შემდეგნაირად: შემეცნების პროცესში ძველი გამოცდილება ემატება ახალს. შემდეგ იწყება მეტაფორული „ძრავა“ და იწვევს შინაარსის გაშიფვრის პროცესს. და ბოლოს, კონკრეტული შინაარსის სახით განსახიერებული იდეა გარკვეულ სიბრძნეში გარდაიქმნება.

ეს პროცესი რეალიზდება ფენომენებს შორის არსებული ლოგიკური ურთიერთობების იდენტიფიცირების საფუძველზე. ეს ლოგიკური მიმართებები არის ენობრივი სხეულის კონცეპტუალურ სივრცეში მიღებული და აღიარებული კოდების გამოვლინება.

საკვანძო სიტყვები: ენა, ლექსიკა, ეთნოცნობიერება.

სამყაროს ენობრივი სურათი წარმოადგენს სინამდვილის ასახვის ერთიან სისტემას, რომელიც აუცილებელია ამა თუ იმ ენობრივი კოლექტივისათვის. სინამდვილის კონცეპტუალიზაციის ენობრივი საშუალებები ნაწილობრივ უნივერსალურია, ნაწილობრივ კი – ეროვნულად სპეციფიკური.

ენა შეიქმნა, გაჩნდა ადამიანთა ერთობლივ ცხოვრებაზე ობიექტური სინამდვილის, სოციალური გარემოს ზემოქმედების პირობებში, როგორც ამ გარემოს ასახვა და ამ ასახვის ადგილი არის ინდივიდუალური ცნობიერება.

მაშასადამე, ენა წარმოადგენს წარმონაქმნს, რომელიც ახდენს სოციალური გამოცდილების ფიქსირებას. ხალხის სული აძლევს ადამიანებს, როგორც უნიკალურ არსებებს, უნარს შექმნას ხარისხობრივად ახალი სფერო, ისეთი წარმონაქმნი, როგორიცაა ენა, რომელიც ასახავს ყველა ძირითად მოვლენას ობიექტურ სამყაროში, მთელ სოციალურ გამოცდილებას. ასეთი ასახვა ხდება არა მარტო ენაში, არამედ კულტურაში, რომელიც, როგორც მთლიანობა, წარმოადგენს მაინც მეორად ქმნილებას, თუმცა აქტიურად უკუმოქმედებს ენაზეც და ადამიანთა ცნობიერებაზეც. ეროვნული ენა, ეროვნული

ხასიათი, ეროვნული კულტურა, წარმოადგენენ ერთმანეთისაგან განუყოფელ, ურთიერთგანპირობებულ მოვლენებს. ამდენად, ეროვნული სული გვევლინება როგორც ერის უნიკალური ბედი, თავისებური ინდივიდუალური ურთიერთობების გამოცდილება, ტრადიციები, ობიექტური სამყაროსადმი თავისთავადი მიდგომა, რაც ხორციელდება ენის საფუძველზე, ეროვნული ენის პირობებში, მისი უშუალო ზემოქმედების შედეგად. ამდენად, ეროვნული სული შეიძლება წარმოვიდგინოთ, როგორც ხატოვანი სახელი იმის აღსანიშნავად, რაც აყალიბებს ერს მოცემულ ერად, აძლევს მას უნიკალურობას, თავისთავადობას, აყალიბებს მის იდეალებს, ღირებულებებს, მისიას, ე. ი. ერთგვარად აპირობებს მის მომავალს, უზრუნველყოფს მოცემული ერის, როგორც ერის, მომავალს. და ბოლოს, ენას, როგორც ერის ჩამოყალიბების პირობას, მის განუყოფელ მხარეს, უნდა გააჩნდეს ფუნქცია. ენა, როგორც ენა, თავს იჩენს მეტყველებაში, ის გვევლინება როგორც ინფორმაციის გადაცემის საშუალება და ადამიანთა ურთიერთობის საშუალება. მაგრამ მართო ამით ენის ფუნქციების შემოსაზღვრა არ იქნებოდა სწორი. სამართლიანია ვაისაზღვროთ ცნობილი მოსაზრება, რომ თუ ენის დანიშნულებას შემოვსაზღვრავთ მხოლოდ და მხოლოდ ურთიერთობის საშუალებით, მაშინ უნდა ვაღიაროთ, რომ ჭიანჭველებს, ფუტკრებს, ფრინველთა გუნდებს და სხვებს გააჩნიათ ენა, რაც, რასაკვირველია, ასე არ არის, თუმცა სიტყვას „ურთიერთობა“ აქ პირობითად თუ ვიხმართ.

ენას აქვს სოციალური ბუნება. ის ადამიანთა ერთობლივი ქმედებით, ერთობლივი ცხოვრების პირობებში გაჩნდა და გახდა ადამიანის ადამიანად ჩამოყალიბების პირობაც და შედეგიც. ადამიანი წარმოუდგენელია მისი ენის გარეშე. გაჩნდა რა ადამიანთა ერთობლივი ძალისხმევის შედეგად ადამიანთა ჯგუფში და გახდა რა ერთგვარად ობიექტური სამყაროს ასახვისა და განსხვავების, გაუცხოების საშუალება, ენამ ადამიანს მოუტანა თავისუფლება, დამოუკიდებლად არსებობის ძალა. ენის მეშვეობით ინდივიდუალურ ცნობიერებაში ხდება სამყაროს ასახვა; ენა და მისგან მოუწყვეტელი აზროვნება უზრუნველყოფენ ადამიანის ინდივიდუალურობას, თავისუფლებას ანიჭებენ მას. და შემდგომში, მხოლოდ იმის შემდეგ, რაც გაუჩნდა ენა, როგორც თავისუფალი პიროვნება, როგორც ინდივიდუალური სუბიექტი, ადამიანი ხდება ინფორმაციის გადაცემის შემქმნელი, ურთიერთობის დამყარების უნარის მქონე მასავით გონიერ, ცნობიერების მქონე ინდივიდუალურ სუბიექტებთან.

აქედან გამომდინარე, ენა გვევლინება ხალხთა ურთიერთობის საშუალებად. არა იმიტომ, რომ ის ყველაზე მოსახერხებელი იარაღია ამისთვის, რის გამოც შეიქმნა კიდეც, არამედ იგი ასრულებს ფუნქციას, რამდენადაც წარმოადგენს ადამიანის ადამიანურობის, პიროვნულობის საზომს, აძლევს მას საშუალებას გაიუცხოოს სამყარო, გაითავისუფლოს თავი მისი მუდმივი უშუალო ზეგავლენისაგან და მხოლოდ ამის შემდეგ ადამიანი შედის კონტაქტში სხვა ადამიანებთან თავისუფალი, გონიერი შეთანხმების საფუძველზე. ენა ყველაზე მოსახერხებელია ამისთვის, იმიტომ რომ ის ყველაზე ადეკვატურად გამოხატავს ადამიანის ადამიანურობას: მისი საშუალებით მოხდა სოციალური გამოცდილების რეპრეზენტაცია ცნობიერებაში და სრულიად გასაგებია, რომ ყველა ენას, როგორც ერთი ობიექტური სამყაროს ამსახველს, ერთი და იგივე არსების – ადამიანის ცნობიერებაში აქვს საერთო; ეს არის ლოგიკურობა. თითოეული ენა ხასიათდება თავისი მიდგომით, თავისი სოციალური გამოცდილებით. ლოგიკური თითოეულ ენაში არის ის, რაც მას საერთო აქვს სხვა ენებთან, რაც „რჩება იგივე“ ყველა სხვა ენაში. თითოეული ენობრივი კოლექტივის სპეციფიკური გამოცდილება ქმნის პერიფერიულ გარემოცვას ლოგიკური მნიშვნელობის ირგვლივ, გარემოცვას, რომელიც მოდის ამ კოლექტივების სოციალურ-ისტორიულ სიტუაციებიდან.

ენობრივი კოლექტივის სპეციფიკური გამოცდილება ყველაზე უკეთ ანდაზაში მანიფესტირდება.

ანდაზები ადამიანთა ურთიერთობის თავისებური ფენომენია. ხალხური (და არა მარტო ხალხური) აზროვნების ეს ჟანრი მოიცავს საკითხთა მთელ წყებას, რადგან იგი, ერთი შეხედვით, გარეგნული და სტრუქტურული სიმარტივის მიუხედავად, საკმაოდ რთული ბუნებისაა. ამ სირთულეს განაპირობებს თუნდაც მისი ბინარული ბუნება.

ანდაზა მოცემული ენობრივი კოლექტივის ცნობიერებაში ცნებითი აზროვნების დონეზე ფორმირებული, სტერეოტიპულ ფორმულაში გამოხატული ფიგურალური გამონათქვამია. ის ხატოვნად აფიქსირებს ისტორიული გამოცდილების ნიადაგზე შექმნილ განზოგადებულ სიბრძნეს. მასში ჩადებული ცოდნა ეთნოსის რაციონალურის, მისი ეთნოფსიქიკური მოცემულობის ირაციონალური სახით არსებული რესურსია. ამიტომ არის რთული უცხოენოვანი ანდაზების სიღრმისეული გაგება, შესაბამისი ზოგადაზრობრივი განფენილობის რელევანტური ჩარჩოების (გამოყენების სფეროს) დადგენა. ამას, როგორც ჩანს, თავად ანდაზის აგებულების სპეციფიკა, მისი სტრუქტურულად რთული სემანტიკური მექანიზმი განაპირობებს.

ანდაზა ერის არსებობისა და აზროვნების გარკვეული მიკრომოდელია. მისი ძირითადი ფუნქცია სამყაროს ზოგადი კანონზომიერების წვდომაა. იგი სინამდვილის იმ ტიპის აღქმაა, რომელიც სრულად თავსდება ერთიანი ეროვნული აზროვნების სისტემაში. თითოეული ეთნოსი, რა თქმა უნდა, მას ინდივიდუალური ფორმით გადმოსცემს. ამდენად, ანდაზის, როგორც ენობრივი ფაქტის კვლევა, მისი შემქმნელი ხალხის ეთნიკური თავისებურებებისა და კონკრეტულ მენტალურ სივრცეში დადგენილი აზროვნების კანონების შესწავლას გულისხმობს.

ანდაზაში ერის აკუმულირებული ცოდნის დეკოდირება წარმოადგენს ერისათვის დამახასიათებელი „მენტალური სივრცის“ განსაზღვრის მცდელობას. ეს მცდელობა ასოცირდება ანდაზის აგებულების სპეციფიკისა და ანდაზის სტრუქტურულად რთული სემანტიკური მექანიზმის ანალიზთან.

არსებობს მრავალი მნიშვნელოვანი ფაქტორი, რომელიც მონაწილეობს ანდაზის ფორმალური და აზრობრივი ფაბულის შექმნაში. ეს ფაქტორებია: მოცემული ერის ჩამოყალიბების ისტორიული პროცესი, სოციალური რეალობა, ცნობიერება, ენა, აზროვნება და ა.შ. ეს ყოველივე ადამიანთა მოღვაწეობის სოციალური და სულიერი ასპექტებია. ანდაზის ფორმირების პროცესში ყველა აღნიშნული ფაქტორი კომბინირებულად მუშაობს.

ანდაზის აზრობრივი სტრუქტურა სხვადასხვა თემატურ-ლოგიკური კომბინაციებისაგან იქმნება. ანდაზის კონსტრუირების მექანიზმი შეიძლება შემდეგნაირად განიმარტოს: სამყაროს შემეცნების პროცესში რაიმე მოვლენის შესახებ მიღებული ძველი გამოცდილება ედება ახალს. შემდეგ მუშაობას იწყებს მეტაფორული „ძრავა“, რომლის მეშვეობითაც ხდება შინაარსის დეკოდირება. და ბოლოს, კონკრეტული შინაარსობრივი ფორმით წარმოდგენილი აზრი განზოგადებული სიბრძნე ხდება.

ეს პროცესი მოცემულ საგანთა და მოვლენათა შორის იმ ლოგიკურ მიმართებათა წვდომის საფუძველზე ხორციელდება, რომელიც დადგენილი და მიღებული ნორმაა მოცემული ენობრივი კოლექტივის ცნობიერებაში, მის სააზროვნო სივრცეში.

რა სემანტიკური წესებით ხორციელდება ანდაზის ზოგადაზრობრივი ფაბულის კონსტრუირება, დეკოდირება და გამოყენება? პასუხი ამ კითხვაზე შემდეგია: ანდაზის აზრობრივი სტრუქტურა უნდა განვიხილოთ სამი ძირითადი განზომილების სინთეზში. ის ერთდროულად **ლოგიკური, ვერბალური** და **ცნებითი** აზროვნების ელემენტებს მოიცავს.

ამკარაა, რომ ანდაზის აზრობრივი ფაბულის შესწავლისას მიდგომა უნდა განისაზღვროს როგორც საკუთრივ სემანტიკისა და პრაგმატიკის, ისე აზროვნებისა და მეტყველების ფსიქოლოგიის სპეციფიკის გათვალისწინებით.

სხვადასხვა ენების ანდაზებში ასახული, თითოეული ეთნოსის ისტორიულ გამოცდილებაზე დაფუძნებული სიბრძნე მათთვის დამახასიათებელი კუთხით არის დაფიქსირებული. ამავდროულად, სინამდვილის ამსახველი მოვლენები მოცემული ხალხების, ენის მატარებელი ინდივიდების მენტალური ხედვის ფარგლებში მეტ-ნაკლებად განსხვავებულად კატეგორიზდება. ერთი და იმავე იდეის ფიქსაციისათვის სხვადასხვა ეთნოსი, ერთი მხრივ, საკუთარ „საშენ მასალას“ იყენებს და, მეორე მხრივ, – ანალოგიურს. ეს ფატი კიდევ ერთხელ ნათელყოფს, რომ სრულიად განსხვავებული ენის, ეთნოცნობიერებისა და კულტურის მქონე ხალხები მოცემულ გარემოში არსებულ საგნებსა და მოვლენებს შორის ხან მსგავსი, ხან განსხვავებული *ლოგიკური მიმართებების* ფონზე ანალოგიურ

ადამიანურ წარმოდგენებს აფიქსირებენ და ხშირ შემთხვევაში ცნებითი აზროვნების საერთო სისტემას იყენებენ.

თანამედროვე სამყარო მუდმივად ისწრაფვის ისაუბროს მეტაფორებით, მათ შორის, ანდაზებით. ამას მოწმობს ზეპირ თუ წერილობით ვერბალურ კომუნიკაციაში მათი ინტენსიური გამოყენება. შესაბამისად, დღეს, ახალი ეპოქალური გამოწვევების დროს, პარემიოლოგია გლობალურ ქრილში სვამს საკითხს ანდაზის ფუნქციის შესახებ ტრადიციულ და თანამედროვე კულტურაში.

ანდაზა ენის მატარებელი ერის მენტალობაში გარკვეულ ცნებად მოდელირებული ფორმულაა. ეს ცნება ინფორმაციულია ერთი დიფერენციალური ფსიქოლოგიის კონტექსტში. ანდაზა წარმოდგენას გვიქმნის ენის მატარებელი ხალხის ეროვნული ხედვის თავისებურებებზე. ამგვარი მიდგომის საფუძველზე შესაძლებელი ხდება სხვადასხვა ეთნოკულტურათა იდენტიფიცირება.

განსხვავებული ენის, ეთნოცნობიერებისა და კულტურის მქონე ხალხები სამყაროს შემეცნების პროცესში დაგროვილი გამოცდილების საფუძველზე ცნებითი აზროვნების სტერეოტიპულ მოდელებს ქმნიან. ეს მოვლენა ზოგადად ადამიანური სტერეოტიპული აზროვნებით, საერთო გამოცდილებითა და სიბრძნით აიხსნება.

ანდაზაში ყველაზე მძაფრად კონცენტრირდება სამყაროს აღქმა-ათვისების პროცესში ადამიანის მიერ მიღებული ცოდნა და გამოცდილება. შეიძლება ითქვას, რომ ანდაზა თავისებური სინთეზია სამყაროს შესახებ ცოდნისა და მისი მეტაფორული გააზრებისა.

ანდაზების შექმნა, დახვეწა და საბოლოო სახით ჩამოყალიბება ხანგრძლივი პროცესია, რომელშიც მრავალი თაობა იღებს მონაწილეობას. ამ კოლექტიურ პროცესში ანდაზა იწმინდება აზრობრივად და სიტყვიერად, ხდება მისი შინაარსის განზოგადება და გავრცობა.

ანდაზის შიდაფორმაში ჩადებული ხატი ანდაზის მაიდენტიფიცირებელ ნიშან-თვისებად შეიძლება მივიჩნიოთ, რადგან ხატოვანებაზე გადის ძირითადი საზღვარი ანდაზასა და თუნდაც აფორიზმს შორის. გარდა ამისა ანდაზის სემანტიკურ სტრუქტურაში ჩადებული ხატი თავისთავად ანდაზის შიდაფორმის სპეციფიკის საკვლევი მნიშვნელოვანი და საინტერესო მასალაა ერთი მხრივ, თვით ტროპის ხასიათისა და სპეციფიკის, ხოლო მეორე მხრივ, მასში არეკლილი სამყაროს მოდელის, ეროვნული აღქმის კუთხის დასადგენად.

რამდენადაც ანდაზა პროპორციის შემცველია, იგი მიეკუთვნება ცოდნის შემნახველ-გადამცემ ნიშანთა რიცხვს. აღსანიშნავია ანდაზის შინაარსობრივი სტრუქტურის სირთულეც. მთელ რიგ ანდაზებში გამოხატული აზრი ნართაულია, მაგრამ არ არის ძნელად მისახვედრი იმ შემთხვევაში, თუ ანდაზა მომენტალური სიტუაციის შესაბამისად არის ნათქვამი. ასეთ დროს უფრო თვალნათლივ იკვეთება ხოლმე ანდაზის მიზანმიმართულება. იგი უთუოდ გონივრულ აზრს გვთავაზობს, რომელიც დაკვირვების შედეგად არის ჩამოყალიბებული და როგორც წესი, შეუცდომელია. უნდა ავღნიშნოთ ისიც, რომ მართალია, ნაწილი ანდაზებისა ფორმა-შინაარსის მხრივ დიდი სიმყარით გამოირჩევა, მაგრამ ანდაზათა მეორე ნაწილი ვარიაციის უნარს ამჟღავნებს. მაგალითად შეიძლება ავიღოთ ქართული ანდაზა-„მოკლას ხარი თივამ“. არსებობს ამავე სემანტიკის შემცველი ნაკლებად მყარი ფორმის გამოთქმები: „მოკლას ლურჯა ქერმა“ ან „ანყინოს ქერმა ლურჯას“.

ანდაზის ენათმეცნიერულმა ანალიზმა შესაძლებელი გახადა მისი მიჩნევა არა მარტო „გარკვეული სიტუაციის ან საგანთა შორის განსაზღვრული დამოკიდებულების ნიშნად“, არამედ საგანთა შორის ურთიერთობის მოდელადაც.

ზემოთქმულიდან გამომდინარე, ანდაზა არის ის ვერბალური ფორმა, რომელიც ყველა ენაში არსებობს და ყველა სხვა დიდი თუ მცირე ვერბალური ფორმისაგან განსხვავებული თვითმყოფადი, სპეციფიური შინაარსის, სტრუქტურისა და აღქმადობის მქონეა.

ანდაზა მოცემული ენობრივი კოლექტივის ცნობიერებაში ცნებითი აზროვნების დონეზე ფორმირებული, სტერეოტიპულ ფორმულაში გამოხატული ფიგურალური გამონათქვამია. მასში ჩადებული

ცოდნა ეთნოსის რაციონალურის, მისი ეთნოფსიქიკური მოცემულობის ირაციონალური სახით არსებული რესურსია. ანდაზის ფორმალური და აზრობრივი ფაბულის შექმნაში მონაწილეობს: მოცემული ეთნოსის ჩამოყალიბების ისტორიული პროცესი, სოციალური რეალობა, ცნობიერება, ენა, აზროვნება, ფოლკლორი და ა.შ. ეს ყოველივე ადამიანთა მოღვაწეობის სოციალური და სულიერი ასპექტებია. აქტუალიზებისას ანდაზის ფორმირების პროცესში მონაწილე ყველა ეს ფაქტორი კომბინირებულად მუშაობს და გარკვეულწილად „კოლექტიურ ქვეცნობიერს“ ეყრდნობა.

ანდაზის აზრობრივი სტრუქტურა რომ თემატურ-ლოგიკური კომბინაციებისაგან იქმნება, პრაქტიკულად, ერთმნიშვნელოვნად აღიარებს პარემიოლოგია. არსებული კვლევების საფუძველზე ვლინდება ანდაზის კონსტრუირების ფუნდამენტური საყრდენი: სამყაროს შემეცნების პროცესში რაიმე მოვლენის შესახებ მიღებული გამოცდილების ერთი სფერო საფუძველად ედება მეორეს, რითაც კონკრეტული შინაარსობრივი ფორმით წარმოდგენილი აზრი განზოგადებული სიბრძნე ხდება. მისი ზოგადაზრობრივი ლოგიკურ-სტრუქტურული მოდელი ზედაპირული და სიღრმისეული დონეების კომპლექსური ოპერირებით იქმნება. იმავდროულად გასააზრებელია, კონკრეტულად როგორ, რა სემანტიკური წესებით ხორციელდება ანდაზის ზოგადაზრობრივი ფაბულის კონსტრუირება, დეკოდირება და გამოყენება? რა აზრობრივი ოპერაციებია ჩართული აქტუალიზების დროს სამეტყველო აქტის მონაწილეთა ქვეცნობიერში?

დასმული კითხვების მართებულად გასააზრებლად, ჩვენი აზრით, ანდაზის აზრობრივი სტრუქტურა უნდა განვიხილოთ სამი ძირითადი განზომილების სინთეზში. ის ერთდროულად **ლოგიკური, ვერბალური** და **ცნებითი** აზროვნების ელემენტებს მოიცავს. **ლოგიკურს** იმიტომ, რომ ის სამყაროში არსებულ საგანთა და მოვლენათა შორის ლოგიკურ მიმართებებს ასახავს; **ვერბალურს** იმიტომ, რომ კომუნიკაციური ერთეულია და არსებითად დაკავშირებულია მეტყველებასთან; ხოლო **ცნებითს** იმიტომ, რომ მასში მოცემული მსჯელობა და დასკვნა ცნებით ოპერირებას ეფუძნება.

დასასრულ, აშკარაა, რომ ანდაზის აზრობრივი ფაბულის შესწავლისას მიდგომა უნდა განისაზღვროს როგორც საკუთრივ სემანტიკისა და პრაგმატიკის, ისე აზროვნებისა და მეტყველების ფსიქოლოგიის სპეციფიკის გათვალისწინებით.

გამოყენებული ლიტერატურა

- მ. რუსეიშვილი „ანდაზა-სემანტიკური სტრუქტურა, პრაგმატული პარამეტრები, ფუნქციური არსი“ თბილისი 1999
- თ. შურღაია „სპარსული პარემიოგრაფია და სპარსული ანდაზის აზრობრივი სტრუქტურა“ საკანდიდატო დისერტაცია 2003 წ.
- გ. ვარეიშვილი „ანდაზები და საანდაზო თქმები“. თბილისი 2000
- ფ. ერთელიშვილი „აფორიზმის ცნების აკითხისთვის“ მნათობი #5 1958
- ნ. დარასელია „ანდაზა სოციალიზაციის პროცესი“, სამეცნიერო ძიებანი, თბილისი 1997
- თ. ქურდოვანიძე „ქართული ფოლკლორი“, თბილისი 2001

LANGUAGE AND PAREMIA

Proverb is a micromodel in which the style the nation's living and thinking is revealed. Its main function is to perceive the universal regularity of the universe. It is a type of perception relevant to the integral mental system of the nation. Naturally, each ethnos manifests its perception in the unique form. Thus, analysis of proverbs as unique language phenomena, implies identification of unique markers of the nation's mentality and its way of thinking.

Decoding the accumulated knowledge of the nation encoded in proverbs is an attempt to define „the mental space“ of the nation. This attempt is associated with the analysis of specificity of the proverb structure and semantic mechanism of the proverb.

There are a lot of factors influencing the process of creating formal and semantic plot of the proverb. These factors are: historical process of nation's development, social reality, consciousness, language etc. All the mentioned factors are the aspects of social and spiritual activity. The process of creating proverbs requires combination of the mentioned aspects.

Semantic structure of the proverb is based on the thematic-logical combination. The mechanism of the proverb construction can be defined in the following way: In the process of cognition the old experience is added to the new one. Then metaphorical „engine“ starts and evokes the process of decoding the content. And finally, the idea embodied in specific content form is transformed in some wisdom.

This process is realized on the basis of identifying logical relations existing between phenomena. These logical relations are the manifestation of the codes accepted and recognized in the conceptual space of the lingual body.

Key words: Language, vocabulary, Ethno-awareness.

მალტური ენა

რეზიუმე

მალტური ენა თავისი სტრუქტურით და ტერმინოლოგიით წარმოადგენს შერეულ ენას, რომელიც წარმოიშვა არაბულიდან, ძირითადად ჩრდილოეთ აფრიკული არაბულიდან. იტალიურ და ინგლისურ ენებთან კონტაქტმა ის შედარებით განვითარებულ ცივილიზაციას დაუკავშირა. მალტურ ენას გააჩნია კლასიკური არაბული ენის ანალოგიური ძირის სტრუქტურა, სწორი და მსხვრეული მრავლობითი ფორმები, ორობითი რიცხვი, განსაზღვრული არტიკლი და ზოგადი არაბულისთვის დამახასიათებელი ზმნის ფორმირება, აგრეთვე არაბული ენისთვის დამახასიათებელი ნაცვალსახელის სტრუქტურა და რიცხვითი სახელი. ზოგადი დიალექტიკური ენობრივი მახასიათებლები, რომელიც საერთოა ჩრდილოეთ არაბულ დიალექტებთან, აღინიშნება მალტურ ენაშიც. ეს დაკავშირებულია მორფოლოგიისა და სინტაქსის სფეროებთან. მალტისა და ჩრდილოეთ აფრიკის არაბულ დიალექტებში არსებული ნამყო და ანამყო ზმნის მსგავსი ფორმირება გვხვდება მალტურშიც.

მალტური ენა მდიდარია სემიტური ლექსიკით, რომელიც დამკვიდრდა ყოველდღიურ ცხოვრებაში და ამჟამად გამოიყენება. მალტური ენა საკმაოდ რთული ფენომენია, რადგან ის ერთდერითი სემიტური ენაა, რომელიც ლათინური ანბანით იწერება. ეს ენა დიდ ყურადღებას მეცნიერული თვალსაზრისითაც იპყრობს.

საკვანძო სიტყვები: დიალექტი, მალტური ენა

მალტურ ენას განსაკუთრებული ადგილი უჭირავს არაბულ დიალექტთა შორის. იგი საუკუნეების განმავლობაში ვითარდებოდა არაბული სამყაროსაგან მოწყვეტით და განვლო განვითარების დამოუკიდებელი გზა. Maltese Language ერთდერითა დიალექტთა შორის, რომელსაც გააჩნია ლიტერატურული და სამწერლობო ტრადიციები. ამჟამად იგი წარმოადგენს მალტის სახელმწიფო ენას და მასზე ლაპარაკობს მალტაზე მცხოვრები 390 ათასი კაცი.

ლინგვისტური სიტუაცია კუნძულ მალტაზე უაღრესად საინტერესოა. აქ მალტურთან ერთად ფართოდ არის გავრცელებული ინგლისური ენა, რომელსაც სახელმწიფო ენის სტატუსი გააჩნია. ამგვარად საქმე გვაქვს ორენოვნებასთან, რომელიც შეიძლება კვალიფიცირებულ იქნას ბილინგვიზმად.

ისტორიული მოვლენების შედეგად Maltese Language განვითარდა ქრისტიანულ გარემოში. კუნძულზე ჩამოყალიბებულმა ქრისტიანულმა გარემომ გავლენა იქონია არაბულ ენაზე. მალტელები კათოლიკები არიან და საუკუნეების განმავლობაში გადასცემდნენ თაობიდან თაობას ქრისტიანულ ტრადიციებს. გასაგები მიზეზების გამო მალტელები არასდროს ჩნდებოდნენ ისლამურ ცენტრებში, არ მონაწილეობდნენ არაბულ ფილოლოგიურ დისპუტებში და შესაბამისად არ ითვალისწინებდნენ არაბი მუსლიმი ფილოლოგების რეკომენდაციებს. არაბულ ფილოლოგიურ წრეებში ენობრივ უზუსტობებად აღიარებული ენობრივი მოვლენები, ასევე არაბ გრამატიკოსთა მიერ მწვავე პოლემიკის შედეგად დადგენილი ნორმები მალტელებს არასდროს გაუსწორებიათ. მოხდა ისე, რომ Maltese Language ბუნებრივი განვითარების შედეგად თვითონვე განსაზღვრა საკუთარი ნორმები. ამავე დროს მან განიცადა იტალიური ენის ინტენსიური გავლენა.

იტალიურის ზეგავლენა მალტურზე იმდენად დიდია, რომ ძნელია ენობრივი მასალის ანალიზი, ენობრივი კონტაქტების შედეგად განვითარებული ცვლილებების გათვალისწინების გარეშე. მიუხედავად იმისა, სემიტურ მალტურში შეგვიძლია გამოვიყენოთ ენისათვის დამახასიათებელი განვითარების შემდეგი შრეები:

- 1) კლასიკური არაბული ენა
- 2) არაბული დიალექტები
- 3) მალრიბული არაბული
- 4) ზოგად სემიტური ენობრივი მახასიათებლები
- 5) მალტური არაბულისთვის დამახასიათებელი ენობრივი მოვლენები. ისინი წარმოიქმნენ საუკუნეების განმავლობაში ენის შინაგანი განვითარების შედეგად.

მალტურის განვითარების შემდეგი ეტაპი მოიცავს იტალიურ ენასთან კონტაქტების შედეგად ჩამოყალიბებულ ენობრივ მახასიათებლებს. ცხადია, რომ ევროპულის ენის გავლენა აისახა არაბულ დიალექტზე. მიუხედავად ამისა, სემიტური ენისათვის დამახასიათებელი სტრუქტურა შენარჩუნებულ იქნა.

Maltese Language გააჩნია კლასიკური არაბულის ანალოგიური ძირისა და ფუძის სტრუქტურა, სწორი და მსხვრეული მრავლობითის ფორმები, ორობითი რიცხვი, განსაზღვრული არტიკლი, საერთო არაბულისათვის დამახასიათებელი ზმნის წარმოება, ნაცვალსახელისა და რიცხვითი სახელის არაბული ენისათვის დამახასიათებელი სტრუქტურა.

განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს ლექსიკის სფერო. ძირითადი ლექსიკური ფონდი უმეტესწილად საერთოა კლასიკურ არაბულთან.

მაგალითად:

მალტური არაბული

gisem	جسم	სხეული
ras	رأس	თავი
qalb	قلب	გული
id	يد	ხელი
qamar	قمر	მთვარე
xemx	شمس	მზე
kewkba	كوكبة	ვარსკვლავი
isem	اسم	სახელი
jum	يوم	დღე
lejl	ليل	ღამე
bint	بنت	ქალიშვილი
omm	أم	დედა
lben	ابن	ვაჟიშვილი
oht	أخت	და
zewġ	زوج	ქმარი

მალტურში განვითარდა არაბული დიალექტისათვის დამახასიათებელი ენობრივი მოვლენები. მაგალითად შეიძლება მოვიყვანოთ ანალიტიკური კონსტრუქციები, რომლებიც მრავლადაა მალტურში.

ამ მხრივ, ჩვენს დიალექტში ასახულია საერთო არაბული დიალექტოლოგიური ვითარება. მაგ: სინტაქსური დაქვემდებარების გამოსახატავად არაბულ დიალექტებში, სადაც მოშლილია ბრუნვის ნიშნები, გაჩნდა ნაწილაკები და დამხმარე სიტყვები. სირიულში ასეთი ფუნქციით იხმარება *taba'*: მაგ: *as-sayara taba' -l-mudyr* (დირექტორის მანქანა); ეგვიპტურში ანალოგიურ ფუნქციას ასრულებს *bitā'*. მაგ: *kitab bitā' mudarris*. (მასწავლებლის წიგნი).

მალტურში ფეხი მოიკიდა ამ საერთო არაბულმა დიალექტოლოგიურმა მოვლენამ. გაჩნდა და ჩამოყალიბდა ანალიტიკური კონსტრუქციები, სადაც დამაკავშირებელი ელემენტის ფუნქციასა ასრულებს *tar*. მაგ: *il – ktieb tar raġel* (კაცის წიგნი).

საერთო დიალექტურ მახასიათებლებთან ერთად მალტურში ცალკე უნდა გამოიყოს ის ენობრივი თავისებურებები, რომელიც საერთოა მაღრიბულ არაბულთან. ალჟირის, ტუნისისა და მაროკოს არაბული დიალექტებისათვის დამახასიათებელი არაერთი ნიშანთვისება გვხვდება მალტურში. ეს ეხება, როგორც მორფოლოგიის, ასევე სინტაქსის სფეროსაც. შევხვით ზმნის წარმოებას: პერფექტივისა და იმპერფექტივის ფორმები მალტურში და ჩრდილო-აფრიკის არაბულ დიალექტებში ამჟღავნებენ მსგავსს წარმოებას:

მალტური მაროკოს დიალექტი

პერფექტივი

მხ. რიცხვი

III kiteb	III ktéb
kitbet	kétbet
II ktibt Ktébti	II ktébt
I ktibt	I ktébt

მრ. რიცხვი

III kitbu Kitbu	III kétbū kétbū
II ktibtu	II ktébtū
Iktibna	I ktébna

იმპერფექტივი მხ. რიცხვი

III jikteb tikteb	III iékteb
II tikteb	II tékteb tkébtī // ték-két-bī
I nikteb	I néqteb

მრ. რიცხვი

III jktbu jiktbu	III ukét-bū // iék-tét-bū
II tiktbu	II tkét-bū // ték-két-bū
I niktbu	I nkétbū // nék-két-bū

მაროკოს დიალექტში აწმყო დროის ზმნის პირველ პირში გვხვდება მალრიბის ზოგიერთი დიალექტისათვის დამახასიათებელი პრეფიქსი *n* // *né* . ამ მორფემამ ადგილი მალტურ ენაშიც კი დაიკავა.

ამდგვარად, წინამდებარე სტატიაში განვიხილეთ მალტურის კლასიკურ არაბულთან და ჩრდილო-აფრიკის არაბულ (მალრიბულ) დიალექტებთან მიმართების ზოგიერთი საკითხი. მალტურში დასტურდება არაბული ენისათვის დამახასიათებელი სინტაქსური კონსტრუქციები, რომლებიც დიალექტის კვლევისათვის საინტერესო საგანს წარმოადგენს.

გამოყენებული ლიტერატურა

- Borg, A. & Azzopardi, A. M. (1997). *Malteze*. London: Routledge.
- Borg, A. *Maltese*. (1997). A short overview and evidence of language contact. University of Malta.
- Bosworth, C. E. & Levis, B. (1987). *The encyclopedia of Islam*. New Edition. Volume VI ; Leiben
- Falzon, G. (1997). *Basic Maltese Grammar*. Indiana. USA.
- Pace, J. (1995). *The Evolution of the Maltese Language*. Malta.
- Завадовский, Ю. (1962). *Арабские диалекты Магриба*. Москва.

MALTESE LANGUAGE

The Maltese language represents the mixed language by its structure and terminology. It originates from Arabic, mainly from North-African Arabic. The contact with Italian and English languages has connected it with comparatively developed civilization. Maltese has the structure of classical Arabic analogous root, correct and broken plural forms, dual number, definite article, and the verb formation characteristic of general Arabic, the structure of pronoun and numeral characteristic of Arabic language. Together with general dialectic language characteristics certain language features that are common with North Arabic dialects should be also pointed out in Maltese language. This is related to the spheres of morphology and syntax. Perfective and Imperfective forms in Maltese and North Africa Arabic dialects show the similar verb formation.

The Semitic vocabulary in the Maltese language is represented in a quite big volume. These words have been established in everyday life and are in use even nowadays. The Maltese language is a quite difficult phenomenon, as it is the only Semitic language that is written with Latin alphabet. This language attracts much attention from a scientific point of view.

Key words: Dialects, Maltese language

ჩინური ენის ფონეტიკური თავისებურებები და წარმოთქმის ძირითადი პრობლემები (მოკლე მიმოხილვა)

რეზიუმე

ჩინური ენით დაინტერესება სულ უფრო იზრდება საქართველოში. ენის ფონეტიკური სირთულიდან გამომდინარე, ბუნებრივია, ჩნდება მისი სწავლების გამარტივების გზებზე მოთხოვნა.

სტატიამი ვსაუბრობთ ჩინური ენის შესახებ, მის ასოებრივსა და იეროგლიფური სახის დამწერლობაზე. რაში მდგომარეობს ჩინური ენის ბგერითი სისტემის თავისებურება, რით განსხვავდება იგი ქართული ენისგან, რა სირთულებთან გვაქვს საქმე და რა არის მათი დაძლევისა და სწავლა-სწავლების გამარტივების ფორმულა.

ყურადსაღებია ტრანსლიტერაციის საკითხი, თუ როგორ დავაღწიოთ თავი ძველ შეცდომებს და, პრობლემის არგაზრების გამო, ხელი არ შევეწყოთ ქართულ ენაში მცდარი საკუთარი სახელების გამოყენებასა და დამკვიდრებას.

საკვანძო სიტყვები: ჩინური ენა, ქართული ენა, ფონეტიკა, ფუთუნგხუა, ფინინი, ტრანსლიტერაცია, სწავლება

ბოლო პერიოდში, საქართველოში სულ უფრო იზრდება ჩინური ენის პოპულარობა და მისი შესწავლის მიმართ ინტერესი, რასთან ერთადაც იმატებს ჩინური ენის ფონეტიკის მიმართ დაინტერესება, მისი კვლევის საჭიროება და ზედმიწევნით ათვისების მოთხოვნილება.

როგორც უკვე ცნობილია, ენის უპირველესი ფუნქცია არის კომუნიკაცია, ბგერების საშუალებით ხდება აზრის გადმოცემა. განსაკუთრებით ჩინური ენის გამოყენებისას, თუ წარმოთქმა არ არის ზუსტი, იწვევს მისკომუნიკაციას ან კომუნიკაციისგან სრულ გათიშვას.

ჩინურსა და ქართულ ენებს შორის ფონეტიკურ შედარებასა და ქართველი სტუდენტებისთვის მისი სწავლების სპეციფიკაზე სტატია, ჯერ კიდევ ჩინეთში გამოქვეყნდა.

საკითხი აქტუალურია, რადგან, სანამ ტრანსლიტერაციის აუცილებლობაზე დავინწყებდეთ საუბარს ან ჩინური ენის შესწავლას შევუდგებოდეთ, აუცილებელია, ჯერ გავეცნოთ ფონეტიკურ თავისებურებებს, რათა რაციონალურად გავიგოთ თეორიული და პრაქტიკული შესწავლის ობიექტები, მოგვეცეს ჩინური ენის ბგერითი სისტემის გააზრებისა და წარმოთქმის ადეკვატური უნარების ფორმირების საშუალება.

ჩვენი მიზანია, გავაკეთოთ ჩინური ენის ფონეტიკურ სისტემაზე მოკლე თეორიულ-პრაქტიკული მიმოხილვა მათთვის, ვისაც აინტერესებს ჩინური ენის შესწავლა და, ზოგადად, ვისაც ჩინური ენის ფონეტიკაზე მეტის გაგების სურვილი აქვს; დავებმართოთ სწავლა-სწავლების ეფექტურობის ზრდასა და სტუდენტისთვის ამ კუთხით ტვირთის შემსუბუქებას. ამისათვის უნდა ვიცნობდეთ ქართველი სტუდენტის წარმოთქმასთან დაკავშირებულ პრობლემებსა და სირთულებებს, რაც სწავლების მრავალწლიანმა გამოცდილებამ დაგვანახა. სწორედ მსგავსი მუდმივი კვლევა-დაკვირვება გვცხადებს ფონეტიკური ნაწილის სწავლების ტექნიკის შემუშავება-შექმნაში, დახვეწა-დახელოვნებაში.

მიზნის მისაღწევად, უნდა ვუპასუხოთ შემდეგ კითხვებს: რას წარმოადგენს თანამედროვე სალიტერატურო ჩინური ენა – ფუთუნგხუა და ფინინი; რა არის ჩინური ენის ბგერითი სისტემის მახასიათებლები და თავისებურებები; როგორია ჩინური ბგერითი სისტემის სწავლების პრინციპები; წარმოთქმასთან დაკავშირებული რა ძირითადი პრობლემები არსებობს და რა უნდა იყოს გათვალისწინებული სწავლების დროს.

ფონემის უნიკალური სისტემის სამეცნიერო კვლევა საშუალებას იძლევა შეიქმნას როგორც ოპტიმალური ანბანი და ორთოგრაფიის ოპტიმალური წესები, ისე სიტყვების ასოებით ჩანერის საშუალება. სწორედ ასეთი ანბანი და სიტყვების ასო-ბგერითი სტანდარტი შეიქმნა ოფიციალურად ჩინეთის სახალხო რესპუბლიკაში 1958 წელს, რის შემდეგაც ფუთუნგხუაში სიტყვებს აქვს ორი სადამწერლო ფორმა: იეროგლიფური და ასოებრივი, თუმცა სახელმწიფო ენის იეროგლიფურ დამწერლობას აქვს ძირითადის სტატუსი, ხოლო ასოებრივს – დამხმარეს სტატუსი.

ფინინი (拼音) არის ჩინური ენის ბგერათა წერილობითი ფიქსირების წესები, რომლისთვისაც გამოიყენეს მსოფლიოში გავრცელებული ლათინური ანბანის ასოები. ანბანი შედგება 26 ლათინური ასოსგან.

ჩინეთში, ასოებრივი დამწერლობა აუცილებელია სკოლაში შესასწავლად, რადგან ეს არის საფუძველი, რომელზეც იგება ჩინური ენის – ფუთუნგხუას (普通话) სწავლება მილიონობით ჩინელისთვის და უკვე უამრავ უნივერსიტეტში საზღვარგარეთ. მასზე დაფუძნებული თანამედროვე საინფორმაციო კომპიუტერული და ტელეკომუნიკაციის ტექნოლოგიები. ლათინურმა ასოებმა, რომლებიც გამოიყენება ჩინური ენის ჩასაწერად შეაღწია თანამედროვე ჩინეთის სოციალურ ცხოვრებაში და სიტყვის ამ ასო-ბგერითი სტანდარტით ჩინურმა იეროგლიფმა ზეპირმეტყველება დაიწყო ფუთუნგხუაზე, რომელსაც ახასიათებს პეკინური ჟღერადობა, საფუძვლად კი – ჩრდილოური დიალექტები უდევს. ეს ანბანი შეიქმნა უკვე არსებული ენის ფონოლოგიური სისტემის ბაზაზე. შექმნიდან ორმოცდაათმა წელმა დაგვანახა ანბანის უდიდესი როლი შუამავალი ენის – ფუთუნგხუას გავრცელებაში და ჩინეთის მოსახლეობის მრავალსაუკუნოვანი მასობრივი გაუნათლებლობის ლიკვიდაციაში, ასევე იგი ჩინური საზოგადოების ლინგვისტური ინტეგრაციის საიმედო საშუალებას წარმოადგენს და ერთ-ერთი მთავარი ფაქტორია, რომელიც აერთიანებს ჩინელების ეროვნულ იდენტობას.

სიტყვა „ფუთუნგხუა“ (საყოველთაო ენა) აზუსტებს ჩინური ენის „ხანიუს“ ცნებას, რაც არის ხანის ეთნოსის ამსახველი ნიშანი. ხანის ენის დღევანდელი ვითარების თავისებურება მდგომარეობს მის რეგიონალურ დიფერენციაციაში, რომელსაც გააჩნია მრავალსაუკუნოვანი ისტორია. ხანების ენა 汉语 შედგება შვიდი დიალექტისგან, რომელთა შორის არის დიალექტები (მაგალითად. ეს და იუეს დიალექტები), რომლებიც მკვეთრად განსხვავდება არა მხოლოდ ფუთუნგხუასგან, არამედ სხვა დიალექტებისგან და ერთმანეთისაგან ისე, რომ თითქმის შეუძლებელია მათზე მოსაუბრე ადამიანებისთვის ერთმანეთის გაგება, ისევე როგორც ჩვენთან მეგრულისა და სვანურის შემთხვევაში ხდება.

აუცილებელი გასათვალისწინებელია ის ფაქტი, რომ ჩინური ენის სიტყვების ეს ასოებრივი ორთოგრამები, არ არის ამ სიტყვების ფონეტიკური ტრანსკრიფცია, როგორადაც შეიძლება მოგვეჩვენოს ასო-ბგერითი დამწერლობის იეროგლიფურ დამწერლობასთან შედარებისას. თუმცა ამ ასო-ბგერითი დამწერლობის – ფინინის არც აუდიო მასალების მოსმენამაც არ უნდა გვაფიქრებინოს, რომ ესა თუ ის სიტყვა იკითხება ისე, როგორც წერია, რეალურად მას ასევე შეიძლება მივუწეროთ საერთაშორისო ფონეტიკური ანბანის, ანუ IPA სისტემის ტრანსკრიფცია. დღესდღეობით, ეს იმიტაცია და შესაბამისი სავარჯიშოები ეფექტურია ჩინური ენის შემსწავლელთათვის, თუმცა უნდა გვახსოვდეს, რომ ფონეტიკური კურსის შესავალში ორი სახის დამწერლობის – იეროგლიფურისა და ასოებრივის შესწავლისას, ასოებრივი ძალაუფლებურად არ უნდა იყოს აღქმული, როგორც ფონეტიკური ტრანსკრიფცია, ანუ არ უნდა მოხდეს ასოებისა და სამეტყველო ბგერების – ფონემების აღრევა.

არა მხოლოდ ჩინური ენის შესწავლის დროს, არამედ არაკომპეტენტური პირის მხრიდან ამ ასოებრივი სისტემის (ფინინის) წაკითხვისას, მას ერთვება უცხო ენის ბგერების აღქმის ფსიქოლოგიური მექანიზმი.

ზოგჯერ ყველაზე დახვეწილი სმენის მფლობელს უცხო ენაში ესმის არა ის, რაც სინამდვილეშია, არამედ ის, რის მოსმენა-გაგონებასაც მიეჩვია და თავის ფონოლოგიურ სმენასთან ასოცირდება, ასევე ლათინური ასოების თავისებურად აღქმას. იხილეთ ცხრილი:

#	ასოები	ჟღერადობა ინგლისურ ენაში	ჟღერადობა ჩინურ ენაში
	A a	[eɪ], [æ]	[ʌ]
2	B b	[bi:]	[p]
3	C c	[si:]	[tsʰ] [tsʰ]
4	D d	[di:]	[t]
5	E e	[i:]	[ɥ]
6	F f	[ef]	[f]
7	G g	[dʒi:]	[k]
8	H h	[(h) eɪf]	[x]
9	I i	[aɪ]	[i]
10	J j	[dʒeɪ]	[tɕ]
11	K k	[keɪ/	[kʰ] [kʰ]
12	L l	[ɛl]	[l]
13	M m	[ɛm]	[m]
14	N n	[ɛn]	[n]
15	O o	[oʊ]	[o]
16	P p	[pi:]	[pʰ] [pʰ]
17	Q q	[kju:]	[tɕʰ] [tɕʰ]
18	R r	[ɑ:r]	[ʒ]
19	S s	[ɛs]	[s]
20	T t	[ti:]	[tʰ] [tʰ]
21	U u	[ju:]	[u]
22	V v	[vi:]	*
23	W w	[ˈdʌbəl.ju:]	[w]
24	X x	[ɛks]	[ɕ]
25	Y y	[waɪ]	[j]
26	Z z	[zi/zɛd]	[ts]

ცხრილი 1. ინგლისური ენისა და ჩინური (ფინიჩის) ანბანის ასოების ჟღერადობის შედარება

ერთი იეროგლიფი უდრის ერთ მარცვალს, სიტყვების უმრავლესობა შედგება ორი მარცვლისგან ანუ ორი იეროგლიფისგან, თუმცა ასევე არსებობს ერთმარცვლიანი, სამმარცვლიანი და მარცვალთა სხვა რაოდენობის სიტყვები, მაგალითად: 中国 ჩინეთი, არის ორმარცვლიანი სიტყვა. ჩინური ენის მარცვალთა შედგება ერთი ინიციალისგან, ერთი ფინალისგან და ტონებისგან, მაგალითად: 马 – ma, ერთი

მარცვალა, სადაც *m* ინიციალია, ხოლო *a* – ფინალი, მესამე ტონში. იშვიათ შემთხვევაში გვხვდება მარცვალის ინიციალის გარეშეც, მაგალითად: 爱 – *ai*, ერთი მარცვალა, სადაც არ არის ინიციალი და შედგება მხოლოდ ფინალისაგან *ai*.

ფუთუნგხუაში ასევე არის ოთხი ტონი და ერთი ნეიტრალური ტონი. უკანასკნელის გარდა, ყველა აღნიშნება შესაბამისი ტონით. ტონი თამაშობს შინაარსის განმანსხვავებლის როლს, მაგალითად: „ნიგნის წაკითხვა“ იქნება *kànshū* (看书), ხოლო „ხის მოჭრა“ იქნება *kǎn shù* (砍树), ასევე „ვარჯიში“ იქნება *liánxì* (联系), ხოლო „დაკავშირება“ იქნება *liànxí* (练习). ეს სიტყვები იდენტური ბგერითი შემადგენლობის არის, თუმცა ტონები აქვს განსხვავებული და, შესაბამისად, განსხვავებულია მნიშვნელობაც.

მთავარია, ამ წესების რაციონალური ცოდნა და მათი გამოყენება ჩინური წარმოთქმის გაგება-ათვისების პროცესში, ამავდროულად, ფუთუნგხუას ჩინური სიტყვების ჩასაწერად ჩინური ასო-ბგერითი ანბანის გამოყენების წესების შესწავლა და დაუფლება. ეს უზრუნველყოფს შემსწავლელის სწორ სამეცნიერო ორიენტაციას და იძლევა საშუალებას, გააცნობიეროს ფუთუნგხუას ასო-ბგერითი სტანდარტის პრაქტიკული სარგებელი.

დღესდღეობით, უკვე არსებობს ჩინური ენის მარცვალთა სისტემის ქართულ ენაზე ტრანსკრიფცია-ტრანსლიტერაციის სახელმძღვანელო წესები, რაც არის ქართულ ტექსტებში ჩინური გვარებისა და სახელების, ტოპონიმების და ა.შ. უნიფიცირებული აღნიშვნისთვის და სადაც შეძლებისდაგვარად არის გათვალისწინებული ჩინური ენის საერთაშორისო ფონეტიკური ტრანსკრიფცია და ქართული ენის ფონეტიკური შესაძლებლობები.

ფუთუნგხუა, თანხმოვნებისა და ხმოვნების რაოდენობრივი შეფარდების მიხედვით, გამოირჩევა ხმოვნის (სონანტური) დომინანტობით, ხოლო ქართული ენა – თანხმოვნის (კონსონანტური) დომინანტობით.

ჩინურისა და ქართული ენების ხმოვნებს შორის განსხვავება შედარებით დიდია, ჩინური ენაში უფრო აქტიურად გამოიყენება ხმოვნები, ქართულ ენაში კი – თანხმოვნები და, როგორც აღვნიშნეთ, ხმოვანი მეტია, ვიდრე ქართულ ენაში, თუმცა ჩინურ ენაში ბგერების აღმნიშვნელი გრაფიკულად გამოხატული ანუ წერილობით გამოსახული ასო გაცილებით ნაკლებია. ჩინური ანბანი ასო-ბგერითი ანბანების უნივერსალური პრინციპის მიხედვით, ანბანში ასოების რაოდენობა უნდა იყოს მის მიერ აღნიშნული ფონემის რაოდენობაზე ნაკლები.

ჩინურისა და ქართული ენების თანხმოვნებს შორის არის ბევრი მსგავსებაც, ყველა ჩინური თანხმოვნის მსგავსი ბგერა მოგვეპოვება ქართულში, საქმეს ასევე გვიმარტივებს ქართულ ენაში ხშული, ყრუ ფშვინვიერი თანხმოვნების და ხშული, ყრუ მკვეთრი წინა ნუნისმიერი *n*, უკანა ნუნისმიერი *ŋ* თანხმოვნების არსებობა.

ჩინურ ენაში, მჟღერი თანხმოვნების ნაკლებობა აისახება ჩინელებზე, როდესაც ისინი სხვა ენის შესწავლისას ვერ ანსხვავებენ სიტყვებს და, შესაბამისად, ვერ წარმოთქვამენ მჟღერ ბგერებს ამავე სიტყვებში. რუსებმა, რუსულ ენაში ყრუ ფშვინვიერი თანხმოვნების ნაკლებობის გამო, გამოიყენეს მჟღერი და ყრუ მკვეთრი ბგერების წყვილები ჩინური ყრუ ფშვინვიერისა და არაფშვინვიერი ბგერების ჩასაწერად. ქართულ ენას უპირატესობა აქვს, მას გააჩნია მჟღერი – ყრუ მკვეთრი – ყრუ ფშვინვიერის სამეული, თუმცა ჩინურის შემთხვევაში, მარცვალთა სისტემის ქართულ ენაზე ტრანსკრიფცია-ტრანსლიტერაციისთვის, ბოლო ორის გამოყენება საკმარისია. ამიტომაც არ შეიძლება ჩვენ დავამკვიდროთ ჩინური ენის მარცვალთა სისტემის რუსულ ან სხვა ენაზე ტრანსკრიფცია-ტრანსლიტერაციის სახელმძღვანელო წესები. გარდა ამისა, ჩვენ ამით არა მხოლოდ ვცემთ პატივს ჩვენს ენას, როგორც სახელმწიფო ენას, ასევე ვითვალისწინებთ მის დახვეწილ ფონეტიკურ სისტემას და მის მდიდარ შესაძლებლობებს. ამ ფაქტებს ზოგჯერ საზოგადოებაში, სამწუხაროდ, არ ენიჭება სათანადო ყურადღება თუ მნიშვნელობა, მიდგომა ზედაპირულია, ითვლება, რომ, „ბევრი სხვა უფრო მნიშვნელოვანი პრობლემა გვაქვს“ და როგორც ყოველთვის, ან რეფორმების გატარების და ცვლილებების შეტანის გამბედაობის და, ზოგჯერ,

სურვილისა და ინიციატივის ნაკლებობასაც განვიცდით. უნდა გვახსოვდეს, რომ „სახელმწიფო ენა ქვეყნის ღირსების საზომია“, ასევე „სახელმწიფო ენა დამოუკიდებელი ქვეყნის ერთ-ერთი მთავარი ატრიბუტია“¹.

ძალიან გვიადვილებს საქმეს მშობლიური და ჩინური ენების ფონეტიკური შედარების პროცესში საერთოსა და განსხვავებების შესწავლა და საკმაოდ ეფექტურად გვევლინება იგი ჩინური ენის ფონეტიკის სწავლების მეთოდის სამეცნიერო საფუძვლის სახით.

ჩინური ენის ჟღერადობის სწავლა-სწავლების პროცესი უამრავ დროსა და ენერგიას მოითხოვს, როგორც შემსწავლელისგან, ისე მასწავლებლისგან. ბგერითი სისტემის შესწავლა არის ენის შესწავლის საფუძველი და მისი ზედმიწევნითი ცოდნა სტუდენტს მეტ თავდაჯერებულობას მატებს.

ფონეტიკის სწავლების პრინციპები შეიძლება იყოს:

- 1) თეორია + პრაქტიკა (მოსმენა, მიბაძვა, გამეორება, სხვისი და საკუთარი შეცდომის აღმოჩენა, შესწორება და სხვა სახის სავარჯიშოები);
- 2) ტონების ასო-ბგერით და იეროგლიფურ დამწერლობასთან ერთად სწავლა;
- 3) ქართულისა და ჩინური ენების ბგერითი სისტემის საერთოსა და განსხვავების ახსნა-განმარტება;
- 4) სირთულეების დაფიქსირება და მათი დაძლევის მექანიზმის გამოყენება.

ჩინური ენის ტონებს რაც შეეხება, მართალია ეს თავისებურება ქართულ ენას არ გააჩნია და შესადარებელიც კი არაფერია, თუმცა საყურადღებოა ქართველი სტუდენტებისთვის შემდეგი ზოგადი მახასიათებელი დეტალების გათვალისწინება:

- 1) ბოლო რამდენიმე წელია, ქართველი სტუდენტისთვის სირთულეს წარმოადგენს მეოთხე ტონი, ხოლო სწავლების უფრო ადრეულ წლებში დიდ სირთულეს, ძირითადად, მესამე ტონი წარმოადგენდა. მესამე ტონის სწავლების პრობლემა გადაჭრილია ჩვენ მიერ შემუშავებული სწავლების მეთოდის წყალობით;
- 2) ქართველ სტუდენტს, ზოგჯერ წარმატებულ კურსდამთავრებულსაც კი შეიძლება ჰქონდეს უკანაენისმიერი ნაზალური ფინალი $ŋ$ [ŋ] და წინა ენისმიერი ნაზალური ფინალი n [n] განსხვავების და წარმოთქმის პრობლემა;
- 3) ქართველ სტუდენტებს უჭირთ სწორად წინა აპიკალური თანხმოვნების z , c , s და წინა ენისმიერი თანხმოვნების j , q , x სწორად წარმოთქმა, მათ შორის, თანხმოვნების c , s და q , x განსხვავება და წაკითხვისას, ხშირად ერთმანეთში ერევათ. ასევე ხშირად შეცდომით წარმოთქვამენ მარცვლებს zi , ci , si , სადაც ნაცვლად $-i$ $/i/$ -სა წარმოთქვამენ ხმოვან $i/i/$ -ს, როგორც ji , qi , xi ;
- 4) აპიკალური (უკანა ენისმიერი) მარტივი ფინალები $-i/i/$ ერევათ შუა ენისმიერ, უკანა ფინალებში e [ɤ], ინიციალების zh , ch , sh , r -ს შემდეგ: $zhe - zhi$, $che - chi$, $she - shi$, $re - ri$;
- 5) ქართველ სტუდენტებს უჭირთ u ან $ü$ ხმოვნების წარმოთქმა: $ü$ [y]-ს კითხულობენ როგორც u [u]-ს, მაგალითად, $lǔ$ [ly]-ს ნაცვლად, კითხულობენ lu [lu] -ს.

ასევე უნდა გვახსოვდეს სხვა რამდენიმე საყურადღებო დეტალი: ჩინური ენა – ფუთუნგხუაში $h/x/$ არ შეესატყვისება ბგერა $h/h/$ -ს, არის ქართული ბგერა x -ს შესაბამისი. ზოგჯერ ქართველი ექცევა დიალექტზე მოსაუბრე ჩინელების ან არასწორად მოსაუბრე უცხოელი სტუდენტის გავლენის ქვეშ, ამ უკანასკნელის თავისი განსხვავებული ფონეტიკური სისტემის მშობლიური ენის გამო.

წინამდებარე თემაზე კვლევას ვაგრძელებთ და უფრო ვრცლად და დეტალურად იხილავთ ახლო მომავალში.

¹ პროექტი „მე მიყვარს ქართული – ჩემი სახელმწიფო ენა“ 2016 წლიდან ხორციელდება (ავტორი: მარიამ მანჯგალაძე) და ტექსტში არის მათ მიერ გამოყენებული ეს ფრაზა.

გამოყენებული ლიტერატურა

- გამყრელიძე, თამაზ. 2008. *თეორიული ენათმეცნიერების კურსი*. თბილისი: თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა
- დარჩია, მაია. 2015. *ქართული ენა*. თბილისი
- თევდორაძე, ნინო. 2016. *ენათმეცნიერების შესავალი*. თბილისი
- კვაჭაძე, ლეო. 1993. *ქართული ენა*. თბილისი: რუბიკონი
- ფუტყარაძე, ტარიელ. 2014. *ქართული სამწიგნობრო ენის ფონეტიკა*. თბილისი
- შანიძე, აკაკი. 1955. *ქართული ენის გრამატიკა*. თბილისი: თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა
- ჩიქობავა, არნოლდ. 2008. *ენათმეცნიერების შესავალი*. თბილისი: თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა
- ჯიბლაძე, მარინე, თინათინ ბოლქვაძე, ლიოუ ჩაო, ლიანგ ქუნგქუნგი, ნიკო ქელბაქიანი, მაკა თეთრაძე. 2019-2020. *ჩინური ენის მარცვალთა სისტემის ქართულ ენაზე ტრანსკრიფცია-ტრანსლიტერაციის სახელმძღვანელო წესები*. სახელმწიფო ენის დეპარტამენტი.
- ბიულეტენი II: 18-37. http://enadep.gov.ge/uploads/Bulletin_II_2019-2020.pdf.
- Fang Yu. 2005. *Chinese test-taking guide*. / 方宇. 2005. *汉语应试指南*. 南京: 东南大学出版社
- Lin, Dao. 1997. *Lingistics*. / 林焘 等. 1997. *语音学教程*. 北京: 北京大学出版社
- Lu, Jianming. 2010. *Modern Chinese language*. / 陆俭明. 2010. *现代汉语语音问答*. 北京: 北京大学出版社
- Jibladze, Marine (/a). 2002. *The Comparison between Chinese and Georgian Phonetics — — the tentative exploration of teaching Chinese phonetics to Georgian students*. / 玛琳娜. 吉布拉泽. 2002. *汉语和格鲁吉亚语音对比 – 对格鲁吉亚学生的汉语语音教学初探*. 南京. 2002. 第4期
- Qiu, Xiny. 2015. *Chinese pronunciation training for foreigners*. / 仇鑫羿. 2015. *外国人汉语发音训练*. 北京: 高等教育出版社
- Yang Jizhou. 2018. *Chinese Language*. / 杨寄洲. 2018. *汉语教程*. 北京: 北京语言大学出版社
- Zheng Ruojiang. 2005. *Chinese pronunciation*. / 正若江. 2005. *汉语正音教程*. 北京: 北京大学出版社

PHONETIC CHARACTERISTICS AND PRONUNCIATION CHALLENGES IN THE CHINESE LANGUAGE (AN EXPOSITORY ANALYSIS)

The growing interest in the Chinese language within Georgia has led to a natural demand for pedagogical strategies aimed at simplifying its teaching due to its phonetic complexity.

This article focuses on a comprehensive exploration of the Chinese language, encompassing both its alphabetic and character-based writing systems. We delve into the unique phonetic intricacies of the Chinese language, highlighting its distinctions from the Georgian language and the challenges encountered in the teaching and learning process.

This research article also underscores the significance of addressing transliteration issues, emphasizing the need to rectify past errors and avoid contributing to the propagation of inaccurate proper names within the Georgian language. Our study contributes to the academic discourse surrounding the Chinese language's pedagogical implications in Georgia.

Keywords: Chinese language, Georgian language, Phonetics, Putonghua, Pinyin, Transliteration, Teaching

თავისუფალი და აგრარული უნივერსიტეტების გამომცემლობა
კახა ბენდუქიძის კამპუსი, დავით აღმაშენებლის ხეივანი 240
0159 თბილისი, საქართველო
ტელ.: +995 32 220 09 01

freeuni.edu.ge agruni.edu.ge
Free and Agricultural Universities Press
Kakha Bendukidze Campus, Alley David Aghmashenebeli 240
Tbilisi 0159, Georgia,
Tel.: +995 32 220 09 01

